Moving forward, we are taking immediate action to rectify the situation and prevent future incidents from occurring. This includes a comprehensive review of our supply chain and practices to ensure that they comply with environmental and social standards.

We understand that rebuilding trust with our stakeholders will take time and effort. However, we are fully committed to regaining that trust through transparency, integrity, and accountability. We will share updates on our progress regularly and work closely with our communities to create a positive impact.

Once again, we apologize for the harm caused and appreciate your continued support as we make amends. And especially we bring our deep condolences to those families who were hurt the most because of our fault. We assure that from this moment we will implement better strategies that will benefit our customers in the first place”.

Sincerely, the CEO of Nestlé, Peter Brabeck-Letmathe”

Conclusion

The Nestlé infant formula scandal is an important case study in the importance of shame and the art of apology in shaping public opinion and understanding corporate accountability. This paper examines the Nestlé trial and its aftermath of the project, and reflects important lessons from the task force’s response. An apology plays an important role in the aftermath of a scandal, as it facilitates accountability, restores trust, and opens the door for correction. However, the Nestlé infant formula controversy high-

lights the challenges and challenges of effective apology.

The analysis of the apology thread in this study highlights the importance of early acceptance of responsibility and genuine engagement in change. It emphasizes the need to use appropriate methods and techniques to identify the right speaker in order to effectively issue an apology. Furthermore, the case highlights the importance of promptly issuing an apology to spread the truth and prevent further breach of public trust. While this study has delved into the Nestlé infant formula controversy, it sheds light on the crucial role of corporate governance, public opinion, stakeholder relations, scandals and apologies.

In the case of the Nestlé scandal, the company's initial response to the Chinese milk powder problem was clearly found to be inadequate and ineffective with Nestlé unwilling to immediately issue a formal apology and its position his excuses destroyed his authenticity and authenticity and the sincerity of the apology. The perceived lack of remorse and the perception that the apology was a reactionary response to social pressure severely undermined public confidence and hampered the company's efforts to restore its reputation

To give an effective apology, it is important to identify the right person to apologize to and to ensure that the apology addresses specific issues, expresses genuine remorse, and outlines specific steps taken to remedy the situation in the future and such cases have been suppressed. Apologies should be made in a timely manner, as delays can create suspicion and decrease the perceived sincerity of the apology. The context of the apology also plays a role, as it can affect the perceived importance and sincerity of the apology. However, in the case of Nestle's apology in China, the timing and manner of the apology was considered insufficient, seriously damaging the company's reputation and consumer confidence

In conclusion, the Nestlé baby formula scandal provides valuable insight into the complexity of corporate apologies and their impact on public opinion. The story emphasizes the importance of timely apologies, early acceptance of responsibility, and commitment to change. Organizations should carefully consider the unique circumstances of each apology, designate the right speaker, and ensure that the apology adequately addresses stakeholder concerns. By doing so, companies can regain trust, maintain reputation, and build positive relationships with stakeholders. The lessons learned from the Nestlé controversy can serve as a guide for companies in navigating similar crises and implementing effective apology strategies in the future.

References

Nestle Policy for Implementing the WHO Code, 2021

<https://www.nestle.com/ask-nestle/health-nutrition/answers/nestle-save-the-children-atni-report-breast-milk-substitute-marketing-thailand>

Breast-milk substitute marketing compliance, Nestle 2021

[Breast-milk substitute marketing compliance | Nestlé Global \(nestle.com\)](#)

Nestle's apology: Too little, too late, China Daily, 2005

[tps://www.chinadaily.com.cn/english/doc/2005-06/10/content_450286.htm](https://www.chinadaily.com.cn/english/doc/2005-06/10/content_450286.htm)

Schweitzer, M., Brooks A. W, Galinsky A. D. “The Organizational Apology”, Harvard Business Review, September 2015

<https://hbr.org/2015/09/the-organizational-apology>

Krasny Jill, “Every Parent Should Know the Scandalous History of Infant Formula”, Insider, June 2012

<https://www.businessinsider.com/nestles-infant-formula-scandal-2012-6#hospitals-were-also-accused-of-pushing-mothers-to-use-formula-7>

Neslen Arthur, “Nestle under fire for marketing claims on baby formulas”, The Guardian, February 2018

<https://www.theguardian.com/business/2018/feb/01/nestle-under-fire-for-marketing-claims-on-baby-milk-formulas>

Muller Mike, “Nestle baby scandal has grown up but not gone away”, The Guardian, February 2013

<https://www.theguardian.com/sustainable-business/nestle-baby-milk-scandal-food-industry-standards>

ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება ქართულ მედია სივრცეში

ანა ჩალაშვილი, ნანა მენტემაშვილი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შესავალი

აღნიშნული კვლევის მიზანია ქართულ მედია სივრცეში ბავშვთა საკითხების პროფესიული გაშუქება შესწავლა. ქართულ მედია სივრცეში როგორც სატელევიზიო ისე ბეჭდურსა და ონლაინ გამოცემებში ხშირად გვხვდება არასრულწლოვანთა საკითხები. მათზე ხშირად მზადდება სიუჟეტები, სტატიები და ნიუსები. აუცილებელია ამ დროს ჟურნალისტმა მკაცრად დაიცვას არასრულწლოვნის უფლებები და გაშუქების სტანდარტები. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-8 რინციპი მდგომარეობს შემდეგში - „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.“

მიუხედავად ამისა ქართველი ჟურნალისტების მიერ მომზადებულ მასალებში მაინც ირღვევა აღნიშნული ეთიკური სტანდარტი. კვლევის მიზანია დავადგინოთ რამდენად ხშირად და რა ფორმით ირღვევა ბავშვთა უფლებები ქართულ მედიაში წინა წლებთან შედარებით.

აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან მედია ვალდებულია ჟურნალისტური მასალის მომზადების დროს დაიცვას ადამიანის უფლებები და არაეთიკურად არ მოეცროს მას. განსაკუთრებით საყურადღებოა არასრულწლოვნებზე მომზადებული მასალები, რადგან მათი უფლებები ყველაზე ადვილად შეიძლება დაირღვეს, მათ შორის მშობლების მხრიდანაც. მედიას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია დაიცვას ბავშვის ინტერესები. ხელი არ შეუწყოს მათი უფლებების დარღვევას, სტიგმატიზებას, სტერეოტიპების გამყარებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევისთვის გავეცანით მედიის განვითარების ფონდის 2011 წლის, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის და გაეროს ბავშვთა ფონდის (2014) და საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის 2017 წლის კვლევებს. 2011 წლის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოქვეყნებულ მასალებში, განსაკუთრებით, სიუჟეტებში დარღვეულია ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტები. წამყვანი მედიასაშუალების მიერ მომზადებული მასალების 50%-60% - ში დარღვეულია ეთიკის სტანდარტები. კერძოდ, პირდაპირ იდენტიფიცირებულები არიან

არასრულწლოვნები და სიუჟეტები შუქდებოდა ზედაპირულად და ცალმხრივად. მიმდინარე წლებში არასრულწლოვნების საკითხების გაშუქებისას ასევე ხშირად ფიქსირდებოდა მათი რეტრამვირების ფაქტებიც. 2014 წლის კვლევის მიხედვით მდგომარეობა, გარკვეულწილად, გამოსწორებულია. მედია ძირითად შემთხვევებში ცდილობს დაიცვას ბავშვთა უფლებები და ეთიკური ნორმები. ჟურნალისტები და რედაქტორები მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ბავშვებთან დაკავშირებულ თემებს, ვიდრე როდისმე. თუმცა, რიგი დარღვევები მაინც გვხვდება. მნიშვნელოვანი საკითხების სიღრმისეული გაშუქება კვლავაც პრობლემად დარჩა. ჩვენს მიერ მოძიებული 2017 წლის კვლევის მიხედვით, რომელიც ჩაატარა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ, იკვეთება შემდეგი დეტალები : სიტუცია მნიშვნელოვნად გამოსწორებულია წინა წლებთან შედარებით. გაუმჯობესებული სიტუაცია აქვთ ტელევიზიებს, ისინი ყველაზე ხშირად ამზადებენ ბავშვების შესახებ ვრცელ და სიღრმისეულ სიუჟეტს. თუმცა, ონლაინ მედიაში მსგავსი აკითხების გაშუქება, შედარებით ზედაპირული რჩება. გასულ წლებთან შედარებით, 2017 წელს მკვეთრად შემცირდა ძალადობის მსხვერპლების ან კრიმინალის ჩადენაში ბრალდებული არასრულწლოვნების იდენტიფიცირების შემთხვევები. რიგ შემთხვევაში, მედია საშუალებები ფარავდნენ ბავშვის სახეს, როდესაც ამის საშუალება არც იყო. ასევე, შედარებით გამოსწორებულია ტერმინოლოგიის საკითხი. იშვიათად ვხვდებით დისკრიმინაციული და სტიგმატიზირებულ შემცველობის მესიჯებს. წინა წლებისგან განსხვავებით არ ფიქსირდება ბავშვების რეტრამვირების შემთხვევები, როდესაც მედია გადატანილი სტრესის და მიმე მოვლენების შესახებ ამბის მოყოლას სთხოვს არასრულწლოვანს.

ზემოთ აღნიშნული კვლევების მიხედვით გამოიკვეთა, რომ წლების განმავლობაში ბავშვთა საკითხების ეთიკურად გაშუქების პრობლემა გარკვეულწილად გამოსწორდა. ჩვენი კვლევა წინამდებარე კვლევების სიზუსტეს და რელევანტურობას შეისწავლის. ასევე ცხადჰყოფს, თუ რა მხრივ არის გამოსწორებული ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში ჩვენს მიერ განხილული ბოლო კვლევის შემდეგ. გამოიკვეთება, თუ რა საკითხები რჩება კვლავ პრობლემად არასრულწლოვნებთან მუშაობისას და მათი აღმოფხვრის შესაძლო გზები.

საკვლევი შეკითხვა და ჰიპოთეზა

საკვლევი კითხვა - რამდენად ეთიკურად აშუქებენ ქართული მედია საშუალებები ბავშვთა საკითხებს?

ჰიპოთეზა - ქართული მედია სივრცე მეტ-ნაკლებად ეთიკურად აშუქებს არასრულწლოვანთა საკითხებს. გარკვეული დეტალები გამოსწორებულია, თუმცა პრობლემები მედიაში აღნიშნული კუთხით კვლავ რჩება.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

ბავშვთა საკითხების გაშუქების შესწავლის მიზნით კვლევაში გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდი. როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივიც.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდად ავირჩიეთ გამოკითხვა, კერძოდ ინტერნეტ გამოკითხვა,

რომელიც გუგლის კითხვარის ფორმატით გავავრცელეთ. ამ სახის გამოკითხვა ავირჩიეთ, რადგან ეს კვლევის ერთ-ერთი მეთოდია რომლის საშუალებითაც შეიძლება დიდი რაოდენობით რესპონდენტების მოსაზრებების გაგება და გაანალიზება. გამოკითხვაში გამოვიყენეთ ალბათური შერჩევა. უფრო კონკრეტულად მისი ქვესახე - სტრატეგიცირებული შერჩევა და კითხვარში გამოვყავით სქესის და ასაკის მაჩვენებლები.

რაოდენობრივის გარდა კვლევაში ასევე გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ელემენტებიც. კერძოდ სხვადასხვა ახალი ამბების გამოშვების სიუჟეტებიდან შეირჩა რამდენიმე, რომელიც კვლევაშია განხილული. საკვლევად ავიღეთ რამდენიმე პერიოდი რადგან ერთმანეთთან შეგვედარებინა გასულ წლებსა და ახლანდელ პერიოდში გაშუქებული სიუჟეტები და მათი ეთიკურობა. აღებულია რამდენიმე ნიმუში, რომლის განხილვასაც კვლევაში იხილავთ. შერჩეული სიუჟეტების განხილვა დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა თუ როგორ აშუქებს მედია ბავშთა საკითხებს დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

ასევე კვლევაში გამოვიყენეთ კვლევითი ინტერვიუს მეთოდიც. კერძოდ - ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუ. ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს მეთოდი ავირჩიეთ, რადგან საკითხთან დაკავშირებით ამ სფეროში მომუშავე და კომპეტენტური პირების აზრი მოგვესმინა და გაგვეანალიზებინა. ინტერვიუს პროტოკოლით გათვალისწინებული კითხვების გარდა ნახევრად სტრუქტურული მეთოდი იძლევა დამატებითი კითხვების დასმის საშუალებას, რაც რესპონდენტის მიერ წამოჭრილი საინტერესო და კვლევისათვის რელევანტური საკითხების უფრო დეტალურ გამოკვლევას ემსახურება.


შედეგები

რაოდენობრივი მონაცემები

ელექტრონული გამოკითხვა

ელექტრონულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ოცდაათმა ადამიანმა. აქედან 76,7% ქალი, 23,3% კაცი.


სქესი
30 responses



მოგროვებული ინფორმაციების მიხედვით კითხვაზე ირღვევა თუ არა ბავშვთა უფლებები


მედიის მხრიდან გამოკითხულთა 76,7%-ი პასუხობს, რომ ირღვევა. ხოლო 23,3%-ი პასუხობს, რომ არ ირღვევა.

როგორ ფიქრობთ ირღვევა თუ არა ბავშვთა უფლებები მედიის მხრიდან
30 responses



ასევე მოსაზრებაზე, რომ მედია ხშირად იყენებს არასრულწლოვნებს რეიტინგის გასაზრდელად პროცენტული მაჩვენებლები ასე განაწილდა. ყველაზე მეტი 33,3% ფიქრობს, რომ მედია მეტ-ნაკლებად იყენებს მათ რეიტინგისთვის, 26,7% სრლიად ეთანხმება მოსაზრებას. ხოლო მხოლოდ 10% თვლის, რომ მედია არ იყენებს არასრულწლოვნებს რეიტინგისთვის.

მედია, ხშირად იყენებს არასრულწლოვნებს რეიტინგის გასაზრდელად
30 responses



გამოკითხულთა უმეტესობა გამოყოფს რამდენიმე საკითხს, როდესაც ირღვევა ბავშვთა უფლებები, ესენია : ჟურნალისტურ პროდუქტში ხშირია ბავშვების იდენტიფიცირება პირდაპირ თუ ირიბად, ბავშვები გამოყენებულნი არიან სხვადასხვა ამბის დრამატიზირებისთვის და რეიტინგის გასაზრდელად.

თვისობრივი ანალიზი

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს ანალიზი

კვლევაში ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს მეშვეობით გამოკითხეთ ექსპერტი, რომელთა მოსაზრებებიც განვიხილეთ.

გამოკითხული ექსპერტები - სალომე აჩბა, მედიამკვლევარი. გიორგი გოგუა, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პროექტ მედია-ჩეკერის რედაქტორი. ნინო თარხნიშვილი, რადიო თავისუფლების ჟურნალისტი. თეა თოფურია, რადიო თავისუფლების ჟურნალისტი. მაგდა მემანიშვილი, „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ჟურნალისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი. ოლიგოცისკარიშვილი, ჟურნალისტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.

ექსპერტებთან საუბრისას გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი საკითხი.

1-სიტუაცია წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესებულია. აღარ ხდება სატელევიზიო და ბეჭდურ მასალებში არასრულწლოვანთა პირდაპირი ინდენტიფიცირება. დღეის მდგომარეობით მედია ცდილობს გაითვალისწინოს ეთიკური სტანდარტები მასალებზე მუშაობის დროს, თუმცა მაინც ვხვდებით ირიბი ინდენტიფიცირების მაგალითებს.

2-ბავშვებით მანიპულირება მარტივია და მედია მათ ხშირად იყენებს საკუთარი რეიტინგის გასაზრდელად

3-მედიაში არაეთიკურად გაშუქებულმა მასალამ შეიძლება გამოწვიოს ბავშვის რეტრამირება და გახდეს გარშემომყოფების და თანატოლების ბულინგის ან რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თემებისა ექსპერტებთან საუბრისას ასევე გამოიკვეთა სხვა დეტალებიც, რომლებიც მედიამ ბავშვთა საკითხების გაშუქებისას უნდა გაითვალისწინოს. როგორცაა არა მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების გაშუქება, არამედ მთავარი პრობლემის წინ წამოწევა და მისი კვლევა. „მედიის ფუნქცია არის არა მხოლოდ კონკრეტული ქეისების შემთხვევების გაშუქება, არამედ მედიამ უნდა წარმოაჩინოს სისტემური პრობლემები. დასვას მთავარი კითხვები თუ რატომ არის კონკრეტული ბავშვი ამ მდგომარეობაში. რა სახელმწიფო პროგრამები არსებობს, იმისთვის რომ ამ ბავშვს გაეწიოს შესაბამისი დახმარება და თუ არ არსებობს, ამ პროგრამების და სოციალური დაცვის სისტემების არარსებობის პრობლემა უნდა წამოწიოს წინ.“ - სალომე აჩბა, მედიამკვლევარი.

რიგ შემთხვევებში მედია არ უღრმავდება მოცემულ პრობლემებს ბავშვებთან მიმართებით. ზოგიერთ შემთხვევაში მათ ზედაპირულად და რეიტინგის გასაზრდელად იყენებენ: „ჟურნალისტის მიზანი უნდა იყოს ამბის გავრცელება და პრობლემის მოგვარება, და არა პოსტზე მეტი მოწონების დაგროვება. არსებობს ბავშვებთან დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებსაც არავინ აშუქებს. ჟურნალისტები ხშირად საუბრობენ ისეთ თემებზე, როგორცაა უკიდურესი სიღარიბე, რადგან მისი გაშუქება მარტივია. ჩვენ უნდა ვეძებოთ პრობლემებიდან გამოსავალი, ისე რომ არ დავაზიანოთ ეს ადამიანები“. - გიორგი გოგუა, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პროექტ მედია-ჩეკერის რედაქტორი. ექსპერტებთან საუბრისას დადგინდა რომ აღნიშნული სიტუაცია გარკვეულწილად გამოსწორებულია წინა წლებთან შედარებით. აღარ ხდება არასრულწლოვანთა პირდაპირი ინდენტიფიცირება (სახის, სახელისა და გვარის დაუფარავად გავრცელება), მაგრამ ირიბი ინდენტიფიცირების (გარემოს

ჩვენება, მშობლების, მეგობრების პირდაპირი იდენტიფიცირება) ფაქტები მაინც გვხვდება. გარდა იდენტიფიცირების პრობლემისა, მედია ექსპერტები გვესაუბრნენ ჟურნალისტების მხრიდან საკითხების ზედპირულ გაშუქებასა და პრობლემების უგულვებლყოფაზე. აღნიშნული საკითხის გამოსასწორებლად საჭიროა პრობლემაზე ორიენტირება, საკითხის კვლევა და მისი ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით სიღრმისეულად გაშუქება.

განხილული სიუჟეტები

განვიხილოთ რამდენიმე სიუჟეტი, რომლებიც სატელევიზიო მედია სივრცეში რამდენიმე წლიანი პერიოდის შუალედით მომზადდა და თითოეულ მათგანში გარკვეული კუთხით ირღვევა ეთიკური ნორმები ბავშვთა საკითხების გაშუქებისას.

პირველი სიუჟეტი 2015 წელს გავიდა „რუსთავი 2“-ის ეთერში და ის არასრულწლოვნის სუიციდს შეეხებოდა. სიუჟეტში პირდაპირ იდენტიფიცირებულია არასრულწლოვანი ბავშვი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. არასრულწლოვნის იდენტიფიცირება დაუშვებელია მიუხედავად იმისა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანია თუ არა საკითხი. ნახსენებია მისი სახელი და გვარი და ნაჩვენებია ფოტოც. ასევე სიუჟეტში ნაჩვენებია მსხვერპლის მშობლები და ოჯახის წევრები, რომლებიც შვილის გარდაცვალებას გლოვობენ და შესაძლოა ვერ გაიაზრონ რა ინფორმაციას აწოდებენ ტელევიზიებს.

მეორე სიუჟეტი 2020 წელს გავიდა ასევე „რუსთავი2“-ის ეთერში. სიუჟეტში გაშუქებულია ორ მცირეწლოვან გოგონაზე სექსუალრად ძალადობის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი გაცნობიერებულად ცდილობდა დაეფარა მსხვერპლების ვინაობა და დანაშაულის ჩადენის ადგილი, ბრალდებულის პირდაპირი იდენტიფიცირებითა და სიუჟეტში გამოყენებული კადრებით, მსხვერპლი ბავშვების ირიბი იდენტიფიცირება მაინც მოხდა. ამბის გაშუქებისას ჟურნალისტმა ორჯერ დაასახელა მსჯავრდებულის სახელი და გვარი და იქვე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მსხვერპლი მისი დისშვილია, მეორე ბავშვი კი მისი თანაკლასელი. დამნაშავის ვინაობის გასაჯაროებასთან ერთად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების იდენტიფიცირებას ხვა გარემოებემაც მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტში გამოყენებული კადრების ნაწილი დაბლარული იყო და ჟურნალისტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ განზრახ ფარავდა ადგილმდებარეობას, დაუბლარავი კადრებიდან მაინც ადვილად იდენტიფიცირებადი იყო მუნიციპალიტეტი.

რაც შეეხება მესამე სიუჟეტს, ეს უკანასკნელი 2022 წელს ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა. სიუჟეტი არასრულწლოვანი გოგონას დაორსულების და შემდგომ მშობარობის ფაქტს შეეხებოდა. აღნიშნული სიუჟეტი განსხვავდება ზემოთ განხილულებისგან, რადგან მასში არ მომხდარა არასრულწლოვნის არც პირდაპირი და არც ირიბი იდენტიფიცირება. ყველა ადამიანი, რომელიც გამოიკითხა სრულად იყო დაბლარული, ხმის ტემბრიც იყო შეცვლილი და ასევე ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად მოხდა გარემოს ამსახველი კადრების დაფარვაც. ამ საკითხების გათვალისწინებით შეუძლებელი გახდა არასრულწლოვნის იდენტიფიცირება.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სიუჟეტები წლების განმავლობაში ეთიკური

თვალსაზრისით გამოსწორდა, მაგრამ ჟურნალისტები გარკვეულ წილად მაინც არ აშუქებენ სრულყოფილად და სიღრმისეულად მათთან დაკავშირებულ პრობლემებს.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტი მეტნაკლებად დაცულია. გამოიკვეთა, რომ წლების გასვლასთან ერთად, განვითარდა და გამოსწორდა მდგომარეობა საკითხის ეთიკურად გაშუქებასთან დაკავშირებით. ადრე თუ პრობლემას არასრულწლოვნის პირდაპირი იდენტიფიცირება წარმოადგენდა, დღეს ის ირიბი იდენტიფიკაციით შეიცვალა, მაგრამ მედია მასთან განმკლავებას ცდილობს, რაც ნათლად ჩანს „ტვ პირველის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალაში. მიუხედავად იდენტიფიცირების ნაწილობრივ მოგავრებისა, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საკითხის არასიღრმისეულად გაშუქება, რაც ჟურნალისტების მხრიდან რიგირ პრობლემების უგულებელყოფას და თავიდან არიდებას გულისხმობს. მედია თავს არიდებს რთული და კომპლექსური საკითხების გაშუქებას და ცდილობს, მარტივი საკითხებით შემოიფარგლოს. მედიას საზოგადოების წინაშე დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, სწორედ ამიტომ ვალდებულია საკითხი განიხილოს სრულყოფილად და ისე მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული კვლევები

<http://mediamonitor.ge/files/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%20-%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf?fbclid=IwAR0RNkgUl3vinDFkg0XbbZj2U6V-sIIO9DEWY63yyHZGO6Iz-rN3nc089jkE>

https://mdfgeorgia.ge/uploads/Bavshvta_sakitxebis_gashukeba_qartul_satelevizio_mediashi.pdf?fbclid=IwAR31BiGLv1uqZcpc_flvdVeCnUzVcGCL_dX_KvdqmtNgfrR_4JRdZB34a4A

<https://www.qartia.ge/ka/mediamonitoring/article/42938-bavshvtha-sakithkhebis-gashuqebis-mediamonitringis-angarishi-2017>

განხილული სიუჟეტები

<https://www.youtube.com/watch?v=-0Adj9hVh8M>

<https://www.mediachecker.ge/ka/etika/article/79885-pedofiliis-mskhverpli-bavshvebis-iribi-identificire-ba-rusthavi-2-zehttps://www.youtube.com/watch?v=6YRqcPbZR5Y&fbclid=IwAR1VGg-okh0Ll-mP0nkKZSFGB250n3KTNOBPwa2p-zh8qN31smoUJKEu8b9I>

დანართი

გამოყენებული ელექტრონული კითხვარი

https://docs.google.com/forms/d/1RKljUsgliaUpw6YuTqrk1GosPsUYDx2aIymFIT8T1mU/viewform?edit_requested=true&fbclid=IwAR3tkl9C1pvnwzum8WsiPcq_HjYn0Kep5bTZ3cZ_V7DQznsM_fqyHGc-XiI

ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს ტრანსკრიპტი/გამოყენებული კითხვები

თქვენი აზრით რამდენად ეთიკურად აშუქებს ქართული მედია ბავშვთა საკითხებს?

რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებების დაცვა, როდესაც მათზე მზადდება მედია პროდუქტი?

ხშირად რა შედეგებამდე მიყვავართ ბავშვთა საკითხების არაეთიკურ გაშუქებას?

როგორ ფიქრობთ მედია რამდენად ხშირად იყენებს ბავშვთა საკითხებს რეიტინგის გასაზრდელად?

თქვენი აზრით რა უნდა მოიმოქმედოს მედია სივრცემ იმისთვის, რომ ეთიკურად გაშუქდეს ბავშვთა საკითხები და რაც შეიძლება ნაკლები დარღვევა იყოს?

შეიძლება თუ არა არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქება გახდეს მათ მიმართ ბულინგის გამომწვევი მიზეზი?

არის თუ არა მედია ვალდებული დაიცვას ბავშვთა უფლებები მათზე მედია პროდუქტის მომზადების დროს?

გასულ წლებთან შედარებით რამდენადაა სიტუაცია გამოსწორებული ბავშვთა საკითხების ეთიკურად გაშუქების მხრივ?

განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა ვიქტიმურ ბავშვებთან

ანი ბაღდადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავსვათ საკითხი-ვინ არიან ვიქტიმური ბავშვები? ვიქტიმური ბავშვები მათა ყუფარადის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში მოხსენიებულნი არიან, როგორც „ბავშვები, რომლებიც იქცნენ გარემოების მსხვერპლებად“. მათ სხვაგვარად მოიხსენიებენ, როგორც „ქუჩის ბავშვები“, „მსხვერპლი ბავშვები“, „ლტოლვილები“, „ობლები“. ვფიქრობთ, რომ ტერმინების ამგვარი „მრავალფეროვნება“ მეტყველებს იმაზე, რომ რეალურად ეს ბავშვები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილნი არიან, პრობლემა კი, თავისთავად მეტად მწვავე და აქტუალურია->UNICEF -ის მიერ 2018 წლის 24 ივლისს გამოქვეყნებულ კვლევაში ნათქვამია, რომ „საქართველოში ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს არა აქვთ წვდომა განათლებაზე, ჯანდაცვასა და ბავშვთა დაცვის მომსახურებებზე“, თავისთავად, სამივე პრობლემა იმსახურებს სათანადო ყურადღებას, თუმცა ამჯერად გვსურს, რომ ჩვენი ყურადღება განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას მივაპყროთ, რადგან მიგვაჩნია, რომ განათლებაზე წვდომის არქონა გავლენას ახდენს ვიქტიმური ბავშვების ცხოვრების არა მხოლოდ ერთ პატარა ეპიზოდზე, არამედ მთელ მათ ცხოვრებაზე, რადგან იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ვერ იღებენ სათანადო განათლებას, ვერ ინტეგრირდებიან ჯანსაღად სოციალურად და ეძებენ ინტეგრირების არაჯანსაღ გზებს, ასე კი, თავისთავად შესაძლოა სწორედ რომ ძალიან დიდი ინტელექტუალური რესურსის მქონე ბავშვებიც კი იქცნენ გარემოების მსხვერპლ „ბანდიტებად“, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ შესაძლებლობა საზოგადოებისათვის რაიმე სასარგებლო გაეკეთებინათ, მაინც გარემოების წყალობით აზიანებენ საკუთარ თავსაც და სოციალურსაც.

უნდა გითხრათ, რომ კონკრეტულად ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ქართული წყარო ვნახეთ, სადაც ძირითადად, ან ზოგად ჭრილშია განხილული ვიქტიმური ბავშვების პრობლემები, ან საერთოდ არაა აქცენტები დასმული.

თავად პრობლემა - განათლებაზე ხელმისაწვდომობა კი, ჩვენი აზრითა და მოძებნილი ინფორმაციით იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ საერთაშორისო მასშტაბის პრობლემაა (ამას ცხადყოფს არა მხოლოდ UNICEF-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევა, არამედ ლალორის, გოდფრეი შედის, ლალი ჯელაძის სტატიები, რომლებშიც მკაფიოდაა დასმული თემის აქტუალობა და გადაჭრის აუცილებლობა) ასევე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შესავალში ე.წ. პრობლემის ფორმულირებაში აღვნიშნე, პრობლემა აღმოუფხვრელობის შემთხვევაში იწვევს უამრავ ახალ, ხელშესახებ, ხშირად აღმოუფხვრელ პრობლემებს და ეს არა მხოლოდ პრობლემაა, არამედ ბავშვის უფლებათა კონვენციის მწვავე დარღვევა, კერძოდ, ბავშვთა უფლებების კონვენციის 28-ე მუხლისა, რომელიც გვეუბნება, რომ:

„მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანობით განხორციელების მიზნით ისინი, კერძოდ:

ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

ბ) ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას და ღებულობენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორცაა უფასო განათლების შემოღება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;

გ) ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის თითოეულის უნარის შესატყვისად;

დ) უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის;

ე) ღებულობენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.

3. მონაწილე სახელმწიფოები ახალისებენ და ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება განათლებას, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით. „

UNICEF-ის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში კი ვკითხულობთ, რომ „ქუჩის ბავშვების აბსოლუტურ უმეტესობას ხელი არ მიუწვდება განათლებასა და სამედიცინო მოსამახურებაზე“, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ამ ბავშვების უფლებები ირღვევა.

პრობლემის უკეთ კვლევის თვალსაზრისით ჩვენ ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ თეონა გედენიძესთან - ინტერვიუზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეონა გედენიძე მუშაობს ორ ადგილას-საქართველოს კარიტასის ბავშვთა თავშესაფარსა და საქართველოს კარიტასის მობილურ სკოლაში და ფაქტიურად ყოველდღიურად ხვდება ვიქტიმურ ბავშვებს სხვადასხვა ლოკაციებზე (თბილისსა და რუსთავში) .ის მუშაობს განათლებისა და ქცევის მიმართულებით, შესაბამისად, სწორედ ამ კუთხით გვისახავს პრობლემებს, კერძოდ, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ვიქტიმური ბავშვები უნდა კლასიფიცირდნენ ორ ნაწილად:

1. ბავშვები, რომლებიც არიან უშუალოდ ძალადობაგამოვლილები

2. ბავშვები, რომლებიც შესაძლოა გახდნენ ძალადობის მსხვერპლები

ამ შემთხვევაში ის განიხილავს პირველს-ბავშვებს, რომლებიც უშუალოდ არიან ძალადობა გამოვლილები და ამბობს, რომ ძალადობაგამოვლილ ბავშვებს უჭირთ სწავლა, ინტეგრაცია, ბავშვებთან

კომუნიკაცია, უკიდურეს შემთხვევაში კი ამყარებენ კომუნიკაციას, თუმცა ძალადობრივი, აგრესიული ფორმებით.

ამასთან, იგი გვეუბნება, რომ ბავშვები, რომლებიც ვიქტიმურ ბავშვებად მიითვლებიან შეიძლება კლასიფიცირდნენ აგრეთვე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებად და ეთნიკურად ქართველ ბავშვებთან - ამ ორივე ჯგუფს კი სპეციფიკურად მათთვის დამახასიათებელი პრობლემები აქვს. მაგ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებთან, ყველაფერთან ერთად რთულია და რთულად დგას ენის ბარიერის საკითხიც, გვისახელებს ერთ-ერთ „ქეისსაც“ „როდესაც უკვე სკოლაში მიყვანილ ბავშვს უჭირდა მასწავლებლის გაგება, ვერ იგებდა მის მიერ მიცემულ ინსტრუქციებს. ამ შემთხვევაში გაგების პრობლემა იყო, არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ მშობლებთანაც, რომლებიც დაბარებულები იყვნენ და ეგონათ, რომ ვინმეს მათთვის ბავშვის „წართმევა“ უნდოდა, შესაბამისად ძალიან დიდი სტრესი ჰქონდათ და ნერვიულობდნენ.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ვიქტიმური ბავშვები როგორც ჩანს უკვე თაობებია ისე იზრდებიან, რომ საერთოდ არა აქვთ შეხება განათლების სისტემასთან. „პროცენტულად ალბათ 100% დან 2% თუ დადის სკოლაში და სკოლაშიც ისინი უამრავ პრობლემას აწყდებიან, რადგან განათლების სისტემა არ არის მზად ამ ბავშვების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები „დიდი ძალისხმევით შედეგად“ მიდიან სკოლაში აქ შეიძლება ისინი გადააწყდნენ რამდენიმე სახის პრობლემას, კერძოდ:

- სკოლასაც, მშობლებსაც და შვილებსაც უჭირთ ამ ბავშვების მიღება-

ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ამ ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა უკისურეს სოციალურ ზღვარზეა, მათ არ აქვთ საშუალება, რომ დაიცვან ჰიგიენა და თავი მოიწესრიგონ. მშობლები ძირითად შემთხვევებში ვერ ახერხებენ შვილების მოწესრიგებას, რაც იწვევს თანაკლასელებისაგან/მშობლებისაგან/მასწავლებლებისაგანაც კი შეცვლილ დამოკიდებულებას. თეონა გედენიძე გვიყვება, რომ ჰქონია შემთხვევები, როდესაც უთხოვიათ მისთვის ვიქტიმური ბავშვების სხვა სკოლაში /ან სხვა კლასში გადაყვანა, რაც იწვევს იმას, რომ თავად ვიქტიმური ბავშვების მოტივაციაც ეცემა და მათ აღარა აქვთ სურვილი სკოლაში სიარულისა.

- ყველაფერს ემატება დასწავლის პრობლემაც

ძალადობა გამოვლილი ბავშვები ძირითადად ვერ ახერხებენ დასწავლას, მაგ. შესაძლოა, რომ წლის განმავლობაში ბავშვმა ისწავლოს ხუთი ასო „ამაზე ცხადია მოქმედებს ის ფაქტორი, რომ ბავშვი არ დადიოდა ბაღში, არ ვითარდებოდა ჯანსაღ გარემოში, მისი მენტალობა დაზიანებულია.

რესპოდენტი პირდაპირ გვეუბნება: „მე მქონდა ამ ბავშვებთან შეხება, რომლებიც არიან ეთნიკური უმცირესობა და რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არც დადის და არც აპირებს მივიდეს სკოლაში, რადგან რეალურად არც იციან რა არის სკოლა, რატომ უნდა წავიდნენ სკოლაში. ამ ბავშვების უმეტესობა სკოლის მიღმაა დარჩენილი.“

როგორც ჩანს პროექტ „მობილური სკოლის“ ფარგლებში, რომელიც ოქტომბრიდან დაიწყო აღმოჩნდა, რომ ვიქტიმური ბავშვები საკმაოდ ბევრია, მათი პრობლემები კი მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ყველაფერთან ერთად სკოლაში ჩნდება კიდევ ერთი პრობლემა

- ქვევის კონტროლის პრობლემა(ინტეგრირება)

ვიქტიმური ბავშვებს ძირითად შემთხვევებში მენატალობა დაზიანებული აქვთ,მათი თვითდამკვიდრების ფორმა აგრესიაა ,ისინი ფიქრობენ,რომ თუ კი არ იქნებიან აგრესიულები „მათ დაჩაგრავენ“ , რესპოდენტს მოჰყავს ერთი მაგალითი,როდესაც სკოლაში ვიქტიმურმა ბავშვმა თანაკლასელი სცემა,მიზეზი კი ის იყო,რომ მან სხვაგვარი ურთიერთობა არ იცოდა და არც ესმოდა,როგორ შეიძლებოდა მოქცეულიყო.

შესაბამისად ვიღებთ იმას,რომ ამ ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა საერთოდ არ დადის სკოლაში,ზოგს სტატუსი აქვს შეჩერებული,თუ დადის კი აქაც უამრავ პრობლემას აწყდება.

უნდა აღინიშნოს,რომ ვიქტიმური ბავშვები „ყველაზე კარგ „ შემთხვევებში იღებენ მე-9 კლასის განათლებას და შემდგომში იმდენ პროფესიულ კოლეჯში,სადაც ასევე უამრავ პრობლემას აწყდებიან მაგ,თუნდაც იმ კუთხით,რომ მათთვის აქ სწავლა „რთულია“. თითქმის არ არსებობს შემთხვევები, როდესაც ვიქტიმური ბავშვები ამთვარებენ მე-12 კლასს,მაგ. რესპოდენტის რამდენიმეწლიან პრაქტიკაში ასეთი მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო ,წინა წლის შემთხვევა,როდესაც ვიქტიმურმა ბავშვმა დიდი შრომის შემდეგ აიღო მე-12კლასის ატესტატი და ჩააბარა ეროვნული გამოცდები. მთავარი მიზეზები ალბათ უნდა ვეძიოთ იქ,რომ **ამ ბავშვებს/არც მათ მშობლებს არ ესმით მნიშვნელობა განათლებისა ,მათ არ იციან რატომ უნდა მივიდნენ სკოლაში, ასევე სოციალური/სახელმწიფო/სკოლა ყველა ინსტანცია თვალს ხუჭავს ასეთ ბავშვებზე.**

ასევე, ბავშვები მიეკუთვნებიან კონკრეტულ“ჯგუფებს“ (სადაც ყველა მათნაირია) და უჭირთ ამ მიკუთვნებლობის დაძლევა,წრიდან გამოსვლა.

არადა,ამ ბავშვებისათვის სწავლაც,ინტეგრაციაც ,სამომავლო ჯანსაღი გზაც უკიდურესად მნიშვნელოვანია.:

და მაინც ,პრობლემა პრობლემად რჩება, სად შეიძლება დავინახოთ გამოსავალი?

UNICEF პრობლემის ფორმულირებასთან ერთად აქვეყნებს პრობლემის აღმოფხვრის (პრევენციის) გზებს, ერძოდ, არასამთავრობო სექტორისთვის ეს უნდა იყოს:

- მინდობითი აღმზრდელი ოჯახების განათლება
- სარეაბილიტაციო და მომსახურების გამწვევი დაწესებულებების წესების ხელახლა დადგენა
- სკრინინგის ინსტრუმენტი
- დამატებითი ეკონომიკური მხარდაჭერა რისკის ქვეშ მყოფი მშობლებისთვის [არსებობის შემთხვევაში*]
- ფსიქოლოგიური კონსულტაციების გაწევა მშობლებისთვის,ხოლო სამთავრობო სექტორისთვის:

- სერვისების ხელმისაწვდომობა
- სოციალური დაცვის ქსელის შექმნა ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვებისთვის
- არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისების დაფინანსება ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვებისთვის (გაეროს ბავშვთა ფონდი,2018)

თონა გედენიძის მოსაზრებით „კი:“ პირველ რიგში ეს ბავშვები უნდა დავინახოთ, რადგან სისტემა უბრალოდ ვერ ხედავს ამ ბავშვებს. უმეტესობა ბავშვებისა არიან ქუჩაში მცხოვრები, მიუსაფარი ბავშვები.

შემდგომ რაც უნდა გავაკეთოთ არის ის, რომ დავინახოთ ამ ბავშვებს უკეთესობისკენ გზა, თუ არ ვასწავლეთ სწორად ქცევა, თუ არ ვუმკურნალებთ, თუ არ დავინახეთ განათლების მნიშვნელობა. ამასთან, ბავშვს არ უნდა სწყუროდეს, შიოდეს, რომ შემდგომ ვესაუბროთ განათლებაზე. სახელმწიფოს აქვს ასეთი პროგრამა რა თქმა უნდა, განათლების სამინისტროს პირველი პრობლემა არის ის, რომ მოხდეს მასწავლებლების გადამზადება, ვიმუშაოთ მშობლებთან, მასწავლებლებთან, ბავშვებთან.

დაწყებით კლასებში შედარებით არ ჩანს დიფერენციაცია, შემდეგ უფრო იზრდება.

რაც შეეხება საზოგადოებას - მას უნდა ჰქონდეს მყისიერი რეაგირება. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ვუყურებთ როგორ არიან ბავშვები ძალადობის მსხვეპრლები, მაგრამ არავინ ხმას არ იღებს. იმედი მაქვს, რომ ეს სიტუაცია შეიცვლება.“

შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვიქტიმური ბავშვების განათლებაზე ხელმისაწვდომობა დღემდე რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად, პრევენციისთვის კი ეს პრობლემაცა და ეს ბავშვებიც „უნდა დავინახოთ“-დაინახოს თითოეულმა ჩვენგანმა, დაინახოს სკოლამ, პედაგოგმა, განათლების სისტემამ და სახელმწიფომ.

გამოყენებული წყაროები:

©გაეროს ბავშვთა ფონდი, „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში“, ფონდი, ივლისი, 2018 წელი.

კილაძე სოფო, ტურავა პაატა „ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2021წ.

ყუფარაძე მაია, „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირება ვიქტიმურ ბავშვებსა და მოზარდებში დისკარმონიული სოციუმის ფონზე“, თბილისი, 2010.

Dr. Jamiludin, M. Hum , Dr. Darnawati, M. Pd. , Waode Ade Sarasmita Uke, S. Pd. M. Pd, Dra. Irawaty, M.Pd. ; Street Children’s Problem in Getting Education: Economic and Parental Factors , 1/24/18. Godfrey Shed Mse “Education Access and Retention for Street Children: Perspectives from Kenya” ,2016. Lalor, K. (1999) Street children: a comparative perspective, Child abuse and neglect, Vol 23 (8), 1999, pp.759-770. doi:10.1016/ S0145-2134(99)00047-2

ინტერნეტ-წყაროები:

ჯელაძე ლალი, „რა პრობლემები აქვთ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს“ ,19 სექტემბერი, 2018 წ. , 16:35 <https://akhaliganatleba.ge/ra-prob-le-me-bi-aqvth-qu-cha-shi-mtskhov-re-b-da-mo-mu-sha-ve-bav-sh-ve-bs/>

[ნახვის დრო 6მაისი ,2023 წ. , 13:15]

„განათლება და მისი ხელმისწავდომობა „ <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-28>

[ნახვის დრო 7მთისი,2023 წ. ,17:16]

www.ganmarteba.ge

www.nplg.gov.ge

www.merriam-webster.com

გარემოს დაცვა და მწვანე ბიუჯეტირება

ქეთი ახალბედაშვილი, მარიამ ვარაზიოვი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გარემოს დაცვა და გარემოს დაბინძურება 21-ე საუკუნის ნომერ პირველ გლობალურ¹ პრობლემად არის მიჩნეული. ის ძირითადად ადამიანის საქმიანობითაა გამოწვეული. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლში ჩვენ ვკითხულობთ, რომ საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ყველაფერთან ერთად ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე. (საქართველოს კონსტიტუცია, 1995) მაგრამ თუ გადავხედავთ ზოგად მდგომარეობას მთელ მსოფლიოში, დავინახავთ თუ რამდენად რთული ვითარებაა გარემოს დაბინძურების მხრივ, რაც ზეგავლენას ახდენს ასევე ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაშიც არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი. ამ სიტუაციიდან გამოსვლა არის უპირველესი პრიორიტეტი, ვინაიდან მისი გაუმჯობესება ადამიანის ცხოვრების ხარისხზე მოქმედებს დადებითად. ყოველივე ამ პრობლემების აღმოფხვრა საჭიროებს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, რისთვისაც გარკვეული სახსრები და ამასთან ერთად გაწერილი გეგმაა საჭირო, რომელიც საშუალებას გვაძლევს ეტაპობრივად განვახორციელოთ მოქმედებები დასახული მიზნების მისაღწევად. ამაში კი გვეხმარება მწვანე ბიუჯეტი², რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს მოცემული წლის ბიუჯეტს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების³ დარგში.

დღესდღეობით მსოფლიოს გარშემო უამრავი განვითარებული ქვეყანა იყენებს მწვანე ბიუჯეტირებას, რომლის მაგალითებიც განხილულია ნაშრომში. მათ შორის საქართველომაც გადადგა პირველი ნაბიჯები ამ კუთხით და აიღო საერთაშორისო ვალდებულებები, რომლის განხორციელებაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ის პრობლემები რომლის წინაშეც ვდგავართ, თუნდაც ატმოსფეროსთან დაკავშირებული პრობლემები, რომელსაც დიდი გავლენა აქვს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ კუთხით მუშაობა შეუძლია არა მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს, არამედ ნებისმიერ უწყებას. მაგალითად ისეთი ნაბიჯების გადადგმით როგორცაა მზის პანელების გამოყენება, ან ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება და ასე შემდეგ.

ეს და სხვა თემები განხილულია მოცემულ ნაშრომში, აღნიშნული თემა აანალიზებს არსებულ სიტუაციას გარემოს დაცვის კუთხით მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში.

1 საერთო, მთლიანი, ერთად აღებული, რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს.

2 საქართველოს პარლამენტისთვის სარეკომენდაციო ძალის მქონე სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიზანია შესაბამისობაში მოიყვანოს მოცემული წლის ბიუჯეტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დარგში განსახორციელებელ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებთან.

3 ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ბუნებრივი ელემენტები, რომლებსაც იყენებენ საწარმოო ძალთა განვითარების მოცემულ ეტაპზე ადამიანთა საზოგადოების მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

შესავალი

მოგეხსენებათ თუ რამხელა როლი აკისრია გარემოს დაცვას ყველა ჩვენთაგანის ცხოვრებაში. საცხოვრებელი, ტანსაცმელი, ტექნოლოგია და დასვენება – ყველაფერი ბუნებრივ რესურსებზეა დამოკიდებული. მაშინ როცა ბუნება ცდილობს წონასწორობის შენარჩუნებას, ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მის ეკოლოგიურ ბიომრავალფეროვნებაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს ჩვენს კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 80%-ისთვის გარემოს დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, გამოკითხულთა უმრავლესობა (40%) არ ან ვერ პასუხობს კითხვას, თუ რამდენად ძვირი უჯდება ქვეყნას გარემოსდაცვითი რეგულაციები. 38%-ის აზრით, მკაცრი გარემოსდაცვითი რეგულაციები ძვირია, და მხოლოდ 22% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მომავალი გამოკითხვებისთვის საინტერესო იქნება პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად არის მზად საქართველოს მოსახლეობა, ქვეყანამ მეტი ფინანსური რესურსი გაიღოს უკეთესი და უფრო ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოსთვის. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ხელისუფლებებში, ისე მედიაში გარემოსდაცვით საკითხებზე მსჯელობა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა. ეკოლოგიური კატასტროფის და მდგომარეობის აღსაწერად, წამყვანმა გამოცემებმა უფრო მწვავე მნიშვნელობის მქონე სიტყვების გამოყენება დაიწყეს, მაგალითად, კლიმატის ცვლილების ნაცვლად, კლიმატის კრიზისს იყენებს. რაღა თქმა უნდა, საქართველოც ცდილობს ფეხი აუწყოს გარემოსდაცვით ტენდენციებს. (ხაჭაპურიძე, 2021) შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ მოახერხა ეს ყველაფერი, ვინაიდან მწვანე ბიუჯეტის დახმარებით ქვეყანა ცდილობს გარემოს დაცვითი პრობლემების აღმოფხვრას. შესაბამისად გარემოს დაცვა იქცა ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი

კვლევა განხორციელდა თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. რომლის ფოკუს-ჯგუფიც საზოგადოება გახლავთ. უშუალოდ კვლევის ტიპებს რაც შეეხება გამოყენებულია აღწერითი ტიპი, ვინაიდან ჩვენ ვიძიებთ ინფორმაციას სანდო წყაროებიდან და ვაკეთებთ მის ანალიზს. ამასთან ერთად ნაშრომისთვის ვიყენებთ შესაბამის ლიტერატურებს, სტატისტიკურ მონაცემებს, კვლევებს, სტატიებს, რომლებიც მონაცემთა შეგროვების ტექნიკა გახლავთ. ამ კვლევებიდან მიღებულ ინფორმაციას შეხვდებით უშუალოდ ნაშრომში დიაგრამებისა და ანალიზის სახით.

მწვანე ბიუჯეტირება

რა არის ზოგადად მწვანე ბიუჯეტირება;

მწვანე ბიუჯეტირება ნიშნავს საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავების ინსტრუმენტების გამოყენებას კლიმატის და გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად. სხვანაირად მწვანე ბიუჯეტს განმარტავენ, როგორც გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევისთვის საჭირო საბიუჯეტო

გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტს. აღნიშნული მოიცავს საბიუჯეტო და ფისკალური პოლიტიკის გარემოზე ზემოქმედებისა და მათი ეროვნული და საერთაშორისოდ გაცხადებული ვალდებულებების შესრულებასთან თავსებადობის შეფასებას.

მწვანე ბიუჯეტირება უზრუნველყოფს გარემოს დაცვის მიზნით გამოყოფილი სახელმწიფო ფინანსების განაწილების გამჭვირვალობას და საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციას. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტირება ხელს უწყობს ინფორმირებულ, ფაქტებზე დაფუძნებულ დებატებსა და დისკუსიას მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. (მწვანე ბიუჯეტი, თ. გ.)

რატო გვჭირდება მწვანე ბიუჯეტირება;

მწვანე ბიუჯეტირება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს არის გამჭვირვალობის გარანტია, ანუ მისი საშუალებით საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა თვალი ადევნოს ყველა იმ პროექტს რომელიც გარემოს დაცვის კუთხით ხორციელდება. ეს არის დოკუმენტი რომელიც თვალსაჩინოს ხდის კონკრეტულად რა თანხაა გამოყოფილი სახელმწიფოს მხრიდან, ამა თუ იმ ღონისძიებებზე, რომელიც გარემოს დაცვით საკითხებს ეხება. მწვანე ბიუჯეტირება გადამწყვეტი ინსტრუმენტია კლიმატის მოქმედებისა და მწვანე პროექტებისთვის. მთავრობები რომლებიც გარდაუვალი საფრთხილს წინაშე დგანან სულ უფრო ხშირად ახორციელებენ ან გეგმავენ მწვანე ბიუჯეტის გამოყენებას, რათა უკეთესად დააკავშირონ თავიანთი პოლიტიკა კლიმატის და გარემოს დაცვის ვალდებულებებთან.

იქნება ფისკალურ მიზნებსა და ძლიერ საშუალოვადიან საბიუჯეტო პროცესზე. (parlament. ge, n.d.)

მწვანე ბიუჯეტირების კავშირი გარემოს დაცვასთან;


მოგეხსენებათ ჩვენს ქვეყანას მრავალი პრიორიტეტი აქვს რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის გარემოს დაცვა. გარემოს დაცვა და დაბინძურება 21-ე საუკუნის ნომერ პირველ გლობალურ პრობლემად არის მიჩნეული. გარემოს დაცვა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიებას რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების შენარჩუნებას და გარემოში არსებული დაზიანებების აღმოფხვრას. მწვანე ბიუჯეტირება გულისხმობს საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავების ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს გარემოსდაცვითი და კლიმატის მიზნების მიღწევას. აქ წინა პლანზე დგას ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის აღმოფხვრა. აქედან გამომდინარე, ნათელია მწვანე ბიუჯეტირების კავშირი გარემოს დაცვასთან, ვინაიდან ვთვლით, რომ არა მწვანე ბიუჯეტირება და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსები ვერ მოხერხდებოდა ზემოთ აღნიშნული გამოწვევების მოგვარება და ღონისძიებების განხორციელება.

რატომ არის მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხები მნიშვნელოვანი და ამასთან ერთად მწვანე ბიუჯეტირება საჭირო;

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში აღინიშნება გარემოს პირობების გაუარესება რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დღეისათვის მტელ მსოფლიოში შეიმჩნევა გარემოს დაბინძურებული ფაქტორების მატების ტენდენცია რაც იწვევს მოსახლეობის ავადობის დონის ზრდას. დღეისათვის გარემოს დაბინძურების მასშტაბები ისე გაიზარდა, რომ იგი გამოუსწორებელი შედეგებით ემუქრება არა მხოლოდ ფლორასა და ფაუნას, არამედ ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობასაც.

დღესდღეობით ყველაზე დიდი პრობლემა,რაც დგას კაცობრიობის წინაშე ეს არის ეკოლოგიური პრობლემა.განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა დგას საქართველოს წინაშე და მით უფრო ჩვენი დედაქალაქის თბილისის წინაშე..ბოლო დროის გამოკვლევების შედეგებმაც ცხადყო რომ თბილისი ევროპაში ერთ ერთი დაბინძურებული ქალაქია..რაც მთავარია ყველაფერში დამნაშავენი ჩვენ თვითონ ვართ.,ჩვენს მდინარეებთან და წყალსატევებთან არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებს რაც შეეხება...თითოეული ჩვენთაგანი ბევრჯერ გავსულვართ სათევზაოდ და საკუთარი თვალთ გვინახავს თუ რა ხდება ჩვენს მდინარეებსა და წყალსატევებზე..ყველაფერი გადავსებულია პოლიეთილენის პარკებით და პლასტმასის ბოთლებით.ყველას კარგად მოგვეხსენება რომ აღნიშნული ნივთიერებები არ იხრწნება და უცვლელი სახით აბინძურებს ჩვენს ბუნებას..ყველაზე უფრო საგანგაშო კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არის ჩვენი ერთ ერთი უმთავრესი მდინარე «მტკვარი» რომელიც ძალიან არის დაბინძურებული სხვადასხვა მავნე ნივთიერებებისგან.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 5 ტრილიონი პოლიეთილენის პარკი მოიხმარება. ამათგან საქართველოში ყოველდღიურად – 20 მილიონი ცალი.



ვნახეთ როგორი რთული ვიტარებაა ზოგადად მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში და აქედან გამომდინარე მწვანე ბიუჯეტირება კი გახლავთ ამ პრობლემების მოგვარების ყველაზე კარგი საშუალება ვინაიდან მწვანე ბიუჯეტირება პირდაპირ კავშირშია გარემოს დაცვასთან და ის თანხა რაც მწვანე ბიუჯეტში გვაქვს კონკრეტულად ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად არის გამიზნული.

გაეროს მდგრადი მიზნები და საქართველოს მაჩვენებლები SDG 2030 მიხედვით

მდგრადი განვითარების მიზნები 17 მიზნისა და 169 ინდიკატორის ნაკრებია, რომლებზეც თანხმდება გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად. ეს მიზნები ჩვენ წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. ეს მიზნები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იმისთვის, რომ არავინ დარჩეს მათ მიღმა, მნიშვნელოვანია, თითოეული ეს მიზანი და ინდიკატორი 2030

9 სხვადასხვა ქვეყნ

ცდილება;

კანადა

2021 წელს, კანადის ფედერალურმა მთავრობამ მიიღო ვალდებულება 2030 წლისთვის სათბურის გაზების ემისიების 40-45 პროცენტით შემცირების შესახებ, გაერო-ს პარიზის შეთანხმებიდან გამომდინარე. ეს ვალდებულება კანონით იყო გათვალისწინებული კანადის წმინდა ნულოვანი გამონახობის ანგარიშვალდებულების აქტში, რომელიც ავალდებულებს მთავრობას დააწესოს ეროვნული მიზნები სათბურის გაზების შემცირებისთვის ყოველ ხუთ წელიწადში 2030 წლიდან.

კანადის მთავრობამ გამოაქვეყნა 2030 წლის ემისიების შემცირების გეგმა (ERP) 2022 წლის ივლისში, რომელიც განსაზღვრავს საგზაო რუკას თითოეული სექტორისთვის ამ ახალი ემისიების შემცირების მიზნის მისაღწევად. გეგმა, რომელიც მოიცავდა 9.1 მილიარდი აშშ დოლარის ახალ ინვესტიციებს, ასახავს ეკონომიკის ზომებს, როგორცაა ნახშირბადის ფასები და სუფთა საწვავი, ასევე მაღალი დონის დაფინანსების გამოყოფა შემოთავაზებული ქმედებებისთვის სექტორის მიხედვით.

ERP-ის გამოქვეყნებიდან მალევე, მთავრობამ გამოაცხადა თავისი ფედერალური ბიუჯეტი 2022 წლისთვის (ფინანსთა დეპარტამენტი კანადა, 2022). ბიუჯეტი დაყოფილია თავებად, რომლებიც ფოკუსირებულია მთავრობის პოლიტიკის პრიორიტეტებზე, მათ შორის „სუფთა ჰაერი და ძლიერი ეკონომიკა“. ERP-ში გამოცხადებული ახალი დაფინანსების 9.1 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფა მოყვანილია ამ თავში მოცემულ ცხრილში. (green budget, n.d.)


ინდოეთი, ოდიშა

ინდოეთის ერთ-ერთმა შტატმა, ოდიშამ, შემოიღო შემდეგნაირი მიდგომა. ამ მიდგომაზე დაყრდნობით, მთავრობამ ჩაატარა კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება, რათა შეეფასებინა თითოეული საბიუჯეტო პროგრამის დანახარჯების კლიმატის შესაბამისობა და მისი დაუცველობა კლიმატის ცვლილების შედეგების მიმართ. თითოეულ პროგრამას ენიჭება პროცენტული ქულა, რომელიც ცნობილია როგორც მისი კლიმატის ცვლილების შესაბამისობის წილი. ეს ეხმარება შტატის მთავრობას გამოავლინოს სქემები და პროგრამები დეპარტამენტებში, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება კლიმატის ცვლილების და ადაპტაციას. ეს საშუალებას აძლევს მთავრობას დაგეგმოს ხარჯების სფეროები შემდგომი პროგრამების კლიმატის მდგრადობის გასაძლიერებლად.

ზემოქმედების შეფასებისთვის მონაცემთა შეგროვების კოორდინაცია თავდაპირველად გამოწვევად აღმოჩნდა სახელმწიფო ხელისუფლებისთვის, რადგან რთული იყო პროგრამების იდენტიფიცირება.

ოდიშა გახდა პირველი შტატი ინდოეთში, რომელმაც შემოიღო კლიმატის ბიუჯეტის დოკუმენტი 2020-21 ფინანსური წლისთვის. მას შემდეგ, შტატის მთავრობამ აქვეყნებს ყოველწლიურ კლიმატის ბიუჯეტს, რომელიც განსაზღვრავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ქვეყნები, რომლებიც იყენებენ მწვანე ბიუჯეტირებას პრაქტიკაში



გრაფიკიდან ნათელია, რომ მწვანე ბიუჯეტირებას მსოფლიოს ქვეყნების 40% იყენებს და ჩართულია ამ პროცესში, მაგრამ ამასთან ერთად, არიან ქვეყნების ის ნაწილი, რომელთაც ჯერ არ განუხორციელებია მწვანე ბიუჯეტირების პროექტი და არ იყენებენ მას, მათი რიცხვი კი პროცენტულად 57% -ია.

დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან, ნათელია თუ რამხელა როლი აკისრია გარემოს დაცვასა და მწვანე ბიუჯეტს ქვეყნის კეთილდღეობისთვის. ამასთან ერთად განვიხილეთ თემები, როგორცაა მწვანე ბიუჯეტირება, რომელიც ამავდროულად უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გარემოს დაცვით საკითხებში, ასევე განვიხილეთ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები და ვისაუბრეთ მათ მდგომარეობაზე, ამასთან ერთად შევხებით საქართველოს მდგომარეობას ამ მიმართულებით და იმ გამოწვევებს რის წინაშეც დღეს ვდგავართ. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა საქართველოს მაჩვენებლები SDG 2030 მიხედვით, რაზეც ყურადღება გავამახვილეთ და შედეგების მიხედვით აღვწერეთ ის. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით ქვეყნამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა, და ამისთვის კონკრეტული თანხა გამოყო ბიუჯეტიდან.

- აუცილებელია ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების სტრატეგიის/პოლიტიკის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება სექტორულ/დარგობრივი გარემოსდაცვითი საკითხები.
- მნიშვნელოვანია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის მიღება, რომელიც გულისხმობს სააუზე მართვის სისტემის დანერგვას საქართველოში;
- აუცილებელია პირველ რიგში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ საკითხთან მიმართებით;
- მოამზადოს და ბიუჯეტში გაითვალისწინოს კონკრეტული პროგრამები ტყის მდგრადი

მართვის ხელშეწყობისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. მათ შორის _ შეშის მდგრადი მოპოვებისა და გამოყენების წესები;

• შეიცვალოს ნარჩენი ბიომასის ტარიფი, რომელიც დღეს მასზე გაცილებით დიდი ეკონომიკური ღირებულების ცოცხალ ხეებზე ძვირია. აღნიშნული ქმნის ბარიერს ბიზნესინიციატივებისთვის და მოსახლეობას აიძულებს ჭრისკენ და არა – ტყეებში ნარჩენი ბიომასის გამოყენებისკენ, რომელიც ყოველწლიურად დიდი ოდენობით გროვდება და ხანძრისა და მავნებელ-დაავადებების რისკებს წარმოშობს. ამ მიზნით, დადგინდეს ტყის ფონდის ტერიტორიებიდან ნარჩენი მყარი ბიომასის გამოტანის რენტაბელური ფასი, რაც ხელს შეუწყობს ამ რესურსის ათვისებას და ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

გამოყენებული ლიტერატურა

green budget. (თ. გ.). მოპოვებული https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.acca-global.com%2Fcontent%2Fdam%2FACCA_Global%2Fprofessional-insights%2FGreen-budgeting%2FPI-GREEN-BUDGETING-PS%2520v5.pdf%3Ffbclid%3DIwAR3vpBvsZ3og1Zu0QTUe-ifkcN-Cev9ICYDoBkKDmtD_eVH7rg5N0UIPGpK0&h=AT2zbbKo1-დან

parlament.ge. (თ. გ.). მოპოვებული <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/garemo/samush-jgufebi/mcvane-biuj/mcvane-biuj-proeqt.pdf>-დან

Sustainable Development Report 2022. (თ. გ.). მოპოვებული <https://dashboards.sdgindex.org/chapters/part-2-the-sdg-index-and-dashboards>-დან

Unicef საქართველო . (თ. გ.). მოპოვებული <https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1>-დან

მწვანე ბიუჯეტი. (თ. გ.). მოპოვებული <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/garemo/samush-jgufebi/mcvane-biuj/mcvane-biuj-proeqt.pdf>-დან

მწვანე ბიუჯეტის პროექტი. (თ. გ.). მოპოვებული <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/garemo/samush-jgufebi/mcvane-biuj/mcvane-biuj-proeqt.pdf>-დან

საქართველოს კონსტიტუცია. (1995 წლის 24 აგვისტო). მოპოვებული საქართველოს საკანონმდენლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>-დან

ხაჭაპურიძე, ე. (2021 წლის 6 აგვისტო). *ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი - სამხრეთ კავკასიის რეგიონი.* მოპოვებული გარემოს დაცვა: <https://ge.boell.org/ka>-დან

გაჯეტდამოკიდებულება ბავშვებში

ნათია შენგელია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შესავალი

“არაფერია სანერვიულო თუ თანამედროვე ტექნოლოგიებს ფლობ, სანერვიულოა ის, თუკი ტექნოლოგიები გფლობენ“- აბიჯიტ ნასკარი.

მართლაც, თანამედროვე სამყაროში, უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ, გამუდმებულად ტელეფონსა თუ პლანშეტებში თავჩარგულ ადამიანებს. იქნება ეს ტრანსპორტში მგზავრობისას, რესტორანში ვახშობისას, სახლში ყოფნისას თუ მანქანის მართვისასაც კი. უმრავლესობას, ეს უკვე ნორმად მიაჩნია, მაგრამ არის კი ასე? იქნებ ეს უკვე ადიქციაა?!

ადიქცია ანუ მიჯაჭვულობა (დამოკიდებულება) არის ნეიროფსიქოლოგიური აშლილობა, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ქცევის მუდმივად გამეორების ინტენსიური სურვილი. ზრდასრულები ამას, ყოველდღიური აუცილებლობით ვხსნით, ყველაფერი ხომ უკვე ონლაინაა ხელმისაწვდომი, მაგრამ რა ხდება მაშინ თუ საქმე პატარა ბავშვებს და მათ ჯანსაღ განვითარებას ეხება?!

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვებისას გაირკვა, რომ მშობლების 47% თვლის საკუთარ შვილებს ეკრანდამოკიდებულებად, თინეიჯერებს ის 52% კი ონლაინ უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე მეგობრებთან რეალურ ცხოვრებაში.

ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი და უამრავი მშობელი გამოთქვამს შემფოთებას ამ პრობლემის და მისგან გამოწვეული უარყოფითი გამოვლინებების გამო.

გაჯეტდამოკიდებულების უარყოფითი გავლენა მოიცავს კოგნიტური უნარების დაქვეითებ-ას, მეხსიერების უნარის ცვლილებებს, მომატებულ აგრესიას, აღქმის პრობლემებსა და ანტი-სოციალურ ქცევებს.

ნეიროფსიქოლოგი თამარ გაგოშიძე წერს:

„ჩემთვის მშობლებს უთქვამთ, რომ 7-8 თვის ასაკის ბავშვები უკვე ურთიერთობენ აიპედებთან. ერთი მხრივ, ეს ცუდი არ არის, ხომ? – ტექნოლოგიური მიღწევას, ბავშვები ვითარდებიან, ბევრ რაღაცას სწავლობენ, მაგრამ თუ ჩვენ განვითარების პოზიციიდან შევხედავთ საქმეს, აღმოვაჩინოთ, რომ პატარა ბავშვის ტვინი მხოლოდ რეალურ გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში ვითარდება, რადგან ევოლოციურად ასეა მოწყობილი, ანუ ბავშვმა თუ არ იმოძრავა, თუ არ შეიგრძნო და გარემოსთან ურთიერთობის გზით არ დაინახა ეს ყველაფერი, მისი ტვინი სუსტად ვითარდება.“

COVID-19 პანდემიის გამოჩენამ კი, გამოიწვია რა მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ რუტინაში, დაიკეტა სკოლები, საბავშვო ბაღები, გარკვეული პერიოდი სრული

ლოქდაუნიც იყო გამოცხადებული, გავლენა იქონია არა მხოლოდ ზრდასრულების ცხოვრებაზე, არამედ ბავშვებზეც, რომელთაც არაფერი დარჩათ, გარდა სუპერსწრაფი და მრავალფეროვანი ვირტუალური სამყაროსი. სწორედ ამ პერიოდისას გახდა შეშფოთებამდე თვალსაჩინო, რომ საქმე მხოლოდ თავშექცევასა და დროის გაყვანაში კი არა, ადიქციის ახალ გამოვლინებაში იყო.

კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანია გავიგოთ, რამდენადაა გაზრდილი გაჯეტდამოკიდებულება ბავშვებში ჩვენს სოციალურში, რამდენად შესაძრევია ეს მშობლებისათვის და რა შეიძლება იყოს გამო-სავალი?!

საკვლევი შეკითხვა

გაჯეტდამოკიდებულება ბავშვებში რეალური პრობლემაა თუ უბრალოდ თანამედროვე ცხოვრების განუყოფლობა?!

კვლევის პერიოდი და მოვლენის აღწერა

ჩვენი კვლევის პერიოდი მოიცავს 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერს, როდესაც მოხდა ონლაინ ანკეტირება და ინტერვიუების ჩაწერა.

თუმცა ამავე დროს მოიცავს ბოლო 4-5 წლის მოვლენების მიმოხილვასაც, ვინაიდან თავად მოვლენა საკმაოდ ახალია, არ მოიპოვება დიდი რაოდენობით კვლევები და არ არის ადვილი მისი ანალიზიც.

ტექნოლოგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების ცხოვრების წესსა და ყოველდღიურ საქმიანობაზე, განსაკუთრებით ახლა, პოსტპანდემიურ რეალობაში. გართობაზე მეტად, გაჯეტის გამოყენება უფრო ტრენდული გახდა განათლების ფონზეც. ონლაინ სწავლის პლატფორმები და მასთან დაკავშირებული აპლიკაციები ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცე-ბულებაა იმისა, რომ გაჯეტები გახდა არა მხოლოდ ინფორმაციისა და გართობის, არამედ ფორმალური განათლების წყაროც.

მართალია, პანდემიამ თვალსაჩინო გახადა ეკრანდამოკიდებულების პრობლემები, მაგრამ შეშფოთების ნიშნები უკვე მანამდეც არსებობდა. ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე პროფესიონალებმა, ჯერ კიდევ 2010 წელს ჩაატარეს მცირე ტიპის კვლევა, სახელწოდებით “World Unplugged Project”, რომელშიც 1000-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

ბავშვების უმეტესობამ ვერ შეძლო გაჯეტებისთვის თავის არიდება 24 საათის მანძილზე და აღენიშნებოდათ მოუსვენრობის ნიშნები, გამაღიზიანებელი ქცევა, მადის დაკარგვა და ა.შ.

თუკი უფრო მეტად გავამახვილებთ ყურადღებას საკითხისადმი, შეიძლება ჩვენს გარშემო, ჩვენს სანაცნობო წრეშიც აღმოვაჩინოთ არაერთი ბავშვი, რომელიც ხდება აგრესიული გაჯეტის გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო. აგრესიული ქცევა, მოუსვენრობა, გაღიზიანება, სოციალური ურთიერთქმედების დაქვეითება, კონცენტრაციისა და ყურადღების ნაკლებობა კი დამოკიდებულების აშკარა ნიშნებია.

ამასთან, მნიშვნელოვანია არ დავაბრალოთ შვილებს მათივე დამოკიდებულება. დღეს ბავშვები სწრაფი და ჭკვიანი მოსწავლეები არიან. ისინი სწავლობენ გაჯეტების მართვას ძალიან მცირე

ასაკიდან, რადგან მშობლების უმეტესობა ამ გაჯეტებს სახლში იყენებს. უფრო მეტიც, ზოგიერთმა შეიძლება გამოიყენოს გაჯეტები ბავშვის ტირილის შესაჩერებლად ან ჭამის დროს. ვიზუალურად მიმზიდველი და მასტიმულირებელი შინაარსი კი ბავშვების ყურადღებას ადვილად იპყრობს. აქედან გამომდინარე, ისინი ადვილადვე ხდებიან მიჯაჭვულები ამ პროცესზე.

ამიტომაც საჭიროა, მშობლები ფლობდნენ მეტ ინფორმაციას საკითხისადმი, ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, რომ სმარტფონებთან ხშირი ურთიერ-თობა, ბავშვებისთვის მხოლოდ გართობის წყარო არაა და საფრთხის შემცველია. საჭიროა ფსიქოლოგების და მკვლევარების უფრო აქტიური მუშაობა იმის გამოსავლენად, თუ რა ხერხებითაა შესაძლებელი ადიქციის არიდება და უკვე ეკრანდამოკიდებული ბავშვის, სწორი მიმართულებით დახმარება.

მეორადი წყაროები

ჩვენი საკვლევი თემის ერთ-ერთი მეორადი წყარო იქნება „რატომ არ არის რეკომენდებული ბავშვების ადრეული კონტაქტი სმარტფონთან, კომპიუტერთან და ტელევიზორთან“.

<https://netgazeti.ge/opinion/37509/>

სადაც ნეიროფსიქოლოგი თამარ გაგომიძე საუბრობს სწორედ იმ საფრთხეებზე, რამაც შეიძლება გაჯეტდამოკიდებულებამდე მიიყვანოს ბავშვი.

მთავარი საკითხები, რაზე ყურადღებაა გამახვილებული, არის ეკრანთან ხანგრძლივად გატარებული დროის შედეგად გამოწვეული მოტორული ფუნქციების მოშლა, მეტყველების შეფერხება, ფანტაზიის უნარის შენელება იმდენად, რომ მომავალში ხელი ეშლება სააზროვნო პროცესების განვითარებას.

წყაროს მიხედვით, ამერიკისა და კანადის პედიატრთა ასოციაციის მიერ გამოიცა სპეციალური გაიდლაინი მშობლებისათვის, რომლის რეომენდაციაცაა, რომ 6-წლამდე ასაკის ბავშვებში ექსპოზიცია იყოს ნულის ტოლი, ანუ სანამ ტვინი აქტიურად ვითარდება. ბავშვის განვითარებაში კრიტიკული პერიოდები არსებობს. მაგალითად, მეტყველების განვითარებაში კრიტიკული პერიოდი არის 2,5 წლამდე. თუ ამ 2,5 წლის განმავლობაში ბავშვს გარშემო არ ესმის მეტყველების მოდელი, ანუ მასთან დიალოგში არ შედიან, ზღაპარს არ უყვებიან, მისი ტვინის შესაბამისი სისტემები კარგად ვერ მწიფდება და, მით უმეტეს, თუ ბავშვს პრობლემა აქვს, მისთვის საერთოდ არ შეიძლება დიდი ხნით ტელევიზორსა და კომპიუტერზე მიწებება.

რაც შეეხება მეორე წყაროს, ეს გახლავთ მარიამ დავითაშვილის მიერ მომზადებული მასალა “ადიქცია”. <https://befriend.mes.gov.ge/article/?id=24>

სადაც საუბარია იმაზე, თუ რამდენადაა გაზრდილი ადიქციის შემთხვევები ბავშვებში და რამდენად დიდ გავლენას ახდენს ის, ბავშვის განვითარების შეფერხებაში. „ეს არის ისეთი სახის უკონტროლო, აკვიატებული და არაჯანსაღი ლტოლვა ვინმეს, ან რაიმეს მიმართ, რომლის გარეშეც ადამიანი თავს არაკომფორტულად და დაუცველად გრძნობს. ამ დროს დამოკიდებულების საგანი მთლიანად მოიცავს ადამიანს, მის ყოველდღიურობას და დანარჩენი ცხოვრებისეული მოვლენები სრულებით კარგავენ აქტუალურობას“.

წყაროში ასევე საუბარია ადიქციის გამომწვევ მიზეზებსა და მათი თავიდან აცილების საქმეში, მშობლების ინფორმირებულობისა და განათლების უდიდეს მნიშვნელობაზე. მოცემულია რეკომენდაციებიც, რომ მშობლებმა მაქსიმალურად აარიდონ თავი აკრძალვებს პრობლემის მოგვარების მცდელობისას.

კვლევის მეთოდი და დიზაინი

ჩვენი თემის შესახებ თვისებრივი კვლევის ჩასატარებლად და მონაცემთა შესაგროვებლად გადავწყვიტეთ, გამოვიყენოთ ინტერნეტ გამოკითხვის მეთოდი. ამისათვის კი შევადგინეთ “Google Forms” კითხვარი, რომელმაც საშუალება მოგვცა გაგვეგო ჩვენთვის სასურველ კითხვებზე პასუხი და ისინი სტატისტიკურად დაგველაგებინა. კვლევის ეს მეთოდი მოსახერხებელი და სწრაფია და ამასთანავე, საშუალებას იძლევა მცირე დროში ბევრი ადამიანის აზრი გაიგო.

რაც შეეხება კვლევის დიზაინს, კითხვარი ჯამში 9 კითხვისაგან შედგება, აქედან 8 დახურული, 1 ღია. ვინაიდან, თანამედროვე საზოგადოება უპირატესობას მარტივ და ოპტიმალურ მეთოდებს ანიჭებს, გადავწყვიტეთ, მათთვის უფრო მოსახერხებელი ფორმატი ყოფილიყო, ნაკლებად დატვირთული ფორმალური და ღია კითხვებით.

შერჩევა

რაც შეეხება შერჩევის ტიპს, მართალია გამოკითხვის მეთოდი ავირჩიეთ, მაგრამ საკვლევი თემის სპეციფიურობიდან გამომდინარე გვინდოდა, რომ უმეტესად მშობლებს ჰქონოდათ საშუალება მოხვედრილიყვნენ გამოკითხვაში, ამიტომ მიზნობრივი შერჩევის ტიპი შევარჩიეთ და კითხვარი განთავსებულ იქნა სოციალური მედიის ერთ-ერთ ჯგუფში, რომლის წევრთა უმეტესობას სხვადასხვა ასაკის შვილი (შვილები) ჰყავთ. ასევე, ტიპურ შემთხვევათა კვლევის სახეობას მივმართეთ, რადგან გვქონდა შესაძლებლობა ამ საკვლევი თემის ერთი კონკრეტული შემთხვევა შეგვესწავლა და ჩავწერეთ ინტერვიუ ქალბატონთან, რომელმაც საკუთარ თავზე (შვილზე) გამოსცადა ამ მიჯაჭვულობის უარყოფითი შედეგები.


შედეგები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი კითხვარი 1 ღია და 8 დახურული კითხვისაგან შედგებოდა. ჩვენ მიერ გამოკითხული ადამიანების 41,5% 1-3 წლის შვილი ჰყავს, 25,9% 4-6 წლის, 21,4% 6-10 წლის. რომელთა 34,6% სკოლაში დადის, 33,2% ბაღში, 19,2% ბაღის ასაკისაა, მაგრამ სახლში რჩება.

რა ასაკისაა პატარა თქვენს ოჯახში?




294 responses



დადის თუ არა ბავშვი ან სკოლაში?




286 responses




დღის რა ნაწილს ატარებს ბავშვი ეკრანთან?




292 responses




კითხვაზე, თუ დღის რა ნაწილს ატარებს ბავშვი ეკრანთან 38,4% განაცხადა, რომ ცდილობს 1საათს ან ნაკლებ დროს ატარებს, 26,7% აღნიშნა რომ თითქმის მთელი დღე ბავშვს პლანშეტი ან ტელეფონი უჭირავს ხელში, ბავშვების 14,7% კი ისე არ ჭამს, თუ ტელეფონში არ უყურა რამეს, ამიტომ მშობელს უწევს შესაბამისი დროით მისცეს წვდომა სმარტფონთან. მშობლების 50,7% მიიჩნევს, რომ გაჯეტდამოკიდებულება თანამედროვეობის გამოწვევაა.



მათი 59,5% კი აცხადებს, რომ ფსიქოლოგები უნდა იკვლევდნენ ამ თემას და ეხმარებოდნენ ოჯახებს საკითხისადმი სწორად მიდგომაში.




გამოკითხულთა უმეტესობა 69,3% ასევე მიიჩნევს, რომ ბავშვებს არ უნდა ჰქონდეთ გაჯეტებთან წვდომა გაკვეთილების მსვლელობისას.

უნდა ეძლეოდეთ თუ არა  Copy

ბავშვებს უფლება, ტელეფონები ჰქონდეთ გაკვეთილის მსვლელობისას?

296 responses



ღია კითხვაზე, ხედავენ თუ არა მზარდ საშიშროებას ბავშვების ეკრანდამოკიდებულებაში და მათი აზრით, რა იქნებოდა გამოსავალი მის მოსაგვარებლად, უმეტესობამ აღნიშნა, რომ აცნობიერებენ პრობლემის არსებობას და გამოსავლად, მეტი დროის გატარება მიაჩნიათ ბავშვებთან, რათა არარეალური ურთიერთობები, რეალურით ჩუნაცვლონ, თუმცა უმეტესობავე სინანულით აღნიშნავს, რომ დაკავებული რეჟიმის გამო, უდიდესი სურვილის მიუხედავად, ყოველდღიურად მაინც ვერ ახერხებენ ამას.

აქვე ვურთავთ 32 წლის მარიამის მონათხრობს:

„ - საბა (რომელიც ახლა 4 წლისაა) წელიწადნახევარი ვითარდებოდა, როგორც ჩვეულებრივი პატარა, დაიწყო სიარული, ამბობდა სიტყვებსაც, ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მართალია, იშვიათად ჰქონდა შეხება სმარტფონთან, მაგრამ ეს მუდმივ ხასიათს არ ატარებდა. მერე დაიწყო პანდემია, რასაც მოჰყვა ჩაკეტილობა და სახლიდან გასვლის შიში, ბავშვის გართობის გამოსავლად კი სმარტფონი, ტელევიზორი გამოჩნდა. რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, პირველი დედაჩემმა შეამჩნია ბავშვის უყურადღებობა, რომელიც არაფერზე რეაგირებდა, არც დამახეხაზე, არც კითხვების დასმაზე, თავიდან სმენის პრობლემა გვეგონა, მაგრამ კვლევამ არაფერი აჩვენა. ბევრი ლელვის, ძიების, კვლევის შემდეგ, ბავშვს აუტისტური სპექტრი გამოუვლინდა, რომლის არაპირდაპირ (ამის დადასტურებული კვლევების არარსებობის გამო) მიზეზად, სწორედ ეკრანმიჯაჭვულობა დასახელდა, რადგან ერთადერთი რეაქცია ბავშვს სწორედ ეკრანის განათებაზე ჰქონდა. საბა დღემდე დამყავს თერაპიებზე, უწევს ყველაფრის ხელახლა სწავლა, მოტორული უნარების განვითარება, მეტყველებაზე მუშაობა. ნელა, მაგრამ პროგრესი არის. რა თქმა უნდა, როგორც მშობლისთვის, ერთი სტრესი ბავშვის განვითარების შეფერხებაა, მეორეს

მხრივ კი დანაშაულის განცდა, რომ შემდეგლო მეტი სიფრთხილე გამოემჩინა. ახლა, მხოლოდ ის შემოიძლია, ბოლომდე მივყვე შვილს ამ პროცესებში და თუკი მაქვს ამის უფლება, სხვა მშობლებს ვურჩიო, ნუ შეხედავენ სმარტფონებს, როგორც უბრალო გასართობს, ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება ალტერნატიული გზის გამოჩვენება და მაქსიმალურად არიდება ჩვენი შვილებისთვის, ამ მზარდი და თითქოს შეუმჩნეველი საფრთხის.“

ამ თემაზე გავესაუბრეთ ფსიქოთერაპევტ მარინა კოლხიდაშვილს, რომელსაც ვკითხეთ მისი გამოცდილების შესახებ, მსგავსი ტიპის პრობლის მქონე ბავშვებთან ურთიერთობისას.

მარინა კოლხიდაშვილი :

რაც უფრო მეტი დროს გადის, უფრო და უფრო „ახალგაზრდავდება“ გაჯეტდამოკიდებულების პრობლემა. სმარტფონი, ამ ბოლო პერიოდში, თითქოს „ოჯახის უფროსი“ გახდა და ბავშვები, ძალიან პატარა ასაკიდან, თვეებისანიც კი, ხდებიან მასზე დამოკიდებულნი. სწორედ გაჯეტდამოკიდებულების შედეგია, რომ მოზარდობისკენ მიმავალ გზაზე, ისინი ემალებიან გარემოს, ურთიერთობს და ცხოვრობენ საკუთარ სამყაროში. დამოკიდებულების პარალელურად, პრობლემა გამოსხივების ის რაოდენობაც, რასაც ბავშვები იღებენ ჭარბი დროის გატარებით გაჯეტებთან და რაც პირდაპირ აზიანებს ტვინის გარკვეულ ნაწილებს, რომლებიც ზრდასრულებს უკვე განვითარებული აქვთ და მათზე, ასე აშკარად არ აისახება. ასევე, იწვევს მხედველობის პრობლემებს. ოფთალმოლოგები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ბავშვების უმეტესობას, ახლომხედველობის პრობლემა აღენიშნება. ტელეფონს აქვს ასეთი ფუნქცია, რომ გიჩვენებს დღეში რამდენ საათს გაქვს ტელეფონი აქტიურად და ასევე, ამა თუ იმ აპლიკაციაში, რა დროს ატარებ საშუალოდ კვირაში. ჩემს ერთ-ერთ პაციენტს, სკოლის ასაკისას, სწორედ ამ ფუნქციის დახმარებით ვუჩვენე მისი სმარტფონ აქტივობა და თვითონაც გაკვირვებული დარჩა, რადგან ფიქრობდა, რომ არც ისე დიდ ხანს უთმობს ტელეფონს და სოციალურ პლატფორმებს (მაგ. ტიკ-ტოკს). ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ მოსახლეობის 78% ხელიდან არ უშვებს სმარტფონს, რაც ამ პრობლემის გაცილებით დიდ მასშტაბებზე მიუთითებს. თვითონ მშობელი ატარებს უდიდეს დროს სმარტფონთან, რომელსაც კოპირებს ბავშვიც და რომელიც უპირობოდ იღებს მშობლის ქცევას. ამიტომ ეს პრობლემა, საკმაოდ კომპლექსურია. მოგვარების გზები კი არაერთგვაროვანი. ერთი რამ, რაც დანამდვილებით შემოიძლია ვურჩიო მშობლებს, მაქსიმალურად მოერიდონ აკრძალვებს. ერთადერთი, თუ ბავშვი იწყებს აგრესიულ ქცევას სმარტფონთან წვდომის შეზღუდვის გამო, მაშინ აუცილებელია, რომ მიმართონ სპეციალისტს. ეს სჭირდება ბავშვსაც და ეს სჭირდება მშობელსაც, რათა სპეციალისტთან ერთად შეარჩიოს ოპტიმალური მეთოდი, ბავშვთან ურთიერთობისთვის ამ რთულ გზაზე, რასაც დამოკიდებულებისთვის თავის დაღწევა ჰქვია.“

დანართი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვეცადეთ, რომ ჩვენი კითხვარი საზოგადოებისთვის გასაგები და მარტივი ყოფილიყო. სულ 9 შეკითხვა დავსვით, აქედან 1 ღია და 8 დახურული.

კითხვები საკვლევ თემასთანაა დაკავშირებული და გვეხმარება ჩვენ მიერ დასმული საკითხის განსაზღვრაში.

კითხვარი

https://docs.google.com/forms/d/1-uc9e7b_u86x4qzsaOBVFIM0E4JBnKGyPTQWEbVKCcM/edit

დასკვნა

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის მონაწილეთა უმეტესობა ხედავს და აღიარებს პრობლემას. პრობლემის მოგვარების მათეული ხედვა, ემთხვევა კიდევ ფსიქოლოგების რეკომენდაციებს, თუმცა უცნაური ისაა, რომ მიუხედავად პრობლემის მოგვარების გზის არსებობისა, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რამდენად მიუწვდომელია მათთვის ის დრო, რაც სმარტფონების „ჩანაცვლებას“ სჭირდება ბავშვებთან ურთიერთობაში. თავად სიტყვა ადიქცია (დამოკიდებულება, მიჯაჭვულობა) მომდინარეობს **ლათინური „addictionem“-დან და ითარგმნება, როგორც „დაჯილდოება, დასაჩუქრება“**. შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ ქცევაზე დამოკიდებული ადამიანისათვის, ესაა მუდმივი თვითდაჯილდოების პროცესი და სწორედ ესაა მიზეზი, რომ ასეთი რთულია ნებისმიერი ტიპის ადიქციისგან გათავისუფლება?! და თუ ეს ასეა, იქნება თუ არა გამოსავალი, თუკი მშობელი გახდება წყარო ამ სიამოვნების მომგვრელი „დაჯილდოებებისა“?!

ბიბლიოგრაფია

<https://www.brighterminds.org/post/gadget-addiction>

<https://www.scirp.org/journal/paperinformation.aspx?paperid=110418>

ერობისა და თვითმმართველობის საკითხი ქართველი ჟურნალისტის ნიკო
ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში

სალომე კველიშვილი,
თეკლა გვარამია
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნიკო ნიკოლაძე მე-19 საუკუნის დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის „ბერმუხად“ წოდებული პუბლიცისტი და დროს გასწრებული მამულიშვილია. მისი მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ეხება ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხსაც. მათ შორის ერობას, თვითმმართველობასა და დემოკრატიის პრობლემებს. თუ რაზე უნდა იზრუნოს ერობამ, რა არის მისი უფლებები და როგორ გავლენას ახდენს სახელმწიფო წყობილებასა და საზოგადოებაზე. ასევე, რა მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ მმართველობას ხალხის ცხოვრებაში.

“ნ. ნიკოლაძე ადგილობრივი თვითმმართველობის დანერგვას ამართლებს არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თვალთახედვით, არამედ იგი მიაჩნია წინაპართა მიერ დატოვებული ადათ-წესებისა და ზნეობრივი თვისებების გადარჩენის საშუალებად.” (ლობჯანიძე, გვ. 168). ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი მმართველობის ჩამოყალიბებისას უნდა შეირჩეს განვითარებული და გამოცდილი ადამიანები, რათა ამ უკანასკნელებმა მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოიწვიონ ადგილობრივ მოსახლეობაში. ეს უზრუნველყოფდა იმას, რომ ამორჩეული პირი ყოფილიყო თავისუფალი და ხალხის სასარგებლოდ დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილებები. ნ. ნიკოლაძის მისწრაფებაც ეს იყო, სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობა და კანონიერების ფარგლებში მოექცია სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხები.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძის სიღრმისეული დასაბუთებანი ერობისა და სახელმწიფოს მართვის შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები დამოუკიდებელი განვითარების, სარგებლიანობის და პროგრესულობის გარანტიაა. ნიკოლაძისეული გაგებით, თვითმმართველობისა და ერობის დაწესება უფრო მეტად დაახლოვებდა საქართველოს ევროპასთან.

საკვანძო სიტყვები: “ადგილობრივი თვითმმართველობა”, „ერობა“, „ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკა“, „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, „დემოკრატიული მმართველობა“.

სახელმწიფო სტრუქტურების მოწყობა, დემოკრატიული მენტალიტეტისა თუ მოქალაქეთა ღირებულებების დაცვა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემაა დღევანდელ საქართველოში. ჩვენი კვლევის მიზანია, ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში გავანალიზოთ ერობისა და თვითმმართველობის საკითხები და ვიპოვოთ იმ პრობლემების გადაჭრის გზები, რომლებსაც ნიკო ნიკოლაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში წარმოაჩენდა. ნიკონიკოლაძის პუბლიცისტიკა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ეხება ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის სხვადასხვა აქტუალურ პრობლემას, როგორებიცაა: ერობა, თვითმმართველობა და დემოკრატია. ნიკოლაძის ნაშრომებიდან გამომდინარე ისმის კითხვები: რას გულისხმობს „ერობა“? რა ხეუნდა იზრუნოს, რა არის მისი უფლებები და როგორ გავლენას ახდენს ის სახელმწიფო წყობილებასა და საზოგადოებაზე? ასევე, ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ მმართველობას ხალხის ცხოვრებაში, როგორ გავლენას ახდენს ის ერის ყოფასა და მომავალზე. თემატიკის აქტუალობა წარმოჩნდება დღევანდელი რეალობით, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ყოველდღიურად აწყდება. საკვლევი პუბლიცისტური ტექსტების ანალიზმა ცხადჰყო, რომ კორუფციას, არაპროფესიონალიზმსა და არაკეთილსინდისიერებას ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის იმპერიული რუსეთი თვითმმართველობებშიც. ნიკოლაძე პუბლიცისტურ წერილებში ყურადღებას ამახვილებს საჯარო მოხელეების არაკეთილსინდისიერ ქმედებებზე, ხალხის ფულის სათავისო გამოყენებით გამდიდრებასა და არადემოკრატიული გზით მოგებული არჩევნებზე - „რამდენიმე თვის უკონტროლო პარპაზის შემდეგ წამოჭიმული სასახლეები“ (ნიკოლაძე, „კავკაზი“ თვითმმართველობის თაობაზე, 1880)

ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნეში საუბრობდა იმ ეროვნულ პრობლემებზე, რომლებიც დღესაც, 21-ე საუკუნეშიც, ასე აქტუალურია. სწორედ მისმა თანამედროვე შეხედულებებმა განაპირობა ჩვენი სტატიის („ერობისა და თვითმმართველობის საკითხი ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში“) მიზანი და თემატიკა.

კვლევის წერისას დავამუშავეთ შემდეგი წყაროები: ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილები „კავკაზი“ თვითმმართველობის თაობაზე“ და „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება“. გარდა პირველადი წყაროებისა, დავამუშავეთ მეორადი წყაროები: ქეთევან ჯიჯეიშვილის „ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრობლემების შესახებ“; გივი ლობჯანიძის „ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი მოსაზრება სასამართლოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

ნ. ნიკოლაძეს საკუთარი ადგილი ჰქონდა თავისი დროის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის: იგი რუს და ევროპელ მკითხველს აცნობდა საქართველოს და ესაუბრებოდა როგორც ქართველი მოაზროვნე, ხოლო ქართველ მკითხველს მისთვის საინტერესო პრობლემებს განუმარტავდა რუსული და ევროპული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით. ნ. ნიკოლაძე, უპირველეს ყოვლისა, დიდი ეროვნული მოღვაწეა, იგი როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი, გასცდა ეროვნულ საზღვრებს და რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე გავიდა, როგორც ფართო ერუდიციის მოაზროვნე და მეზრძოლი სულისკვეთებით აღჭურვილი

პიროვნება.

საფრანგეთში განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ნიკომ ფეხი აუწყო საზოგადო ცხოვრების დენას და აქტიურად ჩაერთო პუბლიცისტურ საქმიანობაში. 1871 წლიდან ხელმძღვანელობს თავისავე დაარსებულ ჟურნალ „კრებულს“, რომელიც თავდაპირველად გაზეთ „დროების“ „სალიტერატურო დამატება“ იყო. როდესაც „კრებული“ დამოუკიდებელი პერიოდული გამოცემა გახდა, ჟურნალში ნიკო ნიკოლაძის საპროგრამო ხასიათის წერილი „კრებულის“ დანიშნულებაზე“ დაიბეჭდა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ჟურნალის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი და მიზანდასახულობა. იგი ჟურნალის ფაქტობრივი რედაქტორი გახლდათ, „კრებულში“ მისი არაერთი პუბლიცისტური წერილი დაიბეჭდა („კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“; „საზოგადო საქმეები. ახალგაზრდობის აღზრდა“; „ახალი ახალგაზრდობა“). არჩილ ჯორჯაძის, აზრით «კრებული» სწორედ იმ სამ გამოცემაში შედიოდა („საქართველოს მოამბე“; «დროება» და «კრებული»), რომლებიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის განვითარების ძირითად ნიადაგს წარმოადგენდა.

ნიკო ნიკოლაძის ჟურნალი ეყრდნობოდა «საქართველოს მოამბის» მიერ დაფუძნებულ ფუნდამენტურ, იდეურ და ლიტერატურულ-შემოქმედებით პრინციპებს. ამგვარად, ამ ჟურნალში ახალი თაობის აზროვნება თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე შედგა. ნიკოლაძისეული გაგებით, ჟურნალს ბედნიერება დასიკეთე უნდა მოეტანა საზოგადოებისთვის, უნდა შეემეცნებინა და აღეზარდა ქართველი ერი.

მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში ნიკო ნიკოლაძეს გამორჩეული და უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. მან დაამკვიდრა ახალი ხანა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში, ახალი სალიტერატურო ენა, აზროვნების სტილი და უფრო თანამედროვე გემოვნება. ეს იყო ევროპისაკენ გაჭრილი კარი და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების უფრო მაღალი ეტაპის დასაწყისი.

1901 წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა არჩ. ჯორჯაძის დაუმთავრებელი სტატია „ნ. ნიკოლაძე“, სადაც ავტორი გვაწვდის საინტერესო ცნობებს. ნ.ნიკოლაძეს ქართულის გარდა, ბევრი რამ უწერია რუსულადაც ზოგი აქაურ პრესაში, ზოგი -პეტერბურგის ჟურნალებში. ამასთან, საზღვარგარეთ ყოფნის დროს მას მონაწილეობა მიუღია ფრანგულ გაზეთებში (შვეიცარიაში) და აგრეთვე ცნობილი რუსი მოაზროვნის ალექსანდრე გერცენის „კოლოკოლში“, ყველა ამ მასალის შეგროვება მეტად მოუხერხებელია და იქნება შეუძლებელიც ამჟამად. ამისათვის ჩვენ წინდაწინვე ვამბობთ, ამ ჩვენს წერილებს ბევრი ნაკლოვანებაც ექნება და სასურველი სისრულეც აკლდება. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ავტორის არაქართულ ნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აქაურ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ნ. ნიკოლაძე ხშირად წერდა ქართულ კითხვებზე. მათ ჰქონდათ მნიშვნელობა რუსებისათვის და ქართული ინტელიგენციისათვის.. რაც შეეხება რუსეთში და საზღვარგარეთ დაბეჭდილ ნაწერებს. „ნ. ნიკოლაძე, ამბობს არჩილ ჯორჯაძე, იმ ახალგაზრდათაგანი იყო, რომელმაც ზურგი შეაქცია მესამოცე წლებში ძველ თაობას და ძველ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას. მისი აზრით, გრძნობა, მისწრაფება სულ მომავლისაკენ იყო მიქცეული და მიმართული. ამისათვის იგი მკაცრ და მკვახე

მსჯავრს სდებდა არამც თუ გადაბირებულ მოღვაწეებს, ახლებსაც და ხშირად ვერ ეწყობოდა, ვერ ურიგდებოდა თავის მედროვე ახალ თაობას, მოქმედმა, დაულალავმა, შორსმჭვრეტელმა ნ. ნიკოლაძემ იმთავითვე შეიგნო ერთგვარი ცხოვრების ხასიათი, იგი სდევნიდა ყოველგვარ გაუბედობას, ლაჩრობას, „სენტიმენტალობას“. ნიკოლაძის მკვახე სიტყვა ბევრს ჭკუაში არ მოსდიოდა. მისი „რეალიზმი“ აფრთხობდა და აშინებდა. ნ. ნიკოლაძის ამგვარი დახასიათება არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, პირიქით, მასში კარგადაა წარმოდგენილი მებრძოლი ტემპერამენტით გამორჩეული პუბლიცისტისა და მოღვაწის პორტრეტი. ისიც ნამდვილია, რომ „ნ. ნიკოლაძის პირდაპირობა. მოურიდებლობა, ბევრ უსიამოვნებას ჰბადებდა თვით ახალგაზრდობის წრეებშიც“ (ჯორჯაძე, 141).

ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის დემოკრატიული და პროგრესული ბუნება საყოველთაოდ იყო ცნობილი, „ნიკოლაძე თითქმის ყოველთვის განცალკევებულად მოქმედებდა, ყოველთვის თავის საკუთარს გზით მიდიოდა, დამოუკიდებლად და უშიშრად“ აღნიშნულზე ყურადღებას ამახვილებს ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების მკვლევარი პროფესორი ვ. მეტრეველი, რომელიც წერდა: „ნ. ნიკოლაძე მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე უშიშრად ამხელდა ცხოვრების განსაკუთრებულ მხარეებს, რისთვისაც უნდობლად უყურებდა მას მეფის მთავრობა. არც ზოგიერთ ქართველ და რუს მოღვაწეებთან ჰქონდა მას სიამ-ტკბილობა თავისი პირდაპირობის გამო“ (მეტრეველი, 6). 1870-იან წლებში იწყებს იგი აქტიურ მუნიციპალურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობას. მის მიერ წამოყენებულმა იდეებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს როგორც იმჟამინდელი, ისე მომავალი მდგომარეობა. კერძოდ, ნიკო ნიკოლაძის სახელთანაა დაკავშირებული:

1. თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შექმნა – ეს იდეა უშუალოდ დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა, თუმცა მის განხორციელებაში ნიკოც აქტიურად იყო ჩართული.
2. ვაჭრობის და მრეწველობის განვითარება – იგი ხელს უწყობდა კაპიტალიზმის დანერგვას, ვინაიდან ფიქრობდა, რომ ქვეყანა, რომელსაც ყველაფერი შემოაქვს, თვითონ კი არაფერს აწარმოებს წინ ვერ წავა.
3. ერობის, ანუ თვითმმართველობის შემოღება.
4. უმაღლესი სასწავლებლების გახსნა საქართველოში – აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო ნიკოლაძე ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების მომხრე იყო.
5. პრესის განვითარების ხელშეწყობა – ზოგადად, მას ძალიან იზიდავდა ჟურნალისტობა, თუმცა ხვდებოდა, რომ თავის ქვეყანას მისი უნარების სხვა მხრივ გამოყენება უფრო სჭირდებოდა. „ყველაზე მეტად, სულით და გულით ჟურნალისტობა მინდა, მაგრამ ჩემი ეს პროფესია დღეს არავის სჭირდება. როგორც ჩანს, ან ძალიან ადრე დავიბადე, ან ძალიან დავიგვიანეო“ – წერდა იგი.
6. ტყიბულის ქვანახშირის საბადოს განვითარება.

7. რკინიგზის გაყვანა – ჯერ ფოთიდან თბილისამდე, შემდეგ კი ბაქოდან ბათუმამდე, თბილისის გავლით.
8. წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება – ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევით ჯერ ავჭალაში მოეწყო წყალსადენი, შემდეგ კი წალკისა და ნატახტარ-ბულაჩაურის წყაროებზე.
9. თბილისში სადებიზინფექციო კამერის აშენება და სანიტარული ექიმის დანიშვნა.
10. ე.წ. ბოინის შექმნა – იმ ხანებში საქონელს პირდაპირ მოედნებზე კლავდნენ, რაც რა თქმა უნდა, რთულ სანიტარულ პირობებს ქმნიდა ქალაქში, ამიტომ, ნიკოს ინიციატივით, გადაწყდა ცენტრალიზებული სასაკლავოს მოწყობა.
11. დედაქალაქში კანალიზაციის ქსელის მოწყობა.
12. ფოთის და თბილისის ქუჩების განათება.
13. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება – მისი დაჟინებული თხოვნით შემოიღეს ცხენის ტრამვაი. (ფიცხელაური, 2021)

ჩვენი კვლევის მეთოდი იყო ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილების შინაარსობრივი ანალიზი. ხოლო კვლევისას ემპირიულ (საკვლევ) მასალად შევარჩიეთ ამავე ავტორის პუბლიცისტური წერილები, რომელებიც ეხებოდა ერობის, თვითმმართველობის, დემოკრატიისა და სახელმწიფო წყობის საკითხებს, წერილები მე-19 საუკუნის სხვადასხვა გაზეთსა და ჟურნალში გამოქვეყნდა.

კერძოდ, განვიხილეთ სამი წერილი, „კავკაზი“ თვითმმართველობის თაობაზე“ (გაზეთი „ობზორი“, 1880) და „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება“ (ჟურნალი „კრებული“, 1882); „მოკლე მიმოხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმათა“ (1894).

ერობისა და თვითმმართველობის საკითხები

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოების უპირატესობის საკითხებს, სტატიაში „მოკლე მიმოხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმათა“, რომელიც 1870 წლით თარიღდება, ნიკოლაძე წერს: „დედამიწაზე ისეთი ერი არ მოიძებნება, რომელსაც თვითმმართველობა არ მოხდენოდეს. დააკვირდით ერის ზნესა და ცხოვრებას. თვითმმართველობის შემოღებიდან და შემოღების ათეული წლის შემდეგ: ყველაფერში შეამჩნევთ ცვლილებას და გაუმჯობესებას, ზრდას და გაძლიერებას, არა თუ მართო საზოგადო საქმე ძლევიტ იმოსება, კერძო წევრებზედაც, მათ ზრდილობასა და ზნეზედაც ელვარებს თვითმმართველობა, ესე იგი, თავისუფლების შუქი“ (ლობჯანიძე, 2013, 168)

ერობას მინიჭებული ჰქონდა თითქმის სრული უფლება ადგილობრივი შინაური გამგეობის. ადგილობრივი მცხოვრებლებს მიენიჭათ ნება თავიანთი სანდო პირების ამორჩევით შეკრიბონ სასოფლოდასამაზროგადასახადი და იზრუნონ იმ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომელიც აწევს სოფელსა და მაზრას. ერობის შემოღებით სოფლის გამგეობა გადაეცა სოფლის მცხოვრებლებისგან არჩეულ მამასახლისებს, არჩეულ დეპუტატებს, მსაჯულებსა და კეთილსინდისიანებს, ხოლო მაზრის გამგეობა - მაზრის მცხოვრებლებისგან არჩეულ დეპუტატების კრებას, რომელსაც ერობის კრება ერქვა. ეს უზრუნველყოფდა იმას, რომ ამორჩეული პირი ყოფილიყო თავისუფალი და ხალხის სასარგებლოდ დამოუკიდებლად მიელო გადაწყვეტილებები. ერთი სიტყვით, ერობა ხალხს დაიხსნიდა მისი საგანგებო და სანიადაგო მტრისგან - სიღარიბისგან და უმცერებისგან. პუბლიცისტის აზრით, ერობას უფრო მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე - უწინდელ დეპუტატებს. მას შეეძლო დაექირავებინა ვინც უნდა, სხვადასხვა ერობისთვის საჭირო საქმეების გასაკეთებლად და შეეძლო გამოეცა წესდებაც კი. იმ წესდებით, რომელიც გამოიცა 1864 წელს, ადგილობრივი მცხოვრებლებს მიენიჭათ ნება თავიანთი სანდო პირების ამორჩევით შეკრიბონ სასოფლო და სამაზრო გადასახადი და იზრუნონ იმ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომელიც აწევს სოფელს და მაზრას. ერობას უნდა ეზრუნა შემდეგ საკითხებზე:

- ერობის ქონების, კაპიტალის და შეკრებილი ფულის მართვაზე;
- აშენება და შენახვა შენობების, რომელნიც მის ხარჯით უნდა ინახებოდნენ;
- ზრუნვა ხალხის სიმშვილისგან დამცველ ღონისძიებებზე;
- ზრუნვა ადგილობრივი ვაჭრობის და წარმოების გავრცელებაზე;
- განაწილება იმ სახელმწიფო ფულის გარდასახადისა, რომლის განაწილება გუბერნიებს და უეზდებს შუა მიენდობა ერობას, თანახმად ამ საგანზე გამოცემული კანონების ან ცალკე განკარგულების, დამტკიცებულის;
- მმართვე ერობის ქველისმოქმედი განწყობილებისა (საავადმყოფო, საღარიბო, მოხუცებულების შემფარებელი სახლებისა და სხვა), ღონისძიება მათხოვრობის მოსასპობლად, ზრუნვა ეკლესიების გაშენებაზე;
- მმართვე იმ საქმეებისა, რომელნიც შეეხებოდა ურთიერთის საშუალებით ცეცხლის ზიანის მოსპობას; (ნიკოლაძე, ნ. (1882). «ერობა, მისი დანიშნულება და წესდება»)
- წილის მიღება (განსაკუთრებით შემოსავალ - გასავალში და კანონით დაწესებულ საზღვრებში), ზრუნვაში სახალხო განათლებაზე, სახალხო სიმრთელესა და საპრობილეებზე;
- დახმარება პირუტყვის ჭირის დასწრობაში და პურის ან სხვა მცენარეების დაცვაში სხვა და სხვა სავენებელი ფრინველებისგან და პირუტყვებისგან;
- აღსრულება იმ მოთხოვნილებების სამოქალაქო და სამხედრო მთავრობისა, რომელიც

კანონით ერობამ უნდა გადაიხადოს, მონაწილეობა „ფოქტის“ გარდასახადში“;

- დანიშვნა, განაწილება, მოკრეფა და დახარჯვა, „საერობო გარდასახადის წესდების“ თანახმად, ადგილობრივი, გუბერნიის ან უეზდის საერობო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- წარდგენა უმაღლეს მართებლობასთან, გუბერნიის მთავრობის საშუალებით, ცნობებისა და აზრის იმ საგნებზე, რომლებიც შეეხებიან გუბერნიის ანუ უეზდის ადგილობრივ სარგებლობასა და საჭირობას;
- კენჭის ყრა სხვა და სხვა პირების ამოსარჩევად საერობო სამმართველოებში და ფულის განაწილება ამ დანაყოფებისთვის; (ნიკოლაძე, 1960, 569)

ყოველ გუბერნიასა და უეზდისათვის აუცილებელი იყო წელიწადში ერთხელ შეკრება. ერობის კრებას შეადგენდნენ სამგვარი დეკუტატები: ადგილობრივი მამულის მეპატრონეების, ქალაქების საზოგადოებისგან და გლეხ-კაცებისგან ამორჩეულები. ნ. ნიკოლაძე ადგილობრივი თვითმმართველობის დანერგვას ამართლებს არამარტო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი თვალთახედვით, არამედ იგი მიაჩნია წინაპართა მიერ დატოვებული ადათ-წესებისა და ზნეობრივი თვისებების გადარჩენის საშუალებად. გარდა დასახელებული საკითხისა, ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს საქალაქო თვითმმართველობისა და მისი გაუმჯობესების პრობლემებს. სანამ ამ საკითხზე მისი შეხედულებების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ეს გამოჩენილი მოაზროვნე თვითონაც პრაქტიკულად მოღვაწეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში, კერძოდ, როგორც ქალაქ ფოთის თვითმმართველობის ხელმძღვანელი – მან 1894 წელს კენჭი იყარა და ფოთის მეოთხე სათათბიროს წევრად გავიდა, ხოლო იმავე წლის 25 ოქტომბერს ქალაქის თავად აირჩიეს. „ინსტრუქციის თანახმად, ფუნქციონალური განაწილებით ქალაქის თავს ევალებოდა საერთო ხელმძღვანელობა, თანამდებობის პირთა საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, გამგეობის წევრთა შორის საქმეების განაწილება, სათათბიროს დადგენილებათა შესრულებაზე კონტროლი, გუბერნატორის მითითებათა შესრულება, წლიური ბიუჯეტის შედგენა. ქალაქის შემოსავლების და კუთვნილი ქონების გამოყენების კონტროლი, კადრების შერჩევა და სხვა“. (ლობჯანიძე, 2013, 168)

საქალაქო თვითმმართველობის ნიკოლაძისეული გეგმით საქალაქო თვითმმართველობის საბჭო უნდა დაკომპლექტდეს არა ეკონომიკური თანრიგების ან წოდებების მიხედვით, არამედ - ეროვნული წარმომადგენლობის მიხედვით. ნ. ნიკოლაძის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებიდან სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სწორედ ასეთი მიდგომა გასათვალისწინებელი თანამედროვე მმართველობის სისტემაში. თავის წერილებში ნ. ნიკოლაძე ასაბუთებდა დემოკრატიული პრინციპების შემოღებასა და მტკიცედ დაცვას ადგილობრივ მმართველობაში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი პოლემიკა გაზეთ „კავკაზთან“. პუბლიცისტმა

სახალხო აზრით „კავკაზი“, ვინაიდან რუსეთის რეაქციული პრესის მსგავსად, მან მიზნად დაისახა, გამხდარიყო ჩინოვნიკთა იმ დრომოჭმული მისწრაფებების გამომხატველი, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ თვითმმართველობა და ვერ შელევდნენ მთავრობის მიერ მათთვის ჩამორთმეულ უფლებას საზოგადოებრივი თანხების უკონტროლო ხარჯვისა. (ნიკოლაძე, 2003, გვ: 399) იგი ამ პოლემიკაში ცხადად მიანიშნებს, თუ რა არის პრესის დანიშნულება. პრესის თავდასხმა თუნდაც თვითმმართველობის წარმომადგენლებზე დანაშაული არაა, თუ მათ საქმიანობაში მართლა არის მცდარი და გამოსააშკარავებელი მხარეები, პრესამ შეუბრალებლად უნდა ამხილოს საჯარო მოხელეები, რათა საზოგადოება უფრო დაკვირვებულად და გონივრულად მოეკიდოს არჩევნებს. „კავკაზის“ პუბლიცისტები სიცრუისა და ეჭვის საფუძველზე, არასწორ და დამახინჯებულ ფაქტებს ავრცელებდნენ, ასეთი შეცდომები კი ყოვლად დაუშვებელი და უსაფუძვლო იყო.

ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი მმართველობის დაკომპლექტებისას უნდა შეი-რჩეს განვითარებული, გამოცდილი და ტაქტიანი ადამიანები, რათა ამ უკანასკნელებმა მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოიწვიონ ადგილობრივ მოსახლეობაში. ნ. ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა იდეა, რომ საქალაქო თვითმმართველობას დაქვემდებარებოდა გამგებლობაში ქალაქის ყველა საქმე, რაც 1874 წელს შემოღებული თბილისის საქალაქო მმართველობის დებულებით ერთგვარად იზღუდებოდა, მაგალითად, თვითმმართველობის კომპეტენციაში არ შედიოდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვა საკითხები, თუმცა, ნიკო ნიკოლაძემ შემდგომ პერიოდში შეძლო ეს საკითხები დაექვემდებარებინა საქალაქო თვითმმართველობისთვის.

ნ. ნიკოლაძე აქტიურად მონაწილეობდა თბილისის საქალაქო თვითმმართველობის საქმე-ებში. მისი მონდომებით საქალაქო თვითმმართველობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით წარმართებოდა. ეს იყო: კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესება, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფერო, ტრანსპორტისა და შიდა საქალაქო საგზაო ქსელის მოწესრიგება, წყალმომარაგება, საკანალიზაციო გაყვანილობათა გაფართოება, ქალაქის პარკებისა და ბაღების კეთილმოწყობა და სხვა. ნ. ნიკოლაძე თვლიდა, რომ ერობის დამკვიდრება სოფლად წაშლიდა წოდებრიობას, ქონებრივ განსხვავებას, ეროვნულ დიფერენციაციას და სხვა პრივილეგიებს, რის საშუალებითაც მიაღწევდნენ სამ შედეგს: 1. საერთო გადასახადს სავალდებულოდ გახდიდნენ ყველასათვის, წოდების და ქონების მიუხედავად, 2. მოაწესრიგებდნენ ხალხზე გაწერილი გადასახადის მოკრებასა და მოხმარებას, 3. დააარსებდნენ სოფლად ძლიერსა და კანონის მორჩილ მთავრობას, რომელსაც აირჩევდა ხალხი. როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძეს ერობის პროგრამის განხორციელება მიაჩნდა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის განმტკიცების საშუალებად. (ლობჯანიძე, 2013, 182)

ნ. ნიკოლაძე სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრობლემების შესახებ

სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრობლემების შესახებ ნიკო ნიკოლაძე არაერთ პუბლი-ცისტურ წერილში ამახვილებს ყურადღებას. ნ ქეთევან ჯიჯეიშვილის ნაშრომში, რომელსაც

ქვემოთ განვიხილავთ, წარმოდგენილია ნ.ნიკოლაძის მოსაზრებები ამ უკანასკნელის შესახებ, რომლებიც დღეს „ანგარიშგასაწევ ორიენტირს წარმოადგენენ თანამედროვე საქართველოს რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გარკვევისა და შესწავლის საქმეში“. (ჯიჯეიშვილი, 1999)

ნ. ნიკოლაძე მსჯელობას, ზოგადად, სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს საზოგადოების ჩამოყალიბებას და თვლის, რომ სახელმწიფოსა შექმნის მიზანი და დანიშნულება არის იმ ხალხის დაცვა და ბედნიერება, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოში ცხოვრობენ. სწორედ ამიტომ, ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფო მმართველობის ფორმებიდან ყველაზე წინ აყენებს დემოკრატias. მისი აზრით „დემოკრატია შექმნა ბურჟუაზიამ. ვინც ოდნავ მაინც იცის ისტორია, მისთვის ცხადია, რომ დემოკრატია შექმნილია ბურჟუაზიისაგან. ყოველიფერი, რაც არსებობს რესპუბლიკის საფუძვლებში, ეს შექმნა ბურჟუაზიამ თავის შენაძენ უფლებების დასაცავად“. (ჯიჯეიშვილი, 1999, 28) მართლაც, როგორი სახელმწიფო წყობაც არის და როგორ სახელმწიფოშიც უწევს ადამიანს ცხოვრება, ისეთი მსოფლმხედველობა და აზროვნება უყალიბდება. ალბათ, ამიტომაც ფიქრობდა ნიკოლაძე, რომ თუ ესა თუ ის რეგულაციები, რომლებიც ძალიან ახლოსაა საზოგადოების ინტერესებთან, იქნებოდა ბურჟუაზიიდან შემოდებული, მეტად დემოკრატიული და შესაბამისად, ბედნიერი ცხოვრება ექნებოდა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ნ.ნიკოლაძე „კრებულის“ მთავარ დანიშნულებადაც საზოგადოების ბედნიერებას მიიჩნევდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, არ არსებობს სახელმწიფო მშვიდობა დაბრკოლებებისა და პრობლემების გარეშე. მოცემულ ნაშრომში კი, ნ.ნიკოლაძეს პრობლემების მრავალი პუნქტი აქვს გამოყოფილი:

1. ნ. ნიკოლაძე თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებს ისეთივე ღონისძიებების გატარებას სთხოვდა, როგორის დასავლეთ ევროპელმა სოციალისტურმა მთავრობებმა გაატარეს ეროვნულ ბანკებში. „საზოგადოებრივი ბანკები, - წერს ნ.ნიკოლაძე, - იმისთვის არიან დაარსებულნი, რომ ურთიერთის შეერთებით და თავდადებობით თქნა და ნდობა მოიპოვონ, და დაიხსნან გაჭირვებული ხალხი... კაპიტალისტების ხელიდან“, თუმცა პრობლემაც ამაში მდგომარეობს, რომ ამ ბანკებით სწორედ კაპიტალისტები მართავენ, რადგან „წესიერათ“ და „კანონიერად“ გაემარცვათ ხალხი. ნ. ნიკოლაძეს ეკონომიკა წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც კერძო და კოლექტიური სათაურების ერთიანობაზე დაფუძნებული მეწარმეობის და ფინანსური საქმიანობის სინთეზი, ეს კი არსებულ სიტუაციას და კაპიტალისტების „თავისუფლებად პარპაშს“ სრულიად ეწინააღმდეგება.
2. ნ.ნიკოლაძე ცდილობდა კანონიერების ფარგლებში მოექცია არა მარტო სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის, არამედ ერთა უთანხმოების საკითხებიც უფლებების ჩარჩოებში განესაზღვრა. „თვითოეული ერის უფლებანი და ინტერესები, - წერს იგი, - ისე, როგორც თვითოეული ფიზიკური და იურიდიული პიროვნების ინტერესები პატივსადები და რეალური არის იმდენად, რამდენადაც არ შეეხება და არ აზიანებს დანარჩენერთა და პიროვნებათა უფლებებს.“ (ჯიჯეიშვილი, 1999, 30)
3. ნ. ნიკოლაძე ყველა სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა საერთაშორისო

სამართალს, რომელსაც შეიძლება ითქვას, ქვეყნის სუვერენიტეტზე მალა აყენებდა. მისი აზრით როცა სახელმწიფო არღვევს საერთაშორისო სამართლიანობისა და ჰუმანურობის საწყისებს, მაშინ სხვა სახელმწიფოებს უფლება აქვთ ჩაერიონ და აღკვეთონ იგი.

ქეთევან ჯიჯეიშვილის მოცემულ ნაშრომში, მკაფიოდ ჩანს ნ.ნიკოლაძის დამოკიდებულება სახელმწიფო მოწყობისა და ერობის შესახებაც. თუ რა პრინციპებით უნდა მართონ ერებმა თავიანი სახელმწიფოები ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრებისთვის. იგისახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ორ ძირითად ფორმას ასახელებს: რთულს, ანუ ფედერაციასა და კონფედერაციას, და მარტივს - ანუ უნიტარულს. მისი აზრით ფედერაციაში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გაერთიანება შეუძლია მხოლოდ მეტ-ნაკლებად თანაბრად განვითარებულ ქვეყნებს, თუმცა, ნ. ნიკოლაძემ წინასწარ გაიაზრა, რომ ფედერაციაში თანასწორუფლებიანობიდ საფუძველზე გაერთიანებით იზარალებენ განვითარებული სახელმწიფო ერთეულები. ამიტომაც, განიხილავს რუსეთის მაგალითს და უარყოფს მოწყობას კლასიკურ ფედერაციის პრინციპზე მისი უთანაბრო განვითარების გამო და ყურადღებას ამახვილებს კონფედერაციაზე. ეს ნიშნავს, რომ ცალკეულმა ერებმა უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი სახელმწიფოები და თვითონვე უნდა განაგონ ისინი. თუმცა, ისეთი ფუნქცია, როგორიცაა თავდაცვის და სახელმწიფო ძლიერებისა და აგრეთვე ის, რომელიც სცილდება ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას, საკავშირო მთავრობის კომპეტენციაში უნდა შევიდეს.

აღსანიშნავია ნიკოლაძისეული შეხედულება რევოლუციის არსის შესახებ. „ფიქრი იმაზე, რომ რევოლუცია შეიძლება უწოდო მხოლოდ ნგრევას - და არა შეცვლას არსებული პოლიტიკური ორგანიზაციისას, ნიშნავს უდიდეს შეცდომას... ანარქიას მიყვავართ ყოველთვის რეგრესამდე და არა პროგრესამდე. ერთი რეჟიმის შეცვლა მეორეთი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ მომზადებული იქნება პროგრამა და გეგმა, აგრეთვე კადრები ახალი ხელისუფლებისათვის“. სამწუხაროდ, ნიკოლაძის ხმა საქართველოს სინამდვილეში დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. (ჯიჯეიშვილი, 1999, 19) მხოლოდ ასეთნაირად გააზრებულ რევოლუციას თვლის ნ. ნიკოლაძე მიზანშეწონილად, ისიც აუცილებლად მომწიფებულ სათანადო პირობებში, ვინაიდან რევოლუციის ხელოვნურად გაჩაღება ყოველგვარი რეგრესისა და კატასტროფის საფუძველია.

ნ. ნიკოლაძე, ეკონომიკასაც სახელმწიფო ძლიერების საფუძველად მიიჩნევდა, ამიტომაც წინასწარ განჭვრიტა მომავალი და იგი მთლიანად დაუკავშირა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და აღიარა, რომ მხოლოდ მისი წყალობით მიიღწევა ქონებრივი კეთილდღეობა.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ნ. ნიკოლაძის აზროვნება ერთი თვისებით გამოირჩეოდა. მას არ სჩვეოდა რაიმე მოძღვრების ან დებულების პირწმინდად უარყოფა ან ხელაღებით აბსოლუტური ჭეშმარიტებად გამოცხადება. მისთვის ყოველ ძალასა და ადამიანის ყოველგვარ ნააზრესაც შეფარდებითი მნიშვნელობა და შინაარსი ჰქონდა. ყოველ საკითხს სხვა კუთხითაც აფასებდა. სხვა საზოგადო მოღვაწეებისა და პუბლიცისტებისგან განსხვავებით, იგი არამარტო

ეროვნულ საკითხს ეხებოდა, არამედ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, დემოკრატიულ და კულტურულსაც.

ნ. ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ თვითმმართველობისა და დემოკრატიული ერობების შემოღება ბურჟუაზიისა და დემოკრატიული ინტელიგენციის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. ეს ხელს შეუწყობდა საზოგადოების მსოფლმხედველობისა და თვალსაწიერის გაფართოებას; დემოკრატიული და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბებას; რაც მთავარია, ქართველი ერის ევროპეიზაციასა და პროგრესს.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძის სიღრმისეული დასაბუთებანი ერობისა და სახელმწიფოს მართვის შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები დამოუკიდებელი განვითარების, სარგებლიანობის და პროგრესულობის გარანტიაა. ნიკოლაძისეული გაგებით, თვითმმართველობისა და ერობის დაწესება უფრო მეტად დაახლოვებდა საქართველოს ევროპასთან.

ამგვარად, როგორც ნიკოლაძე იტყოდა: „მოხერხება და განათლება მოსდევს სიმართლეების გავრცელებას..“, მართლაც, მისი ერთ-ერთი წერილი «კავკაზი» თვითმმართველობის რაობაზე დასტურია ამ მოსაზრების. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ პრესამ საჭიროების შემთხვევაში უნდა «გაამატრახო» თვითმმართველობა და რეალური სახე დაანახოს საზოგადოებას, რათა შემდეგში სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. სიმართლის ჩვენება კი, მოხერხებულობის, ზოგადი განათლებისა და სიმამაცის გარეშე შეუძლებელია.

მოცემული კვლევა დაგვიჩვენებს პარალელი გაგვევლო მე-19 საუკუნესა და დღევანდელიობაში მინდინარე მოვლენებს შორის. მართალია, მე-19 საუკუნის შემდეგ კაცობრიობა ბევრად განვითარდა, თუმცა საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, პატიოსნება კვლავაც გამოწვევად რჩება. ასორმოცდაათი წლის გასვლის შემდეგაც ცხადია, რომ ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, თვითმმართველობის უფლება-მოვალეობების გაზრდა მმართველობის უკეთესი ფორმა და სახელმწიფოს დემოკრატიული მშენებლობის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ლობჯანიძე, გ. (2013). ნიკონიკოლაძის ზოგიერთი მოსაზრება სასამართლოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ., თბილისი.

ნიკოლაძე, ნ. (1880). «კავკაზი» თვითმმართველობის თაობაზე. “ობზორი”.

ნიკოლაძე, ნ. (1882). «ერობა, მისი დანიშნულება და წესდება». “კრებული”.

ნიკოლაძე, ნ. (1894). „მოკლე მიმოხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმათა“.

ფიცხელაური, ა. (2021, მარტი 2). ნიკო ნიკოლაძე – კაცი, რომელმაც გაუსწრო დროს. თბილისი.

ჯიჯეიშვილი, ქ. (1999). “ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრობლემების შესახებ”, თბილისი.

ჯორჯაძე, ა. (1911) „ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის“, თბილისი.

სახელმწიფო ვალის მართვა და მისი მნიშვნელობა

ლიზი ხმალაძე, ელენე ჯინჭარაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოს ერთ-ერთი დღისწესრიგი არის ევროპასთან დაახლოება და შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ შეძლოს ვალის სწორად მართვა. გამომდინარე აქედან, ქვეყანას სჭირდება მდგრადი ფისკალური პოლიტიკა, ასევე კარგი სუვერენული რეიტინგი იმისათვის, რომ მეტი ინვესტორი მოიზიდოს და სწორედ ამიტომ, დღითიდღე მეტ მნიშვნელობას იძენს ფისკალური წესები და მათი დაცვა. ორი ძირითადი ფისკალური წესიდან არჩევანი სწორედ სახელმწიფო ვალსა და მის მართვაზე შევაჩერეთ, რადგან მისი მართვა ძალიან მნიშვნელოვანია მდგრადი ფისკალური პოლიტიკისა და ფისკალური დისციპლინისთვის. დღესდღეობით, ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სახელმწიფო ვალის ზრდა დიდ ინტერესს იწვევს. სწორედ ამიტომ, გვსურს განვიხილოთ საქართველოს სახელმწიფო ვალი, მისი მნიშვნელობა და ის გამომწვევი მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო ვალის ზრდას. ვისაუბრებთ, იმაზე თუ რამდენად სწორად მართავს საქართველო სახელმწიფო ვალს, ყურადღებას გავამახვილებთ მისი მართვის სტრატეგიებზე. ჩვენი კვლევის მიზანია სწორედ ეს არის, რომ მაქსიმალურად სწორად მივიტანოთ მსმენელამდე სახელმწიფო ვალის მნიშვნელობა, თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენს ის სახელმწიფოს პოლიტიკაზე, მიმდინარე პროცესებზე. გარდა ამისა, მკაფიოდ განვიხილავთ, საქართველოს საშინაო და საგარეო ვალს, ვალის წესს, რატომ უნდა ვმართოთ ვალი სწორად. ასევე, რამდენად არის ჩვენი ბაზარი ორიენტირებული იმაზე, რომ საგარეო ვალში ეტაპობრივად განვითარდეს შიდა ვალი. გარდა ამისა, მოვიყვანთ სხვა ქვეყნების მაგალითს, მათი სახელმწიფო მართვის სტრატეგიებს.

დასასრულ, შევაფასებთ, რამდენად გონივრულად მართავს საქართველო საგარეო და საშინაო ვალს მშპ-სთან მიმართებით და გავცემთ რეკომენდაციებს.

1. სახელმწიფო ვალი

დღითიდღე მეტ მნიშვნელობას იძენს ფისკალური წესები და მათი დაცვა. ძირითადი ორი ფისკალური წესიდან: ესენია ვალი და დეფიციტი. დღევანდელი ჩვენი პრეზენტაციაა სწორედ სახ-ო ვალის მართვის საკითხს შეეხება.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სახელმწიფო ვალი შედგება სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალისგან, რომელთა კლასიფიცირებაც ვალუტის მიხედვით ხდება. ვალი რომელიც აღებულია ეროვნულ ვალუტაში, კლასიფიცირდება როგორც საშინაო, ხოლო ვალი რომელიც აღებულია უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში, კლასიფიცირდება

როგორც საგარეო ვალი.

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფო ვალის აკვარგიანობაზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. იმ შემთხვევაში თუ მოხდება ვალის გონივრული მართვა, მისი რაციონალური გამოყენება, ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა დალიმიტების დაცვა, იგი შესაძლებელია ეკონომიკის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ბერკეტად იქცეს. ვალის მეშვეობით შესაძლებელია დაფინანსდეს ინვესტიციები, თავიდან აცილებულ იქნას გადასახდების ზრდა და ა.შ., რამაც ეკონომიკის ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს; მაგრამ თუ ვალის მართვა და გამოყენება არაეფექტიანად მოხდება, ამან შესაძლოა ქვეყანა მძიმე მდგომარეობამდეც მიიყვანოს.

სახელმწიფო ვალის სიდიდის დასადგენად ვალის აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზი ნაკლებად გამოსადეგია. აღნიშნულისთვის გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორები და კრიტიკული ზღვრები, მაგალითად, როგორცაა ვალის მშპ-სთან თანაფარდობა. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით აღნიშნული თანაფარდობა 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში - „საქართველო 2020“-ის მიხედვით ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 40%-ზე მეტი არ უნდა იყოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით კი, განვითარებადი ქვეყნებისთვის აღნიშნული ზღვარი 50%-ია.

გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის შესაბამისად საქართველო ამჟამად შედის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე (Upper Middle Income) ქვეყანათა ჯგუფში. მოსალოდნელია, რომ საქართველოს შეღავათიან დაფინანსებაზე წვდომა ექნება საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად, შეღავათიან სესხებზე ხელმისაწვდომობა თანდათან შემცირდება.

- ❖ საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სწორედ ის არის პასუხისმგებელი საქართველოს სახელით აღებული სახელმწიფო საგარეო ვალის მართვაზე, მომსახურებასა და დაბრუნებაზე.
- ❖ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციების შედეგად განსაზღვრავს მომავალი წლისათვის საშინაო და საგარეო ვალის მოცულობასა და მისი აღების პირობებს. რაღა თქმა უნდა პარლამენტის თანხმობით.


2. საგარეო ვალი

ქვეყნის საგარეო ვალი არის სახელმწიფო ვალის ის ნაწილი, რომელიც ქვეყანამ ისესხა უცხოური მსესხებლებისგან, მათ შორის, კომერციული ბანკებისგან, მთავრობებისგან ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან. როგორც წესი, ქვეყნები საგარეო ვალს მაშინ იღებენ, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურებს არ ჰყოფნით რესურსები დასახული მიზნების მისაღწევად. საგარეო ვალი თითქმის ყველა ქვეყანას აქვს, ის არის ეკონომიკის ჩვეულებრივი და

ამავდროულად, მნიშვნელოვანი ნაწილი და უკან იმ ვალუტაში ბრუნდება, რომელშიც ის გაიცა.

საგარეო ვალი ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს გააფართოოს საკუთარი წარმოება და გაზარდოს ეკონომიკა, თუმცა სახელმწიფომ იმაზე მეტი ვალი არ უნდა აიღოს, რისი გადახდისუნარიანობაც არ ექნება.

რამდენად გონივრულად იღებს ქვეყანა საგარეო ვალს, ამის შესფასებლად საგარეო ვალის მშპ-სთან შესაბამისობას უყურებენ. საერთაშორისო მონეტარული ფონდი (IMF) ერთ-ერთი ის ორგანიზაციაა, რომელიც ზედამხედველობას უწევს ქვეყნების საგარეო ვალს. ასევე, მსოფლიო ბანკი ყოველკვარტლურად აქვეყნებს ანგარიშს ქვეყნების საგარეო ვალის სტატისტიკის შესახებ.



მოცემული ცხრილი კი გვიჩვენებს საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგომარეობას 2023 წლის მაისისთვის.

**სახელმწიფო ვალის მდგომარეობა
საანგარიშსწორებო პერიოდი - 2023 წლის მაისი**


ათასი ლარი	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	ნაშთი პერიოდის ბოლოს	ნაშთის გადახრა წინა თვესთან	ათვისებული/შემოსული თანხა პერიოდში	ძირითადი თანხის დაფარვა პერიოდში	გადახდილი საპროცენტო ხარჯი პერიოდში ****
სახელმწიფო საგარეო ვალი *	21,353,894.9	21,783,646.7	429,751.7	86,475.9	106,868.3	59,630.0
მ.შ. მთავრობის ვალი *	20,270,984.7	20,684,357.6	413,372.9	86,475.9	98,415.2	46,971.1
სახელმწიფო საგარეო ვალი USD	\$8,552,847.7	\$8,404,508.9	\$(148,338.8)	\$34,088.6	\$42,690.8	\$23,684.7
მ.შ. მთავრობის ვალი USD	\$8,119,111.1	\$7,980,384.1	\$(138,727.0)	\$34,088.6	\$39,350.9	\$18,598.1
სახელმწიფო საშინაო ვალი **	7,367,536.8	7,577,720.1	210,183.3	250,799.4	40,616.1	60,507.3
მ.შ. მთავრობის ვალი***	7,451,844.0	7,663,689.7	211,845.7	250,799.4	40,714.7	60,617.3
სულ სახელმწიფო ვალი	28,721,431.7	29,361,366.8	639,935.0	337,275.3	147,484.3	120,137.3
მ.შ. მთავრობის ვალი	27,722,828.7	28,348,047.2	625,218.6	337,275.3	139,129.9	107,588.3

მომდევნო ცხრილი კი გვიჩვენებს საქართველოს მთავრობის ვალის პორტფელის აღწერას. მოცემულია მთავრობის ვალის პორტფელის დინამიკა მშპ-სთან მიმართებით 2010–2022 წლებისთვის.



მთავრობის ვალის პორტფელის აღწერა

მთავრობის ვალის პორტფელის დინამიკა შშპ-თან მიმართებით 2010-2022 წლებისთვის



2021 წლის ბოლოს მდგომარეობით, PPP ვალდებულებების ჩათვლით მთავრობის მთლიანი ვალი შეადგენს შშპ-ს 50.1%-ს

Activ

საშინაო ვალი

გარდა საგარეო ვალისა, სახელმწიფოს გააჩნია საშინაო ვალიც. საგარეო ვალისგან განსხვავებით, საშინაო ვალის დადებითი მახასიათებელია, რომ ვალუტის კურსის მერყეობა მასზე ნაკლებად ახდენს ზეგავლენას, რადგანაც ქვეყანა საშინაო ვალს ეროვნულ ვალუტაში იღებს. სახელმწიფო ვალში საშინაო ვალის მაღალი წილი იმ ქვეყნებს შეუძლიათ ჰქონდეთ, რომელთა შიდა საკრედიტო ბაზარიც კარგად არის განვითარებული და შესაბამისად, შიდა დანაზოგების დიდი მოცულობა აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, საშინაო ვალი უფრო უსაფრთხო ჩანს, გარკვეულ რისკებს მაინც შეიცავს. მაგალითად, როდესაც მთავრობა ფულს საკუთარი მოქალაქეებისგან სესხულობს, მათ დამატებითი გადასახადების გადახდა უწევთ, რადგანაც, თავის მხრივ, მთავრობას სესხის საპროცენტო განაკვეთი აქვს გადასახდელი. ასევე, ფულის ისედაც შეზღუდული რესურსი კერძო სექტორიდან სახელმწიფო სექტორში გადადის, არადა კერძო სექტორი უფრო მაღალი პროდუქტიულობით ხასიათდება. ამიტომაც, საშინაო ვალის შემთხვევაშიც ჩნდება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი გავლენის რისკი.

მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს მთავრობის საშინაო ვალის მდომარეობას 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობას.

მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი 31/05/2023-ის მდგომარეობით

		<i>ათასი ლარი</i>
<u>საწყისი ვადიანობის მიხედვით</u>	ნაშთი	დაუფარავი მოცულობა ნომინალში
მთავრობის საშინაო ვალი	7,663,689.6	7,593,892.5
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	7,314,874.1	7,245,077.0
სახაზინო ვალდებულებები (1 წლამდე ვადის მქონე)	388,015.4	420,000.0
სახაზინო ობლიგაციები (1 წელზე მეტი ვადის მქონე)	6,926,858.7	6,825,077.0
სხვა ფასიანი ქაღალდები	262,846.0	262,846.0
ობლიგაცია სებ-ისთვის	80,846.0	80,846.0
ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	182,000.0	182,000.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი *	85,969.5	85,969.5
<i>მ.შ. სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები</i>	<i>47,004.2</i>	<i>47,004.2</i>

ვალის მართვის სტრატეგიები - ევროზონდები

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის შემდეგ, 2022-2025 წლების მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ვალის მშპ-თან შეფარდების მაჩვენებლის კრიზისამდელ დონეზე დაბრუნება წარმოადგენდა. 2021 წლის განმავლობაში ეკონომიკურმა აღმასვლამ დადებითი გავლენა იქონია ადგილობრივი ვალუტის გამყარებაზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მთავრობის საგარეო ვალის მოცულობა ადგილობრივ ვალუტაში. შედეგად, 2021 წლის ბოლოს მთავრობის წმინდა ვალის მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელმა 45.7% შეადგინა, რაც მთავრობის ვალის მართვის 2022-2025 წლების სტრატეგიის შუალედურ მაჩვენებლად იყო განსაზღვრული. 2022 წლის წინასწარი შეფასებით მთავრობის წმინდა ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი შეადგენს 36.1%-ს.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილი საქართველოს მთავრობის ვალში ისტორიულად მაღალია. ეს ფაქტორი კვლავ რჩება ვალის მართვის უმთავრეს პრობლემურ საკითხად. 2021 წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულმა ვალმა მთლიანი ვალის პორტფელის 80.4% შეადგინა, რაც აღემატება რეგიონის და სხვა შესადარი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს.

საქართველოს მთავრობის ვალის მოცულობამ 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით შეადგინა 29,812 მილიონი ლარი. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლისთვის, 28,538 მილიონ ლარს შეადგენს. მათ შორის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის მოცულობა, 21,392 მილიონი ლარი, ხოლო ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ვალის მოცულობა 7,146 მილიონი ლარია. 2021-2022 წლებში ეკონომიკის აღდგენის შედეგად ვალის მშპ-თან ფარდობამ 2022 წლის წინასწარი შეფასებით 39.5%, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის მშპ-თან ფარდობამ 29.6% შეადგინა. 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით მთავრობის მთლიანი ვალის პორტფელის 80.4%-ს შეადგენდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალი. 2022 წლის ბოლოსთვის აღნიშნული

მაჩვენებელი 75.0%-მდე მცირდება. მიუხედავად კლებადი ტენდენციისა, ზემოხსენებული მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალ ნიშნულზეა.

კოვიდის პერიოდში საქართველოს ვალი

2020 წლის მარტში კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების დაწყებისთანავე ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება დაიწყო და შედეგად, 2020 წლის ბოლოსთვის, 2019 წლის დეკემბერთან შედარებით, ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით 14.3%-ით გაუფასურდა, რაც პირდაპირ აისახა ვალის მოცულობაზე, თუმცა 2021-2022 წლებში გამყარების ტენდენციას ავლენს. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 31 ოქტომბრის მონაცემით მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი, 20 149.6 მლნ ლარი, მთავრობის მთლიანი ვალის 74%-ია.


კოვიდ-19-ის პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზეც. 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა მძიმე რეცესიაში შევიდა - რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 6.8%-ით შემცირდა. ამასთან, 2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 12.5%-მდე გაიზარდა, ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ წლიურად 14.3%-ით გაუფასურდა, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 9.6% შეადგინა. ეკონომიკური ვარდნის პირობებში საჭირო გახდა მთავრობას ქმედითი ნაბიჯები გადაედგა, რათა, ერთი მხრივ, ადამიანების სიცოცხლე გადაერჩინა, ხოლო, მეორე მხრივ, შეემსუბუქებინა პანდემიიდან მომდინარე უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე. ამ მიზნით მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ბიუჯეტის დეფიციტი, რომლის დასაფინანსებლად საჭირო გახდა დამატებითი რესურსების მოზიდვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან. შედეგად, 2020 წელს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის მიმართ გადასცდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ 3.0%-იან ნიშნულს და 9.0% შეადგინა, ხოლო სახელმწიფო ვალმა მშპ-ის 62.6%-ს (მთავრობის ვალმა მშპ-ის მიმართ 60.2% შეადგინა) მიაღწია, რაც დაახლოებით 20 პროცენტული პუნქტით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს.

პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკებისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმა.

COVID-19-ის პანდემიის საქართველოში გავრცელების და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისის დაწყების ფონზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ 2020 წლის მეორე კვარტალში წარმატებით დასრულდა მე-6 მიმოხილვა, რამაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ჯანსაღ ფისკალურ დისციპლინას. ეს კი, თავის მხრივ, დადებითი სიგნალი იყო როგორც დონორებისთვის ისე საერთაშორისო ინვესტორებისთვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს უზრუნველყოფამ მაღალი ხარისხის საინფორმაციო სისტემებით (eBudget; eTreasury; eDMS) მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პანდემიის პერიოდში ფისკალური და ვალის მართვის პოლიტიკის ეფექტიანად და შეუფერხებლად წარმართვას.

დიაგრამა 2: სახელმწიფო/მთავრობის მთლიანი ვალი



3. როგორ მართავს საქ-ო ვალს?

როგორც ვახსენეთ პანდემიის პერიოდმა სრულიად შეცვალა საქართველოში ყველაფერთან ერთად საგარეო პოლიტიკა, თუმცა გამონაკლისი ამ დროისთვის საქართველო არ იყო და როგორც ვახსენეთ 2020 წელს მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობა 60%-იან ზღვრულ ნიშნულს გადაცდა. მიუხედავად იმისა, მთავრობის ქმედებები პანდემიის განმავლობაში არ მოდის წინააღმდეგობაში 2019-2021 წლების სტრატეგიასთან. სარეიტინგო სააგენტოების მეთოდოლოგიით, მთავრობის ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილის მაჩვენებელი უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის სუვერენულ რეიტინგზე. საქართველოს მთავრობის ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის მაღალი დონე (80.4% 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით) მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოსთვის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების შესაძლებლობას და ვალის მართვის პოლიტიკის ეფექტიანობას.

არარეზიდენტი ინვესტორების წილის ზრდა.

არარეზიდენტი ინვესტორების წილის ზრდით მოხდება ინვესტორთა ბაზის დივერსიფი-

კაცია, რაც შეამცირებს ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ვალის ხარჯს და გაზრდის ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში. ამ მიზნით 2022 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაასრულა ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიაზე მუშაობა, რაც ინვესტორებთან პერიოდული შეხვედრებით (Roadshows), რეგულარული და ეფექტური კომუნიკაციით ხელს შეუწყობს არარეზიდენტი ინვესტორების მოზიდვას ქვეყანაში. ამავდროულად, საერთაშორისო ინდექსში ჩართვა გაზრდის არარეზიდენტი ინვესტორების აქტივობას ადგილობრივ ბაზარზე.

2022 წლის ივლისიდან ინვესტორებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობის ზრდის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო მთავრობის ვალის ყოველთვიური ანგარიშის გამოქვეყნება;

გატარებულმა ფისკალურმა პოლიტიკამ აჩვენა, რომ კრიზისის პირობებში მნიშვნელოვანია მთავრობა შეხვდეს მომზადებული, კერძოდ:

• ეკონომიკური ზრდის და აღმავლობის პირობებში მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ფისკალური სივრცის შექმნას, რაც მოიაზრებს საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას და სახელმწიფო ვალის შემცირებას, რათა მომავალში მოულოდნელი შოკის (მოულოდნელი ხარჯების ზრდა ან შემოსავლების შემცირება) შემთხვევაში მთავრობამ შეძლოს დროის მოკლე მონაკვეთში და ნაკლები საგარეო დაფინანსებით შოკის მართვა

• აუცილებელია ვალის მშპ-სთან თანაფარდობა და ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი შენარჩუნდეს დასაშვებ დონეზე

• ასევე, მნიშვნელოვანია სავალუტო რისკის გათვალისწინებაც. ამ მიზნით საჭიროა ვალის მოწყვლადობის შემცირება გაცვლითი კურსის ცვალებადობის მიმართ, რაც მიიღწევა ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის ეტაპობრივი შემცირებით.

და ბოლოს შეჯამების სახით ვიტყვით, რომ განვითარების დადებითი ტრექტორიის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია არსებული ვალის მართვის სტრატეგიის მიხედვით მოქმედება და ამასთან რეგიონში ახლახანს განვითარებული ახალი შოკების ფონზე (რუსეთის შეჭრა და ომი უკრაინაში), ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში ახლო დაკვირვება და დროული რეაგირება ახლად წარმოქმნილ გამოწვევებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

https://drive.google.com/file/d/1KsudhqHuz6rS_czn-458l8574Fb-bET2/view

<https://pbo.parliament.ge/>

<https://mof.ge/5629>

<https://drive.google.com/file/d/12-lyqFEkWepb5nBxge5i37i2MdVFOPwh/view>

<https://drive.google.com/file/d/1l6U15HSol0ZIyhvhyQnAmLsSiQ76p7Xq/view>

<https://drive.google.com/file/d/1DQQYSQWajhgRe1cYip5A1P2KAjWumNzO/view>

ინტერნეტ რეკლამა თანამედროვე ეტაპზე: განვითარების ტენდენციები და ეფექტიანობა

ზურა გოგოლაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების როლი და მნიშვნელობა, რასაც, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ინტერნეტისა და სოციალური მედიის სწრაფმა განვითარებამ შეუწყო ხელი.

ინტერაქტიული ბუნება ინტერნეტის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობაა. ცალმხრივი საკომუნიკაციო ფორმის ტრადიციული მედიისგან განსხვავებით, ინტერნეტით შესაძლებელია ორმხრივი კომუნიკაცია. ინტერნეტი კომპანიებს გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად კომერციული ეფექტიანობის გაზომვის საშუალებას აძლევს. სამაუწყებლო მედიისა და ბეჭდვითი მედიის მსგავსად ინტერნეტიც უმნიშვნელოვანესი სარეკლამო საშუალებაა.

ინტერნეტ რეკლამის გავრცელებული ფორმებია: რეკლამა საძიებო სისტემებში, ბანერული რეკლამა, მულტიმედია ე. წ. rich მედია რეკლამა (მოიცავს ამომხტარ ფანჯრებს ე.წ. Pop-up-ს, ინტერსტიციალურ ჩანართებს, ვიდეორეკლამებს), ვებსაიტები და დაფინანსებული (დასპონსორებული) საიტები, ბლოგები და პოდკასტები, რეკლამა ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, მობილური რეკლამა, რეკლამა ქცევის საფუძველზე და სხვ.

გლობალური სარეკლამო ხარჯები 2010 წლიდან მუდმივად იზრდება და, სავარაუდოდ, 2023 წელს დაახლოებით 856 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს. 2022 წლის მდგომარეობით, ინტერნეტი ითვლებოდა ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებად რეკლამის განმთავსებლებისთვის, რაც მედია სარეკლამო დანახარჯების 62 %-ს შეადგენდა. ვარაუდობენ, რომ ეს ხარჯები კიდევ უფრო გაიზრდება.

მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ენიჭება სოციალურ მედიას. 2023 წლის მარტისთვის მსოფლიოში სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობამ 4,9 მილიარდს მიაღწია. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2027 წლისთვის 5,85 მილიარდს მიაღწევს. Facebook ყველაზე დიდი სოციალური მედიის პლატფორმაა მომხმარებელთა ბაზის თვალსაზრისით. 2023 წლის მარტისთვის მას 2,958 მილიარდი მომხმარებელი ჰყავდა. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ქვეყანაში 2022 წლის იანვარში ინტერნეტის 2,88 მლნ მომხმარებელი იყო, სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობამ კი 3,35 მლნ მომხმარებელი შეადგინა.

ნაშრომში განხილულია ინტერნეტ რეკლამის როლი და მნიშვნელობა ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში, ინტერნეტ რეკლამის ძირითადი ფორმები, ინტერნეტ

რეკლამის განვითარების ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში, მოცემულია ინტერნეტ რეკლამის ეფექტიანობის გაზომვის ძირითადი მეთოდები. ჩვენ მიერ ქ. გორში ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგების საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია სარეკლამო მედიუმების, ინტერნეტისა და სოციალური მედიის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება, აგრეთვე ინტერნეტ რეკლამებისადმი მომხმარებელთა განწყობა. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია ძირითადი პრობლემების გადაჭრის ავტორისეული ხედვა და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ რეკლამა, ინტერაქტიული მედია, სოციალური მედია, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, მომხმარებელი.

შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების როლი და მნიშვნელობა, რასაც, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ინტერნეტისა და სოციალური მედიის სწრაფმა განვითარებამ შეუწყო ხელი.

ინტერაქტიული ბუნება ინტერნეტის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობაა. ცალმხრივი საკომუნიკაციო ფორმის მქონე ტრადიციული მედიისგან განსხვავებით, ციფრული მედიით - ინტერნეტით - ორმხრივი კომუნიკაციაა შესაძლებელი. სამაუწყებლო მედიისა (ტელევიზია, რადიო) და ბეჭდვითი მედიის (გაზეთები, ჟურნალები) მსგავსად ინტერნეტიც უმნიშვნელოვანესი სარეკლამო მედიუმი.

ლიტერატურის მიმოხილვა

ინტერნეტ რეკლამის შესახებ არაერთი ნაშრომი გამოქვეყნებული ქართულ და ინგლისურ ენებზე. ჩვენ ნაშრომში დავეყრდენით როგორც ქართულენოვან, აგრეთვე ინგლისურენოვან წყაროებს. თუმცა შევეცადეთ გამოგვეყენებინა უახლესი ლიტერატურა და სტატისტიკური მონაცემები.

მეთოდოლოგია

საკვლევ ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ანალიზის, სინთეზის, შედარების, გამოკითხვის მეთოდები.

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერნეტ რეკლამის ნაცვლად გამოიყენება აგრეთვე ტერმინები „ვებ-რეკლამა“, „ციფრული რეკლამა“, „ონლაინ რეკლამა“. ინტერნეტ რეკლამა წარმოადგენს რეკლამას, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ახდენს პროდუქტისა და მომსახურების გაყიდვის სტიმულირებას ინტერნეტ მომხმარებლებისთვის.

ინტერნეტ რეკლამის მრავალი ფორმაა გავრცელებული. მარკეტინგის მკვლევრები თერენს ა. შიმი და ჯ. ქრეიგ ენდრიუსი გამოყოფენ ინტერნეტ რეკლამის შემდეგ ფორმებს: რეკლამა საძიებო

სისტემებში, ბანერული რეკლამა, მულტიმედია ე.წ. rich მედია რეკლამა (მოიცავს ამომხტარ, ამოცურებულ ფანჯრებს ე.წ. Pop-up-ს, ინტერსტიციალურ ჩანართებს, სუპერსტიციალებს, ვიდეორეკლამებს), ვებსაიტები და დაფინანსებული (დასპონსორებული) საიტები, ბლოგები და პოდკასტები, რეკლამა ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, მობილური რეკლამა, რეკლამა ქცევის საფუძველზე და სხვ. (Shimp & Andrews, 2013, p. 355)

საძიებო სისტემებში რეკლამა ინტერნეტ რეკლამის ერთ-ერთი გავრცელებული და პოპულარული ფორმაა. საძიებო რეკლამები მორგებულია საძიებო სისტემებში, მაგალითად Google-ში, Yahoo-ში შეყვანილ საკვანძო სიტყვებსა და ტერმინებზე (Shimp & Andrews, 2013, p. 355). ამასთან, საძიებელ სისტემაში რეკლამის დროს მერეკლამე რეკლამის განთავსების საფასურს მომხმარებლის მიერ მის რეკლამაზე დაწკაპუნების ან ბმულის მეშვეობით საძიებელ გვერდთან დაკავშირების შემთხვევაში იხდის (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 501).

ინტერნეტ რეკლამის ფორმებს შორის ერთ-ერთი პოპულარული სარეკლამო ფორმატი სტატიკური რეკლამაა, რომელიც ბანერის სახელითაა ცნობილია. ბანერული რეკლამები წარმოადგენს სტატიკურ რეკლამას, რომელიც გარკვეულწილად ჟურნალებსა და გაზეთებში განთავსებული ბეჭდური რეკლამის მსგავსია (Shimp & Andrews, 2013, p. 358). თუმცა მეცნიერები ნ. თოდუა და რ. აბულაძე აღნიშნავენ, რომ ბანერები შეიძლება იყოს როგორც უძრავი (სტატიკური), ისე ანიმაციური (თოდუა & აბულაძე, 2011, გვ. 220). საგულისხმოა, რომ ბანერები ინტერნეტ რეკლამის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 500).

მულტიმედია ე.წ. rich მედია რეკლამა მოიცავს ამომხტარ, ამოცურებულ ფანჯრებს ე.წ. Pop-up-ს, ინტერსტიციალურ ჩანართებს, სუპერსტიციალებს და ვიდეორეკლამებს. ამომხტარი, ამოცურებული ფანჯრები ე.წ. Pop-up რეკლამები ჩნდება სარეკლამო ფანჯარაში, სანამ არჩეული ვებგვერდი იტვირთება. ამომხტარი ფანჯარა რჩება მანამ, სანამ მომხმარებელი მათ ხელით არ დახურავს (Shimp & Andrews, 2013, p. 360). ინტერსტიციალური ჩანართები ისეთი რეკლამებია, რომლებიც კომპიუტერის ეკრანზე ჩნდება იმ პერიოდში, სანამ ვებგვერდი იტვირთება (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 501). ინტერსტიციალური ჩანართები გარკვეულწილად Pop-Up-ს წააგავს, თუმცა Pop-Up-ის დახურვა ხელით შესაძლებელია, ინტერსტიციალური ჩანართების შემთხვევაში კი მომხმარებლებს მთელი რეკლამის გაშვებამდე გარკვეული ლოდინი უწევთ (Shimp & Andrews, 2013, p. 360). სუპერსტიციალები მოკლე, ანიმაციური რეკლამებია, რომლებიც ვებგვერდის ზემოთ გაეშვება. რაც შეეხება ონლაინ ვიდეო რეკლამებს, იგი წარმოადგენს აუდიოვიზუალურ რეკლამებს, რომელთა ხანგრძლივობა 15 წამიდან რამდენიმე წუთამდეა (Shimp & Andrews, 2013, p. 360).

კომპანიის ვებგვერდითა ვისთავად უკვე რეკლამა კომპანიისთვის. ვებსაიტი ფასდაუდებელი სარეკლამო საშუალებაა ბრენდის, მისი მახასიათებლებისა და სარეკლამო შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის გადასაცემად (Shimp & Andrews, 2013, p. 362). რაც შეეხება სპონსორობას, იგი მოიცავს მერეკლამის მიერ პროდუქციასა და ტელეპროგრამის შინაარსზე, აგრეთვე მოცემულ პროგრამაში სარეკლამო პაუზის დროს გადაცემულ რეკლამაზე პასუხისმგებლობის გაზიარებას (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 771).

მერეკლამებისთვის აუდიტორიის შერჩევის ერთ-ერთი საშუალებაა ბლოგი. ბლოგი (იგივე ვებლოგი) ინტერნეტში განთავსებული პერიოდული ხასიათის პუბლიკაციებია, რომელიც მომხმარებელს უკუქრონოლოგიით მიეწოდება. მაგალითად, ბლოგები შეიძლება შეიქმნას ღვინის თემაზე, ბავშვების სწორ კვებასა და აღზრდაზე, სპორტის შესახებ და სხვ. (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 507). იმის მიუხედავად, რომ ტრადიციული ბლოგები წერილობითი დოკუმენტებია, პოდკასტინგი ბლოგის აუდიო ვერსიას წარმოადგენს. პოდკასტი არის MP3 აუდიო ფაილები, რომლებიც უფასოდაა ხელმისაწვდომი ონლაინ და ახლავს წერილობითი ბლოგები (Shimp & Andrews, 2013, p. 364).

მერეკლამები ხშირად მიმართავენ ელ-ფოსტას, როგორც ერთ-ერთ სარეკლამო საშუალებას. კომპანიები მომხმარებლებს ხშირად დაუკითხავად უგზავნიან ელ-ფოსტაზე სარეკლამო ხასიათის წერილებს ე.წ. „სპამს“.

სულ უფრო იზრდება მობილური ტელეფონებისა და იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც მობილური ინტერნეტით სარგებლობენ, რაც საკმაოდ მიმზიდველ გარემოს ქმნის მერეკლამებისთვის.

რაც შეეხება რეკლამის კიდევ ერთ ფორმას - ქცევის საფუძველზე შერჩევას, იგი ორიენტირებულია მერეკლამეთა მიერ ინტერნეტ მომხმარებლის შერჩევაზე, რომელიც ეფუძნება ინტერნეტმომხმარებელთა ქცევას. მარკეტერები სწავლობენ, თუ რომელ ვებგვერდებს სტუმრობენ მომხმარებლები, რას ეძებენ ინტერნეტში და ა.შ. ამ შესწავლის საფუძველზე კი კონკრეტულ შეთავაზებას სთავაზობენ მათ. (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 502-503).

ინტერნეტ რეკლამას ახასიათებს როგორც უპირატესობები, აგრეთვე ნაკლოვანებებიც. ინტერნეტ რეკლამის უპირატესობებია:

უფრო ფართო აუდიტორიაზე წვდომა. ინტერნეტ რეკლამა კომპანიებს საშუალებას აძლევს უფრო ფართო აუდიტორიას მიწვდნენ, ვიდრე რეკლამის ტრადიციული ფორმების გამოყენების შემთხვევაში (Science A Plus, 2023);

ხარჯების ეფექტურობა. ინტერნეტ რეკლამაზე დანახარჯები ტრადიციულ სარეკლამო მედიუმებთან (ტელევიზია, რადიო, გაზეთები, ჟურნალები) შედარებით, გაცილებით ნაკლებია და, ამასთან, დანახარჯებზე კონტროლი ეფექტური, რაც მცირე კომპანიებს საკუთარ მომხმარებელთა გაზრდის საშუალებას აძლევს (Science A Plus, 2023);

მოქნილობა. ინტერნეტ რეკლამა კომპანიებისთვის უფრო მოქნილია. კომპანიებს შეუძლიათ მარტივად შეცვალონ თავიანთი სარეკლამო კამპანია, ბიუჯეტი და სხვ. (Science A Plus, 2023);

დროის თვალსაზრისით შეუზღუდავი. მომხმარებლებს საშუალება აქვთ რეკლამა 24x7-ზე ნახონ. აქედან გამომდინარე კომპანიებს შეუძლიათ მუდმივად იმუშაონ საკუთარი რეკლამებით (Roomi, 2020).

ინტერაქტიულობა. შესაძლებელია ინფორმაციის ურთიერთგაცვლა მომხმარებელსა და კომპანიას შორის და ა.შ.

რაც შეეხება ინტერნეტ რეკლამის ნაკლოვანებებს, შეგვიძლია დავასახელოთ:

ინტერნეტ რეკლამის გაზომვის სირთულე. ინტერნეტში განხორციელებული ქმედებების

გაზომვით მიღებული შედეგები არ არის უტყუარი და ნაკლებად სანდოა;

გადატვირთულობა. ინტერნეტში რეკლამების მოჭარბებული რაოდენობა შეიმჩნევა სოციალურ ქსელებში, საძიებო სისტემებში, მობილურ აპლიკაციებში და ა.შ. მომხმარებელი ვერ ახერხებს ყველა რეკლამის აღქმას (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 513);

თაღლითობის შესაძლებლობა. ინტერნეტ მომხმარებლის მონაცემები მისი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე ხვდება მომხმარებელთა მონაცემების სიაში. პრობლემას ქმნის ჰაკერული თავდასხმები, სოციალურ ქსელებში კომპანიების ყალბი გვერდებისა და ინფორმაციის გავრცელება (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 513);

გაღიზიანება. ინტერნეტში მოჭარბებული რეკლამები მომხმარებელთა გაღიზიანებასა და უკმაყოფილებას იწვევს. მათ შესაძლებელია აღარც კი გაუჩნდეთ რეკლამის ნახვის სურვილი (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 513).

საგულისხმოა, რომ ინტერნეტი კომპანიებს გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად კომერციული ეფექტიანობის გაზომვის საშუალებას აძლევს. იმ კრიტერიუმებს შორის, რომლებსაც კომპანიები ინტერნეტში საკუთარი მარკეტინგული ძალისხმევის ეფექტიანობის გასაზომად იყენებენ, შეგვიძლია გამოვყოთ: მაუსზე ხელის დაჭერა, უნიკალური მნახველები, რეკლამის ნახვის დრო, ნახვის შემდგომ განხორციელებული ინტერაქციების რაოდენობა, ინტერნეტსივრცის გარეთ გაყიდვის ზრდა და ა.შ. (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 511).

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, მარკეტინგის მკვლევრები ჯორჯ. ი. ბელჩი და მაიკლ. ე. ბელჩი ინტერნეტის ეფექტიანობის გაზომვის ტრადიციულ მარკეტინგულ და კომუნიკაციურ რამდენიმე მეთოდს გვთავაზობენ. ეს მეთოდებია:

1. დამახსოვრება და გახსენება. ცალკეული კომპანიები ინტერნეტის ეფექტიანობის გასაზომად იყენებენ ტრადიციულ საშუალებას - რეკლამის დამახსოვრებისა და გახსენების მაჩვენებლებს;
2. გამოკითხვა. გამოკითხვების ჩატარება რამდენიმე წლის წინ ძირითადად ტრადიციული გზით (მაგალითად, ანკეტური ფორმით) იყო შესაძლებელი, თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიების შედეგად დღეს ინტერნეტითაცაა შესაძლებელი (მაგალითად, Google Forms-ის პლატფორმით), თანაც უფრო სწრაფად და გაცილებით ნაკლები დანახარჯებით. გამოკითხვის მეშვეობით დგინდება ვებგვერდების გამოყენების სიხშირე, ვებგვერდებისადმი და რეკლამებისადმი დამოკიდებულება და ა.შ.;
3. გაყიდვა. ელექტრონული კომერციის მარკეტერებისთვის ეფექტიანობის უმთავრეს მაჩვენებელს გაყიდვის მოცულობა წარმოადგენს. მომხმარებელთა დემოგრაფიული მონაცემების, ქცევის ძირითადი თავისებურებებისა და სხვა მონაცემების შესახებ დამატებითი ინფორმაცია გარკვეულწილად გაყიდვის მაჩვენებლის ზრდის საშუალებას იძლევა;
4. პროცესზე დაკვირვება. ცალკეული კომპანიები ამჟამადაც ეფექტიანობის

გაზომვის ისეთი ტრადიციული მაჩვენებლების დინამიკას აკვირდება, როგორცაა ბრენდის ცნობადობა, რეკლამის გახსენება, გზავნილით გამოწვეული ასოციაცია და განზრახვა ყიდვის შესახებ;


5. ინვესტიციიდან უკუგების (Return on investment- ROI) კოეფიციენტი. ინვესტიციებად განიხილავენ რეკლამასა და სტიმულირებაზე დახარჯულ თანხას, რომელმაც უკუგება უნდა მოგვცეს (ბელჩი & ბელჩი, 2013, გვ. 245, 511).

გლობალური სარეკლამო ხარჯები 2010 წლიდან მუდმივად იზრდება და, სავარაუდოდ, 2023 წელს დაახლოებით 856 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს. 2022 წლის მდგომარეობით, ინტერნეტი ითვლებოდა ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებად რეკლამის განმთავსებლებისთვის, რაც მედია სარეკლამო დანახარჯების 62 %-ს შეადგენდა. ვარაუდობენ, რომ ეს ხარჯები კიდევ უფრო გაიზრდება (Statista Research Department, 2023).

ინტერნეტ რეკლამის ხარჯების ზრდის ტენდენცია თვალნათლივ ჩანს დიაგრამაზე (დიაგრამა 1), სადაც 2022 წელს მთელს მსოფლიოში სარეკლამო მედიუმების მიხედვით სარეკლამო ხარჯების განაწილებაა მოცემული.

დიაგრამა 1.

2022 წელს სარეკლამო ხარჯების განაწილება მთელს მსოფლიოში სარეკლამო მედიუმების მიხედვით



წყარო: Statista. (2023).

მოცემული დიაგრამიდან ნათლად იკვეთება, რომ ინტერნეტ რეკლამის დანახარჯების პროცენტული წილი გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა სარეკლამო მედიუმებისა (ტელევიზია, რადიო, გაზეთები, ჟურნალები და სხვ.). სარეკლამო დანახარჯები ძირითადად ორ მედიუმზე

მოდის - ინტერნეტსა და ტელევიზიაზე. ინტერნეტი იქცა ტრადიციული - სამაუწყებლო და ბეჭდვითი მედიის უმთავრეს კონკურენტად.

მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ენიჭება სოციალურ მედიას. 2023 წლის ივნისისთვის მსოფლიოში სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობამ 4,9 მილიარდს მიაღწია. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2027 წლისთვის 5,85 მილიარდს გადააჭარბებს (Ruby, 2023). Facebook ყველაზე დიდი სოციალური მედიის პლატფორმაა მომხმარებელთა ბაზის თვალსაზრისით, რომელსაც 2,958 მილიარდი მომხმარებელი ჰყავს (Ruby, 2023).

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ქვეყანაში 2022 წლის იანვარში ინტერნეტის 2,88 მილიონი მომხმარებელი იყო. სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობამ კი 3,35 მილიონი მომხმარებელი შეადგინა (Kemp, 2022). Meta-ს სარეკლამო რესურსებში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2022 წლის იანვარში Facebook-ს საქართველოში 2,70 მილიონი მომხმარებელი ჰყავდა, Instagram-ს - 1,45 მილიონი მომხმარებელი, LinkedIn-ს 440.0 ათასი „წევრი“, ხოლო Twitter-ს - 143,6 ათასი მომხმარებელი (Kemp, 2022).

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ქ. გორში ჩავატარეთ კვლევა გამოკითხვის სახით სარეკლამო მედიუმების, ინტერნეტისა და სოციალური მედიის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, შევისწავლეთ აგრეთვე ინტერნეტ რეკლამებისადმი მომხმარებელთა განწყობაც. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 203 ადამიანმა, რომელთა შორის 49,8% ქალია, ხოლო 50,2% - მამაკაცი. გამოკითხულთა 4,9% 18 წლამდე ასაკისაა, 52,7% - 18-დან 25 წლამდე, 9,9% - 26-დან 35 წლამდე, 12,8% - 36-დან 45 წლამდე ასაკის, ხოლო 19,7% 46 წელზე მეტისაა.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ რესპონდენტთა 90,1% ყველაზე ხშირად ინტერნეტით, 8,9% - ტელევიზიით, 0,5% - ჟურნალებით, 0,5% - რადიოთი სარგებლობს. ამასთან, 58,1% ინტერნეტით ყოველთვის სარგებლობს, 30% - ხშირად, 6,9% - ხანდახან, 4,9% - იშვიათად.

რაც შეეხება სოციალურ მედიის მიმართ დამოკიდებულებას, გამოკითხულთა 45,8% ინტერნეტში ყველაზე ხშირად Facebook-ით სარგებლობს, 22,2% - Google-ით, 13,8% - YouTube-ით, 14,8% - Instagram-ით, 3,5%-მა სხვადასხვა პლატფორმები დაასახელა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო გამოგვევლინა ინტერნეტ რეკლამების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 3,4% რეკლამებს ინტერნეტში ყოველთვის უყურებს, 15,3% - ხშირად, 28,1% - ხანდახან, 39,4% - იშვიათად, 13,8% - არასოდეს. რესპონდენტთა 49,3 %-ს ინტერნეტში ყველაზე ხშირად რეკლამა YouTube-ზე ხვდება, 34%-ს - Facebook-ზე, 8,9%-ს - Google-ზე, 3,9%-ს - Instagram-ზე, ხოლო 4%-მა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პლატფორმები დაასახელა. გაირკვა, რომ 3,9%-ს ინტერნეტში განთავსებული რეკლამების მიმართ ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს, 11,3%-ს - კარგი, 51,2%-ს - არც კარგი და არც ცუდი, 19,7%-ს - ცუდი, 13,8%-ს - ძალიან ცუდი. გამოკითხულთა 45,3%-ს ინტერნეტში ნანახი რეკლამის გავლენით პროდუქტი/მომსახურება შეუძენია, ხოლო 54,7%-ს - არა.

დასკვნები

კვლევის შედეგებს გარკვეულ დასკვნებამდე მივყავართ. კერძოდ, ინტერნეტით მოსარგებლე ადამიანთა რაოდენობა ბევრად აღემატება სხვა, ტრადიციული მედიით - ტელევიზიით, რადიოთი, გაზეთებითა და ჟურნალებით - მოსარგებლე ადამიანთა რაოდენობას. ამასთან, საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 11,8% სარგებლობს ინტერნეტით ხანდახან ან იშვიათად, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის კომპანიებისთვის რეკლამების ინტერნეტში განთავსების თვალსაზრისით. რამდენიმე ათეული წლის წინ კი, ინტერნეტ რესურსების განვითარებამდე, ტელევიზია წარმოადგენდა შეუცვლელ მარკეტინგულ მედიუმს. გასაკვირი არ არის, რომ რესპონდენტთა ყველაზე მეტი ხვედრითი წილი - 45,8% სწორედ Facebook-ზე მოდის, ვინაიდან ზემოთ განხილული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე Facebook-ს ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს საქართველოში. კვლევის შედეგებით მეორე ადგილს 22,2%-ით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საძიებო სისტემა Google იკავებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ Google-ს თვეში დაახლოებით 89,3 მილიარდჯერ სტუმრობენ, საძიებო სისტემა დღეში 8,5 მილიარდზე მეტ ძიებას ამუშავებს, 2022 წლის იანვარში Google-ს ბაზრის წილის 91,9% ეკავა (Mohsin, 2023), არც ეს შედეგი იყო გასაკვირი. რაც შეეხება ინტერნეტ რეკლამების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებას, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერნეტ რეკლამების ყურებადობის თვალსაზრისით არ არის სახარბიელო მდგომარეობა კომპანიებისთვის, ვინაიდან გამოკითხულთა 81,3% რეკლამებს ინტერნეტში ხანდახან, იშვიათად ან საერთოდ არ უყურებს. ასეთ შემთხვევაში მომხმარებლებმა შეიძლება რეკლამა არ ნახონ, ან იშვიათად მიაქციონ ყურადღება. მომხმარებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას - 83,3%-ს რეკლამა YouTube-სა და Facebook-ზე ხვდება. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით გადატვირთულია YouTube, სადაც ესა თუ ის ვიდეო რამდენჯერმე წყდება რეკლამით. გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ინტერნეტ რეკლამის მიმართ მომხმარებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ნეიტრალური (51,2%) და ნეგატიური (33,5%) დამოკიდებულება აქვს, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია. აღნიშნული დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, უმთავრესად გამოწვეული უნდა იყოს რეკლამების გადაჭარბებული რაოდენობით, განსაკუთრებით YouTube-სა და Facebook-ზე, რაც ხშირ შემთხვევებში მომხმარებელთა გაღიზიანების მიზეზი ხდება. არც ინტერნეტ რეკლამის გავლენით პროდუქტის/მომსახურების შეძენის მაჩვენებელია სახარბიელო. გამოდის, რომ გამოკითხულთა უმრავლესობაზე (54,7%) რეკლამა გავლენას ვერ ახდენს, რაც, ჩვენი აზრით, შეიძლება იმით აიხსნას, რომ რეკლამებში არცთუ იშვიათად ხდება პროდუქტის/მომსახურების სარგებლის ზედმეტად, გადაჭარბებულად წარმოდგენა. ხშირია შემთხვევები, როდესაც მომხმარებელს რეკლამის გავლენით შეუძენია პროდუქტი და იმედგაცრუებული დარჩენილა. ამრიგად, ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების გაანალიზებისა და დამუშავებული ლიტერატურის საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

- აუცილებლად მიგვაჩნია კომპანიებმა ფეხი აუწყონ თანამედროვე გამოწვევებს და დანერგონ ინოვაციები. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან კომპანიები, მათ შორის ქ. გორში, რომლებიც შესაბამის ყურადღებას არ უთმობენ მარკეტინგს, რეკლამას, ზოგჯერ კი უგულებელყოფენ მათ.

დღესდღეობით კი გაზრდილი კონკურენციის პირობებში ბაზარზე წარმატების მიღწევა ინტერნეტში ვებგვერდისა და რეკლამების გამოყენების გარეშე ძალიან რთულია. მობილური მარკეტინგის მზარდი ტენდენციების ფონზე შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მომხმარებელი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ კომპანიების ვებგვერდებით - მათთვის შესაბამისი მობილური აპლიკაციები უფრო კომფორტული და მოსახერხებელია;

- კომპანიების მარკეტინგული სტრატეგია ინტერნეტ რეკლამის სფეროში უნდა მოიცავდეს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სხვა ელემენტებსაც. მიგვაჩნია, რომ ინტერნეტ რეკლამა უფრო ეფექტიანი იმ შემთხვევაში იქნება, თუ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სხვა ელემენტებთან ერთად იქნება გამოყენებული;

- რეკლამა არ უნდა იწვევდეს მომხმარებლებში უარყოფით დამოკიდებულებასა და გაღიზიანებას, პირიქით, მან უნდა მიიზიდოს ისინი. არ არის სასურველი ინტერნეტ რეკლამების ზედმეტად ხშირი გამოყენება;

- კომპანიებმა საკუთარი პროდუქტებისა თუ მომსახურებების სარგებელი რეკლამაში უნდა წარმოაჩინონ რეალისტურად და არ უნდა მიაწიონ ისეთი თვისებები, რაც ამ პროდუქტებს/მომსახურებას არ გააჩნია. ამით თავიდან იქნება აცილებული მომხმარებლების მხრიდან რეკლამების მიმართ უნდობლობა, უარყოფითი დამოკიდებულება;

- როგორც მომხმარებლების, ისე კომპანიების მხრიდან აუცილებელია ინტერნეტში უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. უკანასკნელ პერიოდში გახშირებული თაღლითობების, ფიშინგის, ყალბი ამბების გავრცელების გამო მრავალი მომხმარებელი დაზარალდა;

- რეკლამა, გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, უნდა იყოს კრეატიული, ორიგინალური და გამორჩეული, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაინტერესდეს და გაუჩნდეს ნახვის სურვილი;

- კომპანიებმა თავი უნდა აარიდონ ინტერნეტ რეკლამაში დისკრიმინაციის შემცველი ელემენტების გამოყენებას;

- მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებთ კომპანიებს ბავშვებთან მიმართებაში. სოციალური ქსელების მიერ არასრულწლოვანი მომხმარებლების რეგისტრაციის აკრძალვის მიუხედავად, ხშირად ვხვდებით სოციალურ ქსელებში არასრულწლოვნებს, რომლებიც შესაძლებელია რეკლამების გავლენის ქვეშ მოექცნენ.

ბიბლიოგრაფია

ბელჩი, ჯ. ი., & ბელჩი, მ. ე. (2013). რეკლამა და პრომოცია. თბილისი: დიოგენე.

თოდუა, ნ., & აბულაძე, რ. (2011). ინტერნეტ-მარკეტინგი. თბილისი: უნივერსალი.

Kemp, S. (2022, February 16). Digital 2022: Georgia. Retrieved from <https://datareportal.com/reports/digital-2022-georgia>

Mohsin, M. (2023, January 13). 10 Google Search Statistics You Need to Know in 2023 [Infographic].

Retrieved from <https://www.oberlo.com/blog/google-search-statistics>

- Roomi, M. (2020 , December 19). 7 Advantages and Disadvantages of Website Advertising | Drawbacks & Benefits of Website Advertising. Retrieved from <https://www.hitechwhizz.com/2020/12/7-advantages-and-disadvantages-drawbacks-benefits-of-website-advertising.html>
- Ruby, D. (2023, June 7). Social Media Users 2023 - (Global Demographics). Retrieved from <https://www.demandsage.com/social-media-users/>
- Science A Plus. (2023, March 4). Advantages and Disadvantages of Online Advertising. Retrieved from <https://scienceaplus.com/blog/advantages-disadvantages-online-advertising/>
- Shimp, T. A. & Andrews, J. C. (2013). Advertising, Promotion, and Other Aspects of Integrated Marketing Communications. South-Western, Cengage Learning.
- Statista Research Department (2023, March 1). Digital advertising spending worldwide 2021-2026. Retrieved from <https://www.statista.com/statistics/237974/online-advertising-spending-worldwide/>
- Statista. (2023). Distribution of advertising spending worldwide in 2022, by medium. Retrieved from <https://www.statista.com/statistics/376260/global-ad-spend-distribution-by-medium/>

ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება ქართულ ციფრულ მედიაში

თამარ იაკობაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, ბოლო პერიოდში ონლაინ მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ მომზადებული მასალების ფორმებისა და გაშუქების სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიღება და კონტენტის ანალიზი. ძირითადი დარღვევების გამოკვეთა და დადებითი ტენდენციის აღნიშვნა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში 8 პოპულარული და სანდო რეპუტაციის მქონე ციფრული მედიიდან 130 ჟურნალისტური მასალა გაანალიზდა, რომლებიც ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ იყო მომზადებული.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შერჩეული მედიასაშუალებებიდან გაანალიზებული მასალების უმეტესობა ნიუსის ტიპისაა და ფაქტის მხოლოდ ზედაპირულად აღწერა ხდება. ერთეულ შემთხვევებში მზადდება სიღრმისეული სტატიები და ჟურნალისტური გამოძიებები. ძირითადად კი მომზადებული მასალების განზოგადება შეუძლებელია და იგი მხოლოდ ერთი კონკრეტული ფაქტის აღწერას ისახავს მიზნად. შედეგად, ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბურობის მედიაში აღწერა სათანადოდ ვერ ხერხდება.

კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ბავშვის იდენტიფიცირების თვალსაზრისით, პროგრესია და მცირე ნაწილში ხდება ირიბი იდენტიფიცირება. ე.წ. ხმაურიანი სათაურები, რომლებიც, როგორც წესი, რეიტინგის გაზრდას ისახავს მიზნად, კვლავ პრობლემატურია და ზოგიერთი ჟურნალისტური მასალის შემთხვევაში, ფოტოებიც არაეთიკური, ზოგჯერ კი ძირითად შინაარსთან შეუსაბამოა.

კვლევამ საკვლევ შეკითხვებს პასუხი გასცა და დაადასტურა ის ჰიპოთეზა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება ონლაინ მედიაში ხშირად ზედაპირულია, არ ასახავს პრობლემის მასშტაბს და ზოგიერთ შემთხვევაში, რეიტინგის ზრდასა და სენსაციის გამოწვევას ისახავს მიზნად, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს აზიანებს.

საკვანძო სიტყვები: ბავშვი, მოზარდი, არასრულწლოვანი, ძალადობა, პედოფილია, ბულინგი, კიბერბულინგი.

შესავალი

ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა საქართველოსა და მსოფლიოს მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოს გაეროს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, მსოფლიოში 2016 წელს ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა მილიარდამდე ბავშვმა განიცადა. ამავ

კვლევის მიხედვით, 2013-2017 წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 60% თვლიდა, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება დასაშვებია და შედეგიანია. 45% კი მიიჩნევდა, რომ ბავშვებზე ძალადობა მიღებული ფორმაა. აღსანიშნავია ისიც, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით „საქსტატის“ მიერ ჩატარებულ ახალ კვლევაში, რომელიც 2023 წელს გამოქვეყნდა და 2022 წლის ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდში განხორციელდა, აღნიშნულია, რომ წინა წლებთან შედარებით აღზრდის ძალადობრივი მეთოდები შემცირებულია, თუმცა, ბავშვების 29.4%-ში ოჯახში ფსიქოლოგიური აგრესია გავრცელდა. (საქსტატი, 2023)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, ქვეყანაში 2021 წელს ოჯახში ძალადობას, 17 წელზე უმცროსი ასაკის 579 ბავშვი განიცდიდა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022, 196)

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2021 წლის კვლევის მიხედვით დგინდება, რომ მსოფლიოში ბავშვების ნახევარი ძალადობის სხვადასხვა ფორმას განიცდის. (World Health Organization, 2022)

გაეროს ბავშვთა ფონდი კი ბულინგს გლობალურ პრობლემას უწოდებს და საუბრობს, როგორც ბულერების, ასევე ბულინგის მსხვერპლი ბავშვების ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებზე. (Unicef, 2018)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში კიბერ დანაშაულის მზარდი სტატისტიკა და სხვადასხვა შემთხვევასთან ერთად, ბავშვთა ონლაინ პორნოგრაფია მნიშვნელოვანი გამოწვევაა. (შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2023)

გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებს და წერენ, რომ მთელ მსოფლიოში 13-დან 15 წლამდე ასაკის 130 მილიონამდე მოსწავლე სკოლაში ბულინგს განიცდის და სხვადასხვა ნიშნით იჩაგრება. (ვეიდკუნი, საუთივეა და სხვა ავტორები, 2023, 18)

გაეროს ბავშვთა ფონდის 2019 წლის კვლევის მიხედვით, 30 ქვეყანაში ყოველი მესამე მოზარდი კიბერბულინგის მსხვერპლია (ვეიდკუნი, საუთივეა და სხვა ავტორები, 2023, 47)

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ კი 2021 წელს მედიაგარემოს შეფასებისას აღნიშნა, რომ ხშირად მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება სენსაციურ კონტენტს ატარებს, რაც საკითხის სწორად აღქმასა და პრობლემის გაანალიზებას ართულებს. (World Health Organization, 2022)

აქედან გამომდინარე, საკითხი კვლავ აქტუალურია და მედიის როლი პრობლემის წარმოჩენაში განსაკუთრებით დიდია.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2013 წლის კვლევის მიხედვით, ბავშვთა საკითხების მედიაში გაშუქება ძირითადად ზედაპირულია, ხოლო ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ირიბი იდენტიფიცირება კვლავ გამოწვევაა. (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის

ქარტია, 2013)

2014 წლის მედიამონიტორინგი კი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბავშვების რეტრავმატიზებისა და სტიგმატიზებისა და არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენება კვლავ პრობლემაა. (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2014)

2016 წელს დალი ოსეფაშვილმა ჩაატარა კვლევა, რომელიც მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქებას ეხებოდა და იგი აღნიშნავდა, რომ სენსაციური გაშუქების ტენდენცია და საკითხზე არაკომპეტენტური პირების კომენტარების ჩაწერა პრობლემაა. (Osepashvili, 2016).

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკამ ბოლო მედიამონიტორინგი 2017 წელს ჩაატარა და აღნიშნა, რომ ციფრულ მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ მომზადებული მასალების რაოდენობა იზრდება, თუმცა უმრავლესობა ზედაპირულია და მედიასაშუალებები სენსაციურ ჭრილს ვერ ელევან. (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2017)

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2021 წელს 20-ზე მეტი ქვეყნიდან, 50-ზე მეტი ჟურნალისტის გამოცდილება გაიზიარა და აღნიშნა, ხშირად მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება სენსაციურ კონტექსტს ატარებს, რაც საკითხის სწორად აღქმასა და პრობლემის გაანალიზებას ართულებს. (World Health Organization, 2022, 3)

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Journalists) კომერციულ კონკურენციაზე ჯერ კიდევ 2002 წელს საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ მედია ბავშვთა საკითხების, მით უფრო, ძალადობის სენსაციალიზაციისაკენაა მიდრეკილი და ამ ფორმით ცდილობს, საკუთარი ამბები უკეთესად „გაყიდოს“. (International Federation of Journalists, 2002)

რეიჩელ ვეინმა (Wayne, 2013) 2013 წელს გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია -The Social Construction of Childhood Bullying Through U.S. News Media, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებში ბავშვთა მიმართ ბულინგის მედიაში ასახვის ძირითადი ტენდენციების გამოყოფას ისახავდა მიზნად. კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ მასალების დიდი ნაწილი ზედაპირულად იყო მომზადებული, სტატიების მხოლოდ 20%-ში იყო ბულინგთან და ძალადობრივ ქცევებთან დაკავშირებული კვლევები მოშველიებული. (Wayne, 2013)

სამეცნიერო და საინჟინრო კვლევის საერთაშორისო ჟურნალში (International Journal of Scientific & Engineering Research) განხილულია საკითხები, თუ როგორ აშუქებს განვითარებად ქვეყნებში მედია ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას. ავტორმა, ჰაიამ ჯაიმ (Qayyum, 2018) განსახილველად სამხრეთ აფრიკაში, პაკისტანსა და ინდოეთში არსებული სიტუაცია შეარჩია. კონტენტანალიზის მეთოდით სხვადასხვა მედია შეისწავლეს და აღნიშნეს, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფოტოების გამოქვეყნება და მათი იდენტიფიკაცია კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა. (Qayyum, 2018)

ამავეს იმეორებს პრადიპ ნაირის (Nair, 2019) მიერ ჩატარებული კვლევა ინდოეთში და აღნიშნავს, რომ მედია, ამ თვალსაზრისით, ხშირად ეთიკური ფორმების დარღვევით საუბრობს, ბავშვთა მიმართ ძალადობას სენსაციურ ჭრილში წარადგენს და სტერეოტიპულ მიდგომებს კიდევ უფრო განამტკიცებს.

თავი II. კვლევის დიზაინი

აღნიშნული კვლევის მიზანია, ბოლო პერიოდში ონლაინ მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ მომზადებული მასალების ფორმებისა და გაშუქების სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიღება და კონტენტის ანალიზი. ძირითადი დარღვევების გამოკვეთა და დადებითი ტენდენციის აღნიშვნა.

ჰიპოთეზა: ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება ონლაინ მედიაში ხშირად ზედაპირულია, არ ასახავს პრობლემის მასშტაბს და ზოგიერთ შემთხვევაში, რეიტინგის ზრდასა და სენსაციის გამოწვევას ისახავს მიზნად, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს აზიანებს.

საკვლევი კითხვები

1. როგორ შუქდება ონლაინ მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ თემები?

- რამდენად ხშირად იყენებს მედია ხმაურიან, ე.წ. ყვითელ სათაურებს?
- რამდენად ამომწურავია ინფორმაცია, რომელიც ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ ქვეყნდება?
- ვის იყენებს მედია წყაროდ?
- რამდენადაა საკითხი სიღრმისეულად გაშუქებული, თუ მედია თემაზე მხოლოდ მცირე ზომის ინფორმაციას, ნიუსს, აქვეყნებს?
- ონლაინ მედიაში რამდენად ხშირად ქვეყნდება ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ მომზადებული სიღრმისეული სტატია, ჟურნალისტური გამოძიება, რეპორტაჟი, სადაც საკითხი განზოგადებულია და საერთო პრობლემაზეა საუბარი?

2. რამდენად იცავს მედია ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქებისას ეთიკურ სტანდარტებს?

- ონლაინ მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ მომზადებულ მასალაში შესაძლებელია, თუ არა ბავშვის ან მისი ოჯახის წევრებისა და საცხოვრებელი გარემოს ამოცნობა?
- რამდენად ხშირად იყენებს მედია დაზარალებულ ბავშვს რესპონდენტად?
- რამდენად ხშირად ხდება ბავშვის ირიბი იდენტიფიცირება?
- არის თუ არა ონლაინ მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქებისას მომზადებული მასალა ბავშვისთვის, ოჯახის წევრებისთვის მატრავმირებელი?

2.1. კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო

კვლევის მეთოდად კონტენტ-ანალიზის მეთოდი შეირჩა. აღნიშნული მეთოდით შეფასდა, ერთი მხრივ, მედია მესიჯები და იმ კონტენტის შინაარსი, რაც საკვლევ თემას უკავშირდება, მეორე მხრივ, კონკრეტულ მედიასაშუალებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების გაშუქების სიხშირე. ხოლო თეორიულ ჩარჩოდ ფრეიმინგის თეორია გამოვიყენეთ, რომელმაც გვაჩვენა, რა გავლენის მოხდენა შეუძლია მედია-მესიჯებს ადამიანებზე და მათ აღქმებზე.

2.3. შერჩევა

აღნიშნული კვლევის ფარგლებში 8 ციფრული მედიიდან, 2022 წლის 1 იანვრიდან- 2022 წლის 31 დეკემბრამდე მონაკვეთში გამოქვეყნებული 130 ჟურნალისტური მასალა გაანალიზდა. ონლაინ მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ გამოქვეყნებული მასალების ძებნის მთავარი სიტყვები იყო: „არასრულწლოვანი“, „ბავშვი“, „მოზარდი“, „ძალადობა“, „პედოფილია“, „ბულინგი“, „კიბერბულინგი“. შედეგად, დაახლოებით, 250 ლინკი შეგროვდა, რომელთაგანაც ყოველი მეორე, ჯამში კი 130 ჟურნალისტური მასალა გაანალიზდა.

რაც შეეხება მედიასაშუალებებს, კვლევის ფარგლებში შემდეგ ციფრულ მედიასაშუალებებს დავაკვირდით: „რადიო თავისუფლება“, „ბათუმელები/ნეტგაზეთი“, „On.ge“, „პუბლიკა“, „Ambebi.ge“, „Prime-time.ge“, „რუსთავი 2-ის ვებგვერდის ნაწილი“, „ტვ-პირველის ვებგვერდის ნაწილი“.

მოცემილი მედიასაშუალებები ორი განსაზღვრული კრიტერიუმის მიხედვით შეირჩა. გათვალისწინებულია გამოცემების რეიტინგულობა და ეთიკურად აღიარების, ხარისხისა და სანდოობის მაჩვენებლობა.

თავი IV. ძირითადი მიგნებები

- არსებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ 2022 წლის განმავლობაში საკვლევად არჩეული ციფრული მედიასაშუალებებიდან ბავშვთა მიმართ ძალადობას ყველაზე მეტი ჟურნალისტური მასალა Ambebi.ge-მ მიუძღვნა. თუმცა, მათი უმრავლესობა ნიუსის ტიპის იყო, ასახავდა ფაქტებს ზედაპირულად და არ იყო მცდელობა, პრობლემა უფრო განზოგადებულად წარმოეჩინათ.
- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ყველაზე მრავალფეროვანი მასალები ბავშვთა მიმართ ძალადობას გამოცემამ - ბათუმელები/ნეტგაზეთი მიუძღვნა.
- შერჩეული მედიასაშუალებებიდან აღნიშნულ თემას ყველაზე მეტი სიღრმისეული სტატია „რადიო თავისუფლებამ“ მიუძღვნა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2022 წლის განმავლობაში შერჩეული ციფრული მედიასაშუალებებიდან ერთადერთი ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდა და მისი ავტორიც „რადიო თავისუფლება“ იყო.
- ძალადობის ფაქტები გამოცემა „პუბლიკამ“ ძირითადად ნიუსებით გააშუქა და წყაროდ შსს-ს, ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ინფორმაციასა და პრესრელიზებს დაეყრდნო.
- აღნიშნული კვლევის ფარგლებში, გამოცემა On.ge-ს შემთხვევაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მედიასაშუალება ცდილობს, ოფიციალური განცხადების პარალელურად, მოკლე სტატისტიკური მონაცემი, ან კომენტარი დაამატოს.
- მოცემული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტი არაეთიკური, ძირითად ტექსტთან შეუსაბამო ფოტო გამოცემა Prime-Time.ge-მ გამოიყენა. მომზადებული მასალები კი ძირითადად ნიუსის ტიპის იყო და სათაურად ე.წ. ხმაურიანი ფრაზის გამოტანის ტენდენცია

შეინიშნებოდა.

- ყველაზე მეტი ისეთი სათაური, რომელიც ფაქტის გამმაფრებას, ინტერესის ამ ფორმით გაზრდასა და გარკვეულწილად, სენსაციის გამოწვევას ისახავს მიზნად, ტვ-პირველის ვებგვერდის ნაწილში აღინიშნა.
- რაც შეეხება რუსთავი 2-ის ვებგვერდის ნაწილს, მედიასაშუალება ხშირად, ისევე, როგორც Ambebi.ge, Prime-Time.ge და ტვ-პირველის ვებგვერდის ნაწილი ე.წ. ორმაგ სათაურებს იყენებს და კითხვის ნიშანს ტოვებს.
- მოცემული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლის განმავლობაში შერჩეულმა მედიასაშუალებებმა ბულინგისა და კიბერბულინგის თემას, იშვიათად, მხოლოდ ერთეული მასალები მიუძღვნეს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მედია აღნიშნულ თემებს აშუქებდა, მათ უმეტესობას სენსაციურობის ელემენტები ახლდა თან, ჰქონდა ხმაურიანი, ე.წ. ყვითელი სათაურები.
- დადებითი ტენდენციაა იმ კუთხით, რომ ციფრულ მედიაში ისეთი პირების კომენტარები, რომლებიც მოცემულ საკითხში არაკომპეტენტურები არიან და ძირითადად, გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებენ, მნიშვნელოვნად შემცირდა.
- აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვის იდენტიფიცირების საკითხი ჟურნალისტური მასალების მცირე ნაწილშია შესაძლებელი.
- რამდენიმე შემთხვევაში გამოიკვეთა ისიც, რომ მედიამ მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვი ჩაწერა და მისი კომენტარი გაავრცელა.
- პრობლემაა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მედიასაშუალება იმდენად უცვლის სათაურით ამბავს კონტექსტს, რომ მკითხველი ვერ ხვდება, რის შესახებაა ინფორმაცია.
- აღსანიშნავია, რომ ფოტოები, უმრავლეს შემთხვევაში, ეთიკური. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მედიასაშუალებაში ფოტო და ტექსტის შინაარსი აცდენილი იყო და არსებული სტიგმის გაძლიერებას ხელს უწყობდა.
- აღნიშნული კვლევით დადასტურდა, რომ მედიასაშუალებები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში უთმობენ ყურადღებას იმას, თუ რა როლი აქვს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ოჯახში, სკოლასა და ბაღში არსებულ დამოკიდებულებებს, მასწავლებლების, მშობლების, ზოგჯერ, ერთი შეხედვით, უწყინარ ფრაზებსა და შეფასებებს. სწორედ ამ ასაკში დამკვიდრებული სტერეოტიპები კი ბავშვს სამომავლოდ ძალიან ბევრი მიმართულებით უშლის ხელს.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შერჩეული მედიასაშუალებებიდან გაანალიზებული მასალების უმეტესობა ნიუსის ტიპისაა და ფაქტის მხოლოდ ზედაპირულად აღწერა ხდება. შედეგად, ქართულ მედიასივრცეში არსებული პრობლემა, ამ თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა. ის ფაქტი, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში

მზადდება სიღრმისეული სტატიები, თუ ჟურნალისტური გამოძიებები, მნიშვნელოვანი ინდიკატორია იმის შესაფასებლად, რომ მედია, არსებული პრობლემის მასშტაბურობის მიუხედავად, აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღებას არ უთმობს. არ იღებს საჭირო პასუხისმგებლობას საზოგადოების ინფორმირებულობასა და დანაშაულთან ბრძოლის გზების ძიების თვალსაზრისით. მედია, ხშირ შემთხვევაში, ოფიციალური უწყებების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის პრეს-რელიზის გამავრცელებელია და საკითხის დამატებით შესწავლას, სიღრმისეულ ანალიზს დროსა და სივრცეს აღარ უთმობს. პრობლემა ე.წ. ხმაურიანი, სენსაციის გამომწვევი სათაურები.

ზოგიერთ შემთხვევაში მედიასაშუალება რეიტინგს ბავშვის ინტერესებს ამჯობინებს და აქვეყნებს ისეთ სათაურებს, რაც არაეთიკური და ღირსების შემლახავია.

მასალათა უმრავლესობაში ბავშვის ინტერესები გათვალისწინებულია და დანაშაულის სიმძიმეც ნაჩვენებია. აღსანიშნავია, რომ მოძალადის გამართლების მცდელობა მხოლოდ მცირე ნაწილშია.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ონლაინ მედიაში გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობა სიღრმისეული არ არის. აღნიშნული კვლევით გამოიკვეთა, რომ 2022 წლის განმავლობაში მედიასაშუალებებში ყველაზე ხშირად სექსუალური ძალადობისა და პედოფილიის შესახებ მომზადდა მასალები. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, უმრავლეს შემთხვევაში, ფაქტები ზედაპირულად იყო აღწერილი.

უმრავლეს შემთხვევაში ეთიკურობა დაცულია, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტურ მასალას მშობლის ფოტოს, საცხოვრებელი გარემოს, სკოლის ამსახველ კადრს ურთავენ. ამავდროულად, გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ფოტო მასალის შინაარსს არ ემთხვეოდა.

აღნიშნული კვლევით ჩვენი ჰიპოთეზა, რომ ონლაინ მედიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის გაშუქება ხშირად ზედაპირულია, არ ასახავს პრობლემის მასშტაბს და ზოგიერთ შემთხვევაში, რეიტინგის ზრდასა და სენსაციის გამოწვევას ისახავს მიზნად, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს აზიანებს, დადასტურდა. შესწავლილი მასალების უმრავლესობა ნიუსის ტიპისაა, ეყრდნობა მხოლოდ ზედაპირულ ფაქტებს და პრობლემის სრულად გამოკვეთა არ ხდება.

ონლაინ მედია ჯერ კიდევ ვერ ელევა სენსაციის გამომწვევი ინფორმაციის გავრცელებას და ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვის ინტერესები დაცული არ არის.

ასევე, წინა კვლევებთან შედარებით, ბავშვების პირდაპირი, ან ირიბი იდენტიფიცირების ფაქტები კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მედიასაშუალებებმა მსგავსი საკითხების გაშუქებისას საკუთარი როლი გააცნობიერეს და პასუხისმგებლობაც აიღეს.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ მედიამ ადამიანების, მშობლების, შვილების ცნობიერების ამაღლებისა

და ინფორმირებულობის პროცესში საკუთარი როლი და ფუნქცია გაითავისოს და შესთავაზოს მათ ისეთი მასალები, რაც პრობლემის შესახებ გააფრთხილებს და სწორ რეკომენდაციებს მისცემს. მაგალითად, კარგი იქნება ინტერვიუები ფსიქოლოგებთან, სპეციალისტებთან იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა ასწავლოს მშობელმა შვილს უსაფრთხოების საკითხები, უცხო პირებთან ურთიერთობის თემები. როგორ უნდა აუხსნას, რომ არ გაჰყვინენ არსად უცხო ადამიანებს, არ დასთანხმდნენ ტკბილეულსა და სათამაშოებს, რომ მაშინვე უთხრან მშობელს, თუკი ვინმე, თუნდაც ნათესავი, ახლობელი, შეეხება იმ ადგილებზე, რომლებიც ინტიმურია.

- კარგი იქნება, თუ მედიასაშუალებები სკოლებში სქესობრივი განათლების კომპონენტის დანერგვასა და გააქტიურებაზე დაიწყებენ საუბარს. სქესობრივი განათლება პირადი უსაფრთხოების, ჯანსაღი კვების, ანატომიის, მენსტრუაციის, სქესობრივად გადამდები დაავადებების შესახებ ბავშვებს ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო ინფორმაციას აწვდის და ეს საკითხი სწორად უნდა მიეწოდოს მშობლებს.
- საინტერესო იქნება კიბერუსაფრთხოების ექსპერტებთან საუბარი, თუ როგორ უნდა დაიცვან მშობლებმა შვილები ონლაინ სივრცეში.
- მნიშვნელოვანია, მედიის საშუალებით მშობლებმა კომპეტენტური პირებისაგან უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ, რა ნიშნებით შეიძლება ამოიცნონ ბავშვთა ასაკში დეპრესია, როგორი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეთ, თუ მოზარდს საკუთარი გარეგნობის გამო აზულინგებენ, ან თავადაა საკუთარ თავთან კონფლიქტში.

ბიბლიოგრაფია

- International Federation of Journalists. (2002). *Putting Children in the Right – Guidelines for Journalists*. Belgium : IMP, Hoeilaart
- Nair, P. (2019). Child sexual abuse and media: coverage, representation and advocacy. *Institutionalised Children Explorations and Beyond*, 6(1), 38-45.
- Osepashvili, D. (2016). Covering of Children’s Topics in Georgian Media: Qualitative Research. In *Explorations of Childhood* (pp. 15-26). Brill.
- Qayyum, H. (2018). Media Coverage on Child Sexual Abuse in Developing Countries. *International Journal of Scientific & Engineering Research*, 9(11), 1223-1229.
- Unicef. (2018).Bullying: a global challenge requires a global measure. ხელმისაწვდომია: <https://www.unicef-irc.org/article/1867-bullying-a-global-challenge-requires-a-global-measure.html>, ბოლო ნახვა, 2023, ივნისი
- Wayne, R. (2013). The social construction of childhood bullying through US news media. *Journal of Contemporary Anthropology*, 4(1), 3.
- World Health Organization. (2022).Reporting on violence against children. ხელმისაწვდომია: <file:///C:/Users/High-End/Downloads/9789240052116-eng.pdf>, ბოლო ნახვა, 2023, 15 ივნისი

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2017). ხელმისაწვდომია: <https://www.qartia.ge/ka/qartia>, ბოლო ნახვა, 2023, 15 ივნისი
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2017). ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CwEH1W>, ბოლო ნახვა, 2023, 15 ივნისი
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2014). ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში, (2014), ხელმისაწვდომია: <https://dokumen.tips/documents/ffffff-ffffff-ffffff-ffffff.html?page=1>, ბოლო ნახვა, 2023, 15 ივნისი
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (2013). ბავშვთა საკითხები მედიაში. ხელმისაწვდომია: <http://mediamonitor.ge/files/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%20-%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf>, ბოლო ნახვა, 2023, 15 ივნისი
- საქსტატი. (2023). ბავშვის აღზრის მეთოდები. ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/media/8171/file/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>, ბოლო ნახვა, 2023, 15 ივნისი
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). ბავშვები და მოზარდები საქართველოში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/446zyci>, ბოლო ნახვა, 2023, 15 ივნისი
- შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2023). კიბერუსაფრთხოება. ხელმისაწვდომია: <https://police.ge/projects/kiberdanashauli>, ბოლო ნახვა, 2023 წელი, 15 ივნისი

ფემიციდის გაშუქების პრაქტიკა ქართულ ციფრულ მედიაში (2022 წ. მიხედვით)

ნელი ვერულაშვილი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომი ქართულ ციფრულ მედიაში ფემიციდის გაშუქების პრაქტიკას შეეხება. ფემიციდი როგორც მსოფლიო, ასევე ლოკალურ დონეზე ერთერთ აქტუალურ პრობლემად რჩება, რომლის გადაჭრა და სტატისტიკის შემცირება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. წლებთან ერთად იცვლება მედიასაშუალებების მიერ ფემიციდის გაშუქების ხასიათი, თუმცა საერთო სურათი უცვლელია. კვლევისთვის საინტერესო აღმოჩნდა ციფრული მედია, რადგან დღევანდელ ეპოქაში საზოგადოებისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო სოციალური მედიაა. სწორედ ამიტომაც შევჯერდით ონლაინმედიასაშუალებებსა და ტელევიზიების ვებგვერდებზე, რომლებსაც აუდიტორია ძირითადად სოციალური მედიის მიხედვით ეცნობა.

მედიას საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ფემიციდის შესახებ ხედვის ჩამოყალიბებაში დიდი როლი აკისრია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რამდენად ეთიკურად აშუქებს მსგავს მწვავე და მტკივნეულ საკითხს, რა არის მთავარი გზავნილები და სთავაზობს თუ არა აუდიტო-რიას პრობლემის გადაჭრის გზებს.

საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად შერჩეული მედიასაშუალებები რაოდენობრივი კონტენტანალიზის მიხედვით შეჯამდა და ასევე, უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად თვისებრივი კონტენტანალიზი გამოვიყენეთ. შესაბამისად, გამოიკვეთა, მთავარი გზავნილები, გაშუქების სპეციფიკა და ის დეტალები, რაზეც თითოეული მედიასაშუალება ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს.

როგორც კვლევის შედეგად გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ წლებთან ერთად სიტუაცია უმჯობესდება, მედია ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ეთიკური ნორმების მაღალი ხარისხით დაცვას და მედიასაშუალებების ნაწილი რეიტინგზე ორიენტირებულობას განაგრძობს. თუმცა აღსანიშნავია მედიის ის ნაწილიც, რომელიც პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზებაზეა ორიენტირებული.

შესავალი

ფემიციდი როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ დონეზე საკმაოდ აქტუალური და მძიმე პრობლემაა. მიუხედავად ცნობიერების ამაღლების მცდელობებისა და ამტერმინთან დაკავშირებით ინფორმაციების გავრცელებისა, პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება, სტატისტიკა კი უცვლელი.

სიტყვა ფემიციდი მე-19 საუკუნიდან მოდის და აღნიშნავს ქალებისა და გოგონების მკვლელობას. სიტყვა ფემიციდი პირველად 1801 წელს ჯონ კორიმგამოიყენა (John Correy, 1801). ჯონ კორი იმ

კულტურულდამორალურფაქტორებზესაუბრობდა,რაცმსგავსდანაშაულებზეგავლენასახდენდა. ფემიციდი დღევანდელი აღქმით და ზუსტი შინაარსით აღნიშნავს მამაკაცების მიერ ქალების მკვლელობას იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ისინი ქალები არიან. ფემიციდის შემთხვევების დიდი ნაწილი ქალების ყოფილი ან ამჟამინდელი პარტნიორების მიერ არის ჩადენილი და ხანგრძლივი ძალადობისა და ზეწოლის შედეგია (World Health Organization, 2012).

ქალები ბევრ გამოწვევას აწყდებიან ცხოვრებაში და ეს ყველაზე კარგად ჩანს პრაქტიკაში და მათი გამოცდილების გამოკვლევით. ქალები ყოველთვის დიდი ზეწოლის ქვეშ არიან თავიანთ არჩევანზე, განათლებაზე, დასაქმებაზე, ქორწინებაში და ა.შ. ირიბად ისევ ცდილობენ ქალების ჩაგვრას და დისკრიმინაციას. ხშირად დანაშაულის შემთხვევებს ან მსხვერპლს საერთოდ არ ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რადგან თავად სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მათ დაცვის მექანიზმებს, საზოგადოება კი არა (Femicide in North Macedonia, Albania and Turkey, 2022).

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში არსებული კვლევები სიუხვით ვერ გამოირჩევა, მხოლოდ მცირე მონიტორინგი და თითზე ჩამოსათვლელი კვლევები მოიძებნა, რომელიც საერთო სურათს არანაირად აჩვენებს და არც პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფს.

2011 წელს ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, ქართულ მედიაში სტერეოტიპული მიდგომები ჭარბობს, გენდერული ბალანსი არ არის დაცული და ქალთა მიმართ ძალ-ადობის საკითხების გაშუქების პროცენტულბა დაბალია. ასევე, გამოიკვეთა, რომ ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობა ზედაპირულად შუქდება, მხოლოდ ფაქტის დაფიქსირებით შემოიფარგლება და დეტალებს არ აღწერს, არც პრობლემის გადაჭრის გზებს აჩვენებს. (MDF, 2011).

რაც შეეხება საერთაშორისო კვლევებსა და სტატიებს, მეთიუ შეპარდისა და ჯეიმს ბირდის სიძულვილის დანაშაულის პრევენციის აქტის 2009 წლის მიღებიდან, სიძულვილის დანაშაულები აშშ-ში განიმარტება, როგორც დანაშაული, რომელშიც დამნაშავეები მოტივირებული არიან მსხვერპლის რელიგიის, ეროვნული წარმომავლობის, რასის, ფერის, სექსუალური ორიენტაციის მიმართ მიკერძოებით. თუმცა ფემიციდი, რაც გულისხმობს ქალების მკვლელობას მათი სქესის გამო, იშვიათად არის მოხსენიებული, როგორც სიძულვილის დანაშაული ან ადამიანის უფლებების დარღვევა. (Whitten-Woodring, 2018). ფემიციდის პრობლემის გადაჭრა არის სტრუქტურული პრობლემა, რომელიც ღრმად არის ფესვგადგმული საზოგადოებაში (Hudson et al. 2012).

ქალების მკვლელობების, როგორც ფემიციდისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამოვლენამ შეიძლება ხელი შეუწყოს პოლიტიკის ცვლილებას, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას, მთავრობის პასუხისმგებლობის აღქმის გაზრდის გზით. დასკვნები მიუთითებს ჟურნალისტების ტრენინგის პოტენციურ სარგებელზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობით სიკვდილიანობის უფრო დიდ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირება და ზოგადად ფემიციდის გაშუქება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა.

(Whitten-Woodring, 2018).

საქართველოში 2014-2022 წლებში 186 ქალი მოკლეს, აქედან ოჯახური ნიშნით - 92, ხოლო სხვა მოტივით - 94. ამავე პერიოდში გამოვლინდა ქალის მკვლელობის მცდელობის 129 შემთხვევა, მათ შორის, ოჯახური ნიშნით - 79, ხოლო სხვა მოტივით - 50.

2018 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამ, 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა) და 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) მუხლებში ცვლილებები შევიდა და გენდერის ნიშანი დაემატა, რაც გულისხმობს იმას, რომ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაული საგანგებოდ გამოიყო. გენდერის ნიშნით ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის სასჯელი 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა გახდა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2018).

რაც შეეხება ფემიციდის გაშუქების სპეციფიკურობას მედიაში, გარკვეული ეთიკური სტანდარტები არეგულირებს, თუმცა ადგილი აქვს გადაცდომებსა და რეიტინგის მოხვეჭის მიზნით საკითხის არაეთიკურად გაშუქებას, რამაც საზოგადოებაში, შესაძლოა, ორაზროვანი რეაქციები გამოიწვიოს.

აღნიშნული ტენდენციიდან გამომდინარე, კვლევისთვის არჩევანი გაკეთდა ციფრულ მედიაზე, რადგან ტელევიზიებიც კი, ინფორმაციას უმეტესად სოციალური მედიის სხვადასხვა არხით ავრცელებენ. ყველაზე ოპტიმალურ მეთოდად სხვადასხვა მედიასაშუალებების შესწავლა და მათი გზავნილებისა და გამოქვეყნებული მასალების ანალიზი ჩავთვალეთ.

კვლევის მიზანი, ამოცანები და საკვლევი კითხვები

კვლევის **მიზანია**, ქართულ ციფრულ მედიაში ფემიციდის გაშუქების პრაქტიკის შესწავლა, რა სიხშირით და რა კონტექსტში შუქდება სქესის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ფაქტები.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შემდეგი **ამოცანებია** დასახული:

- რამდენად შეესაბამება ფემიციდის საკითხების ქართულ ციფრულ მედიაში გაშუქება ქვეყანაში არსებულ ჟურნალისტურ ეთიკურ სტანდარტებს;
- ქართული ციფრული მედიის მიერ ფემიციდის საკითხების გაშუქება გენდერულია თუ დეგენდერული;
- როგორია ფემიციდის საკითხების გაშუქების ქართული და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი ანალიზი;
- რამდენადაა ნაჩვენები ფემიციდის საკითხის გაშუქებისას ციფრულ მედიაში პრობლემის გადაჭრის გზები;

ჰიპოთეზა

ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების გათვალისწინებით, კვლევის წინასწარი ვარაუდი შემდეგი იყო: ფემიციდის საკითხები ქართულ ციფრულ მედიაში არსებული სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების დაცვით არ შუქდება, უმეტესად დეგენდერულია და საზოგადოებას პრობლემის გადაჭრის გზებს ვერ სთავაზობს.

ციფრულ მედიაში ფემიციდის საკითხის საკვლევად გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდი.

საკვლევ მედიასაშუალებებად შეირჩა Interpressnews.ge, Netgazeti.ge, Radiotavisufleba.ge, On.ge, Kvira.ge, Region.kvira.ge, Reportiori.ge, Rustavi2.ge, Formulanews.ge, Imedinews.ge, Kutaisipost.ge, Batumelebi.ge, Itv.ge.

აღნიშნული მედიასაშუალებები მიზნობრივად შეირჩა, რადგან მოცემულია როგორც რეგიონული, ასევე, არარეგიონული ონლაინმედიასაშუალებები და რეიტინგული ტელევიზიების ვებგვერდები. შესაბამისად, კვლევამ მოიცვა სხვადასხვა სარედაქციო პოლიტიკის, რეიტინგისა და მდებარეობის მქონე ციფრული მედიასაშუალება.

საკვლევ პერიოდად 2022 წლის მთლიანი პერიოდი შეირჩა.

არაერთი თეორიული ჩარჩო არსებობს, რომელიც უთანასწორობისა და ძალადობის საკითხების შინაარსობრივ და ემპირიულ ახსნას ცდილობს, თუმცა ამ შემთხვევაში ფრეიმინგის თეორია ყველაზე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

ფრეიმი აღნიშნული კვლევის მთავარ თეორიულ ჩარჩოდ სწორედ იმიტომ იქცა, რომ კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია იმ ფრაზების, ვიზუალური გამოსახულებებისა თუ სიტუაციების კონტექსტის გაგება, რასაც ეს მეთოდი შესაძლებელს ხდის. რა თქმა უნდა ისიც გააზრებული გვაქვს, რომ ფრეიმების მიხედვით მედიის გზავნილების აღქმა მარტივი არ არის და შედეგების უნივერსალური ვერ იქნება.

შედეგები

კვლევის პროცესში სულ გაანალიზდა 323 მასალა, აქედან 95 რელიზია, 12 სტატია, 3 ინტერვიუ, ხოლო დანარჩენი ნიუსი (ახალი ამბავი). როგორც ჩანს, 66 პროცენტი არის ნიუსი, მედიის მიერ შექმნილი სიღრმისეული პროდუქტი კი მხოლოდ 5 პროცენტს მოიცავს.

ყველა ამბავი, მათ შორის, რელიზებიც განვიხილეთ, როგორც ინფორმაცია, რა თქმა უნდა, აღნიშნული ინფორმაცია დაიყო ღირებულებისა და მნიშვნელობის მიხედვით. ყველაზე ღირებული არის კონკრეტული მედიასაშუალების მიერ შექმნილი მასალა, რაც ძალიან ცოტა რაოდენობით აღმოჩნდა.

საკვანძო სიტყვები, რომლის მიხედვითაც ვეძებდით მასალებს შემდეგია: ფემიციდი, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული, ოჯახური ძალადობა, ქალის მკვლელობა.

საკვლევ მედიასაშუალებებში გზავნილების რაოდენობა შემდეგნაირად გადააწილდა: ფემიციდი - 316, ქალთა მიმართ ძალადობა - 175, გენდერული ნიშნით ძალადობა - 49, ოჯახური ძალადობა - 48, ქალთა მკვლელობა - 50. დადებითი ფაქტია, რომ სიტყვა ფემიციდი ყველაზე მეტჯერაა გამოყენებული, ასევე, აღნიშნულია გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და ნაკლებად ხდება ფემიციდის ოჯახურ დანაშაულთან გაიგივება.

მიგნებები

საკვლევ პერიოდში გამოჩნდა, რომ მედიასაშუალებების უმეტესობა სიტყვა ფემიციდის

გამოყენებას არ ერიდება, დანაშაულს არქმევს სახელს და ზრუნავს, რომ საზოგადოების ცნობიერება აამაღლოს. რამდენიმე მედიასაშუალება აღმოჩნდა, რომლებიც მხოლოდ რელიზების გავრცელებითა და საზოგადოებისთვის სენსაციური ინფორმაციის მიწოდებით არიან დაინტერესებულნი. გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი მედიასაშუალება ცდილობს, ტრაგიკული ფაქტისგან სანახაობა შექმნას და მსხვერპლი დამნაშავედაც კი გამოიყვანოს.

მინდა, დადებით ფაქტორად აღვნიშნო, რომ ახლობლების, მეზობლებისა და „კეთილის მსურველების“ კომენტარები ფაქტის გაშუქებისას თითქმის არცერთ მედიასაშუალებაში იკვეთება. მისასალმებელია ეს ფაქტი, რადგან მსგავსი ადამიანების არაფრისმომცემმა კომენტარებმა, შესაძლოა, მაყურებელზე ზეგავლენა მოახდინოს და ხშირად მსხვერპლი დამნაშავე და დანაშაულის მაპროვოცირებლად წარმოაჩინოს.

კონკრეტულ მედიასაშუალებებზე თუ ვისაუბრებთ, მთავარი მიგნებაა, რომ ფემიციდის გაშუქების სახელმძღვანელოს გათვალისწინებით, „ფორმულას“ მიერ საკითხის გაშუქება სტანდარტებს აკმაყოფილებს. მედია საზოგადოებას ძალადობისგან დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას აწვდის.

საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოიფარგლება ნეიტრალური პოზიციით, ცდილობს, დაიცვას ეთიკური სტანდარტები, თუმცა გარკვეული მოვლენები ზედაპირს მიღმა რჩება.

მედიასაშუალებებს უჭირთ ბალანსის დაცვა ეთიკურად გაშუქებასა და მხოლოდ მშრალი მასალის გაშუქებას შორის. როგორც კვლევიდან გამოჩნდა, მედიაპროდუქტების 66 პროცენტი ნიუსურია, სიღრმისეული მასალა კი მხოლოდ 5-6 პროცენტი, რაც ძალიან ცოტაა მსგავსი მასშტაბის საკითხის გაშუქებისას, როგორც ფემიციდია.

მთავარი კითხვაა, რამდენად ცდილობს მედია პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას და საზოგადოებისთვის შეთავაზებას. ნათლად გამოჩნდა, რომ სიტუაცია ამ მხრივაც გაუმჯობესებულია, მედიასაშუალებების უმეტესობა საზოგადოებას კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციას აწვდის და მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში თავდაცვის გზებს აჩვენებს.

კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ გავლენიანი და რეიტინგული მედიასაშუალებები ცდილობენ, ეთიკური ნორმები დაიცვან, ფემიციდის გაშუქებას ყურადღებით მიუდგნენ და პრობლემის გადაჭრის გზები აჩვენონ. თუმცა, რა თქმა უნდა, აქვე ჩანს ცალკეული მედიასაშუალებები, რომლებიც ჯერ კიდევ რეიტინგისთვის იყენებენ მსგავსად მგრძობიარე საკითხებს და ეთიკური სტანდარტებისგან საკმაოდ შორს არიან. კანონმდებლობის ცვლილებასთან ერთად მედიასაშუალებების მიდგომებიც გაუმჯობესებულია, მოსალოდნელია, რომ შემდეგ წლებში ფემიციდის გაშუქების სტანდარტი სახელმძღვანელო წესებს დააკმაყოფილებს.

რეკომენდაციები

როგორც კვლევაში არაერთხელ აღინიშნა წლებთან ერთად ჩანს, რომ ქართული ციფრული მედია ფემიციდის გაშუქების კუთხით დაიხვეწა და განვითარდა. კვლევის პროცესში კი გენდერული ნიშნით განხორციელებული ქალთა მკვლევლობის ფაქტებისგაშუქების კუთხით მედიისთვის გარკვეული რეკომენდაციები შემუშავდა.

აღინიშნა, რომ ფემიციდის გამოყენება, როგორც გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაული, მისი ახსნა და განმარტება, დადებითი ფაქტორია, თუმცა ქალთა მკვლევლობების თემაზე მომზადებულ მასალებში სასურველია, რომ გადაჭარბებულად და სენსაციურად არ იყოს ეს ტერმინი გამოყენებული. ამის მიზეზად საზოგადოებაში მოსალოდნელი შიშისა და გენდერული სტერეოტიპების მოსალოდნელ გამძაფრებას მივიჩნევთ.

სასურველია, რომ ფემიციდის საკითხის გაშუქებისას აუცილებლად კავშირი იყოს გენდერის ნიშანზე, ადამიანის უფლებებსა და დისკრიმინაციაზე. ფემიციდი განხილული უნდა იყოს, როგორც გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლევლობა და არა როგორც რიგითი პრობლემა. კიდევ ერთი საფრთხილო საკითხია, რომ, შესაძლოა, მედიის გაშუქების ხასიათმა მსხვერპლი საზოგადოების თვალში დანაშაულის მაპროვოცირებლად წარმოაჩინოს, ამიტომაც მედიამ დაკვირვებით უნდა აღწეროს ყველა ფაქტი.

„რუსთავი 2“-ის მაგალითზე აღინიშნა, რომ მედიასაშუალება დანაშაულის მოტივებს არ უნდა იძიებდეს და საზოგადოებას სავარაუდო მიზეზებს არ უნდა სთავაზობდეს. ასევე, ხელი არ უნდა შეუშალოს გამოძიებას და გამომძიებლის როლი არ უნდა შეითავსოს.

მასალა ხელს უნდა უწყობდეს პრობლემის გააზრებას, თუ მხოლოდ ფაქტის აღწერა და საზოგადოება ვერ ხვდება პრობლემის მასშტაბებს, მაშინ მოგვარებისკენაც არანაირი ნაბიჯები არ გადაიდგმება.

მედიასაშუალება ამბავს უნდა მიჰყვეს ბოლომდე და არა მხოლოდ მაშინ, როცა ცხელი და აქტუალურია, სწორედ ასე შეიძლება გადაიდგას ნაბიჯები პრობლემის მოგვარებისკენ. ამიტომაც საჭიროა სიღრმისეული გაშუქება.

მედიასაშუალება მიმართული უნდა იყოს, რომ საზოგადოებას მოსალოდნელი ძალადობისა და მისგან თავდაცვის გზები აჩვენოს. ამიტომაც ახსნა, თუ რას გულისხმობს ძალადობა, რა ბერკეტები აქვს მსხვერპლს და რა შეიძლება იყოს სასჯელი, აუცილებელია. ფაქტები უნდა იყოს გამჭვირვალე და დაზუსტებული.

სასურველია, რომ ჟურნალისტმა ინოვაციური ტექნოლოგიების ხერხები იცოდეს, რადგან ციფრული მედიის სამყაროში არამხოლოდ ფაქტს, არამედ ვიზუალს ძალიან დიდი ყურადღება ექცევა.

ჟურნალისტმა კარგად უნდა იცოდეს სამართლებრივი რეგულაციები. ეს დაეხმარება ჟურნალიტს, რომ ტერმინები სწორად გამოიყენოს და პირადი მონაცემების დაცვის შესახებაც ექნება ინფორმაცია.

ამიტომაც ჟურნალისტებმა მაქსიმალურად უნდა დაიცვან სხვისი პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2017). საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის

ან/და ოჯახშიძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და და ხმარების შესახებ. Retrived from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22>

ცომაია, თ. (2020). ფემიციდის გაშუქება - რეკომენდაციები ჟურნალისტებისთვის.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2010). საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. Retrived from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10>

საფარი. (2016). ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება. Retrived from: <https://rb.gy/3we4w>

Nicole Wasuna. (2017). Media framing of intimate partner femicide in mainstream print media in Kenya.

Amnesty International. (2023). Human Rights in Georgia. Retrieved from: <https://www.amnesty.org/en/location/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/>

WeResearch. (2018). ფემინისტი აქტორების გაშუქება ქართულ მედიაში და მათი მედიასთან ურთიერთობის გამოცდილება.

Osepashvili, D. (2014). Coverage of domestic conflicts in modern Georgian media. In *Communicating Conflict: A Multidisciplinary Perspective* (pp. 25-34). Brill.

Osepashvili, D. (2016). 8 Covering Domestic Violence Against Women in Georgian Print Media, and Problems of Journalism Ethics. *Media in Process: Transformation and Democratic Transition*.

Tsuladze, L., Javakhishvili, N. (2011). Implementing Domestic Violence Policy in Georgia: Does International Agenda Fit Local Reality?

ნიკო ნიკოლაძის „ფრანგული პრესის დეკადანსი“

მარიამ ლეთოდიანი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილების ციკლი „ფრანგული პრესის დეკადანსი“, რომელიც ავტორმა საფრანგეთში ყოფნის წლებში იმდროინდელი ფრანგი მოაზროვნეების თხოვნით შექმნა. ნიკო ნიკოლაძე ამ წერილებში ეხება ისეთ არსებით სკითხვებს, როგორცაა - დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა და მისი დანიშნულება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. ავტორი დეტალურად მიმოხილავს მე-19 საუკუნის ევროპის საერთაშორისო მდგომარეობას, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ დაშვებულ პოლიტიკურ შეცდომებს და იმ წვლილს, რაც მიკერძოებულმა და პოლიტიზებულმა პრესამ ხელისუფლების შეცდომების დაშვების პროცესში შეასრულა.

პრესის ფინანსური დამოუკიდებლობის გამოწვევები, პოლიტიკური პოლარიზაცია, ჟურნალისტიკაზე ბიზნესისა თუ პარტიული გავლენების არსებობა - ის თემებია, რასაც ნიკო ნიკოლაძე სიღრმისეულად ეხება და ააშკარავებს მე-19 საუკუნის 70-იან წლების საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების მიმდებარე მდგომარეობას.

პრობლემების აღწერასთან ერთად ავტორი გამოსავალსაც გვთავაზობს - მისი აზრით, ფრანგულმა პრესამ უნდა შეწყვიტოს სასურველი რეალობის შექმნა და დაუბრუნდეს მთავარ დანიშნულებას - რეალობის მიუკერძოებლად გაშუქებას. მიუხედავად იმისა, რომ „ფრანგული პრესის დეკადანსის“ შექმნიდან თითქმის 150 წელი გავიდა, მასში ასახული მსჯელობა და ღირებულებები აქტუალობას არ კარგავს და 21-ე საუკუნის ჟურნალისტიკისთვისაც აქტუალურია.

საკვანძო სიტყვები: კულტურული დაცემა, პრესა, ბრძოლის იარაღი, ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკა, კეთილსინდისიერება.

პუბლიცისტურ წერილში „კრებულის დანიშნულებაზე“ ნიკო ნიკოლაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობას მუდამ ველურები დაგვტრიალებდნენ თავს, ამდენად, ჩვენი საფიქრალი მხოლოდ გადარჩენა იყო და არა - განათლება (ნიკოლაძე ნ. , 1871) ამგვარად, ჩვენს წინაშე პოლიტიკურთან ერთად ინტელექტუალური თავისუფლების ამოცანაც მუდმივად იდგა .

ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად დიდი ძალისხმევა, განსაკუთრებით, მე-19 საუკუნის 60-იანი წლების თაობამ გაიღო. სამოციანელები, მოგვიანებით კი სამოცდაათიანელები, იღებდნენ განათლებას უცხოეთში, რათა თავიანთ ქვეყანას მოხმარებოდნენ და იმ ჭაობიდან ამოეყვანათ ქართველები, სადაც უდრტვინველად განაგრძობდნენ ცხოვრებას. კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ბედით, მაგრამ „კაცის ბედზე ძლიერ დიდი გავლენა აქვს თვითონ კაცს“ (ნიკოლაძე ნ. , 1871) და გარდა ამისა, „კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია“ (ჭავჭავაძე, 1985). ამგვარად, ბედის

შესაცვლელად ახალგაზრდებმა თვითონვე დაიწყეს გარჯა (ნიკოლაძე ნ. , 1964).

მე-19 საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც თავისი სიცოცხლე საქართველოს კეთილდღეობას მიუძღვნა. მას ოთხ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ და საკმაოდ რთულ მმართველობის ფორმაში მოუწია ცხოვრება. კერძოდ, დაიბადა ბატონყმობისას, მოღვაწეობა მოუწია მაშინ, როცა საქართველო რუსეთის გუბერნიას წარმოადგენდა, მოესწრო და აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის პირველი რესპუბლიკის შექმნაში, სიცოცხლის ბოლო წლები კი საბჭოთა საქართველოში მიითვალა. (ფირცხელაური, 2021). ნიკო ნიკოლაძე ბევრის მნახველი, „დროს გასწრებული“ მოაზროვნე იყო.

ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, ნიკო ნიკოლაძე დაიბადა 1843 წლის 27 სექტემბერს ქუთაისში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, გაემგზავრა პეტერბურგში და იურიდიულ ფაკულტეტზე მოეწყო. პეტერბურგში არსებულმა სიტუაციამ, კერძოდ კი, სტუდენტების პროტესტმა მასზე ძლიერი გავლენა იქონია. მონაწილეობდა სტუდენტთა ამბოხში, რის გამოც ციხეშიც კი მოხვდა. პეტერბურგში მიღებულმა გამოცდილებამ ნიკოლაძე საბოლოოდ დაარწმუნა თავისუფლების მნიშვნელობაში და უჩვენა ცხოვრების მთავარი გზა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად მიჰყვებოდა.

ნიკო ნიკოლაძის მრავალ მიღწევათაგან, აღსანიშნავია ფოთის, როგორც საპორტო ქალაქის განვითარება. სწორედ მის სახელს უკავშირდება ნავსადგურის მშენებლობის დასრულება. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ნიკოლაძემ დაარწმუნა მეწარმეები საბაჟო მოსაკრებლის სარგებლიანობაში, რომელსაც ფოთში მრავალი სასარგებლო პროექტის განსახორციელებლად იყენებდა: ფოთში ააგოს სპეციალური კედელი, რომელიც დელვის დროს ზღვის ტალღებს წინააღმდეგ უქმნიდა, ამით კი სანაპიროზე დიდი გემების გაჩერების პრობლემა მოიხსნა. სამწუხაროდ, ნიკოსა და ფოთის ურთიერთობა კარგად ვერ დასრულდა: მას ქრთამის აღება დააბრალეს, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს, ამიტომ ბრალი გაბათილდა, თუმცა ამ ამბის შემდეგ, გარკვეული პერიოდი ფოთში აღარ ჩასულა. ამგვარად ფოთის აღმშენებლობის საქმეში ლომის წვლილი მიუძღვის მას. თვლიდა, რომ ევროპას მონები კი არა, თანამგრძნობები სჭირდება, თუმცა ბოლომდე არ დაუფასდა გაწეული შრომა.

ნიკო ნიკოლაძის, როგორც პუბლიცისტის კარიერა, ჯერ კიდევ მე-6 კლასში დაიწყო, როდესაც ავადმყოფობის გამო სახლიდან ვერ გადიოდა. სწორედ მაშინ გააგზავნა ივანე კერესელიძის „ცისკარში“ ორი ფელეტონი და რედაქტორმაც არ დააყოვნა, გამოაქვეყნა. ცხადია, ხმამაღალი ნათქვამია, როდესაც მე-6 კლასელ ბავშვს პუბლიცისტს ვუწოდებთ, თუმცა მან პირველი ნაბიჯები „ცისკარში“ აიღო. ამ დროიდან მოყოლებული კი, იგი თავისი პუბლიცისტური წერილების საშუალებით „უხსნიდა ცეცხლს“ ყველას და ყველაფერს, რაც ქვეყნის განვითარებას აფერხებდა. მრავალი წლის შემდეგაც მისი პუბლიცისტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავის ნაწერებში ნიკოლაძე ეხებოდა დღეს უკვე ცხად და უდავო საკითხებს - მაგალითად, რომ ვაჭრობა სირცხვილი არ არის, აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლიდან ქალაქში პროდუქტის ჩამოტანა, უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს ერობა და თვითმართველობა, თუ რა უფლებები გააჩნია და ვალდებულებები აკისრია ადამიანს

საზოგადოების წინაშე, განათლების სასიცოცხლო მნიშვნელობა, პრესის პასუხისმგებლობა.

ამ მხრივ დიდ ყურადღებას იმსახურებს ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილების ციკლი „ფრანგული პრესის დეკადანსი“, სადაც ფართოდ საუბრობს პრესის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქვე დასძენს მიზეზებს, თუ რატომ განიცადა დეკადანსი ანუ კულტურული დაცემა ფრანგულმა პრესამ.

ზოგადად პრესის და, როგორც თანამედროვეობაში ხშირად მოვიხსენიებთ, „მეოთხე ხელისუფლების“ როლს, არაერთი დიდი ქართველი პუბლიცისტი შეჰხებია. ნიკოლაძემდე ილია ჭავჭავაძე თავის საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზე“ აღნიშნავდა, რომ „ადგილი ლიტერატურა“ (იგულისხმება ჟურნალისტიკა) აზრის მოძრაობას უნდა ემსახურებოდეს (ჭავჭავაძე, 1863). „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმაც არაერთი წერილი მიუძღვნა ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტიკის დანიშნულებას. მისი აზრით, გაზეთი არის „სახელმწიფოში სახელმწიფო“, იმდენად რომ ყოველი სახელმწიფო ვალდებულია აზრს დაეთხოვოს მას (მესხი, 2007).

პრესისა და ჟურნალისტიკის დანიშნულების თემამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაშიც. „...უეჭველია, რომ ყოველ პატიოსან კაცს ჩვენი ქვეყნისთვის ეს სიკეთეები უნდა სურდეს და ყოველი პატიოსანი ჟურნალი მთელ თავის ცდას და გონებას იმას უნდა ალევდეს, თუ რა გზით და რანაირად შეუძლია საზოგადოებას ამ ხეირიანი ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შეძენა და სასარგებლოთ მოხმარება. უეჭველია, რომ ყოველი პატიოსანი ჟურნალი ნიადაგ იმ მიზანს უნდა მისდევდეს, რომ გააცნოს მკითხველი საზოგადოება დაწვრილებით ხეირიან გზას, შეაყვაროს იმას შრომა და ცოდნა, ჩაუდგას და აღზარდოს მასში პატიოსანი ხასიათი და შეაძულოს, შეაზაროს ის განხეთქილება, ერთმანეთის გლეჯა, ერთი მეორის შეუბრალებლობა, შეაზიზღოს ის შესაზიზღებელი მოქმედებები, რომელნიც ბოლოს უღებენ საზოგადო ბედნიერებას და აბრკოლებენ მის წარმატებას“. (ნიკოლაძე ნ. , 1871). სამწუხაროდ, განცდილმა კულტურულად დაცემულმა პრესამ ეს მიზნები დაივიწყა და ნამდვილ ჟურნალისტიკას ნაკლებად ვხვდებით, როგორც ავტორის დროინდელ სამყაროში, ისე - დღევანდელიაში.

ნიკო ნიკოლაძე ფრანგული პრესის დეკადანსის პირველ მიზეზს ჟურნალისტების არაპროფესიონალზმს უკავშირებს. რევოლუციამ ხალხი გაზეთების კითხვას მიაჩვია, აქტიურად არიან ჩართულები პოლიტიკურ დაპირისპირებაში, ამიტომ მათი ყოველდღიური, აუცილებელი ნაწილი გახდა გაზეთი, მაგრამ რა შეცდომებს შეიძლება გადააწყდეს მკითხველი? „...პრესა თითქმის ვერასოდეს ვერ იპყრობს მკითხველების ყურადღებას იმ საკითხებში, რომლებიც სწორედ მკითხველის კომპეტენციას ეხება (ნიკოლაძე ნ. , 1875). ინჟინერი წაიკითხავს ცოტაოდენს რთულ საინჟინრო საკითხებზე და გაეღიმება, თუ როგორი უმეცრებით არის შედგენილი საგაზეთო მასალა. პირდაპირ სიტყვებიდან გამომსჭვალის, რომ ჟურნალისტს არა გაეგებოდა რა იმის, რასაც წერდა. თითოეული ფაქტი გადამოწმებული და დაზუსტებული უნდა იყოს, ეს მოეთხოვება ამ პროფესიას, მაგრამ მოხდა ისე, რომ გაზეთები ვარაუდებს გამოთქვამდნენ და მკითხველს ილუზიებში ამყოფებდნენ. მაგალითისთვის, როდესაც ძლივს რუსეთმა ხალხის ყურადღება

მიიპყრო, ფრანგულმა პრესამ მასში „აღმოაჩინა“ თავისი ქვეყნის შესაძლო მოკავშირე პრუსიის წინააღმდეგ. ამის შესახებ აქტიურად დაიწყო წერა, თუმცა არ უფიქრიათ, რომ ეს შეიძლება მოჩვენებითი ყოფილიყო და არ იქნებოდა სწორი მირაჟის შექმნა, რომელიც გამოუსწორებელ შეცდომას მოუტანდა საფრანგეთს.

მსგავსი შემთხვევები, ანუ ცრუ მოლოდინების შექმნა, ამცირებს მკითხველის პატივისცემას პრესისადმი. მათი რაოდენობა შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუმცა მათი ურთიერთობა თაღლითისა და გამვლელ-გამომვლელის ურთიერთობას ემსგავსება იმ გაგებით, რომ შეიძლება თაღლითმა საკუთარი ხუმრობებით და ლაზღანდარობით მიიპყრო ბრბოს ყურადღება, მაგრამ შეძლო კი მისი მოტყუება? ასეა ჩვენ შემთხვევაშიც, შეიძლება ხალხმა გაზეთები წაიკითხოს, მაგრამ განა დაიჯერებს წაკითხულს? მათ ექნებათ ეჭვები და პრესა გაიტყვებს სახელს, ყველაზე სანდო ორგანოდან გაზეთი შეიძლება იქცეს ყველაზე არასანდო ორგანოდ. ნიკოლაძის აზრით, აუდიტორიას უნდა სჯეროდეს ჟურნალისტების სიტყვის და სწამდეს მათი პატიოსნების. ჟურნალისტების არაკომპეტენტურობაზე მსჯელობისას ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს: შესაძლოა კორესპონდენტი არ იყოს გათვინობიერებული საზოგადოებრივი საქმიანობის ყოველ სფეროში, მაგრამ სურვილი მაინც უნდა ჰქონდეს ემიოს მეტი. „ჟურნალისტები თავიანთი პროზის შეთითხნას ნახევარ საათსაც კი არ ანდომებენ და არაფრად აგდებენ საკითხის შესწავლას, მისი გაცნობის, გაღრმავების აუცილებლობას“ (ნიკოლაძე ნ. , 1875).

ჟურნალისტებს, თითქოს, დაუჩემებიათ თავიანთი პროფესიული პრივილეგიები და დარწმუნებულნი არიან, რომ, რასაც მიაწოდებენ მკითხველს, ისინიც დასჯერდებიან და უხმოდ წაიკითხავენ. ასეც იქნება, მაგრამ სახელი უტყდება პრესას და ამდენ დაუდევარ ჟურნალისტს შორის პროფესიის ღირსეული წარმომადგენლებიც ზარალდებიან. ცხადია, არსებობენ ნამდვილი პროფესიონალები, ორიენტირებულნი თავიანთი საქმის ხარისხიანად და სინდისიერად შესრულებაზე. ავტორი საუბრობს იმ უცხოურ რედაქციაზე, სადაც ყველა დარგის სპეციალისტებს შტაბი აქვთ შექმნილი. თუმცა ამას არ სჯერდებიან და ისინი მიმართავენ დარგის სპეციალისტებს, რომელთაც აწერინებენ მეტად მნიშვნელოვან წერილებს. სწორედ ამ დამოკიდებულებით ისინი ხალხში უდიდესი გავლენით სარგებლობენ. ამგვარად, ნიკო ნიკოლაძე ამბობს, რომ ჩვენი ცოდნა და კეთილსინდისიერება უნდა საუბრობდეს ჩვენზე, ეს თვისებები კი პირდაპირპროპორციულია ხარისხიანი საქმისა.

მეორე და არანაკლებ საყურადღებო საკითხი, რომელსაც ქართველი პუბლიცისტი განიხილავს, არის პოლიტიკისა და პრესის ურთიერთკავშირი, რაც დღესაც ასეთი აქტუალურია. პოლიტიკური ძალები ძალებზე მიხვდნენ და დაიწყეს პრესის „ბრძოლის იარაღად“ გარდაქმნა. იგი აქციეს თავიანთი მიზნებისა და მისწრაფებების გავრცელების მთავარ საშუალებად. „ამიტომ თვითეული სახელმწიფო ცდილობდა იგი (პრესა, ავტორი) გადმოეხილებოდა და, ცბიერებით თუ ძალადობით, თავის მოწინააღმდეგეებისათვის ეს საშიში დამხმარე ძალა წაერთმია“ (ნიკოლაძე ნ. , 1875). ასე იყო და ასეც დარჩა, მათი პირველი წარმატებული ნაბიჯი იქნებოდა, თუ პრესას თავიანთ რელსებზე გადაიყვანდნენ პოლიტიკური ჯგუფები. თუ პრესას შეუძლია ცამდე აიყვანოს ადამიანი, ასევე შეუძლია მისი ავტორიტეტი თუ არ გათელოს, ჩრდილი მიაყენოს მაინც. შესაბამისად საჭირო იყო,

პოლიტიკოსებს ჟურნალისტური რედაქციები თავიანთის უვნებელი გაეხადათ. „ოპოზიციის თვითეული ჯგუფი...ვალდებულია ერთი ან ორი ყოველდღიური გაზეთის ფუფუნებისათვის საჭირო ხარჯები თავად იდოს კისერზე, რათა მთავრობის დამხობა და ამომრჩეველთა შეგროვება უკეთესად შესძლოს“ (ნიკოლაძე ნ. , 1875). სერგეი მესხს რომ დავესესხოთ, მას აქვს სწორედ ნათქვამი, რომ ნაპოლეონი მილიონებს ხარჯავდა ყოველ წელიწადს სულმდაბალი გაზეთების მოსასყიდად. (მესხი, 2007).

სრულიად სამართლიანი იქნება თუ გაგვიჩნდება კითხვა: თუკი ასეთი დიდი ძალის პატრონია პრესა, რომ ახერხებს ხალხის აზროვნების მიმართულების შეცვლას, არჩევნების შედეგების ფორმირებას და საკუთარი დღის წესრიგის შექმნას, რატომ ემორჩილება იგი პოლიტიკურ ძალებს? საქმე გაცილებით მარტივადაა. ჟურნალ-გაზეთების არსებობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული: თანამშრომლები, სტამბის მუშაობა, ინფორმაციის შეგროვება და ა.შ. შესაბამისად, ისინი იძულებულნი არიან ან საკუთარი სახსრებით იარსებონ, ან უბადრუკ სუბსუდიებს დასთანხმდნენ. ზოგიერთი ფინანსისტი გაზეთს იჯარით, თვითრად აფინანსებს მას და ამზადებს ადვილად გასასაღებელ ცრუ ამბებს. შესაბამისად, აქ იწყება ბრძოლა თვითგადარჩენისთვის. ისინი თვალს ხუჭავენ არსებულ რეალობაზე და უწევთ უხმოდ ყლაპონ პოლიტიკოსებისა, თუ ფინანსისტების ინტერესების თანმხლები სიბინძურე.

არ უნდა გამოგვრჩეს ამის შედეგებიც. როგორც ნიკოლაძე აღწერს, მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ფრანგული ჟურნალისტიკა ორპოლარული, ერთმანეთისგან დიამეტრულად საწინააღმდეგო გახდა: პრესის ერთი ნაწილი, რომელიც არსებული მთავრობის მესაიდუმლე და ერთგული იყო, სულითხორცამდე დამცავი და რუპორი, მეორე ნაწილი კი - ოპოზიციურად განწყობილი მთავრობის თითოეული ნაბიჯის მიმართ. პირველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ჟურნალისტები მთელი რიგი პრივილეგიებით, შეღავათებით სარგებლობდნენ, მთავრობის ფრთის ქვეშ იყვნენ, მაგრამ საპირისპირო ჯგუფის წევრები მოკლებულნი იყვნენ ყველანაირ ადმინისტრაციულ მოწყობას. ამგვარად, ვუბრუნდებით იგივეს, რომ ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ დამდგარიყვნენ არასწორ მხარეს. ამიტომ არსებობდა საფრანგეთში და, არამართო საფრანგეთში, გაზეთები, „ერთნი-მთავრობის უღელში შებმულნი, ხოლო მეორენი-ოპოზიციის სხვადასხვა სახეობისადმი დამორჩილებულნი“ (ნიკოლაძე ნ. , 1875).

ნათელია, რომ არსებობს უამრავი ტიპის ჟურნალისტი, რომლებიც ან ხელს უწყობდნენ ფრანგული პრესის აღმავლობას, ან პირიქით, მისი დაღმავლობის საწინდარი გახდნენ. ნიკოლაძე თვლის, რომ მათი ფიზიოლოგიის ცალ-ცალკე შესწავლა სასარგებლოც კი შეიძლება გამოდგეს ფრანგული პრესის დეკადანსის შესაჩერებლად, ამიტომ იგი გამოჰყოფს რამდენიმე ტიპის ჟურნალისტს: არსებობს „ჟურნალისტი-მრჩეველი“. თითქოს, ვინც კი კალამი ხელში აიღო, ყველა საზოგადოების სასიკეთოდ იღწვის. თითქოს, თუკი რამეს დაწერენ, უმაღვე დადებითად უნდა შეფასდეს და თითის გაშვერით დავიწყოთ მათზე საუბარი. ეს მათ სითამამეს ჰმატებს და მქადაგებლის როლში არწმუნებს. იმდენად ისისხლხორცებენ, რომ ყოველნაირ ღონეს ხმარობენ მიიყვანონ მკითხველნი, იმ გადაწყვეტილებამდე, რომელსაც თვითონვე თვლიან ჭეშმარიტებად. ამისთვის თავს არ იზოგავენ, იქექებიან წარსულში, აწმყოს უცვლიან ნირს და იქვე განიხილავენ

თავიანთი ხედვის მომავალს. ამ ტიპის ჟურნალისტი იმიტომ შეიძლება იყოს საშიში, რომ მხოლოდ თავის გამარჯვებაზე ზრუნავს. ანუ გამოდის, რომ თუკი რამე ზოგადსაკაცობრიო საკითხი არასწორია და „ჟურნალისტი-მრჩეველი“ მის სისწორეშია დარწმუნებული, სრულიად მოსალოდნელია, რომ შენც დაგარწმუნოს მასში.

კიდევ ერთი ჯგუფს ჟურნალისტებისა, ნიკო ნიკოლაძე მოიხსენიებს, როგორც „ჟურნალისტ-ტაქტიკოსებს“. ამ ჯგუფის ჟურნალისტი არაფრით ჩამოუვარდება „ჟურნალისტ-მრჩეველს“ და იგივე პრინციპებით მოქმედებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგადად მაინც მიმოიხილავს თანამედროვე პოლიტიკას. ეს კატეგორია განსაკუთრებით გამოირჩევა წინასწარმეტყველური გათვლებით და მათი თითქმის ყველა სტატია იწყება სიტყვებით: „ისე, როგორც ჩვენ წინასწარ წარმოვიდგინეთ“, „ჩვენი წინასწარმეტყველება, საუბედუროდ, გამართლდა“, „მიღებული ცნობებიდან უკვე წარმოდგენილი გვაქვს“ და ა.შ. მათი ერთადერთი მიზანია სარგებლის მოტანა გაზეთისთვის. ამიტომ ხშირად, სიმართლეს ამახინჯებდნენ - კვეცდნენ, ან აბუქებდნენ.

„ლანძღვა-გინების მოყვარული კალმოსნების“ რიცხვი თანდათან უფრო იმატებდა საფრანგეთში და საკმაოდ დიდი პოპულარობითაც სარგებლობდნენ. მათი მეთოდი იყო უწმაწური სიტყვებით, პროვოკაციულად და სრულიად დაუფარავად გადმოეცათ სათქმელი. მთავარი ტრაგედია ისაა, რომ დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ ძალაში და იმაშიც, რასაც აფრქვევდნენ. მათი მოწოდებაა სხვისი ცოდნის, ზრდილობის, პატრიოტიზმის კრიტიკა და ხშირად ეს სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებით გამოიხატებოდა, ვინაიდან ამ ტიპის ჟურნალისტებიც თავიანთი გადმოსახედიდან აფასებდნენ ყველაფერს. მათ კარგად იცოდნენ, რომ დიდ მასებს ვერ დაიპყრობდნენ და ატყუებდნენ ერთგულ და გულუბრყვილო აუდიტორიას. ილია ჭავჭავაძესი არ იყოს, ესენიც „ცრუსაქმოსმენი არიან“, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მათი გავლენაც დიდია და ყოველთვის შეუძლიათ ჩვენი აზრის გადასხვაფერება.

ჟურნალისტების ის ტიპი, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე შემდეგ განიხილავს, განსაკუთრებით ბევრია თანამედროვე ცხოვრებაში. როგორც დარვინი უწოდებდა „ბუმს“ ანუ „ჟურნალისტი-რეკლამა“, ჟურნალისტი-მოდის შემომტანი. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით რომ გავიგოთ, მართლაც რეკლამას უკეთებდნენ იმას, რასაც დაავალებდნენ. არც მათი სიტყვაა ბოლომდე დასაჯერებელი, რადგან ისინიც სარგებელზე არიან ორიენტირებულნი. ერთ დღეს წვრილმანი დეტალებით შემოგაპარებენ ამბებს, მეორე დღეს მეტი დეტალიზაციას შემოგვთავაზებენ, ბოლოს კი დაგაჯერებენ ამბის მართებულობაში. ამგვარი ოსტატობით საკმაოდ დიდ თანხმებს შოულობდნენ, როგორც უწინ, ისე ახლაც.

ყველაფერს აქვს ორი მხარე, თუ არსებობს შავი, მაშასადამე არსებობს საპირისპირო თეთრიც. ამგვარად, თუ ნიკო ნიკოლაძემ განიხილა არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტები, აქვე ახსენა ნიჭიერი, პატიოსანი ჟურნალისტებიც, რომლებსაც ზოგჯერ სიცოცხლის შეწირვაც კი უწევთ საკუთარი საქმისთვის. თუმცა ისინი „იკარგებიან უვიცსა და გულგრილ, უბადრუკ მჯღაბნელებს ბრბოში“ (ნიკოლაძე ნ. , 1875). და მაინც როგორ მოქმედებს გარემო ადამიანზე? ძლიერ, ზოგჯერ წარმოუდგენლადაც. სწორედ ასეთი ათქვეფის შედეგი შეიძლება ჩავთვალოთ ზემონახსენები ჟურნალისტების არსებობაც. პატიოსანი ჟურნალისტი მუშაობას იწყებს გაზეთში და ექცევა იმ

პოლიტიკურ მარწუხებში, რომელსაც რედაქცია ატარებს. თუკი ჭაობშია იგი, გამოდის თითოეული იქ მომუშავე იგივე ჭაობშია და ტალახი ყველას აქვს მოცხებული. „როგორც უბადრუკი მსახიობი ადგილს პოულობს მოხეტიალე დასში, ეს ჟურნალისტებიც ისე ემსახურებიან განსაზღვრული „დანიშნულების“ გაზეთს, თამაშობენ როლს ყოველ საღამოს“. (ნიკოლაძე ნ. , 1875). ბოლოს ეს ნიჭიერი ჟურნალისტები ხდებიან სკეპტიკოსები და მათი პროფესიის მთავარ ღირებულებას „მხოლოდ სიმართლეს“ ანაცვლებენ ღირებულებით - „ყველა სიმართლე არ უნდა ითქვას“. ამიტომ ხდება, რომ გადაგვარდა ფრანგული პრესა, ამიტომ მოხდა დეკადანსი, მაგრამ ნუთუ დასაჯერებელია, რომ რაც ნიკო ნიკოლაძემ წარმოდგენილ წერილში ისაუბრა, მხოლოდ საფრანგეთს ეხება? ეს გაცილებით მასშტაბური საკითხია.

ამ მიმართულებას სწორად რომ გავყვეთ, ამისთვის საჭიროა ყურადღება დავუთმოთ ავტორის მიერ განხილულ სხვა ქვეყნების პრესის მაგალითებს. ნიკო ნიკოლაძე გვთავაზობს თავისი თანამედროვე ევროპული პრესის მოკლე მიმოხილვას და გამოჰყოფს მახასიათებლებს, რაც ევროპის ქვეყნების ჟურნალისტიკას იმ დროს გააჩნდა. ინგლისური პრესა ატარებს ცივი და მიუკერძოებელი მსაჯულის გარეგნობას. მათი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეაგროვოს და არაფერი დაუმალოს საკუთარ საზოგადოებას. ილია ჭავჭავაძეს აქვს ნათქვამი, რომ ჟურნალ-გაზეთების არსებობა დამოკიდებულია ხალხის მოთხოვნილებაზე და სურვილზე. (ჭავჭავაძე, 1863). სწორედ ასე ხდება ინგლისშიც, ისინი პასუხობენ საზოგადოების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, საკუთარ თავზე აიღო ინგლისურმა პრესამ ყველა სფეროს შესახებ მკითხველის კეთილსინდისიერი ინფორმირება. შეცდომაში არ შევიდეთ და არ ჩავთვალოთ, რომ წმინდაწყლის ჟურნალისტიკას ქმნიან ბრიტანელები, არა, თუმცა სხვა უცხო პრესის ფონზე, კარგი სახელით სარგებლობენ.

ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ სრულიად ახალგაზრდაა გერმანული პრესა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია სიმწიფისთვის, გამოირჩევა მამობრივი მზრუნველობით, რომელიც ინფორმაციის შეგროვების მეთოდოლოგიაში გამოიხატება: ცდილობს ყველაფერი გაამარტივოს, რათა ყველასთვის გასაგები იყოს. ამგვარ რამეს ამბობს ილია ჭავჭავაძეც წერილში „საქართველოს მოამბეზე“, რომ „ადვილმა ლიტერატურამ“ უნდა გაამარტივოს რთული, რომ ხალხს სიახლის მიღება არ გაუჭირდეს (ჭავჭავაძე, 1863). გერმანული პრესა წმინდაწყლის ნაციონალური იერის მატარებელია იმდენად, რომ არც შორს და არც ზემოთ არ იყურება.

არ იქნება სამართლიანი თუ ამერიკულ პრესას არ განვიხილავთ, რომელიც ასე ძლიერ ჰგავს თავის ხალხს, ისეთივე ჩქარი და საქმიანია. თითქოს დრო არ აქვს საკმარისი, ამიტომ მოკლე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ენით წერს. არაფრად მიაჩნია მკითხველთა აზრი და არც ის ანაღვლებს, იქნება თუ არა შთამბეჭდავი მათი სტატიები. მთავარია ხალხს მიეწოდოს ინფორმაცია დროულად, ზუსტად და რაც მისთვის მართლაც მნიშვნელოვანია, იყვნენ პირველები. ამერიკული პრესა მთავრობას ზემოდან დაჰყურებს, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ თითქოს ამერიკული პრესა პოლიტიკური ან რელიგიური გავლენებისგან თავისუფალია.

ფრანგული პრესა კი აღსავსეა უნდობლობით. მას „დაქირავებული ადვოკატის“ როლი აკისრია. იგი არ წერს იმას, რაც მართალია, არამედ იმას, რაც დავალებული აქვს. შეუთვისებია ადვოკატის

ყველა ბნელი თვისება, ისიც მას იცავს, ვინც ფულს უხდის და სასამართლოს შემდეგ სიცილადაც არ ჰყოფნის მისი დაცვის ქვეშ მყოფის მდგომარეობა. ამიტომ არის, რომ „იგი (პრესა, ავტორი) შორს დგას ინგლისელი მკითხველის თავაზიანობისაგან, გერმანელი მკითხველის პატივისცემისაგან და ამერიკელი მკითხველის ნდობისაგან“ (ნიკოლაძე ნ. , 1875).

მიჩნეული იყო, რომ ფრანგული პრესა არ განიცდიდა ნიჭიერი და გონიერი ადამიანების ნაკლებობას და ეს მართლაც ასე იყო. იგი უდიდეს ენერგიას ხარჯავდა წამოყენებული კრიტიკისა და ლანძღვა-გინების წინააღმდეგ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფრანგულ გონებას შესწევდა ერთ დროს დახლართული საქმეების სინათლის მოფენის ძალა, ევროპამ სწორედ ფრანგი ნოვატორებისგან აიღო იდეები. საფრანგეთი თავისი მიღწევებითა და პოტენციალით, ნამდვილად არ ყოფილა ხელწამოსაკრავი ქვეყანა, მაგრამ ნიკო ნიკოლაძე ამბობს, რომ იგი ახლა მოლიპულ გზაზე დგას, რომ პროგრესისკენ სვლა შეანელა, უფრო რთულ შემთხვევაში კი შეაჩერა. ამიტომ იყო, რომ გერმანელებმა გაიმარჯვეს, განა სჯობნიდნენ ფრანგებს? ან რადგან რიცხოვნობით მეტი იყვნენ? არა, გერმანელებმა მხოლოდ ჭკუაში აჯობეს. სანამ საფრანგეთი არაფერს აკეთებდა, გერმანია ემზადებოდა. ამგვარად საფრანგეთმა დაკარგა სტატუსი და მისივე მეზობლების ფონზე არარაობად გამოჩნდა. ამიტომ არის საწყენი, რომ უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყანა, ისევ თავის უვიცობას ემსხვერპლა.

შედეგები მძიმეა, პრესას ადვოკატის კიარა, მოსამართლის როლი უნდა ჰქონოდა, მაგრამ მალევე მოწინააღმდეგის დამცირებაზე გადავიდა და „დიდი მოსამართლის სიმალლიდან... უმსგავსი ბრალმდებლის რანგამდე დაეშვა“ (ნიკოლაძე ნ. , 1875). მართალია, პრესას აქვს უფლება გააკრიტიკოს ხელისუფლება და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები, თუმცა საწინააღმდეგო მოხდა, ობიექტური შეფასებების ნაცვლად, ფრანგული პრესა ცილისწამებაზე გადავიდა, ამით კი სახელი გაიფუჭა. „საზოგადოებას არასოდეს სიმართლე არ უნდა შეუღამაზო. მხოლოდ სუსტებს უმაღავენ არასასიამოვნო ამბებს...“ (ნიკოლაძე ნ. , 1875). პრესა ყველანაირ ინფორმაციას მალავდა. თითს იშვერდა ყველასკენ და ასცდა რეალობას. ავტორს ბავშვის მაგალითი მოჰყავს, რომელიც დღემუდამ იტყუებოდა, ხოლო როდესაც დახმარება ნამდვილად დასჭირდა, სიმართლეს აღარავინ დაუჯერა. ასე შეემთხვა ფრანგულ პრესასაც. სანამ უსმენდნენ, შელამაზებული ტყუილით ცდილობდა ჩვენი ყურადღების მიპყრობას და როდესაც დაჭირდით, უკვე ძალიან გვიანი იყო, აღარავინ ათხოვა ყური.

მკითხველმა დანამდვილებით იცის, რომ გაზეთის ფურცლები საომარ ხრიკებს შეიცავს. დამალვითაც კი აღარ იმალება ის ფაქტი, რომ ფრანგული პრესა ჩაფლულია ხრიკებსა და ცილისწამებათა შორის. უამრავი ფაქტია იმის სიცხადისთვის, რომ პრესის ყოველგვარი ავტორიტეტი და საზოგადოებრივ აზრზე მისი გავლენა სულ უფრო და უფრო ქრება. „აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღევანდელი პრესა უფრო მოჩვენებითია ვიდრე -რეალური“ (ნიკოლაძე ნ. , 1875). ასეცაა, თუმცა, ხომ უნდა იყოს გამოსავალი? ისტორიას რომ გადავხედოთ, საქართველოშიც ისე ხდებოდა, რომ ჟურნალისტიკა, მით უფრო იმის ფონზე, რომ არც იყო სათანადოდ განვითარებული, დაბალშემოსავლიანი პროფესია იყო. ეს იმითაც აიხსნება, რომ საშუალო ფენას არ ჰქონდა პრესის მნიშვნელობა გააზრებული. ნიკო ნიკოლაძე დანაწიებით

აღნიშნავს, რომ შეძლებულ ძალებს იმაზე არც უფიქრიათ, თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ განათლების გავრცელებას. რამდენ კეთილ საქმეს მოახმარონ თავიანთი რესურსები. ამიტომ გარკვეულწილად გასაგებია პრესისაც, რომელიც ფინანსური პრობლემებიდან გამოსავალს მორალურად მიუღებელ გზებში პოულობდა. ეს ტენდენცია მარტო მე-19 საუკუნეში არ ხდებოდა, ცხადია, ვერცერთი ქვეყნის პრესამ ვერ მიაღწია მწვერვალამდე, მაგრამ ვერც ის სიმაღლე შეინარჩუნეს, რასაც დროთა განმავლობაში შრომისა და პატიოსნების ხარჯზე მიაღწიეს.

რა მოეთხოვება პრესას? პირველ რიგში, იგი ხალხის მეგობარი უნდა გახდეს. როგორც მეგობარს ვუზიარებთ ყველაფერს, ისე უნდა გაუზიაროს პრესამ მკითხველს ყველაფერი. ქვეყანაში მიმდინარე თითოეულ მოვლენაზე უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მოქალაქეს. ჟურნალისტიკა აღწევს ისეთ ადგილებში, სადაც დიდი აუდიტორია ვერ შედის. ნიკო ნიკოლაძემდე ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ ჟურნალი „სარკის პრინციპს“ უნდა ემყარებოდეს, მედია უნდა წარმოადგენდეს სარკეს, სადაც დაწვრილებით იქნება ჩვენი მანკიერებები წარმოდგენილი. კარგი მეგობარი სწორედ იმით ფასობს, რომ ჩვენს უარყოფითზე მიგვითითებს. თუკი წაკითხულს რეალობას ვადარებთ და დიდ შეუსაბამობას ვხედავთ, გამოდის გვიმაღავენ და მოწადინებულნი არიან შელამაზებული სურათი დაგვიხატონ. ამიტომ ხშირად მკითხველმა არც იცოდა, თუ რა ხდებოდა მის თავს.

ილიას მსგავსად, ნიკო ნიკოლაძეც აღნიშნავს, რომ ჟურნალისტიკის მთავარი ფუნქცია ხალხსა და ცხოვრებას შორის შუამავლის როლის შესრულებაა, მათ შორის არსებული კავშირი კი არასდიდებით უნდა გაწყდეს. ფრანგულ პრესას კი გადარჩენისთვის ერთადერთი გზა დარჩენია: „...უარი თქვას ყოველგვარ პატარ-პატარა პოლიტიკურ ხრიკებზე, დაივიწყოს მთელი თავისი ინტრიგები და ცილისწამებანი, თავიდან მოიშოროს არაკეთილსინდისიერება და პრეტენზიები...“ (ნიკოლაძე ნ. , 1875). ყველა პრესისთვის მკითხველის ერთგულების გარანტი ისევ პრესის პატიოსნება იქნება-ასახოს რეალობა ისე, როგორც არის.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

მესხი, ს. (2007). «რა მოეთხოვება გაზეთს». დ. შემდგ. ჩიკვილაძე-ში, *ქართული პუბლიცისტიკა:*

ქრესტომათია (XIX საუკუნე) (გვ. 306-308). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნიკოლაძე, ნ. (1871). «კრებულის დანიშნულებაზედ». დ. შემდგ. ჩიკვილაძე-ში, *ქართული პუბლიცისტიკა: ქრესტომათია (XIX საუკუნე)* (გვ. 257-272). თბილისი: ნიკო ნიკოლაძე.

ნიკოლაძე, ნ. (1964). *თხზულებანი, მე-4 ტომი*. თბილისი: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელმწიფო გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო».

ფირცხელაური, ა. (2021). “ნიკო ნიკოლაძე-კაცი, რომელმაც გაუსწრო დროს”. თბილისი:

FORBESWOMAN.

ჭავჭავაძე, ი. (1863). «საქართველოს მოამბეზედ». დ. შემდგ. ჩიკვილაძე-ში, *ქრესტომათია (XIX საუკუნე)* (გვ. 82-94). თბილისი: ილია ჭავჭავაძე.

ჭავჭავაძე, ი. (1985). «ვაცია-ადამიანი?!». ი. ჭავჭავაძე-ში, *ილია ჭავჭავაძე მოთხრობები, მე-2 ტომი* (გვ. 112-202). თბილისი: «საბჭოთა გამომცემლობა».

Publicistics: Chrestomathy (XIX century) (pp. 306-308). Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
Nikoladze, N. (1871). “For collection purpose”. d. Edited by Chikviladze, *Georgian journalism: Chrestomathy (XIX century)* (pp. 257-272). Tbilisi: Niko Nikoladze.

Nikoladze, N. (1964). *Essays, Volume 4*. Tbilisi: “Soviet Georgia” State Publishing House of the Ministry of Culture of the USSR of Georgia.

Firtzkhelauri, A. (2021). “Niko Nikoladze - a man who was ahead of his time”. Tbilisi: FORBESWOMAN.

Chavchavadze, I. (1863). “For the sake of Georgia”. d. In Chikviladze, *Chrestomathy (19th century)* (pp. 82-94). Tbilisi: Ilia Chavchavadze.

Chavchavadze, I. (1985). “Man people?!”. i. In Chavchavadze, *Ilia Chavchavadze Stories, Volume 2* (pp. 112-202). Tbilisi: “Soviet Publishing House”.

თანამედროვე ბიზნეს მოდელები ციფრულ სამყაროში

Modern Business Models in the Digital World

ლუკა აბრამიშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

დღევანდელ რეალობაში არსებობს ფიზიკური ბიზნესის ციფრული ვერსია, მამასადამე იზრდება პროცენტული წილი იმისა, რომ ბიზნესი თანამედროვე სამყაროში „გადარჩება“, იქნება საიმედო და ფუნქციონალური. მოცემულ ნაშრომში გავცნობით ციფრული ბიზნესის მუშაობის მექანიკას მომსახურების არბიტრაჟის (Drop Servicing) და პირდაპირი მიწოდების (Drop Servicing) მაგალითზე.

მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა დაკვირვების, ანალიზის, სინთეზის, შედარების მეთოდები.

იმისათვის, რომ ბიზნესმა შეაბიჯოს ციფრულ სამყაროში, რა თქმა უნდა, მან შესაბამისი პროცესები უნდა გაიაროს. პირველ რიგში აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა განაპირობებს მზაობას ბიზნესისთვის ციფრულ სამყაროში შესაბიჯებლად, უნდა განისაზღვროს სტრატეგიის შესაბამისობა, რაშიც იგულისხმება ის, თუ რამდენად ითვალისწინებს ბიზნესის ტაქტიკური და სტრატეგიული მიზანი ციფრულ სამყაროს, რამდენად ერგება ბიზნესის კონკრეტული ამბიციები ინტერნეტსა და საკომუნიკაციო მოწყობილობებს, რასაც დღეის მდგომარეობით თითოეული ჩვენგანი იყენებს. თუ აღმოჩნდა რომ ეს საკითხი პროცესის გაუთვალისწინებელი სუსტი წერტილია, რა თქმა უნდა, უნდა მოხდეს გეგმისა და სტრატეგიის განახლება, ტრანსფორმირება ციფრული გარემოს ფარგლებში. ამისთვის კი შესაბამისი რესურსი ესაჭიროება. რესურსში შეიძლება ვიგულისხმოთ, მაგალითად, ის ადამიანები, რომლებიც ციფრულ გარემოს ავითარებენ, კონკრეტული ტექნოლოგიური პროფესიები, რომლებიც დღეის მდგომარეობით ძალიან მოთხოვნადია და რაც მეტი ბიზნესი გადაწყვეტს საკუთარი თავის დამკვიდრებას თანამედროვე სამყაროში, მით მეტად მოთხოვნადი გახდებიან. ასეთი პროფესიებია მაგალითად Front-end development, Back-end development, Data analysis, AI Engineer და სხვ. აუცილებელია ასევე ორგანიზაციის კულტურასა და პრაქტიკაში კულტურაში ღიაობა ინტერნეტისადმი. ამის დანერგვა, ჩემი აზრით, შეიძლება დაიწყოს უმარტივესი ოპერაციების ციფრულ დონეზე შესრულებით, მაგალითად პერსონალის მიმართულებით მმართველობითი უმაღლესი დონეების მიერ ინფორმაციის ფართო დონეზე ციფრულად მიწოდება, ამგვარი „ციფრული კომფორტი“ ორგანიზაციული კულტურა იძულებული კი არ გახდება მოერგოს ამგვარ პრაქტიკას, არამედ

თვითონ მოითხოვს, რომ მათი პრაქტიკა ციფრულ დონეზე, დაინერგოს და განვითარდეს, ამის შემდგომ, როცა უკვე ორგანიზაციულ კულტურაში ციფრული გარემო მთავარი საკვები გახდება, უკვე შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯის ჯერი დგება, ონლაინ სივრცეში დამკვიდრება.

ონლაინ სივრცეში დამკვიდრება ძირითადად მოიცავს გლობალური პლატფორმების გამოყენებასა და სოციალური მედიის ათვისებას. მას შემდეგ, რაც ორგანიზაციული კულტურა შეისისხლხორცებს შესაბამის გარემოს, განვითარების პარალელურად ბიზნესის ციფრული პიარისა და საქონლისა და მომსახურების მსხვილ, ციფრულ ბაზარზე გატანის ჯერიც დგება. გლობალური პლატფორმები როგორცაა Ebay, Etsy, Amazon და სხვა, საქონლის, ხოლო upWork, Freelancer, Fiver და სხვა, მომსახურების მიწოდების ერთ-ერთი საშუალებათაგანია. ყველაზე კარგი ნაწილი ყოველივეს ისაა, რომ ბიზნესებს უფრო უმარტივდებთ საკუთარი საქონლისა და მომსახურებისთვის ბაზრების ძიება, ათვისება, გაფართოება, სეგმენტის რაოდენობრივი მოძიება, თვით სეგმენტის შერჩევა და შერჩეული, მოძიებული სეგმენტის ათვისება. ამ პროცესში კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია გლობალურ პლატფორმებთან ერთად სოციალური მედიის (Facebook, Instagram, Twitter) ათვისება. ვფიქრობ, რომ დღეს სოციალური მედია საუკეთესო საშუალებაა ბიზნესის მარკეტინგისთვის, ხოლო რეკლამა სოციალურ მედიაში საუკეთესო რეკლამის სახეობებს შორის. შეგვიძლია ზემოთ აღნიშნულ პროფესიებთან ერთად გამოვყოთ კიდევ ერთი, სოციალური მედია მარკეტინგი, რომელიც სოციალური მედიის ასათვისებლად ძლიერი პროფესიაა. ყოველივე ამის შემდეგ უკვე თვით თანამშრომლებმა შეიძლება გაზარდონ ციფრული შესაძლებლობები კომპანიაში, მოითხოვონ ძვირფასი დროის დაზოგვა და მეტად მნიშვნელოვანი, კომპანიისთვის საჭირო საქმისთვის გამოყენება, გაზარდონ ციფრული შესაძლებლობები და თუნდაც შეხვედრები, ღონისძიებები, დებატები განახორციელონ პლატფორმებზე როგორცაა Zoom, Google Meet, Microsoft Teams და ა.შ.

ჩვენი საკვლევი თემა მიმართულია არა მხოლოდ მსხვილი ბიზნესების, არამედ რიგითი მოქალაქეების საქმიანობაზე, რომელთაც მათი ფინანსური შესაძლებლობების გაფართოება სწადიათ, სურთ შექმნან დამატებითი პასიური შემოსავალი და აქციონ აქტიურად. განვიხილოთ ბიზნეს მოდელები, როგორცაა პირდაპირი მიწოდება (Drop Shipping) და მომსახურების არბიტრაჟი (Drop Servicing), რომლის მეშვეობითაც ადამიანები ქმნიან შემოსავლებს.

მომსახურების არბიტრაჟი (Drop Servicing) და პირდაპირი მიწოდება (Drop Shipping) არსით ერთი და იგივე ბიზნეს მოდელია იმ განსხვავებით, რომ პირველი გულისხმობს საქონლის გაყიდვას, ხოლო მეორე მომსახურებისა. მოცემული ბიზნეს მოდელების გააზრება რთული არაა. შეიძლება ითქვას, რომ არსებული ბიზნეს მოდელები საშუამავლო ხასიათისაა, რადგან ამ მოდელში მიმწოდებელი არ არის ის, ვინც ამ ბიზნეს მოდელის რეალიზაციას ახდენს, იგი მხოლოდ შუამავალია. სქემა შემდეგნაირია: მომხმარებელი, ონლაინ მაღაზია (Drop-Shipping/ Servicing) და მიმწოდებელი. როდესაც მომხმარებელი მაღაზიას დაუკვეთავს საქონელს ან მომსახურებას და გადაიხდის ამისთვის შესაბამის თანხას, მაღაზია თანხის ნაწილს გამოიყენებს იმისთვის, რომ მიმწოდებელს საქონელი ან მომსახურება დაუკვეთოს, ხოლო, თავის მხრივ, მიმწოდებელი პირდაპირ მისამართზე გაუგზავნის მომხმარებელს სასურველ პროდუქციას.

მაღაზიის ხელში გაიარა მხოლოდ მოთხოვნამ და საქონელსა და მომსახურებაზე მომატებულმა ფასმა, რამდენითაც ფასია გაზრდილი, სწორედ ეს თანხა რჩება მაღაზიას, ხოლო დანარჩენი საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებაა, რომელიც მიმწოდებელს ესაჭიროება, რომ პროდუქტი მიაწოდოს მომხმარებელს. მაღაზიას კი პროდუქტი საწყობში არ აქვს, მომსახურების რეალიზატორი კომპანიის ნაწილად არ ჰყავს განხილული.

რა ნაბიჯები უნდა გადადგას კომპანიამ, პიროვნებამ, მაღაზიამ იმისთვის, რომ ბიზნეს მოდელი ან მოდელები წარმატებულად გამოიყენოს შემოსავლის მისაღებად?

პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს პროდუქტის ან მომსახურების ნიშე, ნიშე უნდა იყოს კონკრეტული, გასაგები, უნიკალური, თვალშისაცემი. ეს ბიზნეს მოდელები რამდენად მარტივადაც ჟღერს, რომ სხვის საქონელს ან მომსახურებას შუამავლობა გავუწიოთ, იმდენად რთულდება საქმის განხორციელება, ეს ხდება იმიტომ, რომ ბიზნეს მოდელის მუშაობის მექანიზმი საკმაოდ მარტივად ჟღერს, რაც მოდელს მიმზიდველს ხდის საზოგადოებაში, შესაბამისად კონკურენცია იზრდება, რადგან უამრავი პირი კიდებს ხელს საქმეს ამ სიმარტივის გამო და მაღალი კონკურენციის გამო საქმეში წარმატების მიღწევაც რთულია.

ამასთან, აუცილებელია მიმწოდებლის მოძიება, იგივე მიზეზი შეგვიძლია გამოვიყენოთ აქაც, რაც ნიშეს არჩევის დროს. უნიკალურის, განსხვავებულის, თვალშისაცემის მოძიება საკმაოდ რთულია. მიმწოდებელი, რომელიც ქმნის განსხვავებულს ან უკეთესს, ბევრი ნამდვილად არ არის, მომსახურებისა და საქონლის უმეტესობა არის რუტინული, ერთნაირი, ელასტიური, მარტივად ჩანაცვლებადი. მიმწოდებელი, რომელიც შექმნის პროდუქციას, რომლის ჩანაცვლებაც გაუჭირდება მომხმარებელს, იქნება ბიზნესის წარმატების გარანტი.

ამის შემდგომი პროცესია ონლაინ მაღაზიის შექმნა, ეს ის ეტაპია, სადაც სწორედ ის რესურსია საჭირო, რაც ზემოთ ვახსენეთ: ორგანიზაციის რესურსი ციფრული ტრანსფორმაციისთვის. მაღაზიად შეგვიძლია განვიხილოთ ვებგვერდი, რომელსაც კონკრეტული, ზემოთ ხსენებული პროფესიის ადამიანები ქმნიან და ავითარებენ, ასევე შეიძლება გლობალური პლატფორმების გამოყენება, როგორცაა მაგალითად Shopify.

მას შემდეგ, რაც მაღაზი შეიქმნება, საჭიროა პროდუქტსა თუ მომსახურებაზე ინფორმაციის იმპორტირება, შესაბამისი აუდიო თუ ვიდეო მასალის ატვირთვა, შეფასებებისა და კომენტარების იმპორტირება ვინაიდან მიმწოდებელსაც ინტერნეტის მეშვეობით ვიძიებთ გლობალურ პლატფორმებზე.

ინფორმაციის იმპორტირება მოიცავს ფასდადებასაც. ხშირად ხდება, რომ კონკრეტულ პროდუქციაზე ფასები შუამავლების მიერ გახუთმაგებულად კია, იშვიათ შემთხვევაში ეს სამართლიანია, რადგან შუამავალს შესაძლოა დიდი ძალისხმევა დაჭირდეს იმისთვის, რომ შესაბამისი მარკეტინგული წვლილი შეიტანოს პროდუქტის ან მომსახურების რეკლამირებისთვის იმის გამო, რომ პროდუქციისთვის ნებისმიერი ახლის დამატება ნაკლებად გამოარჩევს პროდუქტს კონკურენტი საქონლისაგან, ამისთვის შეიძლება მრავალი მიზეზი არსებობდეს, რომლის გამოც შუამავალს უღირს ოთხმაგი ფასიც კი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს გაზვიადებულია.

შემდგომ უკვე იწყება ნაბიჯი, რომლითაც ჩავთვლით, რომ ბიზნეს მოდელი მართლაც

ამუშავდა და შეგვიძლია დავიწყოთ თანხის გამომუშავება. ეს არის, რა თქმა უნდა, მომხმარებლის შეკვეთების მიღება, ძალიან რთულია პირველი მომხმარებლის მოძიება, პირველის მოძიების შემდეგ კი ყველაფერი თავისით წარიმართება, სწორი მარკეტინგული მიდგომით და ციფრული დამხმარე ხელსაწყოების სწორი და თანმიმდევრული გამოყენებით შევძლებთ პირველი მომხმარებლის მოძიებას მაქსიმალურად მოკლე დროში.

მომხმარებლის შეკვეთის მიღების შემდგომ უკვე მიმწოდებლის მოძიების ჯერი დგება. ეს არ არის იმდენად რთული. როგორც პირველი შეკვეთის მიღება. მიმწოდებელი ვერასოდეს იქნება უარზე ამგვარი შემოთავაზების გაგებისას, მით უმეტეს ციფრულ სამყაროში ამ ბიზნეს მოდელის მეშვეობით პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ მომხმარებელმა ძირითად შემთხვევაში არცკი იცის, რომ მის საქონელს ან მომსახურებას შუამავლობას უწევენ, ერთი მიმწოდებლის პროდუქტზე შეიძლება მრავალი შუამავალი მუშაობდეს ისე, რომ ეს მიმწოდებელმა არ იცოდეს და გაიაზროს მხოლოდ მაშინ, როცა მოთხოვნა მის პროდუქტზე გაიზრდება. შეიძლება ვთქვათ, რომ თავის მხრივ, ავტომატურად ახალი მიმწოდებლის გამოჩენასთან ერთად ამ მიმწოდებლის მოთხოვნა-მიწოდების ბაზარი ჩნდება, რაც მეტია მოთხოვნა კონკრეტულ მიმწოდებელზე მას ფასი მეტი აქვს, ხოლო რაც ნაკლებია, ნაკლები აქვს.

შემდგომი პროცესია მიმწოდებლის მიერ საქონლისა თუ მომსახურების წარმოება, ეს ის პროცესია, სადაც შუამავალი არ ერევა, შუამავალის საქმე ერთადერთია, გაუძღვეს პროდუქციას და მიიღოს აქედან მოგება, ამის შემდეგ რაც ხდება, უკვე პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ მიმწოდებელია. ეს, რა თქმა უნდა, მოიცავს ტექნიკურ საკითხებს, ქარხნულ წუნს, პლუსებს, მინუსებს... მიმწოდებელი აწარმოებს საქონელსა თუ მომსახურებას და აწვდის მომხმარებელს.

ბოლო პროცესი არის ყველაზე მარტივი, პროცესის გამეორება. მომსახურების არბიტრაჟი და პირდაპირი მიწოდება მუდმივი პროცესია, არსებული ბიზნეს მოდელები მუდმივ სიფხიზლეს საჭიროებენ, აუცილებელია ბაზრისთვის მუდმივად თვალყურის დევნება, პოტენციურად ვარგისი პროდუქციის ამორჩევა შესაბამისი, სწორი, სანდო მიმწოდებლით.

ახლა კი შეგვიძლია შევუდგეთ იმის განხილვას, თუ როგორ ავამუშავოთ ბიზნეს მოდელი რეალურად, პრაქტიკაში, რა გვჭირდება ამისთვის, რისი ორგანიზებაა საჭირო, რისი გათვალისწინება გვესაჭიროება და ა.შ. განვიხილოთ მაღაზია და მიმწოდებელი, ყველაზე ხშირი და მარტივი მაგალითი იმისა თუ როგორ შევქმნათ პრაქტიკულად მაღაზია და ვიპოვოთ მიმწოდებელი. ამ ყველაფერს განვიხილავთ ცალ-ცალკე როგორც პირდაპირი მიწოდების, ისე მომსახურების არბიტრაჟის შემთხვევაში.

პირველ რიგში განვიხილოთ პირდაპირი მიწოდება. მაღაზია - უამრავი გზა არსებობს იმისათვის, რომ საკუთარი მაღაზია შევქმნათ. როგორც ბიზნესის გაციფრულებისთვის განსახორციელებელი ნაბიჯებიდან ერთ-ერთის მეშვეობით შევიტყვეთ საჭიროა რესურსი, რომელიც გულისხმობს ხალხს, ვინც დაგვეხმარება იმაში, რომ ონლაინ მაღაზია შეიქმნას პირდაპირი მიწოდების ბიზნესისთვის, ადამიანები, რომლებიც პროგრამული ენებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების პროფესიონალები არიან, თუმცა ეს ის გზაა, რომელიც უფრო მსხვილი ბიზნესებისთვის არის დამახასიათებელი, რომელთაც უკვე აქვთ ბიზნესი და მხოლოდ

ტრანსფორმირება სურთ. ამ შემთხვევაში შემოგთავაზებთ გზას, რომლის არჩევაც როგორც საწარმოებს, ასევე ჩვეულებრივ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც სურთ დაიწყოთ ფულის გამომუშავება. არსებობს უამრავი გლობალური პლატფორმა, სადაც მეორე პირის ჩარევის გარეშე ონლაინმაღაზიის შექმნა შეიძლება, განვიხილოთ ეს Shopify-ს მაგალითზე. Shopify არის პლატფორმა, სადაც ადამიანებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი ონლაინ მაღაზია, განათავსონ პროდუქტი და მიიღონ მოგება გაყიდვებიდან. Shopify-ს გამოყენება უფასო სიამოვნება ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა თვიური ღირებულება მცირეა, გაცილებით დაბალი, ვიდრე ვებგვერდის ნულიდან შექმნა, პროგრამული ენებით, სრულად გლობალური პლატფორმების გამოყენების გარეშე იქნებოდა. ყველაზე საინტერესო ფაქტი Shopify-ს ისაა, რომ მას გააჩნია მრავალი მხარდამჭერი ხელსაწყო სწორედ პირდაპირი მიწოდების ბიზნესისთვის, რომელიც საგრძნობლად აადვილებს პროცესს, ეხმარება პირს დროისა და ენერჯის დაზოგვაში. მას შემდეგ, რაც პირი შექმნის მაღაზიას, იწყება შემდეგი პროცესი, სად უნდა მოვიძიოთ პროდუქტი? ამ შემთხვევაში შემოგთავაზებთ ასევე ყველასთვის კარგად ნაცნობ გლობალურ პლატფორმას AliExpress-ს. AliExpress სავსეა სხვადასხვა ტიპის, ნიშეს, კატეგორიის პროდუქტებით, ნებისმიერი ფასისა და ხარისხის. ღირსეული პროდუქტის მოძიება AliExpress-ზე და ზოგადად ნებისმიერ პლატფორმაზე საკმაოდ რთულია, დამხმარე ხელსაწყოებს ღირსეული პროდუქტის საძებნად შემდგომ განვიხილავთ. მას შემდეგ, რაც მოვიძიებთ პროდუქტს, რა თქმა უნდა, საჭიროა განთავსება Shopify-ს მაღაზიაში. როგორ უნდა მოხდეს ეს? როგორც უკვე აღვნიშნეთ, Shopify-ს აქვს უამრავი მხარდამჭერი ხელსაწყო პროცესების გასამარტივებლად და დროის დასაზოგად და ერთ-ერთი ასეთი ხელსაწყოა Dsers. Dsers არის საკუთრივ AliExpress-ის ოფიციალური პირდაპირი მიწოდების პარტნიორი ხელსაწყო, რომლის მოძიება, როგორც ვახსენეთ, Shopify-ს მხარდამჭერ ხელსაწყოებში შესაძლებელია. მას შემდეგ, რაც პირი შეარჩევს პროდუქტს მაღაზიაში, განსათავსებლად იგი გამოიყენებს AliExpress-ის მისამართს (Link), რომელსაც მიუთითებს Dsers-ის ანგარიშზე და, თავის მხრივ, Dsers-იდან მაუსის ღილაკზე ერთი თითის დაჭერით პროდუქტი განთავსდება Shopify-ს მაღაზიაში. რა თქმა უნდა Dsers-შივე ჩვენ შეგვიძლია პროდუქტზე ფასის განსაზღვრა, დადება, ახალი ფოტო და ვიდეო მასალის ატვირთვა პროდუქტისთვის, პროდუქტის სახეობების, ვარიაციების ამორჩევა, ამოკლება და ა.შ. ეს მარტივი პროცესი შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებით გვეხმარება, რომ დავზოგოთ დრო და ენერჯია ტექნიკურ საკითხებზე და დაზოგილი რესურსი მოვახმაროთ ყველაზე მნიშვნელოვანსა და საჭიროს, სწორი პროდუქტის მოძიებას. ასევე ხაზი უნდა გაესვას ერთ-ერთ ხელსაწყოს, რომელსაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც Dsers-ს. ეს არის Ali Reviews, რომელიც აიშორტებს AliExpress-დან იმ მიმოხილვებსა და შეფასებებს პროდუქტზე Shopify-ს მაღაზიაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ხელსაწყოა, ვინაიდან მომხმარებელს მუდმივად ესაჭიროება პროდუქტთან დაკავშირებით სხვა ადამიანების გამოცდილება და პროდუქტის წარმატებაც, ვფიქრობ, მომხმარებელთა შორის კომუნიკაციაშია. მომხმარებელს შეუძლია ნახოს მაღაზიაში ყველა კომენტარი, შეფასება ვარსკვლავებით, ყველა მიწუსი და პლუსი, რაც AliExpress-ის გვერდზე მომხმარებლების მიერ გაკეთდა.

ზემოთ ვთქვით, რომ რთული პროცესი ღირსეული პროდუქტის მოძიებაა, რამდენად

მარტივადაც ბიზნეს მოდელი ჟღერს, სწორედ ამდენად ბევრი პირი ცდილობს შუამავალობას პროდუქტებზე. ამ ბიზნესში კონკურენცია ძალიან მაღალია. ადამიანებს ესმით, რომ ამ ბიზნესის განხორციელება მინიმალური ხარჯებითაა შესაძლებელი და შესაბამისად ამ ბიზნესის დაწყების სტიმულიც მეტ ადამიანს აქვს. ადვილია თვალშისაცემი პროდუქტის ამორჩევა საიტის ვებგვერდზე, მარტივად მისაგნები კარგი პროდუქტი უამრავი შუამავლისთვისაა ხელმისაწვდომი და მოთხოვნაც შუამავლების მიერ ამ პროდუქტზე მეტად იზრდება, შესაბამისად პროდუქტის შუამავლობა ძალიან რთულდება, რთულდება მარკეტინგული საქმეც, რთულდება რეკლამირება, რადგან ამ პროდუქტზე ძალიან ბევრი რეკლამა არსებობს სხვა შუამავლების მიერ, ამიტომაც საჭიროა ტექნიკურ საკითხებზე ხელსაწყოების მემვეობით დაზოგილი დროის პროდუქტის მოძიებაში ჩადება. როგორ უნდა მოვიძიოთ პროდუქტი, რომელსაც კარგი პოტენციალი და ცოტა შუამავალი ეყოლება, ამ ყველაფრისთვის კონკრეტული გზა არ არსებობს, თუმცა არსებობს ციფრული ხელსაწყოები, რომელიც ამ საქმეს გაგვიმარტივებს, რადგანაც ვსაუბრობდით AliExpress-ზე, შემოგთავაზებთ კონკრეტულად AliExpress-ის ხელსაწყოებს ტრენდული პროდუქტის, ნიშეს, ტრენდული პროდუქციის კატეგორიების, მოთხოვნადი საქონლის მოსაძიებლად. ესენია AliExpress DropShipping Center და AliHunter.io, ხოლო ზოგადად ინტერნეტ სივრცეში ტრენდული პროდუქციის მოსაძიებლად Trendhunter.io, არსებული ხელსაწყოები გვეხმარება იმაში, რომ მოვიძიოთ პოტენციურად კარგი პროდუქცია საშუამავლოდ, ისეთი, რომელიც ნაკლებად თვალშისაცემია სხვა შუამავლებისთვის, ანუ მოთხოვნა არ არის ბევრი იმ მიზეზით, რომ სხვა შუამავლებს პროდუქტისთვის ახალი თვალთ არ შეუხედავთ. როცა პირი ყველა ამ ეტაპს წარმატებით გადალახავს, იგი დაიწყებს ფულის გამომუშავებას.

ახლა კი გადავიდეთ მეორე ბიზნეს მოდელზე, მომსახურების არბიტრაჟზე, ვინაიდან მომსახურების არბიტრაჟი არის იგივე ბიზნეს მოდელი როგორც პირდაპირი მიწოდება იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მომსახურების შუამავლობა ხდება მსგავსი პროცესების გავლას საჭირო. ამ შემთხვევაში მომსახურების მაღაზიისთვის შემოგთავაზებთ გლობალურ პლატფორმას Kartra-ს, სადაც შესაძლებელია განთავსდეს მომსახურება, რომლის გლობალურად მიწოდებაც იგეგმება. მიმწოდებლის მოძიება შესაძლებელია ნებისმიერ ფრილანს პლატფორმაზე: upWork, Fiverr, Freelancer და ა.შ. ფრილანს პლატფორმები არის ინტერნეტ გვერდები, სადაც ადამიანები ყიდნიან თავიანთ მომსახურებას. მომსახურება შეიძლება იყოს ნებისმიერი ნიშეს, კატეგორიის, ხარისხისა და ფასის. მას შემდეგ, რაც პირი შექმნის Kartra-ს მაღაზიას, იგი იწყებს მომხმარებლის მოძიებას მსგავს პლატფორმაზე. მიზეზი, რატომაც ადამიანებმა შეიძლება მოაკითხონ შუამავალს და არა პირდაპირ მომსახურების მიმწოდებელს, არის ის, რომ შუამავალი მომსახურებას თვალში საცემს ხდის მომხმარებლისთვის, შეუძლია სარფიანად გაყიდოს ის მომსახურება, რასაც თვითონ არ აწარმოებს და სწორედ წარმატებულ მარკეტინგში იღებს მოგებას, ასევე ფრილანს პლატფორმაზე ყოველთვის მარტივია ხარისხიანი და დაბალფასიანი მომსახურების ძებნა. შუამავალს შეუძლია ფრილანს პლატფორმაზე მოიძიოს მიმწოდებელი. საქმის სირთულე, რა თქმა უნდა, საუკეთესო მიმწოდებლის მოძიებაშია. ერთი მიმწოდებლისთვის, როგორც ეს პროდუქტების შემთხვევაშია, შეიძლება იზრდოდეს ძალიან ბევრი შუამავალი. რა თქმა უნდა მიმწოდებელი ამოწურვადი

რესურსი სულაც არაა, პირიქით, მისთვის მრავალი შუამავალი მრავალი მარკეტინგული ხაზია, მრავალი მარკეტინგული ხაზი მრავალი რეკლამაა მრავალ ბაზარზე და მოგებაც მეტია, თუმცა საქმე იმაშია, რომ რაც მეტი შუამავალი ცდილობს კონკრეტული პირის მომსახურება გამოიყენოს საკუთარი ბიზნესისთვის, მით ნაკლებად პროდუქტიულად აწვდის მომსახურებას მაღაზიას ეს მიმწოდებელი, მისი მომსახურება „იშვიათი სიამოვნება“ ხდება თითოეული შუამავლისთვის, საქმის სირთულე სწორედ ამაში მდგომარეობს. ფრილანს პლატფორმებზე თითოეულ მიმწოდებელს აქვს შეფასება ვარსკვლავებით, კომენტარები და მიმოხილვები, ადვილია პირმა ნახოს კარგი მიმწოდებელი, მაგრამ რთულია მიიღოს მისგან მომსახურება ისე, როგორც მის საშუამავლო მაღაზიას ესაჭიროება. ამაში სჭირდება სწორედ შუამავალს შესაბამისი შრომა ჩადოს, ეს ორმაგი გამოწვევაა, რომ კარგი და ამასთანავე მომსახურებაზე ადვილად ხელმისაწვდომი მიმწოდებელი ნახოს და შემდეგ სწორი მარკეტინგული შრომა გაწიოს მომსახურების გაყიდვისთვის.

დასკვნა

ასე რომ, როგორც მომსახურების არბიტრაჟის, ისე პირდაპირი მიწოდებისთვის იდეა ერთია, ბიზნეს მოდელი მარტივად ჟღერს, შუამავლობა სხვის ნაწარმზე, თუმცა რამდენად მარტივადაც ეს ყველაფერი ჟღერს, იმდენად დიდია კონკურენცია ამ ბიზნესში, შუამავალს ესაჭიროება განსხვავებული ხედვა, მომხმარებელთა მოთხოვნილებების სწორად გაგება და გააზრება, მან მუდმივად უნდა ადევნოს ბაზარს თვალი ახალი პროდუქტისა თუ მომსახურების აღმოსაჩენად. არსებული ბიზნეს მოდელები არის ერთ-ერთი საუკეთესო ფულის გამომუშავებისთვის, მთავარია სწორი ხედვა და დაუღალავი შრომა.

განათლების საკითხები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში

ელენე სავანელი

ნიკა რუხაძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკვლევი თემა ეხება ცნობილი ქართველი პუბლიცისტის ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში განათლების თემისადმი მიძღვნილ საკითხებს. მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც რუსული იმპერიალიზმი ებრძოდა ქართულ ენას, ლიტერატურას და კულტურას.

ზეწოლის მიუხედავად ილია საკუთარ პუბლიცისტურ წერილებში ახერხებდა განათლების, როგორც ეროვნული ცნობიერების გადარჩენის გზის, პოპულარიზაციას. იგი არამხოლოდ განათლების მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას, არამედ იცავდა ქართულ ენას, ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობას, განათლების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის იდეას.

კვლევაში გაანალიზებულია განათლების თემისადმი მიძღვნილი ცხრა პუბლიცისტური წერილი და გამოკვეთილია მთავარი გზავნილები. კერძოდ, შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით დავამუშავეთ შემდეგი პუბლიცისტური წერილები:

- „ვიცინოთ თუ ვიტროთ“ (1877წ.)
- „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ (1877-1879წწ.)
- „ქართულ საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე“ (1878წ.)
- „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ (1881წ.)
- „ქალი მასწავლებელი“ (1886წ.)
- „ქართველი სტუდენტობა რუსეთში“ (1886წ.)
- „ჩვენი ხალხი და განათლება“ (1886წ.)
- „ისევ განათლების საკითხებზე“ (1889წ.)
- „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებლის შესახებ“ (1893წ.)

კვლევამ აჩვენა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულ საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) განათლების თემა საჭიროებდა პოპულარიზაციას, ხოლო განათლების უფლება - დაცვას. რუსული ადმინისტრაცია ხელს უშლიდა ქართულ ენაზე სწავლის პროცესს, ხელს არ უწყობდა ქალთა და ვაჟთა თანაბრად განათლებას, ზღუდავდა სოფლებსა და პროვინციებში პირველადი განათლების მიღების შესაძლებლობებს. ილია ჭავჭავაძე საკუთარი ჟურნალისტური საქმიანობით აკრიტიკებდა

რუსული ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პოლიტიკას და ააშკარავებდა გულგრილობას, ქართული ენის შევიწროვების ტენდენციებს, იცავდა განათლებას, როგორც ადამიანის აბსოლუტურ უფლებას.

ილიას პუბლიცისტიკამ (ისევე როგორც მე-19 საუკუნის საქართველოს არაერთი საზოგადო მოღვაწის ჟურნალისტიურმა საქმიანობამ) გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილ ქართულ საზოგადოებაში ქართულენოვანი განათლება არ შესუსტებულა. შედეგად, მეფის რუსეთის დაშლის შემდეგ ქართველი ერი მზად აღმოჩნდა, რომ შეექმნა ახალი ქართული ეროვნული სახელმწიფო.

საკვანძო სიტყვები: „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“, „მე-19 საუკუნის ჟურნალისტიკა“, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, „სახალხო განათლება“, „გენდერული თანასწორობა“

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს განათლების საკითხებს. ილიას განათლება ქვეყნის კეთილდღეობის მიზნისაკენ მიმავალ უმთავრეს გზად ესახებოდა. განვითარება და წინსვლა, მისი აზრით, მიიღწეოდა არამხოლოდ „მკლავით“ (იგულისხმება შრომა და ბრძოლა), არამედ - „გონებითა და კალამით“.

2023 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 3.228.691 ადამიანს შეადგენს. სტატისტიკურად მათგან წერა-კითხვის უცოდინარი 12.576-ია. სულ რაღაც 2-3 საუკუნის წინ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცოდა წერა-კითხვა. სხვა თუ არაფერი, დღესდღეობით 26 უნივერსიტეტია დაარსებული ქვეყნის მასშტაბით, როცა 1918 წლამდე ერთიც არ გვქონდა. ახლანდელ დროში, 2000-ზე მეტი საჯარო და 200-ზე მეტი კერძო სკოლა ფუნქციონირებს. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022-2023)

ქალთა უფლებები დღევანდელ საქართველოშიც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემაა - არათანაბარი შრომითი გარემო, ოჯახში ქალებზე განხორციელებული ფსიქიკური, ფიზიკური, ეკონომიკური ძალადობა დიდი გამოწვევაა, თუმცა გასულ საუკუნეებთან შედარებით ქალთა უფლებების მხრივ მიღწეული პროგრესი თვალსაჩინოა. სხვა თუ არაფერი, დღეს ქალებს არ უწევთ განათლების მიღებისათვის ბრძოლა და ბევრ სფეროში მამაკაცთა კვალდაკვალ არიან დასაქმებულები, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო.

ამიტომაც, აღიარებულ უნდა იქნას წინაპრების დამსახურება. ამისთვის ბრძოლა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში რომ არ დაეწყოთ, დღეს არ იქნებოდა ზემოთხსენებული შედეგები. მათი ბრძოლის ასპარეზი ევროპული სტილის ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში გაიშალა.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს 1861-1907 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი იყო. 1848 წლიდან სწავლობდა თბილისის კერძო პანსიონში; 1852 წლიდან - თბილისის გიმნაზიაში, 1857-1861 წლებში კი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1863 წელს ილიამ დააარსა ჟურნალი საქართველოს მოამბე. მიუხედავად უმძიმესი საცენზურო პირობებისა, ეს ჟურნალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ მედრომედ იქცა. 1877 წელს მან დააარსა ყოველკვირეული გაზეთი ივერია, რომელმაც თითქმის 30 წელი იარსება. ამ ხნის განმავლობაში „ივერია“ - ხან კვირაში სამჯერ გამომავალი გაზეთი იყო, ხან თვეში ერთხელ გამომავალი ჟურნალი, ხანაც - სამ თვეში ერთხელ გამომავალი ალმანახი. 1885 წლიდან, როდესაც დაიხურა პირველი ყოველდღიური გაზეთი დროება, „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად იქცა. ილიას პუბლიცისტური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ გაზეთ ივერიას უკავშირდება. ჩვენს ნაშრომში განხილულია განათლების შესახებ მომზადებული პუბლიცისტური წერილები, რომლებიც „ივერიაში“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნდა.

ჩვენი კვლევის მეთოდი იყო ილიას პუბლიცისტური წერილების შინაარსობრივი ანალიზი, კვლევისას ემპირიულ (საკვლევ) მასალად შევარჩიეთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ეხებოდა სახალხო განათლების საკითხებს.

გავაანალიზეთ ილიას ცხრა წერილი:

- „ვიცინოთ თუ ვიტროთ“ (1877წ.)
- „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ (1877-1879წწ.)
- „ქართულ საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე“ (1878წ.)
- „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ (1881წ.)
- „ქალი მასწავლებელი“ (1886წ.)
- „ქართველი სტუდენტობა რუსეთში“ (1886წ.)
- „ჩვენი ხალხი და განათლება“ (1886წ.)
- „ისევ განათლების საკითხებზე“ (1889წ.)
- „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებლის შესახებ“ (1893წ.)

„რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება ქართველებისთვის ილია ჭავჭავაძის ფენომენი. განსაკუთრებით ეს ეხება მის პუბლიცისტიკას, რომელთან პირველი შეხებისთანავე მკითხველს ატყვევებს ავტორის მრავალმხრივი და ღრმა ერუდიცია, ფართო თვალსაწიერი და მოვლენების ანალიზის განსაკუთრებული უნარი. არ დარჩენილა იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი სფერო, რომელშიც ილიას თავისი კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვას, იქნება ეს საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, თეატრი თარგმანმცოდნეობა, ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა, საბანკო საქმე და ფინანსები, საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ა.შ.“ (ელექტრონული წიგნები, 2011-2020).

„ვიცინოთ თუ ვიტროთ“ (1877) ეძღვნება ქართული ენის დაუფასებლობასა და დაკნინებას, რაც მთავარია, ამ ტენდენციაში უშუალოდ ქართველები არიან დამნაშეველები. გორში საოსტატო სემინარიაში, როგორც ილიამ გამოიკვლია, 50 მოსწავლედან 31 ქართველი ყოფილა, ამის მიუხედავად ამ სასწავლებელში ქართული ენა არ ყოფილა პრიორიტეტული. სემინარიის დირექტორს თავის გასამართლებლად ქართველები გვარტომებად დაუყვია (იმერლები,

გურულები, ფშაველები, აფხაზნი და ა.შ) - „ქართველი ქართველი არ არის“ პრინციპით (ჭავჭავაძე ი. , გვ. 188). ამ სემინარიასთან არსებობდა მოსამზადებელი კლასი (ე.წ. პროსემინარია), სადაც მხოლოდ ქართველები სწავლობდნენ. საქმე ისაა, რომ ქართული ენა აქაც კი არ ყოფილა პრიორიტეტული, პირიქით, „ხსენებაც არ არის“ ქართულისო, წერდა ილია. „მისთვის ერთი საათიც არ არის კვირაში დანიშნული და მოწაფენი ქართულს წიგნებსაც მოკლებულნი არიან“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 189). თავის გასამართლებლად იტყვიან, წიგნები ხომ მაინცაა ქართულად, მაგრამ „ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშვებმა ჩათვლით კითხვისა და ქართული ასოების ჯღაბნის მეტი არა ისწავლონ-რა“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 189).

პროსემინარიის ერთ-ერთი მასწავლებელი იყო ბატონი ნათიევი, რომელსაც ქართული და რუსული ენების შერევა უნდოდა ერთმანეთში, მეტიც, თავისი ანბანიც კი გამოუგონია და ბავშვებს ასწავლიდა. ილიას გულწრფელად ეცოდება ქართველი მოსწავლეები: „ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვებო!“ (ჭავჭავაძე ი.).

წერილში „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ (1877-1879წწ.) წამოწეულია იდეა, რომ ადამიანი, პირველ რიგში, უნდა იყოს საკუთარი თავის საყრდენი და არ უნდა იყოს სხვაზე დამოკიდებული. თუმცა, ამავდროულად, ეს არ ნიშნავს, რომ სულ მარტომ იმოქმედოს. არის გარკვეული საკითხები, რომელიც ითხოვს საზოგადოების გაერთიანებასა და აქტიურ ჩართულობას, ამ დროს ამოქმედდება „ძალა ერთობაშიას“ პრინციპი. ილია გვახსენებს, რომ განათლებას სჭირდება ფინანსები და მატერიალური ყოფა ძალიან ბევრს წყვეტს. ოც საუკუნეზე მეტია ქართველი ხალხი ცხოვრების ასპარეზზეა გამოსული, მუდმივ ბრძოლასა და ქაოსში უწევდა ცხოვრება: „ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანია“. როცა მშვიდობა იყო, ქართველები მუდმივად შრომობდნენ, სწავლობდნენ და საკუთარი თავის განვითარებაზე ზრუნავდნენ. ილიას ის სწყინს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს სიტუაცია შედარებით დამშვიდებული იყო, „ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 196)

ილიას აზრით, ამის მიზეზი არ არის ის, რასაც სხვები ასახელებენ, რომ, თითქოს, სურვილი არ გვაქვს, ნიჭი არ გვიწყობს ხელს, ან „თვით ნივთიერი ღონისძიება გვაკლია“. პრობლემა ისაა, რომ „დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გავგზადა“. ხსნა კი თვითმოქმედებასა და ერთობაშია (ჭავჭავაძე ი. , გვ. 196-197). ჭავჭავაძე პატივს სცემს გიორგი რომანის-ძე ერისთავის მოსაზრებებსა და სწავლებებს, რომლის ძირითადი აზრიც მდგომარეობს შემდეგში: რასაც მარტო ვერ მოვიმოქმედებთ, შევძლებთ საზოგადოებასთან ერთად. ჯერ კი იქიდან უნდა დავიწყოთ, რომ „ჩვენს შვილებს სწავლისა, განათლებისა და ერთობ კაცად ქცევის გზა მივსცეთ იმოდენად ფართო, რამოდენადაც შესაძლო იქნება“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 197). წერილის მეორე ნაწილში, ილია აღნიშნავს იმ ადამიანების ღვაწლს, რომლებიც შრომობენ, იღვწიან, მაგრამ თავიანთი სახელის გამოჩენა არ უნდათ და ამას სახელისთვის არ აკეთებენ. სწორედ ასეთ ადამიანებშია ძალა. გიორგი ერისთავის მეთაურობით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებამ გადაწყვიტა ღარიბ

მოსწავლეთა შემწეობისთვის გაეხსნათ სასწავლებელი. ილია კი საზოგადოებას მოუწოდებდა ფინანსური დახმარების გაღებას მომავალი თაობისათვის.

„ქართულ საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე“ (1878წ.) - ფაქტობრივად წინა წერილის გაგრძელებაა. წერილში განხილული მთავარი პრობლემა საქართველოში სასწავლებლების სიმცირეა. ავტორის თქმით, იმის გამო, რომ ბევრ სოფელში არ იყო დაწყებითი სასწავლებელი, ბავშვები განათლების გარეშე რჩებოდნენ. ილიას გამოსავალი ასეთი იყო: უნდა მიეცეს სკოლას საშუალება შექმნას საკუთარი საშუალო სასწავლებელი. თუმცა, აქაც აუცილებელია საზოგადოების ყურადღება და გვერდში დგომა: „აქ მხოლოდ საგანს ვდებ, რათა მოვაგონოთ მკითხველს საზოგადოებას, რა-გვარი მნიშვნელობა ეძლევა ახლად დაწყებულ საქმეს, თუ ჯეროვან ყურადღებას მისცემს მას და არ მოაკლებს თვის თანაგრძნობას“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 209)

„ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო“ (1881წ.) რუსი ჩინოვნიკი იანოვსკი უგულუბელყოფდა საერო სკოლის ფუნქციას და ამ ფუნქციას მოსამზადებელი კლასს აკისრებდა. შესაბამისად, მისი აზრით, ქართული ენა მხოლოდ მოსამზადებელ სკოლაში უნდა ესწავლებინათ, საერო სკოლებში სწავლა თავიდან ბოლომდე რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. წერილის დასაწყისში ილია საერო სკოლის მნიშვნელობას განმარტავს, იგი აღნიშნავს, რომ საერო სკოლა ერის სკოლაა, შინაური სკოლაა, სადაც ერის გონებამ და გრძნობამ ფეხი უნდა აიდგას. სხვა საგანი სკოლას არა აქვს. არგუმენტის გასამყარებლად კი მოჰყავს რუსი მასწავლებლის უშინსკის სიტყვები: „საერო სკოლის საგანი ის კი არ არის, რომ ბავშვის თავი ცოტად თუ ბევრად, გამოჰქედოს სხვადასხვა-გვარის ცოდნითა, რომელიც მერე დავიწყებას მიეცემა ხოლმე, ან კიდევ ტექნიკური ცოდნა მიანიჭოს წერა-კითხვისა, რომელსაც მოზარდი არ გამოიყენებს; არამედ ის არის, რომ სკოლაში ვარჯიშობითა გაიხსნას ბავშვმა ჭკუა და გულისყური“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 215-216).

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს იანოვსკის ორ მთავარ შეცდომას:

1. საერო სკოლას მოსამზადებელი კლასის საქმეს უნიშნავს
2. მოუწადინებია საერო სკოლების გამართვაც. მის წერილში საერთოდ არაა საერო სკოლის ძირითად ფუნქციებზე საუბარი.

ამავდროულად, ავტორს ძალიან ბევრი რუსის თუ სხვა ეროვნების პედაგოგების ციტატები აქვს მოყვანილი და ბოლოს მკაფიოდ ასკვნის, რომ ბუნება, ერი, მისი ყოფ-ცხოვრება საერო სკოლის მეორე განსაკუთრებული საგანია. „ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 221). ბ-ნი იანოვსკი წერს დედა-აზრს, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობს. იგი ოთხი პუნქტისაგან შედგება:

1. რასაც სასწავლებელში ასწავლიან უნდა ასწავლონ ცნობიერად და გაგებით;
2. იმ განზრახვით უნდა ასწავლონ საგნები, რომ მოსწავლეს მიენიჭოს ცოდნა;
3. სხვადასხვა სასწავლებლებს შორის უნდა იყოს მჭიდრო კავშირი;
4. სასწავლებელმა მომატებულად უნდა დააკმაყოფილოს იმ საზოგადოების საჭიროება, რომლის-

ვისაც არსებობს. ამის შემდეგ კი წერს, რომ სწავლება საზოგადოდ უნდა მიდიოდეს უპირატესად დედა-ენის შემწეობით (და არა განსაკუთრებით).

ამის შემდეგ ილიამ გაანალიზა იანოვსკის პოლიტიკა და დაასაბუთა, რომ მისი პოლიტიკა საერო სკოლის ყველა სტანდარტთან წინააღმდეგობაში იყო. იანოვსკის უნდოდა ბავშვები რუსულ ენას შეჩვეულიყვნენ, მოეფიქრებინათ წინადადებები ჯერ დედა-ენაზე და შემდეგ რუსულად ეთარგმნათ. ეს კი აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა მის ჩამოთვლილ ოთხ მუხლს. იგი ფიქრობს, რომ იანოვსკიმ მეორე პრინციპი დაარღვია, როცა სამ წელში დედა-ენისა და რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლაც უწევდათ ბავშვებს. მესამე პრინციპიც ირღვევა: უმრავლესობის მიზანი არაა გიმნაზიებსა და უმაღლესში გაგრძელება (თუმცა კი ამის სურვილია). ამიტომაც სკოლამ უნდა იზრუნოს მათი თვალთახედვა და თვალსაწიერი გაზარდოს და გამოავლინოს ისინი გულითა და სულით. პრობლემა კი მაინც ერთ რამეში რჩება: „საერო სკოლის ენა ერთია და უმაღლესისა სრულებით სხვა“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 227).

კიდევ ერთი თემა, რასაც განათლების საკითხზე შექმნილი პუბლიცისტური წერილები ეხმაურება, ქალთა განათლების უფლებაა. ქალთა უფლებები დღევანდელ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემაა - არათანაბარი შრომითი გარემო, ოჯახში ქალებზე განხორციელებული ფსიქიკური, ფიზიკური, ეკონომიკური ძალადობა დიდი გამოწვევაა. წერილი „ქალი მასწავლებელი“ (1886წ.), ფაქტობრივად, მაშინდელი აზროვნების სახეა. ჯერ ისედაც რთული იყო ისეთი ადამიანის ნახვა, რომელსაც შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ ასეთი კადრი რომც გამოჩენილიყო, სამსახურის დაწყება მაინც გაურთულდებოდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ქალები იყვნენ: „რაც უნდა უკეთ მომზადებული იყოს, რაც უნდა თავ-გამომეტეხული თავისის თანამდებობის აღსრულებისათვის, რაკი ქალია, იშვიათად უპირატესობა მიეცემა ხოლმე მამაკაცის წინაშე, როცა ორივენი ერთს დროს წარსდგებიან ადგილის საშოვნელად“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 234). თუმცა ქალები ფარ-ხმალს არასდროს ყრიდნენ, პირიქით, ყოველთვის მედგრად იდგნენ (ჩვენი ისტორიაც რომ გავიხსენოთ). ახლაც არაა გამონაკლისი და დაუარსებიათ „საზოგადოება საკუთრივ ქალთა-მასწავლებელთა შემწეობისა და ხელშეწყობისთვის.“ ილია აღფრთოვანებულია ქალ მასწავლებელთა პრინციპულობით. ქალებმა მოთქმა კი არ დაიწყეს „ვილუპებითო“, არამედ თავიანთი თვითმოქმედება ფარ-ხმალად აუღიათ. „თვითმოქმედება ყოვლად მხსნელი და ძლევამოსილი ძალია ყოველსფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, თუ საზოგადოებას, თავის თავის შველა უნდა“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 235). დღეს სიტუაცია აშკარად გამოსწორებულია და ასე თუ ისე დარეგულირებულია გენდერული თანასწორობის საკითხი. დღეს ქალებს არ უწევთ განათლების მიღებისათვის ბრძოლა და ბევრ სფეროში მამაკაცთა კვლადაკვალ არიან დასაქმებულები, თუმცა, რა თქმა უნდა, პრობლემა, რომელიც ისტორიის მუდმივი თანმდევი ნაწილი იყო, ასე ბოლომდე არ აღმოიფხვრება და კიდევ დიდი დრო სჭირდება, რომ საზოგადოების მცირე ნაწილშიც კი აღარ დარჩეს აქტუალურად.

„ქართველი სტუდენტობა რუსეთში“ (1886წ.) - ამ წერილშიც ძირითადი ადგილი მატერიალურ დახმარებას ეთმობა. თავდაპირველად ილია საუბრობს ყმაწვილკაცობის შეცდომაზე, რომელიც

აუცილებლად უნდა აპატიო ახალგაზრდას, რადგან ის გაბედულობა, რისკი, დასაფასებელია („თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებით“), ხოლო თუ მათ დახმარება დასჭირდებათ და ითხოვენ, ვალდებულნი ვართ დავეხმაროთ: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 239-240). წერილის მეორე ნაწილში ილია საუბრობს, რომ ვერავინ ვერ იტყვის ქართველებში განათლების სურვილი არააო. თუ მეტს მოინდომებს, მეტს ინატრებს, ამ შემთხვევაში ეს სათაკილო არაა, პირიქით. „საცა დღეს იგი იმარჯვებს - ვინც მცოდნეა, იგი ჰთანამშობს - ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან.“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 241). მოსწავლეების უმეტესი ნაწილი ღარიბია, მაგრამ „თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღვწის ამ შემთხვევაში, ვიდრე - სიმდიდრე.“ მდიდარს ცა ქუდად აქვს, დედამიწა ქალამნად. სიღარიბეს კი წინ ეკლიანი გზა უდევს. (ჭავჭავაძე ი. , გვ. 243). დღესაც ასეა, მომავლის თესლი ისეთ ხალხში უფროა, ვინც ცდილობს რაღაც დატოვოს თავისი ცხოვრებით და მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობისთვის არ არსებობს.

„ჩვენი ხალხი და განათლება“ (1886წ.) - მოცემულ წერილში ილია ჭავჭავაძე საუბრობს ორ ხელისშემშლელ ფაქტორზე, რომელიც საზოგადოების განვითარებას აფერხებს. ესენია: უმეცრება და ცრუმორწმუნეობა. ავტორს მოსავლის მაგალითი აქვს მოყვანილი, რომ უმეცრება, როგორც უმთავრესი სენი, კარგად დაგვანახოს. ადამიანი შრომობს, თავს არ იღებს, რომ კარგი მოსავალი ჰქონდეს, მაგრამ უცებ სეტყვა ან რომელიმე სტიქიური მოვლენა გაუნადგურებს. რა ქნას? ცოდნა მას არ აქვს. მოვა შემდეგი წელი, თუ მოსავალი მოვიდა, სამაგიეროდ ალებ-მიცემობის არაფერი გაეგება. როცა გავრცელდება რამე სენი, ავადმყოფობა, რატომ მკურნალთან არ მიდიან? წავლენ მკითხავთან ან სოფლის დედაკაცთან, რომლის მკურნალობასაც ხშირად უარესი შედეგები მოსდევს. ჭარბობს დაუნდობლობა, შური, მტრობა ეკონომიკური საკითხების გამო. ის კი არ იციან, რომ მეზობლის უბედურებით თვითონ ვერ გაბედნიერდებიან. „რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადებს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 249). ძალიან ბევრმა კითხვაც არ იცის და განათლების საკითხებს არც შეხებია. სკოლებს ეჭვის თვალთ უყურებენ. არადა სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება, გაფანტოს გონების სიბნელე, უნდა მისცეს ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად. ისინი კიდევ სკოლას დევნიან, მიზეზი? უმეცრება. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია: განათლება, ცოდნა, სწავლა. „ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 250).

წერილში - „ისევ განათლების საკითხებზე“ (1889წ.) - განხილული პრობლემატიკა სრულად შეესაბამება დღევანდელობას. ილია აღნიშნავს, რომ ხალხი ცოდნას უკვე ისე უყურებს, როგორც დეკორატიულ სამკაულს, რომელსაც გინდ ატარებ, გინდა - არა. რეალურად კი იგი თვლის, რომ ცოდნა ადამიანობაც, სარჩო-საბადებელიც, ღონეც და შესაძლებლობაც: „ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 253). ავტორი გაუნათლებელ, არმცოდნე ადამიანს მცოდნე კაცის ყურმოჭრილ ყმას უწოდებს,

რომელიც იძულებულია იმას დასჯერდეს, რასაც მისცემენ: „რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის უღირსსა და გამოუსადეგს“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 254). რასაც მცოდნე ადამიანი ერთ საათში გააკეთებს, უცოდინარი ოთხ-ხუთ საათს მაინც მოანდომებს. ერთი სიტყვით, ილია შეეცადა საზოგადოებისათვის დაენახებინა განსხვავება მცოდნე და უცოდინარ ადამიანს შორის. ადამიანები უფულობას კი არ უნდა მისტიროდნენ, რადგან „ტირილითა და ვიშითა სოფელი არ აშენდება“, არამედ უცოდინრობას, ვინაიდან, სწორედ ცოდნაა ყველაფრის საწყისი, მათ შორის მატერიალური კეთილდღეობისიც.

ყველაზე გულდასაწყვეტი რეალობა, რომელიც ილიამ საკუთარ წერილებში აღწერა, შეეხება უცხოელთა კეთილმოწყობას საქართველოში, როცა ქართველს ამ დროს არაფერი არ გააჩნია. უცხოელები შემოდინან საქართველოში ცოდნით, შრომით და ჩვენზე უკეთაც არიან: „უცხო-ქვეყნელი, ვინ იცის საიდან მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თულუკმა-პურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 254). ქართველები კი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მიწა თუ ადგილ-მამული აქვთ წინაპრებისგან დატოვებული, ქონებას ვერ იყენებენ სათანადოდ, რადგან ეზარებათ შრომა და არ აქვთ საკმარისი ცოდნა. გამოდის, რომ მხოლოდ მატერიალური სიმდიდრეც არაფერს ნიშნავს, თუ მას თან ცოდნა არ ახლდა: „ეხლანდელ დროში თითონ ფულითაც მდიდარი ღარიბია, რადგანაც უქმია და გამოუსადეგი“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 255). წერილის მეორე ნაწილში კი ილიას უკვე მოჰყავს სტატისტიკური დამოწმებები, მაგალითად თბილისის სასწავლებელში 358 შეგირდიდან ქართველი იყო მხოლოდ 27, ხოლო რუსები უპირატესობაში - 138... „ეს ამბავი გულში უფრო მწვავედ ჩააჩნდება ყოველს ჩვენს მოკეთეს, როცა გვეცოდინება, ქართველებთან შედარებით ვინ რამდენნი არიან, თუნდ, მაგალითად, მარტო ტფილისში“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 258). ამის შემდეგ ავტორმა იდეალურ მაგალითად მოიყვანა გერმანელი ხალხი. პირველი მიზეზი, რის გამოც გერმანელებს საშუალება აქვთ მომავალ თაობას შესაფერისი განათლება მისცენ, არის მათი მატერიალური კეთილდღეობა. ეს კი იქიდან მოდის, რომ ისინი ცოდნას არ უყურებდნენ როგორც სამკაულს, არამედ მათთვის ცოდნა აუცილებელი საჭიროება იყო. ასევე, „გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად-კი თავის მონაგარს გროშს გადასდებს“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 260). მეორე მიზეზი იმისა, რომ გერმანელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, არის ბევრი რამის ცოდნა: „ან სწავლულია და ამით ჰშოობს ცხოვრების საგზალსა, ან ხელოვანია რაშიმე, ან ხელოსანია“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 260-261). ქართველები კი საპირისპირო ღირებულებებით ცხოვრობდნენ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ აწმყოს უყურებდნენ და არ ფიქრობდნენ რა იქნება მომავალში, ამიტომაცაა რომ „ჩვენის ცხოვრების „ჩოტკში“ შვილის გასაზრდელს სახარჯოს არავითარი ადგილი არ უჭირავს“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 261). ილიას წერილის ბოლოს სამართლიანი კითხვა გაუჩნდა: თუ სურვილი ძლიერია, მაშინ რატომ არ გამოსდით ქართველებს ეს საქმე? პასუხი კი ცხადზე ცხადია: „იმიტომ, რომ ჩვენ შვილი მიგვყავს სკოლაში მარტო იმისათვის, რომ თავი დამ მოვიშოროთ, ან სახელმწიფოს მოვახვიოთ კისერზედ...“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 261). ხშირად მშობლები დღესაც ფიქრობენ, რომ როცა შვილი სკოლაში ან ბაღშია მათზე პასუხისმგებლობა იმ მომენტში საერთოდ

აღარ აქვთ. ილიას გამოსავალი ასეთია: „ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალ იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, - აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 262).

ბოლო, მეცხრე პუბლიცისტური წერილია „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებლის შესახებ“ (1893წ.). წერილიდან ვიგებთ, რომ რუსეთის ადმინისტრაციამ დაამტკიცა ქალთა სოფლის სამეურნეო სასწავლებლის გახსნა. ცხადია, ამით ისინი ნაწილობრივ, გაუთანაბრდნენ კაცებს. შესაბამისად, ილიაც მოხარული იყო ამ გადაწყვეტილებისა. თუმცა, მისი კითხვა თუ დამოკიდებულება მდგომარეობდა შემდეგში: დაბალი საფეხურის მეურნეობას ისწავლიან, მაგრამ ასეთივე უფლება აქვთ ისწავლონ უმაღლესი სამეურნეო განათლებაც? ამის იმედი ჯერჯერობით არ ჩანდა, თუმცა ავტორს სჯერა, რომ მომავალში ესეც განხორციელდება. ეს კარგი, თუმცა, ჭავჭავაძე აკრიტიკებს განათლების სამინისტროს მეორე პროექტს, რომელიც გულისხმობს, რომ „ქალთა გიმნაზიებში“ მხოლოდ უმაღლესი წოდებისანი ისწავლიან. ცხადია, ეს განაცხადი ილიასთვის შემამფოთებელი იქნებოდა, რადგან ამდენი ხანია, სწორედ ამ წოდებების მოშლისათვის იბრძვის და ხმამაღლა ამბობს, რომ განათლების მიღების უფლება აქვს ყველას, მიუხედავად მისი წოდებრივი კუთვნილებისა. „პროექტის შემდგენელს დავიწყებია, რომ ასეთი განკერძოება წოდებათა, ასეთი განცალკევება ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნობა, აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გადაბმული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომაა“ - ამბობს ილია (ჭავჭავაძე ი. , გვ. 266). ასეთი გადაწყვეტილება მან საზოგადოების სხვადასხვა წოდებებს შორის შუღლის გაღვივებად მიიჩნია. წერილს ილია ასრულებს სიტყვებით: „მაგრამ ზოგიერთნი ძველნი და ახალნი მბლაჯვენლნი ამ მარტივს აზრს ჯერაც ვერ მიმხვდარან“ (ჭავჭავაძე ი. , გვ. 266).

დასასრულ, გამოვყოფთ იმ ძირითად დასკვნებს, იდეებსა თუ აღმოჩენებს, რომლებიც ცხად-ჰყო ჩატარებულმა კვლევამ:

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობაზე. ამ უფლების დასაცავად იგი უპირისპირდებოდა რუსულ ადმინისტრაციას მთლიანად და ისეთ კონკრეტულ ჩინოვნიკებს, როგორებიც იყვნენ - გორის სასწავლებლის თანამშრომელი ნათიევი, განათლების კურატორი კავკასიაში - იანოვსკი;

ილია განათლების მიღების პროცესში პასუხისმგებლობას აკისრებს ქართველებს - უშუალოდ ქართველ მოსწავლეებსა და მშობლებს. ის გარემოება, რომ ეთნიკური ქართველების მხოლოდ მცირე ნაწილი იღებდა უმაღლეს და პროფესიულ განათლებას - ილიას საგანგაშო ტენდენციად მიაჩნდა და მოუწოდებდა უფროსებსაც და ახალგაზრდებსაც, რომ სწავლისათვის დრო, ენერგია და მატერიალური რესურსი არ დაეზოგათ;

დაბოლოს, ილია განათლებას მიიჩნევს ქვეყნის წინსვლის აუცილებელ პირობად და დარწმუნებულია, რომ ის ერები, რომლებიც ახალი თაობის ხარისხიან განათლებას არ ელტვიან, განწირულები არიან სიღარიბისათვის, იმისათვის, რომ უფრო განვითარებული სახელმწიფოების

მიერ ეკონომიკურად იქნენ დამონებული.

წარმოდგენილი კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას - ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი და ჟურნალისტი, აშუქებდა მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოების საჭიროებებს, ხელს უწყობდა სასარგებლო იდეების პოპულარიზაციას, მაშინდელი აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას და სახავდა იმ ნიშნულებს, რისკენაც ქართველებს უნდა ევლოთ, თუკი სურდათ, რომ განათლებულ და პროგრესულ ერთა სიაში ჩაწერილიყვნენ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ელექტრონული წიგნები. (2011-2020). Retrieved from LIT.ge: <https://www.lit.ge/book/103-publicistika-ilia-chavchavadze/>

რადიო თავისუფლება. (2017). Retrieved from radiotavisupleba.ge: <https://www.radiotavisupleba.ge/a/iveriam-ra-hkmna/28724399.html>

რეხვიაშვილი, ჯ. (2017, სექტემბერი 8). «ივერია» რა ჰქმნა?!». რადიო თავისუფლება, pp. <https://www.radiotavisupleba.ge/a/iveriam-ra-hkmna/28724399.html>.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული ლექსიკონი. (n.d.). საქართველო: from nplg.gov.ge. Retrieved from <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000803/>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022-2023). Retrieved from geostat.ge: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/193/ganatileba>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022-2023). Retrieved from geostat.ge: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/193/ganatileba>

ჭავჭავაძე, ი. (1928). «ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო». In პ. (. ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული 10 ტომად (pp. 213-232). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს მმართველობის სტამბა, მთავლიტი.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «ვიცინოთ თუ ვიტროთ». In პ. შემდგენელი-ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული 10 ტომად (pp. 187-194). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «ისევ განათლების საკითხებზე». In შ. -პ. ინგოროყვა, ნაწერების რული კრებული 10 ტომად (pp. 253-264). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა, მთავლიტი.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისთვის». In შ.-პ.

ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული 10 ტომად (pp. 195-206). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს მმართველობის სტამბა, მთავლიტი.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებლის შესახებ». In შ.-პ. ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული 10 ტომად (pp. 265-267). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა, მთავლიტი.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «ქალი მასწავლებელი». In შ.-პ. ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული 10 ტომად (pp. 233-238). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს მმართველობის სტამბა, მთავლიტი.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «ქართველი სტუდენტობა რუსეთში». In შ.-პ. ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული 10 ტომად (pp. 239-246). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა, მთავლიტი.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «ქართულ საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე». In შ.-პ. ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული 10 ტომად (pp. 207-212). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა, მთავლიტი.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «ჩვენი ხალხი და განათლება». In შ.-პ. ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული 10 ტომად (pp. 247-252). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა, მთავლიტი.

სიძულვილის ენა ციფრულ მედიაში (საქართველოს მაგალითი)

მაგდა ბლუაშვილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს, რომ საზოგადოებას დაანახოს თუ რა ვითარებაა დღეს-დღეობით და როგორ მოიმატა სიძულვილის ენამ სოციალურ მედიაში, არამხოლოდ კონკრეტული მედიასაშუალებების, არამედ პოლიტიკოსების მხრიდან. კვლევა გვაჩვენებს, რა ინტენსიობით აჟღერებენ პოლი-ტიკოსები სიძულვილის ენის შემცველ და ანტიდასავლურ განცხადებებს და როგორ აშუქებენ შემდგომ უკვე მედიასაშუალებები, მმართველი პარტიის და ოპოზიციის მიერ ნათქვამ მსგავსი ტიპის განცხადებებს. აღნიშნული კვლევა მოიცავს, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების პარა-ლელურად, კერძოდ ე.წ აგენტების შესახებ კანონპროექტამდე და მის შემდგომ, პოლიტიკოსების მიერ გაჟღერებული სიძულვილის ენის და ანტიდასავლური განცხადებების გავრცელებას და გახშირებას.

შინაარსიდან დასპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომი ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევის მეთოდს. რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში გამოიკითხა 305 ადამიანი ელექტრონული კითხვარის მეშვეობით, სადაც მათ აღნიშნულ საკითხზე კონკრეტული პასუხები დააფიქსირეს. რაც შეეხება თვისებრივ კვლევას ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინტერვიუები ჩატარდა დარგის სპეციალისტებთან და მედიამენეჯერებთან სწორედ იმ მიმართულებით, თუ რა ხდება დღეს ციფრულ მედიაში და რამდენად გაიზარდა პოლიტიკოსების მხრიდან დისკრიმინაციული, ანტიდასავლური და რაც მთავარია სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების გაჟღერება. გარდა ამისა, რაოდენობრივი კვლევის შედეგად მკვეთრად გამოკვეთილი მედიასაშუალებების, რომლებიც პოლიტიკოსების მხრიდან გაჟღერებულ სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს პირდაპირ "ნიუს ქარდის" სახით აშუქებენ, დაკვირვებაც მოხდა. ამ შემთხვევაში დაკვირვების ობიექტად სწორედ ის მედიასაშუალებები შეირჩა, რომლებიც ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, საზოგადოების უმრავლესობამ სიძულვილის ენის გამავრცელებლად დაასახელა.

ტექსტში ასევე საფუძვლიანადაა განხილული ის მნიშვნელოვანი ლიტერატურა და კონკრეტული პუბლიკაციები, რომელმაც კვლევის პროცესში, მასალას რეალური თეორიული საფუძველი შეუქმნა. ნაშრომის დასკვნაში შეჯამებულია ის რეალური მონაცემები რაც რაოდენობრივი კვლევის შედეგად დადგა და ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც საკვლევ კითხვას პასუხობს და ჰიპოთეზის ავთენტურობას ადასტურებს.

შესავალი

კვლევის აქტუალობა

საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, კერძოდ მას შემდეგ რაც მოძრაობა მმართველმა პარტიამ ე.წ „ აგენტების შესახებ კანონი“ პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღო, რასაც შემდგომ უკვე 7,8 და 9 მარტის აქციებიც მოჰყვა, სოციალურ მედიაში და პოლიტიკურ სპექტრში სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების გავრცელებამ საგრძნობლად იმატა. ამის პარალელურად, მმართველი პარტიის და მოძრაობა ხალხის ძალის წევრების მხრიდან ხშირად ანტიდასავლური განცხადებებიც ვრცელდებოდა, სადაც გარკვეული დოზით, შეფარვითი, სიძულვილის ენაც იყო გამოყენებული.

აღნიშნული თემა უკვე რამდენიმე წელია, განსაკუთრებით ბოლო პერიოდის განმავლობაში, აქტუალობას არ კარგავს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სიძულვილის ენის გამოყენების სტატისტიკა, განსაკუთრებით სოციალურ მედიაში, დღითიდღე უარესდება. ყველაზე საყურადღებო და ხაზგასასმელი ფაქტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ სიძულვილის ენას არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ გარკვეული მედიასაშუალებებიც იყენებენ. ისინი ხშირ შემთხვევაში პოლიტიკოსების დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი და სიძულვილის შემცველი განცხადებების პირდაპირ ციტირებას ახდენენ.

ჰიპოთეზა

აღნიშნულმა კვლევამ მთავარ საკვლევ კითხვებს პასუხი გასცა და დაადასტურა ის ჰიპოთეზა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, საკამოდ გავრცელებულია სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში. გარდა ამისა, დადგინდა, რომ გახშირებულია პოლიტიკოსების მხრიდან დისკრიმინაციული და სიძულვილის შემცველი განცხადებების გავრცელება, როგორც საკუთარი ოპონენტების ასევე დასავლელი პარტნიორების მიმართ.

კვლევის კითხვები

მთავარი კითხვა:

რამდენად გაზრდილია ბოლო პერიოდის განმავლობაში სიძულვილის ენის გამოყენება სოციალურ მედიაში?

ქვეკითხვები:

ძირითადად რა საკითხებს ეხება ის სიძულვილის შემცველი ახალი ამბები თუ სტატიები, რომლებსაც მედიასაშუალებები სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ?

რა ინტენსიობით ხდება სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ სიძულვილის ენის შემცველი ახალ ამბებს სოციალურ ქსელებში გამოქვეყნება?

მთავარი კითხვა (პოლიტიკოსების ჭრილში)

რა სახის სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები კეთდება პოლიტიკოსების მხრიდან? (ვგულისხმობ დისკრიმინაციული, ჰომოფობიური, სექსისტური და ა.შ)

ქვეკითხვები:

ძირითადად ვის მიმართ არის მიმართული პოლიტიკოსების შეურაცხმყოფელი განცხადებები?

რამდენად ხშირად აპელირებენ მედიასასულებები პოლიტიკოსების სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებზე?

თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ, ფრეიმინგის თეორია და პროპაგანდის თეორიის წარმოშობა შეირჩა. ყველაზე ახლოს აღნიშნულ საკითხთან, არის პროპაგანდის თეორიის წარმოშობა. ზოგადად ტერმინი პროპაგანდა მოიხსენიებოდა როგორც, გარკვეული ტიპის საკომუნიკაციო სტრატეგია. ის გულისხმობს კომუნიკაციის შეუზღუდავ გამოყენებას კონკრეტული რწმენისა და მოლოდინების გასავრცელებლად. პროპაგანდისტების საბოლოო მიზანია შეცვალონ ადამიანების ქცევები და მოქმედებები, რადგან მათ ირწმუნონ, რომ ეს ქმედებები ნებაყოფლობითია. პროპაგანდის გამავრცელებლის საქციელი კი ძალიან ჰგავს სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების გამავრცელებელი ადამიანის ქმედებებს. ორივე შემთხვევაში საზოგადოება ზეგავლენის ქვეშ ექცევა და ხდება მსხვერპლი ერთი მხრივ პროპაგანდის, ხოლო მეორე მხრივ სიძულვილის ენის და დეზინფორმაციის. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ პროპაგანდის წარმოშობის თეორია ყველაზე კარგად ესადაგება სიძულვილის ენის გავრცელებას სოციალურ ქსელში, მედიისა და პოლიტიკოსების მხრიდან. რაც შეეხება ფრეიმინგის თეორიას, აღნიშნული თეორიის შესახებ არაერთი მეცნიერი თავისეულ განმარტებას გვთავაზობს. მაგალითად ენტმანი ფიქრობს, რომ ფრეიმინგის ანალიზი ზუსტად გვაჩვენებს იმ ხერხებს, თუ როგორ ხდება ადამიანის ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდება ინფორმაციის გადაცემის ან კომუნიკაციის მეშვეობით. ასევე ენტმანის მოსაზრებით, ფრეიმი არის მეთოდი, რომლის საშუალებით, რეალური ფაქტის რომელიმე საკითხის წინ წამოწევა ხდება და შემდეგ შუქდება საინფორმაციო საშუალებებით (Entman, 1993).

ლიტერატურის მიმოხილვა

ანტიდასავლურ და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით საქართველოში არაერთი მედიამონიტორინგია ჩატარებული. შესწავლილია სატელევიზიო, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში, ასევე სოციალურ მედიაში, სიძულვილის ენის, ქსენოფობიის, ჰომოფობიის, სექსისტური, რუსული პროპაგანდის და ანტიდასავლური მესიჯების მაგალითები. სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის მაგალითებს ქართულ სატელევიზიო თუ ბეჭდურ მედიაში ჯერ კიდევ 2013 წლიდან ვხვდებით. ამას ცხადყოფს "მედიის განვითარების ფონდის" მიერ ჩატარებული კვლევა, საიდანაც ირკვევა, რომ დისკრიმინაციული და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები, ტელევიზიების და ბეჭდური მედიის მხრიდან ძირითადად ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების თემატიკის მიმართ ჟღერდებოდა (მედიის განვითარების ფონდი, 2013).

დისკრიმინაციულ განცხადებებს ეტაპობრივად მედიის და არამხოლოდ მედიის მხრიდან

ანტიდასავლური განცხადებების გავრცელებაც ემატება. თამარ კინწურაშვილის მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის თანახმად, საქართველოში ანტიდასავლურ რიტორიკას 2014-2015 წლებში არამხოლოდ მედიასაშუალებები, არამედ პრორუსული პოლიტიკური პარტიები, ცალკეულ შემთხვევაში მმართველი პარტიის და ხელისუფლების ინდივიდუალური წევრები, ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები, სასულიერო პირები და ე.წ ინტელიგენციის სახელით ცნობილი, საბჭოთა პერიოდის მწერლები, მსახიობები და სხვა საზოგადო მოღვაწეები აჟღერებდნენ (თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი, 2014-2015).

პოლიტიკური პარტიების და მედიის მხრიდან ყოველწლიურად უფრო და უფრო ღრმავდებოდა ჰომოფობიური განცხადებების გავრცელება. როგორც 2016 წელს ჩატარებული "მედიის განვითარების ფონდის" მედიამონიტორინგი გვიჩვენებს, ამავე წლის 1 იანვრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის მონაცემებით დადგინდა, რომ ჰომოფობიური განცხადებები მედიის მხრიდან 152-ჯერ, ხოლო პოლიტიკური პარტიების მხრიდან 139-ჯერ გაჟღერდა და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ პერიოდში, სიძულვილის ენის ტიპოლოგიის მიხედვით, ჰომოფობიური განცხადებების შემდეგ ყველაზე მძლავრი თურქოფობიული განწყობები იყო (თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი, 2016).

2017 წლიდან სიძულვილის ენა სოციალურ მედიაშიც აღწევს და ანტიდასავლური ფეისბუქ გვერდების სახით გვევლინება. "მედიის განვითარების ფონდის" 2017 წლის კვლევით დადგინდა, რომ ამავე წლის 14 ივლისს მოძრაობა "ეროვნულების" ლიდერის მიერ "ქართველთა მარშის" ჩატარებამდე, ფეისბუქში გარკვეული სახის ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობა შეინიშნებოდა, რომლებიც აღნიშნულ მარშთან დაკავშირებულ მოწოდებებსა და სიძულვილის ენის შემცველ გზავნილებს ავრცელებდნენ. მოწონებების მიხედვით, ყველაზე პოპულარული ფეისბუქ გვერდები "ქართული იდეა" და "ანტი-პარადოქსი" აღმოჩნდნენ, რომლებიც ძირითადად სიძულვილის ენის გარდა, ნეოფაშისტურ, თურქოფობიულ და ჰომოფობიურ მასალებს ავრცელებდნენ (მედიის განვითარების ფონდი, 2017).

მსგავსი ტიპის ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობა, სოციალურ ქსელებში, 2021 წლის 5 ივლისამდეც შეინიშნებოდა. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ ჩატარებული მონიტორინგითაც კარგად ჩანს, რომ პრაიდის კვირეულის დაწყებამდე, ულტრანაციონალისტური და საქართველოს საპატრიარქოსთან დაკავშირებული აქტორები, მედიის და სოციალური მედიის მეშვეობით ცდილობდნენ სიძულვილის ენის გავრცელებას და ღირსების მარშის მონაწილეების წინააღმდეგ მოქალაქეების მობილიზაციას ახდენდნენ (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) , 2021).

2018 წელს თამარ კინწურაშვილის მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის თანახმად დადგინდა, რომ მედიის და პოლიტიკური პარტიების გარდა, სიძულვილის ენის გავრცელებაში საზოგადოებასაც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის. სხვადასხვა მოტივით სიძულვილის შემცველი

კომენტარებიდან, ძირითადი ნაწილი შუღლის გაღვივებასა და ძალადობისკენ მოწოდებაზე მოდის. გარდა ამისა, მონიტორინგის მიხედვით ვიგებთ, რომ აღნიშნულ წელს ჰომოფობიური გზავნილების დიდი წილი ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთი ჰომოსექსუალობას ახვევდა თავს ქართველ საზოგადოებას. ასევე ხდებოდა სექსუალური უმცირესობის უფლებების გარყვნილების პროპაგანდა და ჰომოსექს-უალურობის ცოდვად და გადახრად წარმოჩენა (თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი, 2018).

არ უნდა დაგვავიწყდეს სექსისტური სიძულვილის ენაც ქართულ მედიასაშუალებებსა და სოციალურ მედიაში. გიორგი ურჩუხიშვილი ჯერ კიდევ 2020 წელს საკუთარ კვლევაში საუბრობს, რომ სექსისტური შინაარსის განცხადებები ძირითადად ქალი პოლიტიკოსების მიმართ ვრცელდება. კვლევის მიხედვით, სექსისტური სიძულვილის ენის ევროპული ონდიკატორებია: სლათ-შეიმინგი (ბოზობით შერცხვენა), სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება, სხეულით შერცხვენა, მაგალითად ხმის ტემბრი, ემოციური საუბარი. ასევე ეიჯიზმი, პოზიტიური სექსიზმი-ყალბი კომპლიმენტები, წახალისებული დანებება, შარჟი, ხუმრობები, ჭორაობა. ქართულ სოციალურ სივრცეში კი ჯერ კიდევ 2020 წლიდან, მსგავსი ტიპის განცხადებები ქალი პოლიტიკოსების მიმართ მრავლადაა წარმოდგენილი. ერთ-ერთი სოციალური კონსტრუქტი გახლავთ "მიხეილ სააკაშვილის (მიშას) ქალები", რომელიც ნათელი მაგალითია სექსისტური სიძულვილის ენის, კერძოდ "სლათ შეიმინგის" (გიორგი ურჩუხიშვილი, საფარი, 2020).

„ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს არ დავეთანხმეთ, მაგრამ მაინც გვიყვარდეს ერთმანეთი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს უთანხმოება ეფუძნება ჩემს ჩაგვრას, ჩემი ადამიანურობის და არსებობის უფლების უარყოფას," - ეს ამერიკელი მწერლის და პუბლიცისტის ჯეიმს ბოლდვინის სიტყვებია. ევრო საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ბროშურაში ვკითხულობთ, რომ სიძულვილი ასაზრდოებს რასიზმს, სექსიზმს, ნეგატიურ სტერეოტიპებს და თუ თავიდანვე არ მოხდა ამ ყველაფრის აღმოფხვრა, მაშინ ის დამკვიდრდება საზოგადოებაში, გააღრმავებს სტერეოტიპებს და გადაიზრდება უფრო საშიშ ქმედებებში, მათ შორის ფიზიკურ ძალადობაში (ევრო საბჭოს ბროშურა, 2020).

სამართლებრივი კუთხით, სიძულვილის ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ემიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.“ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კი „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებ-ისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“

(ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი).

როგორც "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მიერ გამოქვეყნებული, მარიამ კუბლაშვილის სტატიიდან ვიგებთ, საქართველოს კანონმდებლობაში გარკვეულწილად არსებობს რეგულაციები, როდესაც დამრღვევი არასასურველად იქცევა, რასაც შედეგად მოსდევს შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა, თუმცა მის აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობა ენიჭება იმ ორგანიზაციას, რომელშიც ეს დარღვევა მოხდა. სოციალური ქსელების კუთხით კი აღნიშნული რეგულაციები ვერ იმუშავებს, რადგან ჩვენს ქვეყანაში არსებული თითქმის ყველა სოციალური ქსელი უცხოურ პლატფორმას ეკუთვნის, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე საქართველოში არსებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ვერ იმოქმედებს (მარიამ კუბლაშვილი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2022).

მსოფლიოში არსებულ სტანდარტებს თუ დავაკვირდებით, სიძულვილის შემცველი მოსაზრებები-სადმი ორგვარი მიდგომა არსებობს - ამერიკული და ევროპული. HumanRights.ge-ის მიერ გამოქვეყნებული სალომე აჩბას სტატიიდან ვიგებთ, რომ ევროპული მიდგომის მიხედვით, სიძულვილის ენა კრიმინალიზებულია და ის არაა გამოხატვის თავისუფლებით დაცული, ხოლო ამერიკული მიდგომით, სიძულვილის ენის ტირაჟირება კანონით არ ისჯება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში, მოცემულ საკითხთან დაკავსირებით, წერია რომ პირის გამოხატვის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოხატვის თავისუფლებით შექმნილი საფრთხე მყისიერი და არსებითია (სალომე აჩბა, HumanRights.ge,2012).

სიძულვილის ენის შესახებ კანონი რომ მრავალი პრინციპული წინააღმდეგობის საგანი გახდა ამაზე საუბრობს ბრაუნი, ჯერ კიდევ 2015 წელს. როგორც მის წიგნში ვკითხულობთ, ზოგიერთმა იურიდიულმა მეცნიერმა და პრაქტიკოსმა დაგმო სიძულვილის ენის კანონი, იმ მიზეზით რომ ის თავისუფლების დამღუპველი, ცოდნის შეძენის ჩამხშობი და თვითრეალუზაციის შემაფერხებელია. ამის პარალელურად ბრაუნს საკუთარ წიგნში უჭირს დაასახელოს ერთი ქვეყანა მაინც, რომელიც არ ფლობს სიძულვილის ენის შესახებ კანონს ან რეგულაციებს რომელიც ზღუდავს სიძულვილის გამოყენებას. ბრაუნი ფიქრობს, რომ სერიოზული შეცდომა იქნება იმის ვარაუდი, რომ ის ადამიანები, რომლებიც უარყოფენ სიძულვილის ენის კანონს, ამას აკეთებენ მხოლოდ პრინციპის საფუძველზე, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ემხრობიან სიძულვილის ენის კანონს, ამას აკეთებენ მხოლოდ პოლიტიკის საფუძველზე (Alexander Brown, 2015).

ბრაუნი ასევე 2017 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ამბობს, რომ სიძულვილის ენის კონცეფცია აღიქმება არა როგორც კომპოზიციური კონცეფცია, არამედ როგორც ორაზროვანი იდიომა. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც ხელისუფლება ან მთლიანად საზოგადოება არც კი აღიარებს მეტყველების გარკვეულ ფორმებს სიძულვილის ენად, ეს შეიძლება ემსახურებოდეს სიძულვილის ენაზე მოსაუბრეების წაქეზებას, რომ მათ გააგრძელოს ის რასაც აკეთებენ. ბრაუნი

ამბობს რომ, ზოგიერთი ადამიანი მტრულად არის განწყობილი სიძულვილის ენის რეგულაციების მიმართ, რადგან ისინი ფიქრობენ რომ საზოგადოების რეგულირება სახელმწიფოს საქმე არ არის, ზოგიერთს კი მკაცრი დამოკიდებულება აქვს სიძულვილის ენის მიმართ და ფიქრობს რომ ის აუცილებლად უნდა დარეგულირდეს. სტატიის ავტორი ასევე სიძულვილის ენის, როგორც ტერმინის, მნიშვნელობასაც განმარტავს და ამბობს, რომ შეიძლება მას საზოგადოებამ სხვადასხვა დანიშნულება მოუძებნოს და განსხვავებულად გაიგოს. როგორც ბრაუნი საკუთარ სტატიაში წერს, სიძულვილის ენის სამართლებრივი ცნების შემთხვევაში, ტერმინი "სიძულვილის ენა" შეიძლება ჩანაცვლდეს როგორც " ჯგუფური ცილისწამება". სწორედ ამიტომ ავტორი ფიქრობს, რომ ტერმინის "სიძულვილის ენის" უარყოფა შეიძლება გარდამავალი სტრატეგიაც კი აღმოჩნდეს (Alexander Brown, 2017).

"სიძულვილის ენის", როგორც ტერმინის, ორაზროვან განმარტებაზე საუბრობს სუზან ბენეშიც. ჯერ კიდევ 2014 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, ბენეში კენან მალიკის შემდეგ სიტყვებს იშველიებს: „თუკი მთელ მსოფლიოში სიძულვილის ენის კანონებს გადავხედავთ, არ არსებობს თანმიმდევრულობა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სიძულვილის ენა“. ავტორი აცხადებს რომ ეს სერიოზულ შემფოთებას იწვევს გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რადგან სიძულვილის ენის შეზღუდვის მცდელობები შეიძლება არასწორად იყოს გამოყენებული სიძულვილის ენასთან დაკავშირებით მიღებულ კანონებზე კი სტატიის ავტორს კანადის მაგალითი მოჰყავს. როგორც ბენეში ამბობს, კანადის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა სისხლის სამართლის კოდექსის დებულება, იმის შესახებ, რომ "სიძულვილის განზრახ წახალისების" წინააღმდეგ უნდა განიხილებოდეს, მხოლოდ ყველაზე მძიმე შეურაცხყოფის ფორმა. მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება კანადამ საჯარო სკოლის მასწავლებლის ჯეიმს კიგსტრას საქმის შემდეგ მიიღო, რომელმაც თავის მოსწავლეებს უთხრა რომ ებრაელები ბოროტი ხალხი იყვნენ, რომლებმაც ჰოლოკოსტრი სიმჰათიის მოსაპოვებლად შექმნეს. გარდა ამისა სტატიაში ასევე ვკითხულობთ, რომ სიძულვილის ენასთან დაკავშირებული კანონები ერთმანეთისგან ნაწილობრივ განსხვავდება იმის გამო, რომ ძირითად შემთხვევასი არ არის გამოყენებული თვითონ ტერმინი "სიძულვილის ენა". აღნიშნული ტერმინის ჩამნაცვლებელი კი სიძულვილის ენასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელობის ტერმინებია. ესენია: წაქეზება, დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა, დამცირება, დეგრადაცია და ა.შ (Susan Benesch , 2014).

სიძულვილის ენის რეგულირებაზე, საკუთარ სტატიაში დევიდ ო.ბრინკი საუბრობს, სადაც ჯონ სტიუარტ მილის თეორიას იშველიებს, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას და სხვა თავისუფლე- ბების კლასიკურ დაცვას ეხება. როგორც ბრინკის ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხუ-ლობთ, მილისეული პერსპექტივა ხსნის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას სათათბირო ღირებულებების თვალსაზრისით. დევიდ ო.ბრინკი ამბობს, რომ ჯონ სტიუარტ მილის პერსპექტივაში, სათათბირო ღირებულებები ორ როლს თამაშობს. პირველი მოსაზრების მიხედვით, სათათბირო ღირებულებები ხსნის, თუ რატომ არ უნდა იქნას მიჩნეული სიძულვილის ენა, როგორც მაღალი ღირებულების ენა, რადგან

როგორც თეორიაში აღწერილი სიძულვილის ენა არ გამოხატავს მხოლოდ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს, ის აზიანებს, ემუქრება და შეურაცხყოფს აუდიტო-რიას და უფრო მეტიც, ის ძირს უთხრის ურთიერთპატივისცემის კულტურას. მეორე მოსაზრების მიხედვით კი სათათბირო ღირებულებები ფიგურირებს განხილვის შესაბამისი სტანდარტის დაკმაყოფილებაში. დევიდ ო.ბრინკი სტატიაში ასევე საუბრობს, რომ სიძულვილის ენის ნებისმიერი რეგულაცია უნდა აკმაყოფილებდეს, ყველაზე ნაკლებად შემზღვეველ საშუალებებს. სტატის ავტორი მაგალითად მოყვანილი თეორიის მიხედვით აცხადებს, რომ ვინაიდან და რადგანაც სიძულვილის ენა სათათბირო ფასეულობებს აფერხებს და ძირს უთხრის ურთიერთპატივისცემის კულტურას, სიძულვილის ენის რეგულაციები არ უნდა განიხილებოდეს როგორც ფუნდამენტური თავისუფლების შეზღუდვა (David O. Brink, 2001).

რაც შეეხება მედიის რეგულაციებს, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის რეგულაციების მიხედვით, მეშვიდე მუხლის წორედ სიძულვილის ენას მოიცავს და შემდეგ ნაირადაა ფორმულირებული: “ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.” როგორც ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელო წესებში ვკითხულობთ, როდესაც საქმე ეხება სოციალურ მედიას და კომენტარებს, მნიშვნელოვანია რომ მედიამ გამოიყენოს ყველა რესურსი იმისთვის, რომ საკუთარი პლატფორმა სიძულვილის ენის ტირაჟირებისთვის არ იყოს გამოყენებული. გარდა ამისა, როგორც ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სახელმძღვანელო წესებში ვკითხულობთ, ევროპის საბჭომ ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღო რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც “სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით” (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2019).

რაც შეეხება მაუწყებელში სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვას, აღნიშნული საკითხის შესახებ ჩანაწერი "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 55-ე მუხლში გვხვდება: "იკრძალება ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშნის მიხედვით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე. ასევე აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს ტერორიზმისკენ მოწოდებას" (საქართველოს

კანონი მაუწყებლობის შესახებ). დასახელებული და წარმოდგენილი მაგალითებისგან, აღნიშნული კვლევა სწორედ იმით იქნება განსხვავებული და განსაკუთრებული, რომ უშუალოდ გამოკვლეული იქნება ის კონკრეტული მაგალითები, თუ რა ინტენსიობით და როგორ აშუქებენ მედიასაშუალებები პოლიტიკოსების მხრიდან გაჟღერებულ სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს. ასევე აღნიშნული კვლევით გარკვეულწილად დადგინდება, თუ რამდენად ხშირია პოლიტიკოსების მხრიდან სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების გაკეთება.

რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევისთვის და იმის დასადგენად, თუ რამდენად გაზრდილია სიძულვილის ენის ტირაჟირება ციფრულ მედიაში, მათ შორის პოლიტიკოსების მხრიდან გაჟღერებული სხვადასხვა სახის სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები, გამოიკითხა 305 ადამიანი. კვლევის თემიდან გამომდინარე, მიზნობრივ აუდიტორიას წარმოადგენდა 18 წლის ზემოთ ნებისმიერი ადამიანი ვისაც ყოველდღიურად სოციალურ მედიას მოიხმარს. აღნიშნულ მიზნობრივ აუდიტორიაში, რა თქმა უნდა, მედიასაშუალებებთან დაახლოებული პირებიც შედიან. ელექტრონული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 305 ადამიანი, რომლიდანაც 53,8% (164) ადამიანი არის მდებარეობითი სქესის, 46,2% (141) ადამიანი კი მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

გამოკითხული მოსახლეობიდან 39,3% (120) 18-დან 25წლამდე ასაკის ადამიანია, 24,6% (75) 26-დან 35 წლამდე, 19% (58) 36-დან 45 წლამდე, ხოლო 17% (52) 46+ ასაკის ადამიანია.

გამოკითხულთა 94,4%(288) ხშირად იყენებს სოციალურ ქსელებს, 4,6%(14) იშვიათად, ხოლო 1% (3) საერთო არ იყენებს სოციალურ ქსელებს.

რაც შეეხება კონკრეტულ პლატფორმებს, გამოკითხულთა 64,3% (196) ადამიანი ფეისბუქს ანიჭებს უპირატესობას, 22,6 (69) - ინსტაგრამს, 11,8% (36) - ტიკ-ტოკს, 0,7% (2) - თვითერს, ხოლო სხვა პლატფორმებს ასევე 0,7% (2).

305 ადამიანიდან 97,4% -ს (297), ბოლო პერიოდის განმავლობაში სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის შემცველი პოსტები შეხვედრია, 2,6%-ს (8) კი არა.

კითხვაზე, თუ ძირითადად ვის მიმართ იყო გავრცელებილი ის სიძულვილის ენის შემცველი პოსტები, რომლებიც სოციალურ ქსელებშია გამოქვეყნებული, გამოკითხული მოსახლეობის 66,4% (200) ფიქრობს, რომ სიძულვილის ენის შემცველი პოსტები სექსუალური უმცირესობების (ლგბტ თემის) წარმომადგენლების მიმართ ქვეყნდება. ასევე 66,4% (200) ფიქრობს რომ იგივე ტიპის პოსტები პოლიტიკოსების მიმართ იდება სოციალურ ქსელებში. 51,2% (154) ფიქრობს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ ქვეყნდება სიძულვილის ენის შემცველი პოსტები. 51,5% (155) ფიქრობს რომ მსგავსი ტიპის პოსტები რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ ქვეყნდება სოციალურ ქსელში.

რაც შეეხება იმას თუ ვისი მხრიდან ხდება მსგავსი ტიპის პოსტების გავრცელება, გამოკითხული მოსახლეობის 63,9% (195) ფიქრობს რომ მოქალაქეების მხრიდან ხდება სიზულვილის ენის შემცველი პოსტების გავრცელება. 57,7% (176) ფიქრობს, რომ პოლიტიკოსები ავრცელებენ მსგავსი ტიპის პოსტებს. 59,3% (181) ფიქრობს, რომ სიძულვილის ენის გამავრცელებლები კონკრეტულ პარტიებთან დაკავშირებული ადამიანები არიან. 58,7% (179) კი ფიქრობს, რომ კონკრეტულ პარტიებთან დაკავშირებული სოციალური გვერდების ან ჯგუფების მეშვეობით ვრცელდება სიძულვილის ენის შემცველი პოსტები.

გამოკითხული მოსახლეობის 57,4% (175) ამბობს რომ სიძულვილის ენის შემცველი პოსტები მათ ყოველდღიურად ხვდებათ სოციალურ ქსელებში. 34,4% (105) ამბობს რომ კვირაში ერთხელ ან ორჯერ ხვდება მსგავსი ტიპის პოსტები, 5,9% (18) კი ამბობს, რომ მხოლოდ თვეში რამდენჯერმე ხვდება სიძულვილის ენის შემცველი პოსტები.

კითხვაზე შეგხვედრიათ თუ არა სოციალურ ქსელებში, მედიის მხრიდან გავრცელებული, პოლიტიკოსების მიერ გაჟღერებული, სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები, გამოკითხული მოსახლეობის 93,8% (286) აცხადებს რომ შეხვედრიათ მსგავსი ტიპის განცხადებები, 6,2% (19) კი აცხადებს რომ არ შეხვედრიათ.

რაც შეეხება იმას, თუ რა ტიპის განცხადებები კეთდება პოლიტიკოსების მხრიდან, გამოკითხული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა ასე გადანაწილდა:

დისკრიმინაციული-79,8% (233)

ჰომოფობიური- 71,9% (210)

სექსისტური- 57,9% (169)

რასისტული -13% (38)

ანტიდასავლური -77,1% (225)

კითხვაზე, რომელი პოლიტიკოსის, კონკრეტულად რა, სიძულვილის ენის შემცველი ან ანტიდასავლური, განცხადება გახსენდებათ, მოსახლეობის ძირითადად ნაწილმა ქართული ოცნების წარმომადგენლები და მოძრაობა ხალხის ძალის წევრები დაასახელეს, თუმცა არიან ისეთი ადამიანებიც რომლებიც ოპოზიციის წევრები დაასახელეს სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების გავრცელებაში. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ გამოკითხული მოსახლეობის მიერ დაწერილ პასუხებს.

1. მიხეილ ყაველაშვილის განცხადება- „ასეთი ევროპა არაფერში გვჭირდება“, ზარქუა, მდინარაძე და სხვა „ქართული ოცნების წევრები“, რომ ევროპალამენტარბს ფასიან ლობისტებს ან ნაცმოძრაობასთან აფილირებულებს რომ ემახიან... (კიდევ ბევრი მახსენდება)

2. ირაკლი კობახიძე, გურამ მაჭარაშვილი, მამუკა მდინარაძე, ირაკლი ღარიბაშვილი-ანდიტასავლური განცხადებები. ასევე, მიხეილ სააკაშვილის მიმართ - თვითდაზიანება, ოჯახის წევრებს არ მიაქვთ საკვები და ა.შ.

3. "ქართული ოცნების" თითქმის ყველა პოლიტიკოსი ანტიდასავლური განცხადებებით გამოიჩევა,

თუმცა დიდი ფოკუსი მაინც ირაკლი ღარიბაშვილზე მაქვს.

4. კახა კალაძე - "არ მიმაჩნია მიზანშეწონილად პრაიდის კვირეულის გაკეთება". "კარგად ვიცი ევროპული ღირებულებები, მაგრამ მიუღებელია როცა გეუბნებიან, რომ მონა უნდა იყო."

5. როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან. ხელისუფლებაში ძირითადად ანტიდასავლური განცხადებები ვრცელდება და ამის საპასუხოდ მათი ოპონენტები სიძულვილის ენას იშველიებენ, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს ქართულ საზოგადოებაზე.

6. ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც 7-8 მარტის აქციაზე მდგომი ზოგიერთი ახალგაზრდის მისამართით გამოიყენა სიტყვა "სატანისტი". ანტიდასავლურზე პირდაპირ მახსენდება კალაძის განცხადება "თუ მოგვცემენ მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, თუ არადა თავისთვის დაიტოვონ". როგორ შეიძლება არ ვახსენოთ, მიხეილ ყაველაშვილი, რომელმაც არაერთხელ დაგვამახსოვრა თავი პარლამენტში გინებით, მათ შორის, ქალის მისამართით. კიდევ უამრავის გახსენება შეიძლება.

7. ირაკლი ღარიბაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ირაკლი კობახიძე და ქართული ოცნების წევრები. ძირითადად მათი მხრიდან მახსენდება სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები. მაგალითად, სისხლიანი ფული, გახარია კვერცხიანა ა.შ.

8. "შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ წარმოდგენა არ აქვს ინფრასტრუქტურაზე" - მამუკა ხაზარაძე ინფრასტრუქტურის მინისტრს მაია ცქიტიშვილს.

9. „შენ ხარ გაყიდული კაცი, შე ნადირალა კაცო. სულგაყიდული მოღალატე ხარ შენ. გუბაზ სანიკიძე-სნაირი მოღალატეები ვერასდროს ვერ იქნებიან ამ ქვეყანაში ხელისუფლების წარმომადგენლები“ - ირაკლი ღარიბაშვილი გუბაზ სანიკიძეს.

10. ხელისუფლების წევრები, განასაკუთრებით დიმიტრი სამხარაძე. ბოლო დროინდელი მოვლენე-ბიდან გამომდინარე სამხარაძის ეს ნათქვამი მახსენდება: "დაგჭმუჭნით, კოლექტიურო მეგისებო, გამოთინეიჯერებულო ჯაფარებო, ფაშისტო ჯაშუშო ლომჯარია, ქვეყნის მტრებო და საქართველოს ომში ჩამთრეველებო. ხო, ის წარაკუა გახარიაც გვახსოვს! ჯერ მაგიტომ ხართ განდონები, რომ ვინც თვალები დაგთხარათ, უკან სათითაოდ გაერჭვეთ!"

11. "ჭკვიანად იყვენენ, თორემ მოხვდებათ ცხვირში" - ქართული ოცნების წევრი ალუდა ღუდუშაური ნაციონალურ მოძრაობაზე.

12. ხალხის ძალის წარმომადგენლები." ჩვეულებრივი "ნაცმოძრაობის" ზონდერი ხარ" - ირაკლი -დაჩი ბერაია ჟურნალისტს.

13. თბილისის მერი კახა კალაძე - "მთაწმინდაზე ვაფართოებთ გამოსაქანებელს და შეუძლიათ რომ გამოექანონ"

14. ქართული ოცნების დეპუტატი ბექა ოდიშარია ჟურნალისტზე -" მართლა რად უღირთ ამ ახალგა-ზრდა აქტივისტ ჟურნალისტებს ასეთი ბინძური დავალებების შესრულება?! აქაური მამუნგალების დიქტატი არ გაკლდათ, ახლა კიდევ უჯიშო "პატრიოტების" ნარატივს, რომ არ აჰყვეთ?! ეგ ორივე ბინძური დაჯგუფება თავს უშველის და თქვენ, ახალგაზრდა ადამიანებმა ხომ უნდა იცხოვროთ ამ ქვეყანაში?!"

15. მმართველი პარტიის წევრი ირაკლი ზარქუა , რომელმაც სენატორ ჯინ შაჰინს ჩათლახი უწოდა.

16. ქართული ოცნების დეპუტატი, ირაკლი ზარქუა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას ეროვნულ შერიგებაზე, "შტერული" უწოდა.

17. ირაკლი ზარქუა ხაბეიშვილს - გილოცავ მასხარა.

18. თქვენ ხართ პოლიტიკური სვავები - ღუდუშაური ოპოზიციას

19. ბექა ოდიშარიამ ოპოზიციას უწოდა "დუქნის ლომები", რაც შეურაცხყოფაა.

20. ირაკლი ზარქუას ანტიდასავლური განცხადება ევროპარლამენტარებზე: „ფოტიგები და კუბილიუსები ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებს წარმოადგენენ საგარეო ფრონტზე“ რაც შეეხება მედიასაშუალებებს, რომლებიც გამოირჩევიან, სოციალურ ქსელებში, პოლიტიკოსების სიმულვილის ენის შემცველი განცხადებების გავრცელებით, გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობამ სამი ტელევიზია დაასახელა. ესენია: ალტ ინფო, პოს ტვ და ტელეკომპანია იმედი. რაც შეეხება დანარჩენი მედიასაშუალებების პროცენტულ მაჩვენებლს, შედეგები ასე გამოიყურება:

ალტ ინფო - **77,4% (236)**

პოს ტვ - **74,1% (226)**

იმედი - **71,5 (218)**

მთავარი - **41% (125)**

ტვ პირველი - **38% (116)**

ფორმულა - **29,5% (90)**

ტაბულა - **21,6% (66)**

რუსთავი 2 - **13,4% (41)**

საზოგადოებრივი მაუწყებელი - **4,3 (13)**

პალიტრანიუსი - **4,3 (13)**

პუბლიკა - **4,3% (13)**

კავკასია - **3,9% (12)**

რადიო თავისუფლება - **3,3% (10)**

IPN - ინტერპრესნიუსი - **3% (9)**

netgazeti - **3% (9)**

on.ge - **2.6% (8)**

სხვა - **6,2 % (19)**

კითხვაზე რამდენად ხშირად აქვეყნებენ მედიასაშუალებები, სოციალურ ქსელებში, პოლიტიკოსების მიერ გაჟღერებულ სიმულვილის ენის შემცველ განცხადებებს, გამოკითხული მოსახლეობის 58,7% (179) ფიქრობს, რომ ყოველდღიურად ახდება მსგავსი ტიპის მასალების გამოქვეყნება. 31,5% (96) ფიქრობს რომ კვირაში ერთხელ ან ორჯერ , ხოლო 3% (9) კი ფიქრობს, რომ მხოლოდ თვეში რამდენჯერმე ქვეყნდება მსგავსი ტიპის მასალები.

გამოკითხული 305 ადამიანიდან, 97% (296) ფიქრობს, რომ სიმულვილის ენის შემცველი პოსტები და მედიაპროდუქტი(სიუჟეტი, სტატია, ნიუს ქარდი და ა.შ) ყველაზე ხშირად ფეისბუქზე

ქვეყნდება. დარჩენილი 3%-ს კი ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი და იუთუბი ინაწილებენ.

რაც შეეხება მთავარ კითხვას, არის თუ არა გაზრდილი სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის შემცველი პოსტების და მედიაპროდუქტის გავრცელება, გამოკითხული მოსახლეობის 97,4% (297) აცხადებს რომ გაზრდილია სიძულვილის ენა, 2,6% (8) კი ფიქრობს რომ არ არის გაზრდილი. კითხვაზე, 10 ქულიანი სისტემით, რამდენად ახდენს თქვენზე ზეგავლენას სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის გავრცელება (1 ნიშნავს რომ არ ახდენს, ხოლო 10 ახდენს) შედეგები ასე გადანაწილდა.

ქულა

1- 10,5 % (32)

2 - 3,9% (12)

3 - 7,9 % (24)

4 - 6,6 % (20)

5 - 10,8% (33)

6 - 9,8 % (30)

7 - 11,8% (36)

8 - 13,8% (42)

9 - 12,8 % (39)

10 - 12,1 % (37)

დაკვირვება

რაოდენობრივი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დაკვირვება მოხდა სწორედ იმ მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებულ ე.წ “ნიუს ქარდებზე”, რომლებიც გამოკითხული მოსახლეობიდან ყველაზე მეტმა ადამიანმა დაასახელა. ეს მედიასაშუალებები გახლავთ “ალტ ინფო”, ტელეკომპანია იმედია და პოს ტვ. ვინაიდან ალტ ინფო ე.წ ნიუს ქარდებს არ აქვეყნებს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე დაკვირვება მოხდა სწორედ დარჩენილ ორ მედიასაშუალებაზე. შეირჩა 6 თვიანი პერიოდი, კერძოდ 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის მაისის ჩათვლით. როგორც დაკვირვების შედეგად დადგინდა “pos tv - ანალიტიკას”, სოციალურ ქსელში, კერძოდ ფეისბუქზე, ექვსი თვის განმავლობაში 170-ზე მეტი სიძულვილის ენის შემცველი და ანტიდასავლური ქარდი აქვს გამოქვეყნებული. რაც შეეხება ტელეკომპანია იმედს, ამ შემთხვევაში საქმე ბევრად უფრო რთულადაა. ექვსი თვის მონაცემებით “იმედის” ფეისბუქ გვერდზე 595-ზე მეტი სიძულვილის ენის შემცველი და ანტიდასავლური “ნიუს ქარდი” გამოქვეყნდა. ორივე ტელევიზიის შემთხვევაში, “ქარდებზე” პოლიტიკოსების და ასევე პროსახელისუფლებო ექსპერტების სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები პირდაპირ არის გადმოტანილი. გარდა ამისა “pos tv - ანალიტიკას” შემთხვევაში, თავად ტელევიზიის ფეისბუქ გვერდიდან ხდება შეურაცხყოფის მიყენება კონკრეტულ პოლიტიკოსებზე და მათ შორის სიძულვილის ენის გამოყენებაც.

თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის ჩასატარებლად ჩატარდა ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან და თავად მედიასაშუალებების რედაქტორებთან და მედიამენეჯერებთან. ჩატერებული ინტერვიუებით ცალსახად დადგინდა, რომ სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების გავრცელება, განსაკუთრებით ბოლო პერიოდის განმავლობაში კერძოდ ე.წ აგენტების კანონის შემდეგ, საგრძნობლად არის მომატებული. მაგალითად მედია მონიტორინგის ერთ-ერთ სპეციალისტი, რომელიც უკვე წლებია ამ სფეროში მოღვაწეობს აცხადებს: “ჩემი ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, ნამდვილად შემიძლია ვთქვა რომ არათუ ხშირად ავრცელებს ქართული მედია როგორც მმართველი პარტიის ასევე ოპოზიციის სიძულვილის ენის შემცველ სინქრონებს, არამედ ფაქტობრივად ქართული

მედია ამაზე დგას. მაგალითად შემიძლია მოგიყვანოთ ის, რომ იმედის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, 8 საათიან ქრონიკაში, სრული ერთი ბლოკი დაეთმო ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებებს, ოღონდ ეს განცხადებები არ იყო რაიმე ჩანსალი კრიტიკის შემცველი ან ქვეყნისათვის სასარგებლო. აბსოლუტური სიძულვილის ენის გამომხატველი ერთი სრული ბლოკი ვიხილე იმედის ეთერში. ეს იყო ძალიან სამწუხარო იმიტომ, რომ ქვეყანაში, სადაც არსებობს არაერთი პრობლემა ტელევიზია ვერ უნდა იცლიდეს იმისთვის, რომ ერთი კონკრეტული ადამიანის ერთი და იგივე შინაარსის მქონე წინადადება იმდენად ბევრს ბრუნვაში დაატრიალოს, რომ აღარ დარჩეს არაფერი სხვა სალაპარაკო. არცერთი ადამიანი არც ოპოზიციურ და არც პროსახელისუფლებო არხზე არ იმსახურებს იამს რომ

ერთი სრული ბლოკი დაეთმოს მის განცხადებების გავრცელებას. არსებობს გარკვეული სტანდარტები არამხოლოდ მონიტორინგის გადმოსახედიდან. ძალიან მარტივია იმის გაგება, რომ ყველაფერში საჭიროა ბალანსი. გარდა სიძულვილის ენის გავრცელების პრობლემისა, ასევე ბალანსის დაცვაც ძალიან დიდი პრობლემაა, რომ მედიასაშუალებები, როგორც სოციალური მედია, ასევე ტრადიციული მედია ვერ გრძნობენ აღნიშნულ ბალანსს და ვერ ხვდებიან სად გადის ზღვარი კრიტიკულ და სალანძღავი პოზიციების გავრცელებას შორის და ეს აისახება როგორც შინაარსზე ასევე გავრცელებული ინფორმაციის რაოდენობაზე”.

დასკვნა

ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება პირდაპირ ითქვას რომ სიძულვილის ენის ტირაჟირებამ მედიასაშუალებების მხრიდან საკმაოდ იმატა. ასევე იმატა თავად პოლიტიკოსების მხრიდან დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი, დამცინავი და პირდაპირ სალანძღავი ტექსტების და განცხადებების გაჟღერებამ. ეს ყველაფერი ცხადყოფს იმას, რომ კვლევის მთავარკვიპიპოთეზა, რაც გულისხმობს სიძულვილის ენის მზარდ მატებას, გამართლდა.

ბიბლიოგრაფია - გამოყენებული ლიტერატურა.

მედიის განვითარების ფონდი, 2013 https://mdfgeorgia.ge/uploads/library/5/file/Monitoring_Hate_Speech_and_Discrimination_in_Georgian_Media_GEO.pdf

თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი, 2014-2015 <https://mdfgeorgia.ge/uploads/library/15/file/Antidasavluri-GEO-web.pdf>

თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი, 2016 [https://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_\(1\).pdf](https://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_(1).pdf)

მედიის განვითარების ფონდი, 2017 https://mdfgeorgia.ge/uploads/library/71/file/ultra_nacionalis-turi_eqstrmizmi_fb.pdf

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) , 2021 https://isfed.ge/geo/blogi/sidzulvilis-ena-muqara-da-dezinformatsiuli-gzavnilebi-ghirsebis-marshis-tsin?fbclid=IwAR0AeTavWQdQx4xPXv_aUY33uH5jNkOyYhvQeQ3bVe0svB0a3h23vSBFIls

თამარ კინწურაშვილი, მედიის განვითარების ფონდი, 2018 <https://mdfgeorgia.ge/uploads/library/125/file/HateSpeech-Booklet-GEO.pdf>

გიორგი ურჩუხიშვილი, საფარი, 2020 [file:///C:/Users/windows/Downloads/undp_ge_dg_sexist_language_indicators_sapari_geo%20\(2\).pdf](file:///C:/Users/windows/Downloads/undp_ge_dg_sexist_language_indicators_sapari_geo%20(2).pdf)

ევრო საბჭოს ბროშურა, 2020 <https://rm.coe.int/speak-peace-georgian-screen/native/1680a28f25?fbclid=IwAR0UMuqdXzLZF26RrleBmkdQm6LyQ68XbhhNJ3sJ7SsFV2FW4yTeCIsCvZg>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, "სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი. <https://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Conventions/UDHRgeo.pdf?fbclid=IwAR0UMuqdXzLZF26RrleBmkdQm6LyQ68XbhhNJ3sJ7SsFV2FW4yTeCIsCvZg>

მარიამ კუბლაშვილი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2022

სალომე აზბა

Alexander Brown, 2015 https://library.oapen.org/bitstream/handle/20.500.12657/25902/1/1004180.pdf?fbclid=IwAR1vprxrhGW2TY90fm9_o6nvjntFb6WJikKYJtLxELhmxJriok8V_XdcRvU

Alexander Brown, 2017 https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s10982-017-9300-x.pdf?fbclid=IwAR0AeTavWQdQx4xPXv_aUY33uH5jNkOyYhvQeQ3bVe0svB0a3h23vSBFIls

Susan Benesch , 2014 <https://www.minorityrights.org/wp-content/uploads/old-site-downloads/mrg-state-of-the-worlds-minorities-2014-chapter02.pdf?fbclid=IwAR1A6pWah0-NXP7PR3MEOJ2NqS5DCs-glcLzyS-6uZO>

U6IfW-Gi6OLQOiTlU

David O. Brink, 2001 https://davidobrink.com/sites/default/files/publications/MillianPrinciplesFreedomExpressionHate_Speech.pdf?fbclid=IwAR09SY_2TKXk-LDn Ct-s-uQ0k BQ7JHKajPJP9qqZk9y2_K_DKpkx6Or4vu

U

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2019

<https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684-sidzulvilis-enasthan-brdzola>

ილია ჭავჭავაძისა და ჟურნალ „მოგზაურის“ დაპირისპირება 1905 წელს

მარიამ ჩალაური

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მე-19 საუკუნის ბოლო დამე-20 საუკუნის დასაწყისი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში იდეოლოგიათა ბრძოლის პერიოდია. 1893 წლიდან ქართველო მარქსისტ-სოციალისტების ახლადშექმნილმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა ჯგუფმა, რომლებიც „მესამე დასელების“ სახელით იყვნენ ცნობილნი, გააჩაღეს ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. „ეპოქის სუკისკვეთება“ ისეთი იყო, რომ როგორც არაერთი თანამედროვე იხსენებს, მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში ილიას სასარგებლოდ გამოქომაგებაც კი სირცხვილად ითვლებოდა. რუსეთის იმპერიაში დაწყებული პირველი სოციალისტური რევოლუციის დროს ჟურნალ-გაზეთებში მეფის ცენზურის გავლენა შესუსტდა, ბევრ პერიოდულ გამოცემაზე გავლენა სოციალისტურმა ჯგუფებმა მოიპოვეს. ერთ-ერთი ასეთი პერიოდული გამოცემა იყო ქართულენოვანი ჟურნალი მოგზაური, რომლის ფაქტობრივი რედაქტორი ქართველი ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე გახდა. მახარაძის რედაქტორობის პირობებში „მოგზაურის“ კორესპონდენტმა ვასილ ნაცვლიშვილმა (ფსევდონიმი „ვ.ნ.“) ილიას წინააღმდეგ გაამზადა ცრუ და გამოგონილი ფაქტებით გაჯერებული პასკვილი - „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელიც 1905 წლის „მოგზაურის“ მე-13 ნომერში გამოქვეყნდა. ეს პასკვილი ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულმა „ივერიაში“ გადაბეჭდა, რედაქტორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა სარედაქციო შენიშვნაც დაურთო: „ნუთუ ეს აღმშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან?“

ფილიპე გოგიჩაიშვილის ამ შეკითხვამ ილიას საპასუხო წერილის სათაური უკარნახა. მან „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ ბრალდებებს უპასუხა პუბლიცისტური წერილით „ნუთუ?“ და მის წინააღმდეგ წაყენებული ოთხივე ბრალდება საპასუხო არგუმენტებით გააქარწყლა. დამფუძნებლის საპასუხო წერილი „ივერიაში“ არ გამოაქვეყნდა, რედაქციამ იგი დამატების სახით დაურთო გაზეთის ნომერს. ილიას საპასუხო წერილის გამოქვეყნება საკუთარი ხარჯებით მოუხდა.

ჩვენს კვლევაში მიმოხილულია ჟურნალ მოგზაურისა და ილია ჭავჭავაძის დაპირისპირება. შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით გამოკვეთილია პოლემიკის ისე ხერხები და მეთოდები, რითიც ილიამ ვასილ ნაცვლიშვილის ცილისმწამებლური ბრალდებები გააქარწყლა.

საკვანძო სიტყვები: „ჟურნალი „მოგზაური“, „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“, „ვასილ ნაცვლიშვილი, „მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკა“.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველს ქმნის. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ქართულ ქართულ სააზროვნო სივრცეში შემოსულმა ილიამ თავის გუნდთან ერთად ფაქტობრივად იდეოლოგიური რევოლუცია წამოიწყო მამათა თაობის წინააღმდეგ და გაიმარჯვა კიდეც. ბატონ-ყმობის მხარდამჭერი იდეოლოგიის მარცხი, ქართული ენის მოდერნიზაციის პროცესი, სახელმწიფოებრიობადაკრული ერის ეროვნულებისათვის შენარჩუნების ბრძოლა - ილიას მოღვაწეობის პირველი ნახვერის შედეგებია. ამ შედეგების შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის ბრძოლა მას მთელი ცხოვრება არ შეუწყვეტია.

1893 წლიდან საქართველოში ახალი პოლიტიკური და იდეოლოგიური ჯგუფი ე.წ. მესამე დასი, ქართველი სოციალ-დემოკრატები შემოდიან. ილია ჭავჭავაძის ფიგურა მათთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდეც 1890-იანი წლებიდან დაიწყო. სიტუაცია განსაკუთრებით მე-20 საუკუნის პირველივე წლებიდან დაიძაბა, როდესაც სოციალ-დემოკრატები ორ ნაწილად - მენშევიკებად და ბოლშევიკებად გაიყვნენ. ილიას ორივე ფრთა ებრძოდა, თუმცა ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სისასტიკით ქართველი ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ, რომელბასაც რუსეთის იმპერიის პირველი სოციალისტური რევოლუციის წელს - 1905 წელს - ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა.

ჩვენი კვლევის ფარგლებში მიმოვიხილეთ პირველი ქართული ბოლშევიკური ჟურნალი ს- მოგზაურის - კორესპონდენტის ვასილ ნაცვლიშვილის წერილი „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელშიც იგი ილია ჭავჭავაძეს არაერთ ბრალდებას უყენებს. ჩვენს ნაშრომში აგრეთვე განხილული არის ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილი „ნუთუ?“

1905 წელს ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე დაიბეჭდა პუბლიკაცია შემდეგი სათაურით „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელშიც წარმოდგენილია გამოგონილი, ან ნახევრდ-გამოგონილი ამბები იმის შესახებ, თუ როგორი არაადამიანური სისასტიკით ჩაგრავდა მებატონე ილია ჭავჭავაძე საგურამოს გლეხობას.” (ჯოლოგუა, 2013) „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ტექსტი ილიას მიერ დაფუძნებულმა „ივერიამ“ საკუთარ ფურცლებზე გადმობეჭდა, რითაც, ფაქტობრივად , ხელი შეუწყო მცდარი და გაყალბებული ფაქტების გავრცელებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ . „ივერიის“ მაშინდელმა რედაქტორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა (რომელიც გაზეთ „ივერიას“ ილია ჭავჭავაძის შემდგომ, 1905-1906 წლებში რედაქტორობდა) „ივერიაში“ გადმობეჭდილ სტატიას სარედაქციო შენიშვნაც დაურთო : „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია ? ნუთუ ,, გლახის ნაამბობის “ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩვენია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თ[ავა]ადი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენტის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს”. (ჯოლოგუა, 2013). სწორედ ფილიპე გოგიჩაიშვილის სარედაქციო შენიშვნის ტექსტმა უკარნახა ილია ჭავჭავაძეს საპასუხო წერილის სათაური „ნუთუ?“.

ილია ჭავჭავაძეც ჟურნალისტი იყო , შესაბამისად, მას შესანიშნავად ესმოდა როგორი დიდი ძალა აქვს აღნიშნულ პროფესიას: „ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს . ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის , გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს

მხრით იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობის მოძრაობისა . მასში სჩანს და ისახება , ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა.” (ჯოლოგუა, 2013) აღნიშნული საკითხი, აქტუალობას, რა თქმა უნდა, დღესაც არ კარგავს და არც მომავალში დაკარგავს. დღესდღეობით , საქართველოში მოქმედებს ისეთი დამოუკიდებელი გაერთიანება ,როგორცაა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 11 პრინციპისგან შედგება. თუ დღევანდელი გადმოსახედიდან შევხედავთ საკითხს, დავინახავთ რომ ვასილ ნაცვლიშვილმა თავისი წერილის გამოქვეყნებით „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება” , ქარტიის რამდენიმე პრინციპი ერთდროულად დაარღვია. ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს სიმართლეს. (ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, 2006) ეს არის ის მთავარი ჟურნალისტური პრინციპი , რომლის დარღვევაც არ აპატია ილია ჭავჭავაძემ „მოგზაურის” კონენსპონდენტს .

სანამ უშუალოდ წერილების მიმოხილვაზე გადავიდოთ, მიმოვიხილოთ ის პოლიტიკური გარემო , რომლის ნაყოფიც გახლდათ ვასილ ნაცვლიშვილის წერილი „საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება “. 1890-იან წლებში საქართველოში მკაფიოდ გამოიკვეთა ქართველ მოღვაწეთა სამი ჯგუფის დაპირისპირება . მიუხედავად იმისა, რომ ილიას ესმოდა პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა, მას მაინც მიაჩნდა, რომ პარტიულ-იდეოლოგიური ანტაგონიზმი საქართველოს კარგს არაფერს მოუტანდა . ილიამ თავადაც სცადა პოლიტიკური პარტიის შექმნა, შეიმუშავა კიდევ „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა ,თუმცა ვიცით,რომ იდეის რეალიზება ვერ მოხერხდა .

მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რამდენიმე თაობა გამოირჩევა. ზოგიერთი ისტორიკოსი ამ თაობებს „დასებადაც“ მოიხსენიებს. ე.ს. დასების თეორიას თავისი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, თუმცა ჩვენს კვლევაში გთავაზობთ ამ თეორიის არსს, რადგან მისი საშუალებით უფრო მარტივია თაობათა შორის დაპირისპირებისათვის თვალის გადევნება. ნიშნადობლივია, რომ „დასების თეორია“ ილიას თანამოაზრისა და ახლო მეგობრის ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის გიორგი წერეთლის ნააზრევიდან იღებს სათავეს.

მოდით მივყვეთ გიორგი წერეთლის მიერ ჩამოყალიბებულ დასების კონცეფციას :

1. „პირველ დასში”, ანუ „სამოციანებელში“ შედიოდნენ ლიბერალური თავადაზნაურობის ინტერესების მქონე მოღვაწეები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით .

2. გიორგი წერეთლის მიხედვით „მეორე დასში”, ანუ 70-იანელებში შედიოდნენ გაზეთ „დროებისა “ და ჟურნალ „კრებულის” გარშემო გაერთიანებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების პუბლიცისტ-ლიტერატორები(ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი).

3. „მესამე დასში”, ანუ ოთხმოცდაათიანელებში შედიოდნენ ახალგამოჩენილი მარქსისტები, ეგნატე ნინოშვილისა და ნოე ჟორდანიას წინამძღოლობით, რომლებიც „კვალის” გარშემო გაერთიანდნენ. (ჯოლოგუა, 2013)

1900 წლებში დაპირისპირებულ მხარეებად ილია ჭავჭავაძე და სოციალ-დემოკრატები გვევლინებიან: „ამ დროს კლასთა ბრძოლის მარქსისტული მოძღვრებით „შეიარაღებულ”

სოციალ-დემოკრატებს ილია ჭავჭავაძისა და მისი სოციალური პროგრამის წინააღმდეგ მორალური ტერორი ჰქონდათ გაჩაღებული. ილიას ბრალს სდებდნენ დროის ახალ მოთხოვნათა ვერშეცნობაში, წარმოაჩენდნენ მას რეტროგრად, უკიდურესად ჩამორჩენილ მოაზროვნედ „უწოდებდნენ „მშრომელი ხალხის მტანჯველ“, „გულქვა და სასტიკ“ მებატონეს“ (ჯოლოგუა, 2013) დასთა შორის დაპირისპირების სიმძაფრის დასანახად შევეხოთ ნოე ჟორდანიას ნაშრომს სათაურით „ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“. იგი ილია ჭავჭავაძეს ბრალს სდებს ქართული პრესის „გათახსირებაში“. „ივერიის“ წყალობით ქართულმა პრესამ თავისი ხელით გაითხარა კუბო, ჩავიდა შიგ, გულხელი დაიკრიფა და ახლა მხოლოდ წესის აგებას და დასამარებას ელის...“ „მესამედასელებმა“ იმდენს მიაღწიეს, რომ საზოგადოება ილიას ავტორიტეტის მიმართ ნეგატიურად განეწყო. (ჯოლოგუა, 2013) სწორედ ასეთი ვითარება იყო საქართველოში 1905 წელს, მაშინ, როცა ვასილ ნაცვლიშვილი ილიას წინააღმდეგ „მოგზაურში“ გამოსაქვეყნებელ პასკვილს ამზადებდა.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, თავდაპირველად „მოგზაური“ იყო „ქართული ყოველთვიური ისტორიული, არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული სურათებიანი ჟურნალი. გამოდიოდა 1901-04 წლებში“, ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელიც იყო ი. როსტომაშვილი. მოგვიანებით „მოგზაური“ გადაიქცა ქართველ სოციალ-დემოკრატების ყოველკვირეულ ჟურნალად, რომელიც თბილისში 1905 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე გამოდიოდა. რედაქტორ-გამომცემლად ისევ როსტომაშვილი რჩებოდა, ფაქტობრივ რედაქტორად კი ქართველ ბოლშევიკთა ლიდერი ფ.მახარაძე. ჟურნალში თანამშრომლობდნენ, როგორც ბოლშევიკები, ასევე - მენშევიკებიც. ჟურნალის მეშვეობით ხორციელდებოდა ბოლშევიკური იდეების პროპაგანდა. (აბაშიძე, 1984)

„მოგზაურში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის - საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება - ავტორმა ვასილ ნაცვლიშვილმა ილია ჭავჭავაძეს ოთხი ძირითადი ბრალდება წაუყენა, ილია ჭავჭავაძემ კი ოთხივე ცილისმწამებლური ბრალდება საპასუხო არგუმენტებით გააბათილა. მივეყვით თითოეულ ბრალდებას სათითაოდ და განვიხილოთ ამ ბრალდებებზე ილიას პასუხები.

აღნიშნული წერილი იწყება შემდეგი სიტყვებით „საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა ექვს მარტს მოიყარეს და განიხილეს თავისი ჭირ-ვარამი, დაბეჩავებული ცხოვრება. ხალხმა გადაწყვიტა <<ბოიკოტი>> გამოუცხადოს აქაურ მემამულეებს: ილია ჭავჭავაძეს, გივი სტარასელსკის და ტატო ცაციაშვილს“. (ნაცვლიშვილი, 1905, #13, გვ. 209). მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის გარდა ვასილ ნაცვლიშვილმა სხვა მემამულეებიც დაასახელა (გივი სტარასელსკი და ტატო ცაციაშვილი), ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ წერილში ძირითადი აქცენტი დასმული იყო ილია ჭავჭავაძეზე და ავტორის მთავარი მიზანიც ილიას დისკრედიტაცია გახლდათ.

გასაკვირი არ არის, რომ ილიას საპასუხო წერილი პრესის მნიშვნელობაზე ხაზგასმით იწყება. ილია პრესას „მზედ“ მოიხსენიებს და ამბობს: „მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესისა და ერთს დროს, ვიდრე ჯანმრთელობა არ შემერყა და ნებას მაძლევდა, მეც ერთი ჩანჩალა ვიყავ მისი, მაგრამ იმისთანა პატივისმცემელი - კი არას დროს არა ვყოფილვარ და არცა ვარ, რომ ყოველ

წარამარად ბლაჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველივე საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად. ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურება და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა... დიაღ, თვით პრესამ უნდა თავი გამოიღოს, ამ შემთხვევაში, თუ სადმე მართლა ფეხადგმულია ცნობიერება და ჭკუასა და გონებას თავის ადგილი უჭირავს. თორემ აქ აღვირის მიშვება და სადავეს მიგდება კარის გაღებაა იმ ერთ-გვარ უწმინდურებისათვის, რომელსაც „შანტაჟს“ ეძახიან და მაშინ ძალღიჯ ვეღარ იცნობს პატრონსა : ერთი-ერთმანეთს შევეჯახებით, ერთი-ერთმანეთს თავს შევახლით, ერთი-ერთმანეთს დავჭამთ, მაშინ ტყეში მგელთან და აფთართან ცხოვრება უკეთესი და უფრო მოსვენებული იქნება, ვიდრე - კაცთა შორის”. (ჭავჭავაძე, “ნუთუ?”, 1930)

ილია ჭავჭავაძის გულისწყრომა გასაკვირი სულაც არ არის, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ თავად ილია ჭავჭავაძე გაზეთ ივერიას 1902 წლამდე რედაქტორობდა და მაშინ, როცა მან რედაქციაში მიიტანა წერილი „ნუთუ?“, არ გამოუქვეყნეს და გაზეთის ნომერში დამატების სახით ცალკე ფურცლად ჩადეს, შემდეგი სარედაქციო შენიშვნის დართვით: „მკითხველი, რომელიც იცნობს ჩვენი გაზეთის მიმართულელებას, თავის თავად მიხვდება და ჩვენი მხრით თქმაც ზედმეტია, რომ ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებებში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებით”. (ჯოლოგუა, 2013) „ივერიის“ რედაქტორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა თავის სასარგებლოდ შემდეგი რამ თქვა : „1905-1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია. „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ წერილი. ილიამ დასწერა საპასუხო წერილი და გადმომცა „ივერიაში“ დასაბეჭდათ. „ივერიის“ თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მიღებულია ილიას პასუხი, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაიბეჭდოს ... რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინათვე გაფიცვას მოვაწყობთ...” (ჯოლოგუა, 2013) . ამის შემდეგ ფილიპე გოგიჩაიშვილს მიუღია გადაწყვეტილება ილიას წერილის გაზეთის ნომერში დამატების სახით ცალკე ფურცლად ჩადებისა. აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იმ დროისათვის უკვე ღვაწლმოსილ ილიას ეწყინა ასეთი დამოკიდებულება. ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად შეგვიძლია თავად ილია ჭავჭავაძის სიტყვები მოვიშველიოთ, რომელშიც მკაფიოდ იგრძნობა ილიასეული სარკასტული ტონი : „თუმცა ის ამბავი, რომ „ივერიამ“ ეს კორესპონდენცია მთლად გადმობეჭდა და იმით ხელი მოუმართა ავტორს გაევრცელებინა სამაგელი მოთხრობა, თავის-თავადაც ასე თუ ისე იკბინება, მაგრამ მე მაინც მაღლობელი დავურჩი „ივერიის“ რედაქციას. რაც გინდ იყოს, ზემოაღნიშნული დოსტალული პირდაპირ გვანიშნებს, რომ „ივერია“ სიფრთხილით და წინდახედულად მოქცეულა, ბრმად არ აპყოლია ვიღაც ორს ასოს ქვეშ მიმაღულ კორესპონდენტის ფეხის ხმას...” (ჭავჭავაძე, “ნუთუ?”, 1930)

აქვე ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძის წერილის შესავალი იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვკვეთოთ კიდევ ერთი ნიუანსი. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ილიამ საკუთარ ნაწარმოებში „ოთარაანთ ქვრივი“ წამოსწია მაშინდელი საზოგადოებისთვის მეტად მწვავე პრობლემა „ხდიჩატეხილობა“. „ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი : ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისთვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი”. (ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“, 1887) ილიას მიაჩნია, რომ პრესა არის ამ ჩატეხილი

ხიდის გამთლიანებისა და ორი ნაპირის ერთმანეთთან დაახლოების ერთ-ერთი საშუალება: „ნუთუ ეს სასურველია პრესისთვის, რომლის ჭეშმარიტი თავისუფლება მიჯნების განზე გადგმა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუტვა. დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავადაზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუა-კაცობა, შუა-ჩადგომაა მათ შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება, მოსარგებლის მორიგება...” (ჭავჭავაძე, “ნუთუ?”, 1930)

პირველი ბრალდება, რომელიც ვასილ ნაცვლიშვილმა ილია ჭავჭავაძეს წაუყენა გახლდათ ის, რომ ერთ-ერთ გლეხს ილიას კალოზე „სანადელო” ყანის ძნა ამოუტანია არა მაშინ, როცა ილიას მოურავს დაუვალეზია, არამედ მეორე დილას. ამაზე მეტატონე ილია გაბრაზებულა და გლეხი უშვერი სიტყვებით გაულანძღავს. ილიას განმარტებიდან ვიგებთ, რომ საგურამოს ხუთივე სოფელში მცხოვრებ გლეხებს სწორედ იქ მოჰყავთ მოსავალი, სადაც მამულის პატრონს მოურიგდებიან . გლეხმა მოსავლის მეოთხედი მემალეს უნდა მისცეს და თავისი ურმით კალოზე მიუტანოს. ვინაიდან , „ამ მეოთხედის დათვლა-მიტანა, ათეულების ადგილობრივი შეფარდება და სხვა ამისთანა, მრავალ-მიზეზიანი საქმეა და ხშირად ამ სარბიელზე ხშირად ჩხუბი და დავიდარაბა მოსდით მოურავსა და გლეხს ერთმანეთში ,ილიას ასეთი რამ მოუფიქრებია: „იმისთვის, რომ კაცმა იცოდეს, მოურავი ვის ყანიდან რას ჰგზავნის, ვის რამდენს ართმევს, ერთის სიტყვით, იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს, ვისგან რა შემოდის, და მოურავსაც საბუთიანი ანგარიში ჩამოართვას, მე დავაწესე, რომ მოურავმა თვითოეულ გლეხს იქავ, საცა მეოთხედს მიითვლის, ბარათი აძლიოს, ვისგან რა ერგო, და თვითონაც დავთარში ჩაიწეროს...გლეხკაცი რომ კალოზე მეოთხედს მიიტანს, ძნის მიმღებებს ხსენებული ბარათი უნდა ჩააბაროს და ამ ბარათით მიუთვალოს. მერე ეს ბარათები და მოურავის დავთარი ერთმანეთთან შემოწმებით უსწორებენ სიას მამულის პატრონს.” აღნიშნული წესის დამკვიდრება, სულაც არ გასაკვირი,თუ გავითვალისწინებთ ილიას პრაქტიკულსა და პრაგმატულ მიდგომას ცხოვრებისადმი. მასვე განუცხადებია, რომ ამ წესის დამრღვევ გლეხს ძნით დატვირთული ურემი უკან უნდა გაებრუნებინა. მიუხედავად იმისა, რომ წესის დამრღვევთა სია მეტისმეტად მოკლე აღმოჩნდა, მათ შორის მაინც გამორეულა ისეთი გლეხი, რომელმაც ძნა უბარათოდ ამოიტანა. ილიას, რა თქმა უნდა, შეუსრულებია თავისი სიტყვა და გლეხი უკან გაუბრუნებია. ამ ფაქტს მოსჭიდებია ვასილ ნაცვლიშვილი და ისიც უთქვამს, თითქოს, გლეხს ილიას აღნიშნული საქციელის გამო, მთლიანად გაჰფუჭებია ძნა. „მოგზაურში” გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ, რომ გლეხმა შეკრებისას აღნიშნა :„ძნა ისევ იქ ჩავიტანე, დავცალე ურემი და ველოდე ერთი დღე , მეორე დღე, მესამე , მაგრამ სად არის მოურავი. იქ ველოდე, მინამ საქონელმა ძნა არ დაშალა და არ გააოხრა” (ნაცვლიშვილი, 1905, #13). ამ ცრუ ბრალდებასაც მარტივად გაუქარწყლებია ილიას: „იქ ელოდა და სეირს უყურებდა, საქონელი როგორ უოხრებდა ძნას, რადგანაც მარტო მაშინ გაუთავებია ლოდინი, როცა საქონელს ძნა გაუოხრებია. აბა რა დასაჯერია ასეთი სულელური ამბავი ! “ (ჭავჭავაძე, “ნუთუ?”, 1930)

მეორე ბრალი, რომელსაც ჟურნალ მოგზაურის’ კორესპონდენტი ილიას სწამებს არის ის, რომ, ვითომ, მას მთავრობისათვის ჯარი მოუთხოვია გლეხთა ბოიკოტის ჩასახშობად. აქ ვასილ

ნაცვლიშვილი ასახელებს გივი სტაროსელსკისაც ,რომელსაც, თურმე, გლეხებმა საბძელი და თივა გადაუწვეს, გაუნადგურეს ვაზი და ხეხილი და შვილების დახოცვითაც დაემუქრნენ. ნაცვლიშვილის წერილიდან ვიგებთ, რომ საგურამოში ვითარების გასარკვევად დუმეთის მაზრის სამმართველოს მოხელე გედევანიშვილი ამოსულა და კიდევაც გაჰკვირვებია გლეხების მეტისმეტი სიმშვიდე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვითომ მემამულე ილია ჭავჭავაძესა და გივი სტაროსელსკის განგებ აუტეხიათ ცრუ და ყალბი განგაში მოჩვენებითი ბუნტის ჩასაშობად.

ილიას საპასუხო წერილიდან ვიგებთ, რომ გლეხთა მოძრაობის დაწყების პირველ ხანებში ილია ავად ყოფილა, თბილისში იყო და მოურავის წერილებიდან გებულობდა საგურამოს ამბებს. მას შემდეგ, რაც ვითარება დაიძაბა, ილიას თბილისიდან საგურამოში მოჯამაგირე გაუგზავნია, თუმცა გლეხებს ისიც დაუშინებიათ. ჭავჭავაძეს მამულისა და ქონების დასაცავად მაზრის უფროსისათვის დეკრეტით მიუძღრთავს: „ღმერთმა უშველოს, მაშინვე სამი „სტრაჟნიკი“ გამოეგზავნა, - სასახლეს და კარ-მიდამოს უპატრონეთო. „სტრაჟნიკები“, რა თქმა უნდა, მე ჩემთან დავაყენე, მე ვსამევედი, მე ვაჭმევდი, ცხენებს მე ვუნახავდი და ერთი იმათგანი სოფელს არც- კი მიჰკარებია, არც ერთ მათგანს გლეხკაცის წკირისათვისაც ხელი არ უხლია. როცა მოჯამაგირენი ვიშოვე, „სტრაჟნიკები“ მაშინვე დავითხოვე.“ (ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, 1930). ჩანს, ეს ამბავი ჩაუთვლია ჟურნალ „მოგზაურის“ კორესპონდენტს ილიას მიერ მთავრობისათვის ჯარის გამოთხოვის ფაქტად. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, თავად ილია ჭავჭავაძე ძალმომრეობის კატეგორიული წინააღმდეგია, რაც მის წერილშივე გამოჩნდა, რომელშიც ის ამბობს, რომ გლეხკაცობის დასაწყენარებლად არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივმართოთ ძალადობას და მათთან ურთიერთობის დასამყარებლად ჯარი საერთოდ არ არის საჭიროო, ვინაიდან : „ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვრება“. ყველას კარგად მოგვეხსენება დიდი ქართველი მოღვაწის იურიდიული განათლების შესახებაც , ილიამ კარგად იცის თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს წერილობით დოკუმენტაციას ,რომელიც შესანიშნავი ნივთმტკიცება და ე.წ. სამხილია. სწორედ ეს არგუმენტი მოჰყავს აღნიშნული ბრალდების წინააღმდეგაც :„ამისთანა არასახუმარად პასუხის-საგებელი მძიმე საქმე , როგორც ერთობ ჯარის გაგზავნა და ჩაყენება სოფელში, განა შესაძლებელია ისე, რომ მიწერ-მოწერა არ გაემართათ და შიგ თხოვნა სხვისასთან ერთად ჩემიც არ დაესახელებინათ, ვითარცა მიზეზი? კორესპონდენტმა რომ თავისზე მეტი სუნის ამღები მეძებრები არბეინოს საძებნელად, საგურამოს ჯარის ჩაყენების საქმეში ვერსად ვერ იპოვის ჩემის სახელის ხსენებასაც, რადგანაც ჯარი არავისთვის მითხოვნია არც სიტყვით, არც წერილით. თუ გაჭირდა, ამის ოფიციალურ მოწმობასაც წარმოვადგენ“ (ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, 1930).

მესამე ბრალდებას „მოგზაურის“ კორესპონდენტი შემდეგნაირად აყალიბებს: „აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ არც დიდებული ილია ჭავჭავაძე და არც სტაროსელსკი გლეხებს ნებას არ აძლევენ ზეზე სადგომის აგებას.“ ამ ამბის გადმოცემის მიზანი ისაა, რომ ვასილ ნაცვლიშვილს სურდა მკითხველს დაეჯერებინა, რომ ილია მებატონე ილია ჭავჭავაძეს იმდენად სასტიკი ბუნება ჰქონდა, რომელიც გლეხებს საბინადრო ადგილებზე სახლის მომართვის ნებას არ რთავდა და

გლებკაცებს მზის დანახვისა და საღი ჰაერი სუნთქვის საშუალებას უსპობდა.

თუმცა ილია თავის წერილში „ნუთუ?“ რამდენჯერმე უსვამს იმ ფაქტს ხაზს, რომ საგურამოში გლებთა საცხოვრებელი ადგილების ერთი მტკაველიც კი არ ეკუთვნოდა არც მას და არც - მის მეუღლეს, ოღლა გურამიშვილს. აქედან გამომდინარე, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაირად არ იყო დამოკიდებული გლებთა საბინადრო ადგილების განსაზღვრა ილიას ნება-სურვილზე - „ეს ზეზეურად სახლის დადგმის ამბავიც ჩვენ გახუნებულ ავტორის მიერ შეხანხლული ჭორია და მისდა სასახელოდ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გლების ნაამბობი კი არ არის, მის მიერ საკუთრივ მოგონილი და შეთხზულია და ამიტომაც არის ასეთი კარგი და ლაზათიანი“ (ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, 1930).

რაც შეეხება მეოთხე ბრალს , აქ თავად ილიას დავეთანხმებით და ვიტყვით ,რომ ვასილ ნაცვლიშვილი ილია ჭავჭავაძეს პირდაპირ თუ ირიბად კაცის მკვლელობაში ადანაშაულებს. ამბავი შემდეგნაირია: „ამ ზამთარსა , დაიწყო სოფელ გურამიანთ კარელმა გლებმა, დიდი ყინვებისგან წყალი, რომლითაც მთელი ოთხი თუ ხუთი სოფელი ვსარგებლობთ, გაიყინა. გაიყინა ისე , რომ მთლად უწყლოთ დავრჩით. სოფელს ზევით სამ ვერსზედ ტყეში და მიუვალ ღელეში ილია ჭავჭავაძის მამულში, გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინება. დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობა. თანაც გვითხრეს, ვისაც წყალი უნდა, იმან სულ თითო საქონელზე ათი შაური უნდა გვაძლიოს თვეშიო, და სასმელ წყალს მუქათათ დავუთმობთო (ნაცვლიშვილი, 1905, #13).“ ავტორი თხრობას აგრძელებს ერთი დავრდომილი გლების ხსენებით, რომელიც იმ ზამთარს ახალი მომჯობინებული იყო. თურმე, ამ გლებსაც უსარგებლია ჭავჭავაძის წყაროთი, მაგრამ მოურავისთვის „ხარკი“ არ გადაუხდია. ილიას მოურავს არ უპატიებია გლებისთვის წყლის საფასურის გადაუხდელობა და ორივე კოკა წყალი ზედ გადაუმტკრევია ნახევრად შიშველი გლებისთვის. „ამ ამბავს ილია ჭავჭავაძე ბალკონიდან უყურებდა 400 მანეთიან ქურქში გახვეული, გულიანათ იცინოდა და თანაც აქებდა ერთგულ მოურავს: „ყოჩად მემარნიშვილო, ყოჩად ეგრე სუსხი უნდა მისცე, რომ თავზე არ წაგვასხდენო“ (ნაცვლიშვილი, 1905, #13)’. სულ მთლად დასველებული გლები სახლში , ცივ კერიასთან დაბრუნებულა და ამ ამბიდან ერთი კვირის შემდგომ კიდევაც გარდაცვლილა. ამ ბრალდების გასაქარწყლებლად ილია საკმაოდ ბევრ და საინტერესო არგუმენტს იშველიებს. მივყვეთ თითოეულს. ილია ვასილ ნაცვლიშვილს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბუნებას უპირისპირებს. საქმე ისაა,რომ თავად სოფელ გურამიანთ-კარში ე.წ. თეზამის წყარო ჩამოუდის. „ამას გარდა, შიგ სოფელშივე არის წყარო, რომელიც ამ ოცის წლის წინათ გამოიყვანეს სტაროსელსკიანთ მილებით, როგორც თავიანთთვის, ისე - სოფლისთვის“. (ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, 1930). ილია აფიქსირებს იმ გარემოებასაც, რომ თეზამის წყალი, მართალია, ზამთარში იყინება, თუმცა გურამიანთ-კარის წყარო სეზონის არც ერთ დროს არ იყინება. აქედან გამომდინარე ,ილია ასკვნის, რომ წყლის გაყინვის ფაქტი ან გლების მიერ მოგონილი ტყუილია, ანდა - თავად კორესპონდენტის ფანტაზიის ნაყოფიო.

მეორე არგუმენტი, რაც ილიას მოჰყავს არის ის, რომ მის ტყეში არავითარი წყარო არ მოედინება. აქედან იმის თქმა შეგვიძლია, რომ „მოგზაურის“ კორესპონდენტი ადგილზე საერთოდ არ ჩასულა, არც წყაროთა წარმომავლობა, მათი არსებობა ან სულაც არარსებობა

არ მოუკვლევია და, შესაბამისად, ცრუ დასკვნების გამოტანასაც არ მოჰრიდებია. არც ის არის სიმართლესთან ახლოს, რომ გლეხები ილიას მიუვალ ტყეში დაიწყებდნენ წყაროს ძებნასა და მისით სარგებლობას, მაშინ, როცა თავად სოფლის შიგნით ისეთი წყარო მდებარეობს, რომელიც არ იყინება. ვასილ ნაცვლიშვილს არც ის სცოდნია, რომ გურამიანთ-კარს მდინარე არაგვი ჩამოუდის, რომელიც, აგრეთვე, არ იყინება. მდინარესაც, რომ თავი დავანებოთ, სოფლის მახლობლად ერთი დიდი ფშა ყოფილა, რომელიც წისქვილს აბრუნებს. ილიას თქმით, ფშის წყალი არასოდეს იყინება. მაშასადამე, სოფელში მცხოვრებ გლეხებს ამ ფშით სარგებლობა უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე - ილიას ტყეში წყაროს ძიება და, რა თქმა უნდა, მათ ამაში საფასურს არავინ მოსთხოვდა.

ნიშნადობლივია, ვასილ ნაცვლიშვილს სურდა კონტრასტი შეექმნა იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ „ბალკონზე“ გადმომდგარ მებატონე ილია ჭავჭავაძეს 400 მანეთიანი ქურქი ეცვა, ორ კოკა-მოკიდებული გლეხი კი ნახევრად შიშველი იყო. ეს ფაქტი ხომ, წესით, ილიას მედიდურობასა და აღმატებულობის შეგრძნებაზე უნდა მეტყველებდეს. ამ ცრუ დასკვნებს ილია ასე პასუხობს: „თუნდ ეგრეც იყოს, ორმოც-თუმნიანი ქურქი აქ რა სახსენებელი! რა სიტყვის პასუხია! თუმცა მე ორმოც-თუმნიანი ქურქი ჩემს დღეში არცა მქონია და არცა მსხმია, და თუნდ მქონებოდეს, ამაში სამარცხვინოს არასა ვხედავ, რადგანაც მგონია, რომ არც ჩემი მამბეზლარი დაიწუნებდა ორმოც-თუმნიან ქურქს... უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც არის ერთი რამ მიზეზი: ან ის, რომ საშინელი უსამართლობა დაენახებინა ქვეყნისათვის, აქაო და ერთის მხრით ორმოც-თუმნიან ქურქში გახვეული გაბღინძული თავადია და მეორეს მხრით ნახევრად შიშველი საცოდავი გლეხი...“ (ჭავჭავაძე, „ნუთუ?“, 1930). ილიამ ისიც აღნიშნა, რომ მისი „ბალკონიდან“ თითქმის შეუძლებელია ტყიდან გამომავალი ადამიანის დანახვა. მაშასადამე, ილია ჭავჭავაძე ვერანაერად ვერ შეესწრებოდა მისი მოურავისა და გლეხი ამბავს.

მებატონე ჭავჭავაძის ბრალეულობას მთლად აქარწყლებს ის გარემოება, რომ აღნიშნულ სოფელში ხსენებულ ზამთარს არც ერთი მამაკაცი გლეხი არ გარდაცვლილიყო. გურამიანთ-კარის მღვდელს ილიასთვის უთქვამს „შარშან პირველ დეკემბრიდამ წლევიანდელ პირველ აპრილამდე მამაკაცი გლეხი არავინ გარდაცვლილა.“ დააბრალო ადამიანს უმძიმესი დანაშაული, მაშინ, როცა გარდაცვალების ფაქტიც არ დაფიქსირებული, ვფიქრობთ, ნათლად მეტყველებს ვასილ ნაცვლიშვილის მოტივებსა და მიზნებზე.

ილია საკუთარ წერილს ისევ და ისევ პრესის მნიშვნელობის შესახებ მსჯელობით ასრულებს. თუ პრესა ხელს შეუწყობს ასეთი ცრუ ბრალდებებისა და ტყუილების გავრცელებას, მაშინ არავის, არც ერთ ადამიანს არ ექნება დაცულობის შეგრძნების გარანტია, რომ მეორე ან მესამე დღეს მის წინააღმდეგ არ გაავრცელებენ ცრუ ფაქტებს და შეეცდებიან მისი ავტორიტეტის შეზღავანას. ილია წერილს შეგონებით ასრულებს „რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო“.

1900-იანი წლების დასაწყისში ჯანმრთელობაშერყეული ილია ჭავჭავაძე თანდათან ჩამოშორდა საზოგადოებრივ ასპარეზს. მან 1905 წელს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკიც დატოვა. 5 ივლისს შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვითაც მისი

ქონება უნდა გადასცემოდა მეუღლეს, ოღონდ გურამიშვილს, ოღონდ გარდაცვალების შემდგომ კი - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ასე რომ, ვფიქრობთ ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ამომწურავად მიმოვიხილეთ თუ როგორ ცდილობდნენ ილია ჭავჭავაძის დისკრედიტაციას და მისი ავტორიტეტის შელახვას იმდროინდელ საქართველოში. ამის მკაფიო ნიმუში გახლდათ, უამრავი ცრუ ფაქტით გაჟღენთილი ვასილ ნაცვლიშვილის წერილი „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“. ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ისიც გამოჩნდა, რომ ილია ჭავჭავაძე უპასუხოდ არ დატოვებდა მის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ უსამართლო პასკვილებს. ამის ნათელი მაგალითიც სწორედ რომ მისი საპასუხო წერილი „ნუთუ“-ა, რომელიც მცდარი და გამოგონილი ფაქტების მხილების საუკეთესო ნიმუშია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

აბაშიძე, ი. (1984). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტომი 7. მინორი-პეგუ.

ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი. (2006). *ჟურნალისტიკის ელემენტები*. თბილისი, იმპრესი.

გოგიჩაიშვილი, ფ. (1976). *ხელოსნობა საქართველოში*. თბილისი.

ნაცვლიშვილი, ვ. (1905, #13, აპრილი 10). «საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება». *ჟურნალი მოგზაური*, pp. 209-211. Retrieved from https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/301414/1/Mogzauri_1905_N13.pdf

სანიკიძე, ლ. (2017). „დედა ისტორია“. თბილისი: ბაკმი.

ჭავჭავაძე, ი. (1887). „ოთარაანთ ქვრივი“. Retrieved from http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia_chavchavadze/motxrobepi/otaraant_kvriivi_all.pdf

ჭავჭავაძე, ი. (1930). «ნუთუ?». In პ. შემდგენელი-ინგოროყვა, *ნაწერების სრული კრებული 10 ტომად* (pp. 177-220). თბილისი: საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

ჯოლოგუა, თ. (2013). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)*. თბილისი.

ქალთა უფლებები სერგეი მესხისა და ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში

ლიზი ხომერიკი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ილია ჭავჭავაძე იყო ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ი.ჭავჭავაძემ დაწერა ძლიერი მხატვრული ინდივიდუალობით აღბეჭდილი და მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსით განმსჭვალული, ფართო საზოგადოებისათვის რეზონანსის მქონე ნაწარმოებები, რომელთაც აღმავალი ეტაპი შექმნეს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში.

სერგეი მესხი 1868 წლიდან რედაქტორობდა გაზეთ დროებას; აშუქებდა საქართველოსა და სხვა ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს; იყო „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის აქტიური მონაწილე; მისი წერილები ეხებოდა კრიტიკის თეორიას და პრაქტიკას, ფოლკლორისტიკას, თეატრს, დრამატურგიას და სალიტერატურო ენის სიწმინდეს. ქალთა საკითხების აქტუალიზაციასა და მათი უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში პირველი სიტყვა მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების ჟურნალისტებს ეკუთვნით. ჩვენს კვლევაში განხილულია „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის პუბლიცისტური წერილების და „ივერიის“ რედაქტორის ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები. გამოკვეთილია ის მთავარი გზავნილები/ „მესიჯები“, რაც მე-19 საუკუნის ქართველმა ჟურნალისტებმა განიხილეს და მაშინდელ მკითხველს განსჯისათვის შესთავაზეს. სწორედ მათ მოამზადეს მყარი ნიადაგი, რომელიც შემდგომ აისახა კიდევაც ქართველ საზოგადოებაში და საქართველოც, მას მერე, რაც სახელმწიფოებრიობა დაიბრუნა, ნელ-ნელა შეურთდა ევროპულ ქვეყნებს აზროვნებითა და მისწრაფებებით.

საკვანძო სიტყვები: „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“, „დედათა საქმე“, „სერგეი მესხის პუბლიცისტიკა“, „ქალთა უფლებები XIX საუკუნეში“.

ქალთა უფლებები დღევანდელ საქართველოშიც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემაა-არათანაბარი შრომითი გარემო, ოჯახში ქალებზე განხორციელებული ფსიქიკური, ფიზიკური, ეკონომიკური ძალადობა დიდი გამოწვევაა, თუმცა გასულ საუკუნეებთან შედარებით ქალთა უფლებების მხრივ მიღწეული პროგრესი თვალსაჩინოა.. 2014 წლიდან ოჯახური ძალადობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლად ჩამოყალიბდა. გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. საქართველოს ხელისუფლებამ კანონის გამკაცრება ოჯახური კონფლიქტების ნიადაგზე მკვლევარობების

გახშირების შემდეგ გადაწყვიტა. სხვა თუ არაფერი, დღეს ქალებს არ უწევთ განათლების მიღებისათვის ბრძოლა და ბევრ სფეროში მამაკაცთა კვალდაკვალ არიან დასაქმებულები, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო. არ არის გამორიცხული, რომ ქალთა უფლებების მხრივ საქართველოში დღეს პროგრესი არც კი გვქონდა, ამ უფლებებისთვის ბრძოლა ქართველ საზოგადო მოღვაწებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში რომ არ დაეწყოთ. მათი ბრძოლის ასპარეზი ევროპული სტილის ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში გაიშალა.

ჩვენი კვლევა ეხება ქალთა უფლებების სააკითხს, კერძოდ ჩვენ გამოვიკვლიეთ სერგეი მესხისა და ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში ქალთა უფლებების თემა და მიმოვიხილეთ ის პუბლიცისტური წერილები, რასაც „ერთის მხრივ, სერგეი მესხი 1870-ან წლებში აქვეყნებდა გაზეთ დროებაში“ და „მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე 1880-90-ან წლებში გაზეთ ივერიაში.

ბრძოლის გზა უფლებებისთვის მრავალმა ადამიანთა ჯგუფმა განვლო, მათ შორის, რა თქმა უნდა არიან ქალები, რომლებსაც მთელი რიგი გამოწვევების დაძლევა დასჭირდათ რათა, მიეღწიათ კანონის დონეზე თავისუფლებისა და თანასწორობისთვის.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა ერთგვარი ასპარეზი იყო ქართველი ქალებისთვისაც. თუმცა, ეს ასპარეზი ერთ დღეში არ შექმნილა. მას მეტად საინტერესო წინაისტორია აქვს, რომელსაც სათავე მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დაედო. მე-19 საუკუნის მეორენახევრიდან საქართველოში ჩაისახა მოძრაობა პატრიარქალური საზოგადოებიდან ქალების ემანსიპაციისთვის. 1879 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის სათავეებთან იდგა. სწორედ ამ საზოგადოების წევრთა მონდომებით გახდა აქტუალური „დედათა საკითხი“. ამ თემით დაინტერესება უნდა განვიხილოთ, როგორც ქართველი საზოგადოების მოდერნიზაციის მცდელობა. სამოციანელები თავიანთ პუბლიცისტიკაში ევროპაში მიმდინარე ემანსიპაციაზე საუბრობდნენ და ქართულ რეალობასთან პარალელებს ავლებდნენ. იმავდროულად, ცდილობდნენ გენდერული პრობლემების პოპულარიზაციას საზოგადოებაში, რომელიც მაშინ ამგვარი საკითხებისთვის საკმაოდ დახურული იყო.

XIX საუკუნეში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბრძოლამ მთელი მსოფლიო მოიცვა, მათ შორის საქართველოც. ამ მოვლენების შესახებ ხშირად წერდნენ ქართული ჟურნალ-გაზეთები, რაც მნიშვნელოვანი საქმე იყო ინფორმაციის მიღებისა და ქართველ ქალთა შორის ახალი ინიციატივების გასაჩენად.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქალთა უფლებებზე საუბრის დაწყებას ბიძგი ბრიტანელი ეკონომისტის, ფილოსოფოსისა და სახელმწიფო მოღვაწის, ჯონ სტიუარტ მილის 1866 წელს შექმნილმა პეტიციამ მისცა, როცა მან ბრიტანეთის პარლამენტისგან ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭება მოითხოვა. ევროპისგან განსხვავებით, ჩვენთან ამ საკითხებზე საუბარი მამაკაცებმა დაიწყეს. „თერგდალეულთა“ მოსაზრებებს საფუძვლად ედო სწორად გააზრებული საზოგადოებრივი ინტერესი, და არა - ქალთა პრობლემების სიღრმისეული ცოდნა. ისინი მოუწოდებდნენ ქალებს, საზოგადოებრივ ასპარეზზე თავად წარმოეჩინათ თავიანთი

რეალური პრობლემები.

XX საუკუნის დასაწყისში შედეგად გამოჩნდა, ამ პერიოდში ქალის სამოქალაქო უფლებები აქტუალური გახდა. ითარგმნა ავგუსტ ბებელის “ქალი და სოციალიზმი”. ჩამოყალიბდა ქალთა არაერთი ორგანიზაცია (“ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია”, “თბილისელ ქალთა წრე”, “ქართველ ქალთა საზოგადოება”, “ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირი”, “მანდილი”), რომლებმაც დაიწყეს ზრუნვა ქალთა უფლებებზე, განათლებასა და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე. („დედათა საკითხი“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში).

საქართველოშიც ღირსეულად უპასუხეს ქალებმა ახალ გამოწვევას და ბევრმა მათგანმა, მიუხედავად მათი სოციალური, ეთნიკური თუ სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს, როგორც ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილის ფასეულობათა ჩამოყალიბებაში.

ქალთა საკითხების პრობლემატიზაცია საქართველოში XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ოჯახური მყუდროებიდან გამოსული ქალები თავიანთი უფლებების დასაცავად ერთიანდებიან და გენდერული თანასწორობის დასაბუთებული მოთხოვნით ბრძოლას იწყებენ. ისინი აარსებენ საზოგადოებებს, ქმნიან კლუბებს, გამოსცემენ ჟურნალ-გაზეთებს, წერენ წიგნებს და ამ ფორმით ცდილობენ, მათ მიმართ არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულება შეცვალონ. ეს ის პერიოდია, როცა მსოფლიოში მკვიდრდება აზროვნების ახლებური ტიპი, ჩნდება განსხვავებული მოთხოვნილებები. დასავლეთიდან შემოდის განმანათლებლობისა და რაციონალიზმის იდეები, რომელთაგანაც თანასწორობის იდეა ერთ-ერთი პირველია.

„ტფილისის ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, „წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთდახმარების ტფილისის საზოგადოება“, „სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, „თელავის ქალთა ერთობა“, „ხონის ქალთა წრე“, - ეს იმ ორგანიზაციების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველმა ქალებმა შექმნეს. მათ შორის იყო ქუთაისის ქალთა არაფორმალური გაერთიანება - ქალთა კლუბი. სწორედ მათი აქტიურობითა და თაოსნობით დაარსდა გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, რომელიც ქალთა საკითხებს ფართოდ აშუქებდა.

„ხმა ქართველი ქალისა“ არის პირველი ქართული გაზეთი, რომელიც მთლიანად ქალთა თემებზეა ორიენტირებული. იგი ქუთაისში 1917-1918 წლებში გამოდიოდა და ერთგვარი ტრიბუნა იყო მაშინდელი ქართველი ქალებისთვის, რომლებიც თავიანთი უფლებრივი მდგომარეობისა და ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესებისთვის იბრძოდნენ. ქალები, საქართველოს ყველა კუთხიდან, აქ წერდნენ თავიანთი პრობლემების შესახებ და ვსაზოგადოებასაც ამ გამოცემის მეშვეობით მოუწოდებდნენ, რომ მათთან დაკავშირებული დამახინჯებული შეხედულებები შეცვლილიყო.

XIX საუკუნის მიწურულს ქალებმა პირველად დაიწყეს საჯარო გამოსვლები. ისინი საუბრობდნენ თავიანთ პრობლემებზე და ქალთა ემანსიპაციას ესწრაფოდნენ. ერთ-ერთი პირველი ამ საქმეში ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე იყო, რომელმაც ხმა აიმაღლა პატრიარქალური საზოგადოების წინაშე. იგი აქტიურად იბეჭდებოდა ამ პერიოდის პრესაში (“ცისკარი”, “ივერია”, “ჯეჯილი”, “კვალი” და “დროება”). 90-იან წლებში კი “ქალთა საკითხის” გარშემო გამართულ პოლემიკას მან სპეციალური წერილი მიუძღვნა (“ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ”), რომელიც სამართლიანად მიიჩნევა ქართული ფემინიზმის მანიფესტად.

წერილში ბარბარე საუბრობდა ქალების შეზღუდული უფლებების შესახებ განათლებასა თუ პოლიტიკაში. “პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდნენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდნენ: შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ, სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო”, - წერდა ბარბარე ჯორჯაძე და დასძენდა, - “საბრალო ქალებს იმ დაჩაგვრით ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედაენაზედ მაინც კარგად და სამირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა და საქმიანობა. ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცველად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი? თუ აქამომდე მოაღწია მდიდარმა ქართველმა ენამ, ქალის მეოხებით მოაღწია”.

1917 წელს ქართველი ქალის ხმა ქუთაისიდან გაისმა - “ინტერპარტიულმა ქალთა ლიგამ” დაიწყო ყოველკვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ “ხმა ქართველი ქალისას” გამოცემა, რომლის რედაქტორი კატო მიქელაძე იყო. “თუ რომ საუბრის დროს საჭიროა ერთისათვის, მეორე ადამიანის ცნობა, მით უფრო საჭიროა საზოგადოებისათვის გაგება ყოველივე ახლათ გამოსულ ბეჭდვითი ორგანოს მიმართულებისა. ამისათვის ვაცხადებთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი სდგას ყოველ პარტიულ მიმართულების გარეშე.

ქალთა საკითხების აქტუალიზაციასა და მათი უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში პირველი სიტყვა მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების ჟურნალისტებს ეკუთვნით. ჩვენს კვლევაში შემგთავაზებთ „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის პუბლიცისტური წერილების და „ივერიის“ რედაქტორის ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების შინაარსობრივ ანალიზს, გამოვკვეთთ იმ მთავარ გზავნილებს/ „მესიჯებს“, რაც მე-19 საუკუნის ქართველმა ჟურნალისტებმა განიხილეს და მაშინდელ მკითხველს განსჯისათვის შესთავაზეს.

ჩვენ დავამუშავეთ ილია ჭავჭავაძის წერილების ციკლი „დედათა საქმე“ და სერგეი მესხის სამი პუბლიცისტური წერილი: „საქალ-ვაჟო შკოლებზე“, „ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება“, და „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?“

ილია ჭავჭავაძე იყო ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ი. ჭავჭავაძემ დაწერა

ძლიერი მხატვრული ინდივიდუალობით აღბეჭდილი და მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსით განმსჭვალული, ფართო საზოგადოებისათვის რეზონანსის მქონე ნაწარმოებები, რომელთაც აღმავალი ეტაპი შექმნეს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში.

1863 წელს ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ჟურნალი საქართველოს მოამბე, მიუხედავად უმძიმესი საცენზურო პირობებისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ მედროშედ იქცა. საქართველოში დამკვიდრებული ი. ჭავჭავაძე აქტიურად ჩაება ფართო პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში და უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდა მას. 70-90-იან წლებში დაიწყო ი. ჭავჭავაძის მრავალრიცხოვანი ნაშრომებისა და წერილების გამოქვეყნება, რომლებშიც ვლინდებოდა მისი ძლიერი ინტელექტი, ფაქტებისა და მოვლენების იშვიათი აღქმისა და გაანალიზების უნარი. მის პუბლიცისტურ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდი ადგილი დაეთმო სახალხო განათლებისა და მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებს.

სერგეი მესხი 1868 წლიდან რედაქტორობდა გაზეთ დროებას; აშუქებდა საქართველოსა და სხვა ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს; იყო “მამებისა” და “შვილების” ბრძოლის აქტიური მონაწილე; მისი წერილები ეხებოდა კრიტიკის თეორიას და პრაქტიკას, ფოლკლორისტიკას, თეატრს, დრამატურგიას და სალიტერატურო ენის სიწმინდეს.

ვრცელი წერილი მიუძღვნა ხალხურ “არსენას ლექსს”(1872); მიმოიხილა გ. ერისთავის, რ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ფურცელაძის, გ. ვოლსკის და გ. სუნდუკიანის შემოქმედების ცალკეული საკითხები; თარგმნა ვ. ჰიუგოს, ა. დოდეს და სხვათა ნაწარმოებები; შემოკლებით თარგმნა ვიქტორ ჰიუგოს ახლად გამოსული რომანი “93 წელი” და მას ნაწილ-ნაწილ აქვეყნებდა “დროებაში”; 1873-1874წწ. იმყოფებოდა პარიზში, სადაც შეადგინა გამოჩენილი პიროვნებების: ვაშინგტონის, ლივინგსტონის, გარიბალდის, ოუენის და სხვათა ბიოგრაფიები; დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის, კრიტიკის, ჟურნალისტიკისა და ქართული თეატრის განვითარების საქმეში.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ დედათა საქმე დღითი-დღე მიიწევდა წინ განათლებულ ქვეყნებში, დღითი-დღე მომხრეებს პოულობდა, ძლიერდებოდა და კუთვნილ ადგილს იკავებდა განვითარებული ქვეყნების ცხოვრებაში. იგი ამბობდა: „დედათამხნეობა, სამართლიანის უფლების მოპოვებაზედ მიმართული, აღარა ჰრჩება „ხმად მღალადებელად უდაბნოსა შინა“. დედათა სქესმა სწავლით და გარჯით უკვე დაიმტკიცა უფლება უმაღლესი განათლების მიღებისთვის და ამ უფლებას ახლა მხოლოდ ბრძანი და თვალახვეულნი თუ ეურჩებოდნენ. ილიას თქმით, იმდროის განვითარებულ ქვეყნებში ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც ჰქონდათ. ამ მხრივ კი ამერიკამ ყველა ქვეყანას გაუსწრო წინ და ახლა იქ არათუ ვინმეს უკვირს ქალის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, არამედ - უკვე თვითონ ქალებიც კი შეიძლება ამორჩულ იქნას თუნდაც პრეზიდენტად და ამას არავინ გაიკვირვებს. ინგლისის კონსერვატორთა მეთაური და მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი სალუსბერი, როგორც ილია გვიმარტავს, მომხრე იყო იმისი, რომ ქალებს ჰქონოდათ უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღების. ილიას აზრით, თუ კონსერვატორთა ლიდერი ამ საქმის სასარგებლოდ ასეა გამსჭვალული და მონდომებული, შორს არ უნდა იყოს ის

დრო, როდესაც კაცობრიობის მოსახლეობის ნახევარი სქესი თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს მამაკაცთა გვერდით. ხოლო ყოველივე ამის შემდგომ შეიცვლება აგრეთვე კანონები და ქალები გათავისუფლდებიან იმ ბორკილებიდან, რომელშიც იყვნენ გაბმულნი (ჭავჭავაძე, 1928).

წერილების ციკლში „დედათა საქმე“ ილია მიმოიხილავს ერთ-ერთ წერილს, რომელიც 4 მარტს გამოიცა გაზეთში სახელით „საზოგადოების საყურადღებოდ“. ჩვენდა სასიხარულოდ, ამბობს ილია, ამ წერილში ის ვიპოვეთ, რასაც არაერთხელ ვნატრულობდით ეგრეთწოდებულ „დედაკაცთა საქმის“ ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად. ამ წერილის ავტორი ქალები გამოთქვამდნენ სურვილს, რომ მიეღოთ განათლება და შემდგარი, მხნე ქალები დამდგარიყვნენ. რაც არუნდა ბევრი დაბრკოლება ჰქონოდა ქალების ამ წამოწყებას, ილიას თქმით, ბოლოს მაინც გაიმარჯვებდა, რადგანაც დაულალავი შრომა და გარჯა ბოლოს ყოველთვის გამარჯვებით სრულდება (ჭავჭავაძე, 1928).

ილია ჭავჭავაძე ქალთა უფლებების დაცვის გააქტიურების ერთ-ერთ მიზეზად რუსეთის დემოკრატიული და ლიბერალური მწერლობასაც მიიჩნევს. იგი ამბობს: „რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზე“. რასაკვირველია, რუსული ლიტერატურის ზემოქმედებამ მხოლოდ იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი ნარკვევი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ მიენდო, არ იწამა ცხოვრებაში იოლად წინ წასვლისთვის. ილია კი ისეთ კაცს, რომელსაც მხოლოდ ცარიელი აზრი აქვს „კაჭკაჭს“ უწოდებს, რომელიც არ არის ჭეშმარიტი წარმომადგენელი საკუთარი აზრის, რომელმაც ეს აზრი თუ სხვისგან მიისაკუთრა აუცილებლად თავისად უნდა გადაექცია.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ რაც გუშინ სწამდა ლიტერატურას, რამოდღვრეც გუშინ ბატონობდა ლიტერატურაში, დღეს ყოველივე ის უარყოფილია და დევნილი იმავე ლიტერატურისაგან. ხშირად ერთ რომელიმე ხანაში აღძრული აზრი, თუ საგანი, მეორე ხანაში ისევ იმ საგნად და აზრად რჩება, მხოლოდ სულ სხვა სახით, სხვა შუქით, სხვა სიგრძე-სიგანით, ამ ყველაფერს კი თვალის დევნა, კრიტიკა და გამოძიება სჭირდება. ილია ამ წერილში ამხელს ქართველების ნაკლს, რომ ქალთა საკითხი ჩვენში ქართველების თაოსნობით არ არის წინ წაწეული, არამედ ამ საკითხზე რუსეთის ლიტერატურას მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი აქვს. რასაც ახლა წერენ ჩვენში დედობის, ცოლობის და დობის საკითხთან დაკავშირებით ამაზე საუბარი 20-30 წლის წინათ უკვე იყო რუსეთის ლიტერატურაში, რაც რუსეთის უპირატესობაზე მეტყველებს.

რუსეთში ცნობილი პედაგოგი გურევიჩი წერს: „რატომ მამაკაცის შესახებ არავის წამოსცდენია სურვილი, რომ მოგვიმზადოთ კარგი ქმრები, კარგი მამები? ეს ღირსებანი ხომ ისე საჭირონი არიან მამაკაცისათვისაც ოჯახში, როგორც დედაკაცისათვის კარგი ცოლობა და კარგი დედობა. რატომ არავინ ფიქრობს, რომ ეს ღირსებანი დაუნერგონ და განუვითარონ მამაკაცებსა? იმიტომ, რომ — ამბობს გურევიჩი, — მამაკაცთა სწავლა-განათლების თაობაზედ ჩვენ უფრო უკეთესი და მართალი აზრი გვაქვს, ვიდრე დედაკაცის სწავლა-განათლების თაობაზედაო. როცა მამაკაცი გვყავს სახეში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზედ უწინარეს უნდა განვანათლოთ ადამიანი და რაკი ადამიანი განათლებულია, მალე გაიგებს თავისს მოვალეობას, რომელიც მან უნდა იკისროს იმ

გარემოების მიხედვით, რაშიც ცხოვრება ჩააყენებს” (ჭავჭავაძე, 1928).

მის შემდეგ, რასაკვირველია, სასაცილოა ის სურვილი, რომ მამაკაცი ვამზადოთ მხოლოდ საკარგ-ქმროდ და საკარგ-მამოდ. განა ამავე აზრით არ უნდა მივმართოთ ქალების სწავლა-განათლების საქმეს? განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერისად, რასაც სიტყვა ადამიანი ნიშნავს. განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმას, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტი აზრებისათვის, აღვუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიული და მოქალაქობრივი ინტერესებისათვის, გავაგებინოთ ვალი, თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს? ესეთი აზრებით, რწმენით და თვალთამხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცს და მის ადვილს გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაცი ცოლობის, კაცი დედობის, და უკვე განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულ ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის საჭირო იქნება (ჭავჭავაძე, 1928). ილია ხედავდა „დედათა საქმის” აუცილებლობას, არსებობის მნიშვნელობას და ამიტომ ეჭვიც არ ეპარებოდა ამ საქმის გამარჯვებაში. მისი აზრით, ვისაც დედათა საქმის სიდიადე გულწრფელად აქვს გულში ჩადებული, ამ საქმეს იგი გზის გამრუდებად კი არა, გასწორებად მიიჩნევს

მეორე პუბლიცისტი, რომელმაც საკუთარ შემოქმედებაში ქალთა უფლებებს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო, სერგეი მესხია. პუბლიცისტურ წერილში - საქალვაჟო შკოლებზე - მესხი ამბობს, რომ აუცილებელია ქალებმა და კაცებმა ერთად მიიღონ განათლება და არა ცალ-ცალკე, როგორც ახლა ხდებაო. როდესაც ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანი შეხვდება ერთმანეთს, რთულია ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება, თუმცა ამას ქართველ დედებს ვერ გააგებინებ, რადგან მათ არც კი წარმოუდგენიათ, რომ ოდესმე ქალმა და კაცმა ერთსადამიანე საზოგადოებაში შეიძლება იცხოვროს. განა ამნაირ აღზრდას საფუძველი და აზრი აქვს? ეს ჭეშმარიტება, რომ ქალისა და ვაჟის ერთმანეთის მოშორება და განსხვავებული აღზრდა – მავნებელია და არა გამოსადეგი, დიდი ხანია გაიგეს განათლებულ ქვეყნებში. მესხს სურს, ქართველებს დაანახოს სწორი მხარე და ჭეშმარიტება აღზრდის, რომ ქალის და კაცის ერთად სწავლას სიკეთის მეტი ცუდი არაფერი მოუტანია, რომ ეს აუცილებელია არა მხოლოდ ქალებისთვის, არამედ - კაცებისთვისაც, თუმცა ამას რა თქმა უნდა დრო და მუშაობა სჭირდება.

მესხი ამბობს: „ჩვენ გვსურს, რომ ამ აზრებს მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება იმ კერძო პირებმა, რომლებიც სოფლებში სკოლის გამართვას ახერხებენ. ჩვენ სოფლებში ერთი სკოლის გამართვაც მეტისმეტად გასაჭირია, თორემ ორი სკოლის გამართვას, ცალკე ქალებისათვის და ცალკე ვაჟებისათვის, როგორ შეიძლება თავისი ხარჯით სოფელი. ამას გარდა, აქვე ისიც უნდა მივიღოთ ყურადღებაში, რომ ჩვენ გლეხ-კაცობაში არასოდეს არ არის ისეთი განსხვავებული აღზრდა ქალებისა და ვაჟებისა, როგორც უფრო უმაღლეს საზოგადოებაში, ამიტომაც, მგონი, ურიგო არ იქნება, რომ იმ სასოფლო სკოლებში, რომელნიც იხსნებიან ახლაცხოგიერთ ჩვენ სოფლებში, განსაკუთრებით ვაჟებისათვის, ქალებიც მიიღონ და ამნაირად ჩვენი სოფლის სკოლა შერეულ სკოლად გადაიქცეს, ე.ი. ისეთ სკოლად, სადაც ქალები და ვაჟები ერთად აღიზრდებიან”. (მესხი ს. „საქალ-ვაჟო შკოლებზე”, 1962) (დაიბეჭდა გაზეთ «დროებაში», №12, ხელმოუწერლად)

სერგეი მესხის მეორე წერილი „ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება“ გვაცნობს იმდროინდელი საზოგადოების დამოკიდებულებას სწავლის უცხოეთში გაგრძელების შესახებ. წერილიდან ცხადი ხდება, რომ ქალების სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნას მაშინდელი საზოგადოება უარყოფითად აფასებდა. მეტიც, საზოგადოება დასცინოდა ისეთ ვაჟებსაც კი, ვისაც სურდა რუსეთში განათლების მიღება, თუმცა დრომ და გამოცდილებამ თავისი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, და ახლა ძნელად თუ ნახავთ ისეთ მამას, რომ თუ შესაძლებლობა აქვს, არ ცდილობდეს შვილის უნივერსიტეტში გაგზავნასო, წერს მესხი. სწორად ამ გზის გავლა მოუწია ქართველ ქალებსაც, რათა საზოგადოებისთვის დაენახებინათ, რომ მათაც სჭირდებათ საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღება და სწორ გზაზე დადგომა. თუმცა როდესაც კაცი ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობს, რომელიც დევნის ყოველ ახალ ნაბიჯს, ახალ მოვლენას და აზრს, თუ დიდი ზნეობითი ძალა არ აქვს, ძნელად შეუძლია რომელიმე ახალი საქმის ხელის მოკიდება და დაწყება. წერილში მესხი ამბობს, რომ ამნაირი ერთი მაინც აღმოჩნდა ჩვენში, ვინც განათლების მიღების სურვილით ციურისში გაემგზავრა და ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ამავე გზაზე დადგომას რამდენიმე სხვა ქართველი ქალიც აპირებს. სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილების დასამკვიდრებლად არის საჭირო გამბედაობა იმისა, რომ გადადგა პირველი ნაბიჯი და ამით გაუხსნა გზა სხვებს, რომ შეცვალონ თავიანთი ბედი უკეთესობისკენ. ამგვარად, ასკვნის სერგეი მესხი, ვხედავთ, რომ ჩვენს ქალებშიც იწყება მოძრაობა და ლტოლვა უმაღლესი განათლებისთვის, რომელიც ზოგიერთებს მარტო სიტყვით არა, თვით საქმითაც მოჰყავთ სისრულეში. მაშასადამე, საჭიროა ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას უფრო ხანგრძლივი სიცოხლე ჰქონდეს, ვიდრე საზოგადოდ ზოგიერთ ჩვენ კეთილ ლტოლვებს. დასასრულ, ავტორი მიმართავს კორესპონდენტებს და მოუწოდებს მათ, რომ გაიცნონ ხალხი, „შეიტყვონ მათი ყოფა-ცხოვრების და ჭკუა-გონების საქმე, მათი სიხარული და დარდი, ავი და კარგი და ყველა ამ საზოგადოდ სასარგებლო ცოდნას ნუ ჩაიმარხავს გულში, რადგან ფეხის წინ წადგმა და ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა პირველ რიგში ჩვენ თავს კარგად გავიცნობთ“ (მესხი ს. , 1962)

მესხის მესამე წერილში - „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაემებენ ისინი“ - აღწერილია მაშინდელი საქართველოს ქალთა მდგომარეობა. ავტორის თქმით, ქალები შეჩვეულნი არიან ბედს და ახლა რომ ეუბნები, დროა განთავისუფლდეთ, საზოგადოებას შეერიოთ და განათლება მიიღოთ, გაკვირვებული სახით გეტყვიან - რა განათლება, ჩვენ ახლაც კარგ მდგომარეობაში ვართო. სწორედ ამის ჩვენება სურს მესხს, რომ არ უნდა შეეგუო იმ მდგომარეობას, რომელიც არ არის სარგებლობის მომტანი შენთვის, არამედ უნდა ეცადო, რომ შეცვალო ყოველივე და იცხოვრო თავისუფლად, თუმცა ესეც დროის საკითხია. მესხს, აგრეთვე, ამ წერილში მოყვანილი აქვს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი, თუ როგორ მოიქცნენ ქალები, როდესაც თავი შევიწროებულად იგრძენეს და რა გააკეთეს ამისთვის განათლებულ ქვეყნებში. იგი ამბობს, რომ არცერთ ქვეყანაში ქალებს ისეთი უფლება არ აქვთ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ ქალებმა, პირიქით, კაცებს წაართვეს უფლებები და დაიმკვიდრეს თავი. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, თუ რა ცუდად ეპყრობიან ქალებს საფრანგეთში. ფრანგების აზრით, ქალი არის მხოლოდ სათამაშო. დროის გასატარებლად გაჩენილი. თუმცა ახლა საფრანგეთშიც კი დაინახეს

ქალების დაცემული მდგომარეობა და დაიწყეს გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ევროპის ქვეყნების გამოცდილების აღწერით სერგეი მესხი ცდილობს ქართველ ქალებს აჩვენოს სწორი გზა, რომ იმოქმედონ, შეიქმნან უკეთესი ბედი და გზა გაიკვალონ თავისუფლებისკენ. რთულია ადამიანს მისი ცუდი მდგომარეობა აუხსნა, თუ კი ამნაირ მდგომარეობაში მყოფი თვითონ ვერ გრძნობას ამას. თუმცა, საბედნიეროდ, ყველა ქალი არ ფიქრობს ასე, მაგალითად, დასავლეთ ევროპის და რუსეთის განათლებული ქალები სულ სხვანაირად სჯიან ქალის დანიშნულებას და სხვანაირადაც მოქმედებენ, იმისთვის, რომ ამის შესაფერისად შეიძინონ ცხოვრების და მოქმედების უფლება. სწორედ ესაა ამ წერილის მთავარი მოტივი, რომ ქალები გამოაცოცხლოს და „თვალეები ფართოდ გაახელინოს“, რათა თავიანთი ავ-კარგი გაარჩიონ და უკეთესისთვის იბრძოლონ, რომ სამოქალაქო უფლება შეიძინონ, ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესონ და ჭკუა-გონება გახსნან. ესენი ერთმანეთზე ისე არიან გადაჯაჭვულნი, რომ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ.

სერგეი მესხი ამავე წწერილში მიმოიხილავს ევროპაში 20-30 წლით ადრე დაწყებულ ქალების მოძრაობას. ქალებმა გრძნობდნენ და ხედავდნენ, რომ ცრუ-მორწმუნეობით სავსე და წარსული ცხოვრებით შემცდარი მამაკაცის გონება ვერ წარმოიდგენდა, რომ ქალიც კაცია და იმასაც ცხოვრების უფლება ადამიანურად უნდა ჰქონდეს და არა - პირუტყვულად. ამიტომ თვითონ ქალები, თავიანთი საშუალებით და ჭკუით, შეუდგნენ საქმეს და დაიწყეს მეცადინეობა მიზნის მისაღწევად. თავდაპირველად ეს მეცადინეობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქალები, და ზოგი განათლებული კაცებიც, გამოსცემდნენ ათასნაირ წიგნებს, ჟურნალებსა და გაზეთებს, რომელშიც წერდნენ ქალების სავალალო მდგომარეობაზე და უჩვენებდნენ საზოგადოებას მმართველობის იმ გზებს და სახსრებს, რომლებითაც ამ ცუდი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი იქნებოდა. მაშასადამე, ისინი ქადაგებდნენ და ავრცელებდნენ საზოგადოებაში ქალების კაცებთან გათანასწოების აზრს. ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა ყველაზე მძაფრად გერმანიაში, ინგლისში, ამერიკაში და რუსეთშიც მიმდინარეობდა. „ამნაირი ქადაგებით ქალებმა ამ ქვეყანაში ბევრი მომხრე შეიძინეს და თავიანთი აზრები გაავრცელეს საზოგადოებაში. ახლა კი ყოველ განათლებულ კაცს რცხვენოდა ეთქვა, რომ ქალი მარტო საარშიყოდ არის გაჩენილი და იმის საქმე მარტო შვილის შობა და სტუმრის გამასპინძლება არისო. ამის კი მაშინ და ხშირად ახლაც მხოლოდ გონებადახშული კაცი ამტკიცებდა“. თუმცა მხოლოდ ლიტერატურული მოძრაობა და ქალების სასარგებლო აზრების გავრცელება არ კმაროდა, ისინი კვლავ შევიწროვებულად გრძნობდნენ თავს. მაშინ ქალებმა მიაქციეს ერთ რამეს ყურადღება, რომელსაც ყოველთვის და ყველგან მიმართავენ ხოლმე, როდესაც რომელიმე მძიმე საქმის აღსრულება სურთ. ქალებმა დაიწყეს თავშეყრა და ერთად ასოციაციით შეუდგნენ თავიანთი საქმეს. ამ მიტინგებზე ათასობით კაცებიც ესწრებოდნენ და ამნაირად, იმათი საშუალებით, ქალები უფრო მსწრაფლად და კარგად ავრცელებდნენ თავიანთ აზრებს, ვიდრე ბეჭდით. (მესხი ს. , „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?“, 1962)

დასკვნის სახით აღვნიშნავთ სერგეი მესხისა და ილია ჭავჭავაძის დამსახურებულ წვლილს ქალთა უფლებების საკითხთან მიმართებაში, სწორედ მათ მოამზადეს მყარი ნიადაგი, რომელიც შემდგომ აისახა კიდევაც ქართველ საზოგადოებაში და საქართველოც, მას მერე, რაც

სახელმწიფოებრიობა დაიბრუნა, ნელ-ნელა შეურთდა ევროპულ ქვეყნებს აზროვნებითა და მისწრაფებებით.

მრავალი ისტორიული ქარტეხილის ჩავლის შემდეგ, დღეს ქართველი ქალის უფლებები მათ ღირებულებით მონაპოვარზე დგას. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: “შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად”.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

მესხი, ს. (1962). „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაემებენ ისინი?». In შემდგენელი-ი.ბოცვაძე., თხზულებანი : 3 ტომად; ტ. 3, წერილები, 1878-1888. (pp. 333-357). თბილისი: საბჭ. საქართველო.

მესხი, ს. (1962). „საქალ-ვაჟო შკოლებზე». In შემდგენელი-ი.ბოცვაძე., თხზულებანი : 3 ტომად (pp. 325-328). თბილისი: საბჭ. საქართველო.

მესხი, ს. (1962). „ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება». In შემდგენელი-ი.ბოცვაძე., თხზულებანი : 3 ტომად (pp. 345-378). თბილისი: სერგეი მესხი.

ჭავჭავაძე, ი. (1928). «დედათა საქმე». In პ. შემდგ-ინგოროყვა, ნაწერების სრული კრებული: 9 ტომად. (pp. 212-220). თბილისი: ქართული წიგნი (საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველ. სტ).